

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

Issues of Linguistics

I-II

ISSN 1512-0473



სარედაქციო საბჭო: ელ. ბაბუნაშვილი, ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ჯ. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე, გ. კარტოზია, ალ. ონიანი, ბ. უტიე, კ. ფენრიხი, მზ. შანიძე, კ. კ. შმიდტი, ზ. ჭუმბურიძე, ნ. ჯანაშია, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL: E. Babunashvili, W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fänrich, I. Gippert, J. Giunashvili, A. Harris, N. Janashia, G. Kartozia, A. Oniani, B. Outtier, M. Shanidze, K. H. Schmidt, D. Tvaltvdze,

სარედაქციო კოლეგია: რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი), თ. გვანცელაძე, რ. ენუქიძე, ივ. ლეჟავა (პასუხისმგებელი მდივანი), დ. მელიქიშვილი, ირ. მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ეთ. სოსელია, ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ქურდიანი, გ. შაბაშვილი, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD: R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief), T. Gvanceladze, M. Jikia, I. Kobalava, M. Kurdiani, N. Kutelia, **I. Lezhava** (Executive Secretary), D. Melikishvili, **I. Melikishvili** (Deputy Editor-in-Chief), G. Shabasvili, E. Soselia

ქურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და ზურაბ სარჯველაძის მიერ

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007



*კრებული ეძღვნება გიორგი ახვლედიანის
დაბადების 120-ე წლისთავს*

თამაზ გამყრელიძე

გიორგი ახვლედიანი – ახალი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსი

გიორგი ახვლედიანის სახელი მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში ახალი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას. მან აკაკი შანიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ საენათმეცნიერო აზროვნებას საქართველოში. გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე არიან ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებლები და, მაშასადამე, კლასიკოსები ამ მეცნიერების თვალსაზრისით.

გიორგი ახვლედიანი ეკუთვნის ახალი ქართული მეცნიერების აღორძინებასთან განუყრელად დაკავშირებულ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელსაც დიდი ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა. ახალი ქართული მეცნიერების ეს აღორძინება თან მოჰყვა ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას, რის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც გიორგი ახვლედიანი იყო. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: „ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფესორ იოსებ ყიფშიძისა, პროფესორ აკაკი შანიძისა და პროფესორ გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დაანვა“. ეს „უდიდესი ტვირთი“ დიდ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს – გიორგი ახვლედიანსა და აკაკი შანიძეს – შარავანდედით მოსავს და მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაში ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს – როგორც ქართული სულიერი კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს.

საოცრად ფართოა გიორგი ახვლედიანის მეცნიერული ინტერესების სფერო; ძნელია დასახელებულ იქნეს ენათმეცნიერების ისეთი დარგი, რომელშიც მას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს. გიორგი ახვლედიანი არის თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლის ჩამყრელი საქართველოში; იგი სათავეში ჩაუდგა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას თბილისის უნივერსიტეტში და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს განაგებდა მას. მან წაიკითხა პირველი საუნივერსიტეტო კურსი და შექმნა პირველი ქართული სახელმძღვანელო ამ დარგში „ენათმეცნიერების შესავალი“ (1918-1919), რომელიც ამავე დროს თბილისის უნივერსიტეტში შექმნილი და აქ გამოცემული პირველი სახელმძღვანელოა ზოგადად.

ამრიგად, გიორგი ახვლედიანი ახალი საენათმეცნიერო აზროვნების პიონერია საქართველოში, და თუ დღეს ჩვენში თეორიული ენათმეცნიერება ასეთ მაღალ დონეზეა, ეს უპირველესად გიორგი ახვლედიანის მეცნიერულ მოღვაწეობას უნდა მიეწეროს.

გიორგი ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“ დიდი ისტორიული ფაქტია ქართული მეცნიერების განვითარებაში საზოგადოდ, რამდენადაც ამ წიგნში პირველად ქართულ ენაზე განიმარტა ზოგადლინგვისტური ცნებები და პირველად ჩაერთო ამ წიგნის საუნივერსიტეტო კურსში ქართული ენის მონაცემები თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების საილუსტრაციოდ.

მაგრამ „ენათმეცნიერების შესავლის“ მნიშვნელობა და ღირებულება არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ასპექტებით. ამ ნაშრომს, ისევე როგორც უფრო გვიან გამოსულ მის გამოკვლევებს, „მკვეთრი ხშულები ქართულში“ (1922 წ.), „ქართულ ხმოვანთა განდასება“ (1926 წ.) და „ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები“ (1938 წ.), სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენათმეცნიერებისთვის, ქართული ენის ბგერითი შემადგენლობის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, რამდენადაც აქ გიორგი ახვლედიანი ენის ბგერითი სისტემის შესწავლის ახალ პრინციპებს აყალიბებს და ფონოლოგიის ანუ ფუნქციონალური ფონეტიკის ერთ-ერთ პიონერად გვევლინება.

ფონოლოგიამ – ფუნქციონალურმა თვალსაზრისმა ენის ბგერითი შემადგენლობის შესწავლაში – რაც დასრულებული სახით ჩამოყალიბებულ იქნა პრაღასა და შემდგომ ვენაში, დიდი რუსი ენათმეცნიერის – ნიკოლოზ ტრუბეცკოის მიერ ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში, სრულიად ახალი პერსპექტივები გადაშალა ენათმეცნიერების წინაშე.

გიორგი ახვლედიანის დასახელებულ ნაშრომებში აშკარად ვლინდება ფუნქციონალური თვალსაზრისი ენის ბგერითი შემადგენლობის ანალიზში და, თუმცა, აქ ჯერ არ გვაქვს „დიფერენციალური ნიშნის“ ცნება, შემოტანილი მეცნიერებაში უფრო გვიან რომან იაკობსონისა და ნიკოლოზ ტრუბეცკოის მიერ, მაგრამ უკვე აშკარად იჩენს თავს დაპირისპირება კონკრეტულ ბგერასა და ფონემას, როგორც ენის ფუნქციონალურ ერთეულს შორის.

ეს იყო იმ დროისათვის უდიდესი მიღწევა, ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნიმუში ენათმეცნიერების ისტორიაში ენის ბგერითი ერთეულების განხილვისა ფუნქციონალური თვალსაზრისით. გიორგი ახვლედიანი დასახელებულ ნაშრომებში იკვლევს ქართულ ფონემათა მიმართებებს სისტემასა და ტექსტში, ადგენს ქართული ენის პარადიგმატულ და სინტაგმატურ ფონემურ სტრუქტურებს.

ენობრივ მოვლენათა განხილვა ამგვარი სისტემურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით, რაც გიორგი ახვლედიანის ჯერ კიდევ ადრინდელ ნაწერებში იჩენს თავს, შესაძლებელია მისი მასწავლებლის – ლ. შჩერბას და, საერთოდ, იმდროინდელი რუსული ენათმეცნიერების გავლენას მიეწეროს, რომლის ბრწყინვალე ტრადიციების გამგრძელებლად საქართველოში გიორგი ახვლედიანი მოგვევლინა და რომელიც თვით რუსეთში, სამწუხაროდ, ჩაკვდა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მოძალების გამო. სწორედ ამ ტრადიციებმა მოგვცა შემდგომ ე.წ. „პრალის სკოლის“ ფონოლოგიური მოძღვრება, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ფონოლოგიურ თეორიებს. გიორგი ახვლედიანის მიერ გატარებული ფუნქციონალური თვალსაზრისი ამ ბრწყინვალე ტრადიციების ასახვას წარმოადგენს, გადმოტანილს ქართულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამით გიორგი ახვლედიანის ღვაწლი და ნააზრევი სცილდება საკუთრივ ენათმეცნიერების ფარგლებს და თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანი, სხვა გამოჩენილ ენათმეცნიერებთან ერთად ფონოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელია და მის მიერ თანამედროვე ფონოლოგიის ჩამოყალიბებაში შეტანილი ეს მნიშვნელოვანი წვლილი სათანადოდ უნდა შეფასდეს ენათმეცნიერების ისტორიაში.

ქართული ენის ბგერითი შედგენილობის ანალიზმა ფუნქციონალური თვალსაზრისით საშუალება მისცა გიორგი ახვლედიანს დაედგინა მთელი რიგი ენობრივი კანონზომიერებანი, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქართველური ენების შესასწავლად სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში. მთელ რიგ ფონეტიკურ-ფონოლოგიური ხასიათის ნაშრომებში, რომლებიც ქართული ენის ბგერითი შედგენილობის აღწერას მიეძღვნა, გიორგი ახვლედიანმა გამოიკვლია თანხმოვანთშეერთების ნესები, რის საფუძველზედაც მან შემდგომ ჩამოაყალიბა „აქცესიურ-დეცესიურობის“ თეორია, დაადგინა ქართული „აბრუპტივებისა“ და „მულერი სშულების“ ფონეტიკურ-ფონოლოგიური ბუნება, გაარკვია კომბინატორული ხასიათის ბგერათა ცვალებადობის მექანიზმი ქართულ ენაში და მრავალი სხვა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენის აღწერისა და შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც, როგორც ენობრივი სისტემის ფონეტიკურ-ფონოლოგიური კვლევის ბრწყინვალე ნიმუშებს. აქვე ჩამოაყალიბებულია ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობის – „აბლაუტის“ (აპოფონიის) ძირითადი სახეები და განსაზღვრულია მისი როლი ქართულ ენობრივ სისტემაში.

გიორგი ახვლედიანის თეორია „აქცესიური“ და „დეცესიური“ კომპლექსების შესახებ, რომელიც მან ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე შეიმუშავა, ზოგადლინგვისტური ხასიათისა აღმოჩნდა, რამდენადაც აქ დადგენილი კანონზომიერებანი თანხმოვანთა შეერთებისა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ენათა დიდი უმრავლესობისათვის. როგორც ბოლო ხანებში გაირკვა, „აქცესიურ-დეცესიურობის“ თეორია ეფექტური საშუალებაა აგრეთვე ინდოევროპულ ენათა მთელი რიგი ისტორიული კანონზომიერების გამოსავლენად და ასახსნელად, რაც ამ თეორიას ინდოევროპული ენების შედარებით-ისტორიული შესწავლის სამსახურში აყენებს და, ამდენად, გიორგი ახვლედიანის სახელს ინდოევროპული ენათმეცნიერების ისტორიაშიც თვალსაჩინო ადგილს უმკვიდრებს.

გიორგი ახვლედიანის ფონეტიკურ-ფონოლოგიური ნააზრევი შეჯამებულია მის ცნობილ „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“, რომელიც 1949 წელს გამოიცა და, რომელიც სამაგიდო ნიგნად იქცა ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხებით დაინტერესებულთათვის. იგი სულ რამდენიმე ხნის წინ ხელახლა დაისტამბა.

მაგრამ გიორგი ახვლედიანის ეს დიდი ღვაწლი თეორიული ენათმეცნიერების წინაშე, სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფართოდ გავაცნოთ ლინგვისტურ წრეებს გიორგი ახვლედიანის ეს ნააზრევი და მას სათანადო, დამსახურებული ადგილი მივუჩინოთ მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში. ეს გახლავთ ადგილი ერთ-ერთი პიონერისა იმ ენათმეცნიერულ მიმდინარეობაში, რომელიც ენის ფუნქციონალურ-ფონოლოგიური ანალიზის სახელითაა ცნობილი. სწორედ ამ მიმდინარეობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი საზოგადოდ ენის, როგორც საკომუნიკაციო სისტემის, ადეკვატური აღწერა და შესწავლა.

დღეს ენის ბგერითი შედგენილობის ფუნქციონალური ანალიზი უკვე საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული მეთოდია, და მსოფლიო საენათმეცნიერო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ საენათმეცნიერო მიმდინარეობის სათავეში ქართველი მეცნიერიც დგას.

მოზონება

გიორგი ახვლედიანსა და აკაკი შანიძეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აკავშირებდა არა მხოლოდ საერთო საქმე, არამედ მეტად ახლო და თბილი მეგობრობაც. ამიტომ იყო, რომ გიორგი ახვლედიანი ერთ-ერთი პირველი ადამიანია, რომელიც მეხსიერებაში დამრჩა ბავშვობის წლებიდან — კეთილი, პატარებთან მუდამ შუბლგახსნილი და ალერსიანი; მხოლოდ შემდეგ, როდესაც სტუდენტი გავხდი, შევიცანი „ძია გიორგი“, როგორც უდიდესი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, იმ მრავალი და მრავალგვარი გაჭირვების გადამტანი, რომელიც თავზე დაატყდა ამ საშვილიშვილო საქმის წამომწყებთ და მესვეურებს. დღეს, როდესაც გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომი ოცდაათიანი წლების საუნივერსიტეტო დისკუსიების მასალები, გასაგებია, პარტიულ და იდეოლოგიურ „რეფორმატორთა“ როგორ შეტევასა და ცილისწამებს უძლებდნენ ივანე ჯავახიშვილი და მისი უახლოესი თანამშრომლები — აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი, რომელთა მისამართით ბრალდებათა ნიაღვარი მოდიოდა. „ახჩითო“ — ასე მოიხსენიებდნენ, გ. ახვლედიანის მეთაურობით, იმ მეცნიერებს, რომლებიც, პარტოკრატიის წარმომადგენელ თავდამსხმელთა აზრით, მარქსისტული მეცნიერების მოწინააღმდეგენი იყვნენ.

არც პირადულ ცხოვრებაში ყოფილა გიორგი ახვლედიანი მეტისმეტად ბედნიერი. ოჯახის წევრების უმძიმესი ავადმყოფობა ათეული წლების განმავლობაში არ აძლევდა მას საშუალებას შინ მაინც ჰქონოდა დაწყნარებული და მშვიდი სიცოცხლე. მუდმივმა ბრძოლამ და შფოთვამ, რომელსაც შეიძლება ბევრი ადამიანი გაეტეხა, „ძია გიორგი“ და პროფესორი გიორგი ახვლედიანი ვერ მოდრიკა — სიცოცხლის ბოლომდე იგი დარჩა მტკიცე მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპების მქონე პიროვნებად, კეთილ და გულისხმიერ ადამიანად, რომელსაც სხვისი გაჭირვება — ახლობლისა თუ შორიელისა ყოველთვის გულთან ახლო მიჰქონდა.

მახსოვს ჩემი დედის მშობლების ნაამბობი, როგორ უთევდა ღამეებს გიორგი ახვლედიანი სიმონ ყაუხჩიშვილთან ერთად მამაჩემს, როდესაც იგი მძიმე ავადმყოფი იყო და მისი დატოვება არ შეიძლებოდა.

დღეს გიორგი ახვლედიანის უშუალო მოწაფენი ბევრნი აღარ არიან, მაგრამ ყველას, ვინც კი არის მისი მომხსნე, ახსოვს მისი ყურადღება და მზრუნველობა; მას ბევრჯერ ხელი გაუმართავს (უჩუმრად და არა საქვეყნოდ!) გაჭირვებული თანამშრომლისა და სტუდენტისათვის; მუდამ დატვირთული აუარება სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი საქმით, დროს მაინც გამონახავდა, რომ დაინტერესებული ახალგაზრდისათვის გაუგებარი სამეცნიერო პრობლემა აეხსნა და დაეკვალიანებია იგი. მისი ხელმძღვანელობით ითარგმნა ქართულად ერთ-ერთი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებაში. გიორგი ახვლედიანმა ეს საქმე დაავალა ასპირანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს (მეც მათ შორის ვიყავი) — ალბათ, თვითონ რომ ეთარგმნა, ნაკლებ დროს დახარჯავდა, რადგან აუარებელი ახსნა-

განმარტება, მითითება მოგვცა, ბევრი რამ შეგვისწორა, ბოლოს იმაზეც იზრუნა, რომ ჰონორარი მიგველო.

გიორგი ახვლედიანი რომ დიდად ერუდირებული და მრავალენათმეცნიერულ დარგში ნოვატორი მეცნიერი იყო, ეს კარგად ცნობილი ამბავია, და მაინც, დღესაც გასაოცარი და ძნელად მისაბაძია ის სიფართოვე ინტერესებისა, რომელიც მას ახასიათებდა. სანსკრიტი და ოსური, ხელნაწერი ფსალმუნი ზრამაგიდან და ძველი ინდური ჰიმნები – თეორიული ფონეტიკა და თანამედროვე სასკოლო პრობლემები – ყველგან მის ნამუშევარს ახასიათებს ფართო გაქანება და მეცნიერული სიზუსტე, სკრუპულოზური ანალიზი და სიახლის დაუცხრომელი ძიება. ბოლომდე შეინარჩუნა ბატონმა გიორგიმ ემოციურობა და ხალისი. დეტალურად ყვებოდა ინდოეთში მოგზაურობის ამბებს, იხსენებდა ულამაზეს მოცეკვავე ქალს – ვიჯაია ლაკშმის და პოემას, რომელიც მირზო ტურსუნ-ზადემ უძღვნა მის ქარისაგან წაღებულ ცილინდრს.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჯანმრთელობამ უმტყუნა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, თავისი საყვარელი გერმანული ნაგაზის — რეჯის — თანხლებით გამოდიოდა ქუჩაში, მოდიოდა უნივერსიტეტისაკენ. უნივერსიტეტი იყო მისი ცხოვრების მთავარი მიზანი, მისი უდიდესი სიყვარული და უნივერსიტეტის ეზოშივე დაიმკვიდრა მან სამუდამო განსასვენებელი.

თეიმურაზ ბვანცელაძე

აკადემიკოსი ბიორბი ახვლედიანი და აფხაზური ენა

აკად. გ. ახვლედიანმა აფხაზური ენის ბგერითი სისტემის შესახებ ორი ნაშრომი გამოაქვეყნა. პირველი ნაშრომი "Звуковые возможности кавказских языков. Принципы классификации согласных абхазского языка" გამოქვეყნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „მოამბის“ 1940 წლის პირველ ნომერში. შემდგომში იმავე ნაშრომის ახალი ვარიანტი ქართულადაც დაიბეჭდა. მეორე ვარიანტის დასაწყისში (სქოლიო¹) ავტორი აღნიშნავს, „შეტანილია შესწორებები ფილოლ. მეცნ. დოქტ. ქლომთათიძის შრომათა მიხედვით და პირადად მასთან მოთათბირების შედეგად, რითაც ძლიერ დავალებული ვარ მისგან“-ო. ჩვენ მიმოვიხილავთ სწორედ ამ მეორე ვარიანტს, ვინაიდან იგი ავტორის უკანასკნელ ნებას გამოხატავს.

ნაშრომში ავტორი საანალაზოდ იყენებს აფხაზური ენის ორივე დიალექტის მონაცემებს და ადარებს მათ ქართველურ ენა-კილოთა მასალასთან. ამ შედარების შედეგად პირველი დასკვნა ნაშრომის დასაწყისშია წარმოდგენილი, როცა აღინიშნება, რომ ქართველურ და აფხაზურ თანხმომავანთა სისტემაში საზიაროა ბ ფ ჰ; დ თ ტ; ძ ც წ; გ ქ კ; ვ; ზ ს; ლ ხ; ჰ; რ ლ მ ნ თანხმომავანები, ანუ 22 ფონემა. ე.ი. აკად. გ. ახვლედიანი ქართველურ-აფხაზურ საზიარო ფონემებად არ მიიჩნევდა ნ თანხმომავან ფონემას, კერძოდ: ჯ ჩ ჭ, ყ შ; ჰ თანხმომავანებს. მაინც რატომ არ მიიჩნია მკვლევარმა ქართველურთან საზიარო ფონემებად შიშინა თანხმომავანები და ჰ? ამის შესახებ სტატიაში არაფერია აღნიშნული, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ ამგვარი ახსნა:

1. აფხაზურში არსებობს შიშინა თანხმომავანთა სამეულის ორი ოპოზიციური რიგი: სადა ჯ ჩ ჭ თანხმომავანების გვერდით ამ ენაში არსებობს ე.წ. მაგარი, ანუ ინტენსიური ჯ^ა ჩ^ა ჭ^ა თანხმომავანებიც, რომლებიც დამოუკიდებელი ფონემებია და აქვთ ყველა სათანადო რელევანტური ნიშანი. გარდა ამისა, ორივე სამეულში შემავალი ბგერები ასრულებენ როგორც სიტყვათგანმასხვავებელ, ისე ფორმათგანმასხვავებელ ფუნქციებს. არსებითია ისიც, რომ ინტენსიურ თანხმომავანთა ოპოზიციად გამომავალი სადა ჯ ჩ ჭ ფონემები აფხაზურში გაცილებით მეტი პალატალურობით, ანუ სილბოთი ხასიათდებიან, ვიდრე ქართველური ჯ ჩ ჭ ფონემები, რაც აკუსტიკურადაც იოლი შესაგრძობია.

იგივე ითქმის აფხაზური შიშინა სპირანტების ჟ შ წყვილულის შესახებაც, რომელიც, ერთი მხრივ, ოპოზიციამა ინტენსიურ ჟა შა ფონემათა, მეორე მხრივ, ლაბიალიზებულ ჟა შა ფონემათა წყვილულებთან და, მესამე მხრივ, საკმაოდ მკაფიოდ განსხვავდება როგორც არტიკულაციური, ისე აკუსტიკური თვალსაზრისით ქართველური ჟ შ წყვილულისაგან.

2. მსგავსი ვითარებაა ჰ თანხმომავანის შემთხვევაშიც: აფხაზური ჰ თანხმომავანი გაცილებით უფრო ინტენსიური ფონემაა, ვიდრე ქართველური ჰ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ აფხაზური ჰ თანხმომავანი ენაცვლება ქართველურ

ხ თანხმომავანს სიტყვათა სესხების დროს. მაგ.: ქართ. (მეგრ.) კალმახა – აფხაზ. აკალმაჰა „კალმახი“, მეგრ. ფოხალი – აფხაზ. აფჰალ „კოკა“ და ა. შ.

როგორც ჩანს, გ. ახვლედიანმა გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული გარემოებანი და იმიტომ არ მიიჩნია ჯ ჩ ჭ; ჟ შ; ჰ თანხმომენები საზიარო ქართველურ-აფხაზურ ფონემებად, რაც სავსებით გამართლებულია.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ აფხაზური ენის თანხმომენები ორ ურთიერთდაპირისპირებას, ანუ ორგვარ ოპოზიციას გვიდასტურებენ: ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ან როგორც ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული, ანდა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც „მაგარნი“, „რბილნი“ და „საშუალნი“. იმის გამო, რომ ნათელია, თუ რა ტიპის ფონემებს გულისხმობს ლაბიალიზებული, არალაბიალიზებული, მაგარი (ანუ ინტენსიური) და რბილი (ანუ პალატალიზებული) ფონემების ჯგუფი, ავტორი საგანგებოდ განმარტავს მხოლოდ იმას, თუ რომელ ფონემებს აღნიშნავს ტერმინი „საშუალი“. ავტორი წერს:

აფხაზურის „საშუალ“ თანხმომენებად ჩვენ ვთვლით იმ თანხმომენებს, რომელნიც ძირითადად არ განსხვავდებიან შესატყვის ქართულ თანხმომენათაგან (ესენია: ბ ფ ჰ; დ თ ტ; გ ქ კ; ყ ვ; ზ ს; ლ ხ); ან განსხვავდებიან მათგან მხოლოდ ლაბიალიზაციით (ესენია: ლ თ ტ; ძ ც წ; გ ჯ კ; ყ ლ ხ); „საშუალ“ თანხმომენებად ჩვენ ვთვლით აგრეთვე აფხაზურის კბილბაგისმიერ აბრუპტივ სპირანტ ფ-ს და ძ-ს; აგრეთვე ფარინგალურ ლაბიალიზებულ სპირანტებს ვი-სა და ჰი-ს, რადგანაც ესენი არ უპირისპირდებიან სხვა თანხმომენებს თავისი „სიმაგრით“, -ო, აცხადებს ბ-ნი გიორგი.

თუ აქ აშკარად იგრძნობა იმის არგუმენტირების აუცილებლობა, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს „საშუალ“ ფონემებად ლაბიალიზებული თანხმომენები, სრულიად უდავოა გ. ახვლედიანის დასკვნა იმის შესახებ, რომ აფხაზური ლაბიალიზებული თანხმომენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლაბიალიზაციის ხარისხითა და არტიკულაციურ-აკუსტიკური მახასიათებლებით. ავტორი აღნიშნავს:

„საჭიროა აღინიშნოს, რომ აფხაზურში ლაბიალიზაცია თვისობრივ განსხვავებული აქვს სხვადასხვა ადგილას წარმოებულ თანხმომენებს: ჩვეულებრივი ლაბიალიზაცია აქვთ უკანაენისმიერ თანხმომენებს (გ ჯ კ; ლ ხ ხ) და ფარინგალებს (ყ ვი ჰ); უფრო ვიწრო და ენერგიული ლაბიალიზაცია აქვთ წინაენისმიერ აფრიკატებს (ძ ც წ), „რბილ“ შიშინაენისმიერ სპირანტებსა (ზ ს) და ნუნისმიერ „რბილ“ სპირანტებს (ჟ შ). ამიტომ ამ სპირანტების წარმოთქმისას ძლიერად გამომდინარე ჰერნაკადი ეკვეთება ქვედა ტუჩის კიდეს, რის გამოც ისინი ტოვებენ შიშინისებრი სტვენის შთაბეჭდილებას.

რაც შეეხება წინაენისმიერ მარტივ თანხმომენებს, მათი ლაბიალიზაცია რეალიზდება ტუჩის ვიბრაციის სახით; ამიტომ ისინი წარმოადგენენ ლაბიოვიბრანტიზებულ დ თ ტ-ს (ღ თ ტ)“.

წარმოების ადგილის მიხედვით აფხაზური ენის ფონემათა კლასიფიკირებისას გ. ახვლედიანი საგანგებოდ აღნიშნავს იმას, რომ ამ ენის თანხმომენები უნდა დაიყოს პირისეულ და პირისიქითეულ ფონემათა

ჯგუფებად. ამის საფუძვლად კი იმას მიიჩნევს, რომ აფხაზურს აქვს ენისმიერ ფონემათა საკმაოდ დიდი რაოდენობა, კერძოდ, ასეთებია: ყ ყო ყნ ვო ჰი ჰი, რომელთაც ავტორი პირისიქითეულ თანხმოვნებს უწოდებს.

წარმოების ადგილის ამსახველ ცხრილშიც ავტორი გამოყოფს ორ ძირითად ჯგუფს: პირისეულ და პირისიქითეულ თანხმოვნებს. პირისეულთა ჯგუფში გამოყოფილია ბაგისმიერთა და ენისმიერთა რიგები. ბაგისმიერთა რიგში განთავსებულია წყვილბაგისმიერები (ბ ფ პ მ) და კბილისმიერები (ვ ჭ ჟ). ენისმიერთა რიგში დასახელებულია წინაენისმიერნი (დ ტ თ ნ ლ ლო თო ტ ძ ც წ ზ ს ძ ცა წო, ბზიფური – ზნს, აგრეთვე ძ ც წ ზ ს), ენანუნისმიერნი (ჯ ჩ ჭ ჟ შ რ ჯა ჩა ჭა შა შა შა) და უკანაენისმიერნი (გ ქ კ ლ ხ ვ ჟ კო ლო ხო გ ქ კ ლ ხ, ბზიფური – ხხ). პირისიქითეულთა ჯგუფიც, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად: ენისძირისეულნი (ყ ყო ყნ ვო ჰი) და ხორხისმიერნი (ჰი).

მთლიანობაში აკად. გ. ახვლედიანის განხილული სტატია, მისი მოცულობის სიმცირის მიუხედავად (მოიცავს 5 გვერდზე ოდნავ მეტს), ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომია არა მარტო აფხაზური ენის საკვლევად, არამედ მთლიანად იბერიულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. მიმაჩნია, რომ მას გვერდს ვერ აუვლიან როგორც აფხაზური ენის, ისე სხვა კავკასიურ ენათა მკვლევრები.

Teimuraz Gvantseladze

Academician Giorgi Akhvlediani and the Abkhazian Language

Summary

In the article the work of G.Akhvlediani on the classification of the consonants of the Abkhazian language is discussed. Giorgi Akhvlediani's classification is the first adequate and complete characterization of the consonant system of Abkhazian on the basis of a set of differential features.

რე იცის ირანის საზოგადოებრიობამ ბიოგრაფიის ახვედრის შესახებ

ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებელთა, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელის, ქართული მეცნიერების დიდი წარმომადგენლის ივანე ჯავახიშვილის აზრით, თბილისის უნივერსიტეტის სპეციფიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მის წიაღში აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარება უნდა ყოფილიყო. მისივე აზრით, აღმოსავლური ენების და აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლა ქართველი ერის ისტორიის, მისი კულტურის, ენისა და ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისით აუცილებლობას წარმოადგენს.

ქართული ირანისტიკის, როგორც ქართული ორიენტალისტიკის განუყოფელი ნაწილის ჩამოყალიბება და განვითარება უკავშირდება რევოლუციამდელი რუსეთის საქვეყნოდ აღიარებული სააღმოსავლეთმცოდნეო სკოლის ბრწყინვალე ტრადიციებზე აღზრდილი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის (ისტორია), გიორგი ახვედრის (ინდურ-ირანული ენები) და იუსტინე აბულაძის (კლასიკური სპარსული ლიტერატურა და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები) სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ და ორგანიზატორულ მოღვაწეობას.

ისლამამდელი პერიოდის ირანული და ოსური ენების ღრმა მცოდნე გიორგი ახვედრის ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში დიდი გავლენითა და მონღოებით კითხულობს სანსკრიტს, ძველ სპარსულსა და ირანული ენების შესწავლის შესავალს, აღნიშნულ დისციპლინებში ქმნის ღრმა მეცნიერულ გამოკვლევებს და სასწავლო ლიტერატურას. ნიშანდობლივია, რომ 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა მეცნიერის წიგნი - „სანსკრიტი. მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან ლექსიკონითურთ“.

მიუხედავად იმისა, რომ ირან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა მრავალ საუკუნეებს ითვლის, ახალი დროის ირანის საზოგადოებრიობა XXს. 30-იან წლებამდე არ ფლობდა რაიმე სანდო ინფორმაციას საქართველოსა და მის სამეცნიერო კულტურული პოტენციალის შესახებ.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა 1934 წელს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ 1000წ. საიუბილეო ღონისძიებების ჩატარების დროს. ეს კეთილშობილური ინიციატივა ეკუთვნით იური მარს, ვლადიმერ ფუთურიძეს, საიდ ნაფისისა და ჰამზე სარდადვარს.

ჰამზე სარდადვარმა ჟურნ. „არმაღანის“ 1934 წლის ორ ნომერში გამოაქვეყნა ვლადიმერ ფუთურიძის მიერ მიწოდებული „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი სპარსულ ენაზე მკითხველისათვის საჭირო კომენტარითურთ, ხოლო საიდ ნაფისიმ იმავე წელს ჟურნალ „მეჰრში“ გამოაქვეყნა მიმოხილვითი წერილი სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

1960-1980 წლებში „უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების“ (არჩილ გიგოშვილი) და

„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების“ (ოთარ გიგინეიშვილი) ძალისხმევითა და ხელშეწყობით ირანში გამოქვეყნდა ინფორმაციულ-შემეცნებითი ხასიათის წერილები შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, ვანო მურადელის, ვლადიმერ ფუთურიძის, ალექსანდრე გვახარიასა და აგრეთვე საქართველოს სპორტული ცხოვრების შესახებ.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 60-ზე მეტი პუბლიკაცია მიედგინა საქართველოს ისტორიის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

1. „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის პირველი პროზაული თარგმანი, შესრულებული თეირანის ალაჰე თაბათაბაის უნივერსიტეტის მაგისტრანტის ფარშიდ დელშადის მიერ, რედაქტორი პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი, თეირანი, 1998.
2. „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის პროზაული თარგმანი, შესრულებული გილანის უნივერსიტეტის პროფესორის ქაზემ იუსეფფურის მიერ, რედაქტორი პროფ. მაგალი თოღუა, რაში, 2000.
3. „ირან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენა“ („მრგვალი მაგიდის“ მასალები), ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებისა და დიპლომატიის ისტორიის ცენტრი, თეირანი, 2001.
4. „ქართული ენა სპარსულენოვანთათვის“, ავტორი პროფ. ლეილა გეგუჩაძე, თარგმანი გილანის უნივერსიტეტის უფროსი სპეციალისტის ფარდინ ქომაისა, რედაქტორი პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი.
5. „საქართველო ისტორიის გზებზე“ (შეიცავს მარი ბროსეს, ვლადიმერ მინორსკის, როინ მეტრეველის, საიდ ნაფისისა და ბაჰრამ ამირაჰმადიანის გამოკვლევებს), შემდგენელი და რედაქტორი პროფ. ბაჰრამ ამირაჰმადიანი, თეირანი, 2004.

ფერეიდული ავტორების პუბლიკაციებიდან:

1. მოჰამად სეფიანი, ირანელი ქართველები, ისპაჰანი, 1979.
2. საიდ მულიანი, ქართველების ადგილი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში, ისპაჰანი, 2000.

პროფ. გიორგი ახვლედიანის, როგორც ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის შესახებ პირველი ცნობა გამოქვეყნდა ჟურნ. „სოხანის“ 1971 წ. №5 ნომერში. მეცნიერის დამსახურების შესახებ ოსოლოგიის დარგში შედარებით ვრცელი ცნობა არის წარმოდგენილი მაჰომედ ისაევის „ოსური ენის გრამატიკის“ შესავალში. ეს წიგნი გამოქვეყნდა თეირანში 1974 წელს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ დროისათვის ქ. ორჯონიკიძეში გამოქვეყნებული იყო ოსური ენის გრამატიკის ორტომეული, რომელიც მომზადდა გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით, თანაავტორობითა და რედაქტორობით.

ჟურნალ „ნაშრე დანეშის“ 1995 წლის №3 გამოქვეყნდა ამ სტრუქტურის ავტორის შედარებით ვრცელი წერილი „ირანისტიკა საქართველოში“ (გვ.17-28), სადაც გაშუქებულია გიორგი ახვლედიანის ღვაწლი საქართველოში ინდო-ირანისტიკის განვითარების საქმეში.

1998 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ქ-ნ ლოქტორ ფარვინ გუდარზის მიერ შედგენილი ცნობარი „საქართველო“. ცნობარის 79-137 გვერდები ეძღვნება რუბრიკას „კულტურა“, სადაც ვრცელი პასაჟი ეთმობა ცნობას გიორგი ახვლედიანის მოღვაწეობის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მისი დაარსების დღიდან.

მოცულობის მხრივ, ყველაზე ვრცელი ცნობა პროფ. გიორგი ახვლედიანის შესახებ მოთავსებულია ენციკლოპედიაში "Doneshnameye adabe farsi", V, Tehran, 2003. „ენციკლოპედიის“ სერია მიზნად ისახავს აღნუსხოს და მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც შეეხება სპარსულ ენასა და ლიტერატურას, მის შესწავლას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, წარმოადგინოს ის მეცნიერები, რომელთაც გარკვეული დამსახურება მიუძღვით სპარსული ენისა და ლიტერატურის, ირანული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

V ტომში წარმოდგენილი მასალა ეძღვნება სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკასა და დაღესტანს. საქართველოს ირანისტებსა და შუა საუკუნეებში ირანში მოღვაწე ქართველ მეოხნებს უჭირავთ წიგნის 1/3, ე.ი. 200 გვერდზე მეტი. ქართველ ირანისტებს ეძღვნება 60 სტატია, მათ შორის პროფ. გიორგი ახვლედიანს და მის მოწაფეებს მზია ანდრონიკაშვილს, თეო ჩხეიძეს, თინათინ ჭავჭავაძეს და სხვებს.

ენციკლოპედიის V ტომის 4-5 გვერდებზე წარმოდგენილია ქ-ნ ახთარ რასულის სტატია პროფ. გიორგი ახვლედიანის შესახებ. თბილისის უნივერსიტეტისა და ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი დამფუძნებლის პროფ. გიორგი ახვლედიანის ნაყოფიერი მოღვაწეობის განხილვისას განსაკუთრებით აღინიშნება მისი წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, ავესტის გათების შესწავლასა და თარგმანში, ისლამამდელი პერიოდის ირან-საქართველოს ენობრივ-კულტურული ურთიერთობების კვლევისა და ოსოლოგიაში.

პროფ. გიორგი ახვლედიანის როლი საქართველოში ინდოლოგიის დაფუძნებისა და განვითარების საქმეში განხილულია ვრცელ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. "Iran News"-ში (15.08-1998).

Jemshid Giunashvili

What the Public of Iran Knows about Giorgi Akhvlediani

Summary

The earliest information about Giorgi Akhvlediani, the eminent scientist working in the field of Indo-Iranian linguistics and Iranian-Georgian intercultural relations in the pre-Islamic period, appeared in 1971, in the journal "Sokhan", Tehran. Afterwards the name of the scientist has been mentioned by Iranian sources in six cases. Most perfect and comprehensive information is presented in the "Encyclopedia of Persian Literature", vol.5, Tehran, 2003.

თქო ჩხეიძე

ბიორგი ახვლედიანი – ირანისტი

საქართველოს ირანთან ჰქონდა ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა – პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სფეროში. ეს ყველაფერი ნათლად აისახა ჩვენს ეპიგრაფიკულ, ნარატიულ და არქეოლოგიურ ძეგლებში. საქართველოში ინტერესი ირანისადმი მუდამ ცხოველი და დიდი იყო, ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ჩვენი ლიტერატურის ადრეული ძეგლები „წამებაჲ წმ. შუშანიკისი“, „ეკსტატე მცხეთელის წამება“ და სხვ. ამ ინტერესის გამოვლენის შედეგია „ვის ო რამინის“ თითქმის თანადროული დიდებული თარგმანი „ვისრამიანი“, ფირდუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, შექმნილი შუა საუკუნეებში და მრავალი სხვ. ბუნებრივია, რომ საქართველოში, უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა ირანისტიკის ღრმა მეცნიერულ შესწავლას, ფართო კვლევას ამ დისციპლინის სხვადასხვა დარგში, სამეცნიერო კადრების აღზრდას. ამ რთული, მეტად საჭირო და საპატიო საქმის საწყისებთან, სხვა დიდ ქართველ მეცნიერებთან ერთად, იდგა აკად. გიორგი ახვლედიანი. მისი ინიციატივითა და ზედამხედველობით აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე იკითხებოდა ლექციების კურსი – ძველ სპარსულში, სამუალო სპარსულში, ირანულ ენათა შედარებით გრამატიკაში, ინდოევროპული ენების შედარებით გრამატიკაში, ირანისტიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ძველი ინდური ენის – სანსკრიტის კურსი. ბ-ნი გიორგი სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა აქტიურ მუშაობას. გასაოცარია მისი კვლევის ფართო დიაპაზონი და მიღებული შედეგები.

ბ-მა გიორგიმ ორიგინალიდან თარგმნა „გათები“, ავესტური ჰიმნები, რომლებიც, ამ ძეგლის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, ეკუთვნის თვით ზარათუშტრას (VI ს. ჩვ. წ. აღ-მდე). „გათების“ თარგმნა მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ზარათუშტრა მიმართავდა მსმენელებს, საუკუნეთა მანძილზე მისი სიტყვა ზეპირი გზით ვრცელდებოდა. „ავესტა“ ჩაწერილ იქნა VI საუკ. ახ. წ. აღ-ით, ე.ი. ათასი წლის შემდეგ. ბუნებრივია, ამ დროის განმავლობაში ენაში მრავალი ცვლილება მოხდა და ბევრი ადგილი ახსნა-განმარტებას მოითხოვდა.

ზარათუშტრას რელიგია ღუალისტურია, ერთმანეთს უპირისპირდება სიკეთე და ბოროტება, მათთან დაკავშირებული ძალები, მოვლენები, ცხოვრებისეული წესი და სხვ. ზარათუშტრას ცხოვრება სავსე იყო ტრაგიზმით. როგორც ყოველ ნოვატორს, მასაც უნდობლობით ეკიდებოდნენ. მან გაილაშქრა ძველი ღვთაების, კერძოდ, მითრას კულტის წინააღმდეგ, რომლის სამსახური ხდებოდა ღამით, ჰაომათი გაბრუნებული ხალხი მრავლად ხოცავდა საქონელს, მოედინებოდა სისხლის ნიაღვარი. ზარათუშტრას გამოსვლამ მითრას კულტის წინააღმდეგ გამოიწვია მისი მიმდევრების პროტესტი. ასევე მაღალმა წრემ არ მიიღო ზარათუშტრას დებულება, რომ არჩევანი ბოროტსა და კეთილს შორის თითოეული ადამიანის საქმეა, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა. დაიწყო წინასწარმეტყველის

დევნა, ზარათუშტრა იძულებული შეიქნა წასულიყო ემიგრაციაში ვიშტასპას კარზე. ამ მოვლენებმა ასახვა პოვა „გათებში“.

„გათების“ თარგმნა, ზარათუშტრას პოეტური, ზოგჯერ პათოსით გამსჭვალული ჰიმნების გადმოცემა სხვა ენაზე მეტად რთული საქმეა. უნდა ვთქვათ, რომ აკად. გიორგი ახვლედიანმა დაძლია ეს სიმძნელე და ბრწყინვალედ გადმოსცა ორიგინალის თავისებურებანი. მაგალითად, „გათებში“ კვითხულობთ:

„აგრეთვე იმმა, ძე ვივაჰვანტისა,
იყო თავხედი, და აცხადებდა იგი მრისხანედ:
საკვები ჩვენი, სიცოცხლის ნიჭი –
ეს საქონელი, დაჰკალით!
ო, მაზდა, შე გავემიჯნე მას“.

თარგმანში კვითხულობთ:

„ასეთი დამნაშავეა, როგორც ცნობილია იმმა –
ვივაჰვანტის შვილი,
რომელმაც ადამიანი რომ დაეკმაყოფილებინა მისცა
მას ხორცი.
ასეთებს, ჰოი მაზდავ, ამიერიდან შენით გამოვეთიშები“.¹

როგორც ვხედავთ, შინაარსი თითქმის უცვლელადაა გადმოცემული. ზარათუშტრას მიერ მოტანილი იმას სიტყვები „ეს საქონელი დაჰკალით!“ შეცვლილია „მისცა მას [ადამიანს] ხორცი“, რაც ერთგვარად ანელებს ორიგინალის სიმწკავეს. მაგრამ შესანიშნავია დასკვნითი სტრიქონი. „ასეთებს, ჰოი მაზდავ, ამიერიდან შენით გამოვეთიშები“. ამით კიდევ ერთხელაა აღნიშნული, რომ მოციქულის საქციელს წარმართავს უზენაესი ღვთაება – აჰურამაზდა, რაც წითელ ზოლად გასდევს „გათებს“.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ზარათუშტრა იძულებულია დატოვოს თავისი სამშობლო, დროებით მაინც უარი თქვას თავისი რწმენის დანერგვაზე და თავშესაფარი ეძიოს სხვაგან:

„რომელ ქვეყანაში მომიწევს წასვლა?
უნდა მოვცილდე ჩემს ტომსა და გვარს.
არ მსურს დავრჩე აქ, სადაც ვარ,
რადგან ქვეყანა აღსავსეა ბოროტი ძალით,
მითხარ, აჰურა, საით გავეწიო?“

და შემდეგ

„მე ვიცი მაზდა, არა ვარ შემძლე:
არ მყავს საქონელი და მიმღევრები.
შენ შემოგტირი და შემეწიე, ვითარცა
მეგობარი მეგობარს, ო, მაზდა,
„ჭეშმარიტების გზით“ მაზიარე „კეთილ
ფიქრთ ძალას!“^{*}

ამ ჰიმნთან დაკავშირებით ცნობილი ირანისტი ჰ. შედერი წერდა: „ზარათუშტრასათვის დამახასიათებელია სიტყვის თავისუფალი ხმარება, დრამატიზმით აღსავსე რიტორიკული კითხვები და პასუხები, სიმბოლოებით დატვირთული ლექსი. ამაშია მისი პოეტური მეტყველების თავისებურება“. მკვლევრის აზრით, არსებობს საერთო ნიშნები „გათებსა“ და ძველ სკანდინავიურ და ირლანდიურ პოეზიას შორის.²

* „ჭეშმარიტების გზა“ – ამას გზა – პირველადი მართლწესრიგისა, სამართლიანობისა და ჰარმონიისა. „კეთილი ფიქრები“ უკავშირდება ვიჰუმანას. ორივე ცნება ზორასტრიული რელიგიის ქვაკუთხედაა.

ეს გათა უნაკლოდა თარგმნილი ქართულად, ცოცხლად ჟღერს მოციქულის აღელვებული ხმა, განწირული ადამიანის გოდება:

1. „რომელ ქვეყანაში გავიქცე, საითკენ წავიდე?
თავს მარილებენ ქურუმნი და მალალ წოდებისანი,
არ მეკარებიან თანასოფლელნი
და არც ღრუგის მიმდევარნი ხელისუფალნი.
როგორ მოვიქცე, ჰოი მაზდავ?
2. ვიცი, ჰოი მაზდავ, თუ რატომ ვარ უძლური;
მიტომ რომ მცირე მყავს საქონლის ჯოგი
და ცოტა მყავს ხალხი, ვჩივი შენთან,
მომხედე, აჰურავ, გთხოვ შემწეობას, რაც შეუძლია
მეგობარს მეგობრისთვის.

მასწავლე ამას მეშვეობით კეთილი აზრის შესაძლებლობა“.
თარგმანი ზუსტია, მასში შენარჩუნებულია ორიგინალის ყველა სახე-
კარგად ჟღერს ზარათუშტრას მიმართვა უზენაესი ღვთაებისადმი: „მომხედე
აჰურავ, გთხოვ შემწეობას“, ეს „მომხედე“, ღმერთის მიმართ თქმული,
ორგანულად უკავშირდება მოციქულის წარმოდგენას ღმერთის შესახებ,
რომელიც მისთვის არ არის განყენებული, არამედ მეგობარი და დამხმარეა.

ამ ჰიმნშიც და სხვაგანაც მთარგმნელი ტოვებს ამას, არ გვაძლევს
მის ქართულ ეკვივალენტს, განსხვავებით სხვა ენაზე არსებული
თარგმანებისა. ალბათ, ამით ბ-ნ გიორგის სურდა, რომ ქართველი მკითხველი
გაცნობოდა ზოროასტრიზმის ზოგიერთ მთავარ ცნებას.

დიდი ოსტატობითაა თარგმნილი ურთულესი 44-ე გათა. აქაც
ზარათუშტრა რიტორიკული კითხვებით მიმართავს აჰურამაზდას და ყოველი
სტროფის დასაწყისში დაჟინებით იმეორებს: „შენ გეკითხები, მითხარ
აჰურა“:

„შენ გეკითხები, მითხარ აჰურა:
სად არს საწყისი „ჭეშმარიტების“ მამავ?
ვინ იცის გზა მზისა და ცთომილთ?
ვინაა იგი, ვისი ნებითაც მთვარე ივსება
და ხან კლებულობს –
მითხარი ბრძენო და სხვა მრავალი მინდა მასწავლო.
შენ გეკითხები, მითხარ სიმართლე:
ვინ იჭერს მიწას მაღლა ზეცაში, რომ არ ვარდება?
ვინ ასაზრდოებს წყალს და მცენარეს?
ვინ რეკავს ქარს და ღრუბელს, თოვლიანს?
ვინ არის, ბრძენო, „კეთილი სულისა მქმნელი?“
„შენ გეკითხები, მითხარ სიმართლე:
ვინ შექმნა სინათლე და სიბნელეთი,
ვინ შექმნა ძილი და გაღვიძება?
ვინ შექმნა დილა, ღლე და ღამენი,
ვინ მოგვაგონებს მოვალეობას?“
„შენ გეკითხები, მითხარ სიმართლე:
რა არს ჭეშმარიტი, რაც უნდა ვქმნა.
ვიყო მორჩილი და ჩემი საქმით
„ჭეშმარიტების“ გზა ავირჩიო?
ეს ისწავლება „კეთილი ფიქრით“ და „მბრძანებლობით“
ვისთვის შექმენი შენ საქონელი?“

ეს ფრაგმენტი (სახელდობრ 44-ე 3-5) ფრ. ალთჰაიმმა შეუდარა
„რიგვედის“ ადრეულ ჰიმნებს და მათ შორის დიდი მსგავსება დაინახა.

მკვლევრის აზრით, აღმოსავლეთ ირანსა და ინდოეთში იყო აზროვნების საერთო სახეები და მათი პოეტური გამოხატვის ფორმები.³

ბ-ნ გიორგის თარგმანში დაცულია ორიგინალის პოეტური ხერხები: მიმართვა „ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ!“ და რიტორიკული კითხვები:

„ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! მითხარ სიმართლე:
ვინ იყო პირველ შემქმნელი, მამა აშასი?“

ვინ წეს-ყო გზა მზისა და ვარსკვლავთა
და ვინ — მთვარისა ენება და ცხრომა?“

ესაა, ჰოი ბრძენო, რაც მსურს ვიცოდე.

ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! მითხარ სიმართლე:

ვინ დაიცვა ძირს მიწა და ზე ცა დავარდნისაგან?

ვინ — წყალნი და მცენარენი?

ვინ შეაუღლა სისწრაფე ქარისა და ღრუბელთა?

ვინ არს, ბრძენო, შემქმნელი კეთილი აზრისა?

ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! მითხარ სიმართლე:

რომელმა შემოქმედმა შექმნა ნათელი და ბნელი?

რომელმა — ძილი და ღვიძილი?

ვინ შექმნა დილა, შუადღე და საღამო,

გონიერს რომ თავის მოვალეობას მოაგონებენ?“

თარგმანი ზედმიწევნით ზუსტია, მოციქულის არც ერთი კითხვა არ არის გამოტოვებული. ზოგიერთი რამ კი უფრო ლამაზადაა გადმოცემული ქართულ ტექსტში (მაგ., ვინ შეაუღლა სისწრაფე ქარისა და ღრუბელთა ან გლნიერს რომ თავის მოვალეობას მოაგონებენ, ან „ვისთვის შექმენ საბედნიერო მეწველი ფური?“)

ერთ-ერთი გათა (yasna 53) ეძღვნება ზარათუშტრას უმცროსი ქალიშვილის პოურუჩიშტასა და ჯამასპას ქორწინებას. გათა გამოირჩევა სტილითა და ენით სხვა ჰიმნებისგან.⁴ პირველი ორი სტროფი დიდ სიმბოლურს არ ქმნის, რთული და ბუნდოვანია მესამე სტროფი. შინაარსი ასეთია:

„პოურუჩიშტრას, ჰაეჩატ-ასპას საგვარეულოდან, სპიტამას ასულს, ზარათუშტრას უმცროს ქალიშვილს გაძღვევენ შენ, რათა იგი კვლავ დაუბრუნო (თუ შეუერთო) ვოჰუმანას, აშას და მაზდას, იცხოვრე შენი გონების რჩევით, იქმ კეთილი საქმენი არმაიტის წინაშე!“

ამ საკმაოდ ბუნდოვან გათას, ბ-მა გიორგიმ მისცა ნათელი და პოეტური სახე:

„ჰოი პოურუჩიშტრავ, ზარათუშტრას უმცროსო ასულს,
ზარათუშტრამ — ვოჰუმანას, აშას და მაზდას თანხმობით
დაგინიშნათ მფარველად ჰაეჩატასპა,
შეიგნე კარგად და შეასრულე კეთილგონიერულად
უწმინდესი საქმე

სპიტამას ტომისა“.

ამ სტროფში კარგადაა ასახული ორიგინალის დედააზრი: პოურუჩიშტა არის საცოლე, არჩეული საქმროს მიერ და ამით იგი უერთდება ვოჰუმანას, აშასა და მაზდას. ჰ. ნიბერგის აზრით, შეერთება ხდება არმაიტის, ქორწინების მფარველი ღვთაების მეშვეობით.⁵ ამრიგად, ეს „სამაგალითო“ ქორწინება არის სიმბოლო შეერთებისა ვოჰუმანასთან.

შემდეგ სტროფში ისმის დარიგება ახლად დაქორწინებულებისადმი, მისდინ სიკეთეს:

„მორწმუნებთან ერთობით ჯილდოს მოიპოვებთ
უკეთუ განიმსჭვალვით თავდადებული რწმენით,
ამოიფხვრება რა ღრუგიანთა ავი სული;

ხოლო თუ გაეთიშებით მორწმუნეთა ერთობას,

„ვაი“ იქნება თქვენი უკანასკნელი სიტყვა“.

ჰ. ნიბერგი ამ სტროფის საუკეთესოდ მიიჩნევს და მასში ხედავს ქორწინებასთან დაკავშირებით უძველესი რელიგიური წესჩვეულებების ანარეკლს. შემდეგ სტროფებში (8-9-ში) აღწერილია ურწმუნოთა ხვედრი და მიმართვაა ბოროტი ძალებისადმი: „საზიზღარ საჭმელს მოგიგებთ თქვენ, უკვდავება შორდება დრუგის მიმდევრებს, რამეთუ იგი ანა-ს ეკუთვნის და დამარცხებულ იქნებით თქვენ, ვოჰჰუმანას ყოფიერებით!“ „ვაი“ იქნება თქვენი უკანასკნელი სიტყვა – მთარგმნელს ეკუთვნის, მაგრამ ბოლო სტროფები ამ გათასი მატერიალურ და ქმედით ხასიათს ატარებს და ამიტომ ამგვარი დაბოლოება სავსებით მიესადაგება დედანის შინაარსს.

ზარათუშტრას პოეტური ხელოვნება მაღალ შეფასებას იმსახურებს, მას უწოდებენ „ოქროპირს“ და ეს პოეტური ნიჭი მას მიანიჭა თვით აჰურამაზდად. მისი პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელია „გათების“ ორნამენტული აგებულება. ზოგიერთ ჰიმნში პირველი სტრიქონი იწყება კითხვითი ნაცვალსახელით ან გარემოებითი სიტყვით, შემდეგ ამავე სიტყვით იწყება სტროფის მომდევნო სტრიქონები, მაგალითად, ზარათუშტრა აგვიწერს თავისი მფარველის ვიშტასაპას სამყოფელს:

„სადაც ჭეშმარიტება ერწყმის სიმშვიდეს,
სადაც მეფობა ემორჩილება კეთილ ფიქრს,
სადაც აჰურა ცხოვრობს სიამით“.

სხვა შემთხვევაში საწყისი სიტყვაა „როცა“. ფრ. ალთჰაიმის აზრით, „სადაც“ და „როცა“ რელატიური წინადადებების კუთვნილებაა და მთავარი სიტყვა, რომელსაც უკავშირდება კითხვა, არის აჰურამაზდა, რაც განსაკუთრებულ პათოსს ანიჭებს ჰიმნს. ამავე ხერხს იყენებს დარიოს I თავის წარწერაში:

„დიდი ღმერთია აჰურა მაზდა,
რომელმაც ეს მიწა შექმნა,
რომელმაც ეს ცა შექმნა,
რომელმაც სიკეთე შეუქმნა ხალხს,
რომელმაც დარიოსი მეფედ განაღდა“.

ამ ნაწყვეტშიც რელატიური ნაცვალსახელი შეგნებულად მეორდება, რაც ქმნის დაძაბულ რიტმს. ალთჰაიმის აზრით, ეს ხერხი უნდა მივიჩნიოთ ძველი ირანული პოეტური მეტყველების თავისებურებად.

ბუნებრივია, ყოველთვის ორიგინალის დაცვა უცვლელად შეუძლებელია, მაგრამ ბ-ნ გიორგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დასნაში ეს პოეტური ხერხი შენარჩუნებულია, რასაც დამახასიათებლად მიიჩნევენ იმ პერიოდის მოციქულობისა და მისი პოეტური გადმოცემისათვის როგორც მცირე აზიაში (ბაბილონურ და ებრაულ ლიტერატურისათვის), ისე აღმოსავლეთ ირანში. ამ თავისებურების დაცვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რაც წარმატებით შეძლო ბ-მა გიორგიმ. მისი თარგმანი თავისუფლად იკითხება, ჟღერს როგორც ქართული სიტყვა და ამავე დროს იცავს ზარათუშტრას აზროვნებისა და პოეტიკის არსს.

ბ-ნ გიორგი ახვედრიანის სამეცნიერო შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ოსური ენის კვლევას. იგი მრავალი წლის მანძილზე იკვლევდა ამ ენის თავისებურებებს ისტორიულ ჭრილში, ოსურ-ქართულ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს და, საერთოდ, ოსოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. ერთ-ერთი მათგანია ურთიერთობა ოსური ენის დიგორულ და ირონულ დიალექტებს შორის. ოსური ენისთვის მეტად მნიშვნელოვანია ორი

ფონეტიკური მოვლენა – პალატალიზებული ველარული ხშულებისა და ძველი აფრიკატების რეფლექსების კვლევა. ბ-ნ გიორგის გამოაქვს დასკვნა: უკანაენისმიერი ხშულები უცვლელადაა დაცული თითქმის ყველა პოზიციაში (Г, К, КЪ), გამონაკლისია წინაენისმიერი ხმოვნის მეზობლობა, ამ შემთხვევაში გვაქვს მათი პალატალიზებული ვარიანტი დიგორულში და შიშინა აფრიკატები (j, č, čъ) – ირონულში. ამრიგად, ეს ბგერები დაცულია დიგორულში და აფრიკატების სახით წარმოდგენილია ირონულში.⁷ ესაა ამ ორი დიალექტის განმასხვავებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ თავისებურებაზე: დიგორულსა და ირონულში ძველი აფრიკატები შენარჩუნებულია სისინა აფრიკატების სახით (Ц, ДЗ, ЦЪ), რომლებიც შეესიტყვება ჯ, ჩ, ჭ-ს. ბ-ნ გიორგის დაკვირვებით, ეს მოვლენა ძალიან ძველია და შესაძლებელია, აფრიკატების ეს ჯგუფები იყოს რეფლექსები ჩვენთვის უცნობი მანამდე არსებული თანხმოვნებისა. საკითხის გასარკვევად ბ-ნი გიორგი მიმართავს ისტორიულ წყაროებს. სომხური ანონიმური ქრონიკა იხსენიებს დვალებს VII საუკ. ახალი წ-ით (ქრონიკაში მოხსენიებულია აგრეთვე დიგორელები და დვალები), ამის საფუძველზე ბ-ნ გიორგის გამოაქვს დასკვნა: "Отдельным их наименованием автор отметил их отличие от остальных осетин в отношении языка".⁸

ოსური ენის კვლევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ენისა და კავკასიის ხალხთა ენებს შორის (პირველ რიგში ეს ეხება ქართულს) ურთიერთობის შესწავლას. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ვ. აბაევმა, კერძოდ, ოსური და ქართველური ენების ბგერით შედგენილობას. მისი დასკვნით, „მხოლოდ სამი ფონემა, ორი ხმოვანი (ა და ი) და თანხმოვანი ძ განასხვავებს ოსურს ქართულისაგან“.⁹ ბ-ნ გიორგი ახვლედიანის აზრით, ეს მოწმობს შორეული წარსულიდან მოყოლებულ კულტურულ და ენობრივ ურთიერთობებს ოსურსა და კავკასიის ხალხებს შორის.

ბ-ნი გიორგი შეისწავლის ოსურ-ქართულ ენობრივ ურთიერთობას განვითარების პროცესში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ოსური ენა განვითარების ძველ საფუძველზე გაცილებით უფრო მეტად განსხვავდებოდა ქართულისგან ბგერითი აგებულების თვალსაზრისით. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანული წარმომავლობის ოსურ ენაში არ იქნებოდა აბრუპტივები და სრული ასპირაციის მქონე თანხმოვნები. მკვლევრის აზრით, კავკასიური ენების გარემოცვაში ხანგრძლივმა ყოფნამ, დიდი რაოდენობით შემოსულმა ლექსიკამ, სადაც ეს ბგერები იყო, განაპირობა მათი დამკვიდრება ოსურში. საყურადღებოა, რომ ეს ბგერები იმდენად შეითვისა ოსურმა, რომ ისინი გვხვდება ამ ენის საკუთრივ ირანულ ლექსიკაში. ბ-ნი გიორგი გამოყოფს სამ პერიოდს ოსური და კავკასიური ენების ურთიერთობების პროცესში (ცხადია, მისთვის ამოსავალია ოსურის ბგერით შედგენილობაში პრერუპტივებისა და სრული ასპირატების არსებობა). პირველ პერიოდში შეიმჩნევა ამ ბგერების ინდიფერენტულ-არათანმიმდევრული წარმოთქმა, მაგ. ქართ. ტარო (სიმინდის) და თარო ოსურად წარმოითქმოდნენ ერთნაირად: თარო. მეორე პერიოდში შეიმჩნევა აბრუპტივებისა და ასპირატების დისიმილაციური გამჟღერება ოსურში: ქართ. პატარა > батъара; კარაქ-ი > гарачьи, ტაფა > таба და სხვ. მესამე პერიოდი – ესაა აბრუპტივებისა და ასპირატების ადეკვატური წარმოთქმის პერიოდი, მაგ. ივივე პიტნა, რომელიც

მეორე პერიოდში წარმოითქმოდა როგორც БИТЬНА, ახლა ჟღერს როგორც ПЬИТЬНА და სხვ.¹⁰

ბ-ნი გიორგი ღრმად იკვლევდა ოსური ენის ფონეტიკურ, გრამატიკულ სტრუქტურას, ლექსიკას. დიდ ყურადღებას უთმობდა ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. მაგ. მან შეამჩნია, რომ ძალღუზიდესთან და სხვა ტექსტებშიც ოსურში სიტყვის ანლაუტში ჩნდება ასო ჰ (h), ამას არ მოეძებნება შესატყვისი ირანულ ენებში. დიდი მასალის ანალიზის შედეგად მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „h“ ანლაუტში არის ხმოვანი, გარკვეული ტემბრის მქონე, რომელიც უახლოვდება i-ს ტემბრს. ამდენად აქ სახეზეა პროთეტული ხმოვანი.

ამ ხმოვნის გამოვლენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ოსური ენის ისტორიისათვის. გამოირკვა, რომ XIX ს-ის დასაწყისში პროთეტული ხმოვნის ხმარების მხრივ ერთნაირი ვითარება იყო ორივე დიალექტში – დიგორულსა და ირონულში.

ბ-ნი გიორგი იყო პირველი ირანისტი, რომელმაც გამოყო ოსურში სამი t თანხმოვანი: 1) შესატყვისი ფშინვიერი თ-სი, 2) აბრუპტივი ტ (ძირითადად კავკასიურიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგრამ გვხვდება აგრეთვე საკუთრივ ირანულ სიტყვებშიც მაგ., СТЬАГ „ძვალი“, ХИСТЬАР „უფროსი“ და სხვ.), 3) t, რომელსაც აკლია ფშინვა თ-სი და სიმკვეთრე ტ-სი, მსგავსი ინდოევრ. t-სი. შემდეგში ეს მოსაზრება გაიზიარა აბაევმა და ექსპერიმენტულად დაამტკიცა ვ. სოკოლოვამ.¹¹

ბუნებრივია, ბ-ნი გიორგის კვლევის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ოსურ-ქართული ურთიერთობა. ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები მეტყველებენ იმაზე, რომ ამ ორ ხალხს შორის მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა საზოგადოებრივ-კულტურული და ეკონომიკური კავშირები. ცხადია, რომ ამ ურთიერთობის გამომხატველი და დამადასტურებელი მასალა გვხვდება ორივე ენის ლექსიკაში. ბ-ნი გიორგი ახვედრიანს დეტალურად იკვლევს ამ პროცესებს. ამ საკითხში მისთვის ამოსავალია ვ. აბაევის დებულება: "Осетино-грузинские культурные связи по своей давности, богатству, сложности и интересу заслуживают быть предметом специального исследования".¹² პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ოსური ენის ურთიერთობა ქართველურ ენებთან, ურთიერთობის სიძველეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკვე „არმაზის ბილინგვაში“ გვხვდება ალანური (ოსური) სახელები: XseFarnug „ფარნის მქონე“, Zewax (ოსური საკ. სახ. Zevag ნართების ეპოსში). აბაევის მიერვე გამოვლენილია და შემდეგში ღრმად შესწავლილია ქ-ნ მზია ანდრონიკაშვილის მიერ ოსური ლექსიკის ელემენტები ქართულში: „შავი, ქუდი, ლუდი“ და სხვ.¹³

ბ-ნი გიორგის მიერ შესწავლილია ამ ურთიერთობის შედეგები არა მარტო ლექსიკის სფეროში, არამედ ფონეტიკურ-გრამატიკულ დონეზე. მისი დაკვირვებით, ოსურის კონსონანტური შედგენილობა მაქსიმალურადაა დაახლოებული ქართული ენის თანხმოვანთა სისტემასთან. ფაქტობრივად, ეს სისტემა საერთოა ორივე ენისათვის, გამონაკლისია მხოლოდ სპირანტი f, რომელიც არ გვხვდება ქართველურ ენებში.

დადგენილია, რომ სკვითურ ენაში (რომლის გაგრძელებას წარმოადგენს ოსური), სახელდობრ მის კონსონანტურ სისტემაში არ

გვხვდება არც ერთი სპეციფიკური იბერიულ-კავკასიური თანხმოვანი. ე. ი. იყო კონსონანტიზმი, შესატყვისი დანარჩენი ირანული ენების ბგერითი შედგენილობისა, მაშასადამე, გვქონდა წინარე-იბერიულ-კავკასიური ოსური კონსონანტიზმი. ტერმინი ეკუთვნის ბ-ნ გიორგი ახვლედიანს – "დი-იბერიისკო-კავკასიისკი ოსეთინსკი კონსონანტიზმი".

თავის მხრივ, მჭიდრო ურთიერთობა ოსურ ენასთან გავლენას ახდენდა ქართული ენის საარტიკულაციო ბაზისზე. მკვლევრის აზრით, საყურადღებოა, რომ იბერიულ-კავკასიური ფარინგალური აბრუპტივი - q' - ერთნაირად გვხვდება ორივე ენაში – ქართულსა და ოსურში, ესაა ქართულის გავლენა ოსურზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ფარინგალების სამეულის დარღვევა ქართულში, ალბათ, ოსურის გავლენასაც უნდა მივაწეროთ.¹⁴

ამ ურთიერთგავლენას ბ-ნი გიორგი ავლენს ორივე ენის ვოკალიზმში: ხმოვანთა რაოდენობა ოსურში შემცირდა მისი მეზობელი იბერიულ-კავკასიური ენების გავლენით. იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ ქართულსა და ხუნძურს აქვთ ხუთი ხმოვანი, ესეც, მკვლევრის აზრით, ოსურის გავლენაა: „ქართული მოსწყდა დანარჩენ იბერიულ კავკასიურ ენებს, ვოკალიზმის მხრივაც, მოახდინა ხუთი ხმოვნის სტაბილიზაცია“.¹⁵

საბოლოო დასკვნა ასეთია: ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შედეგად მოხდა განსხვავებათა „ნეიტრალიზაცია“ გენეტიურად სხვადასხვა წარმოშობის ორ ენაში.

ხანგრძლივი ოსურ-ქართული ურთიერთობისა და ენობრივი კონტაქტების შედეგია ქართულისთვის დამახასიათებელი ორიენტაციის გამოხატვის (მო- და მი- პრევერბების) არსებობა ოსურ ზმნაში, რასაც ყურადღება მიაქცია ვ. აბაევმა და ეს მიიჩნია "одно из проявлений иберийско-кавказской природы осетинского языка".¹⁶ ბ-ნი გიორგის დაკვირვებით, ქართული პრევერბები გამოხატავენ მიმართულებას, ამასთან ერთად ორიენტაციას და პერფექტულ ასპექტს. აი, ეს ორი ფუნქცია პრევერბებისა ქმნის ქართული და ოსური ენების საერთო კუთვნილებას, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ ორი ენისათვის.¹⁷

მეტად მნიშვნელოვანია ბ-ნ გიორგის დაკვირვება სხვა გრამატიკულ მოვლენებზე, მაგ., გარკვეული ტიპის ზმნიშედების წარმოებაზე ორივე ენაში, ზოგიერთი საერთო სუფიქსის შესახებ, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის შესახებ, ორივე ენაში არსებული ძირითადი ლექსიკური ფონდისეული სიტყვების არსებობაზე.

ვიმედოვნებ, რომ ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს გიორგი ახვლედიანის ღვაწლი ირანული ენების კვლევისა და, საერთოდ, საქართველოში ამ დარგის განვითარების საქმეში.

შენიშვნები

1. ავესტის გათები, გალობანი, თარგმნა გიორგი ახვლედიანმა, თბილისი 1979, გვ. 20.
2. H. H. Schaefer, Zarathustras Botschaft von der rechten Ordnung, კრ-ში Zarathustra, Herausgegeben von B. Schlerath, Darmstadt 1970, გვ. 109-110.

3. Tr. Altheim, Zarathustra, 1952. იმავე კრ-ში, გვ. 174.
4. H. S. Nyberg, Die altiranische soziale Religion II: Gathagemeinde, 1938, იმავე კრ-ში, გვ. 57-58.
5. იქვე, გვ. 59.
6. Tr. Altheim, დას. ნაშრ., გვ. 111.
7. Г. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, Тб. 1960, გვ. 56.
8. იქვე, გვ. 57.
9. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М. 1949, გვ. 111-119.
10. Г. Ахвледиани, Сборник..., გვ. 141-145.
11. В. С. Соколова, Очерки по фонетике иранских языков, II, 1953, გვ. 35.
12. В. И. Абаев, დას. ნაშრ. გვ. 207.
13. Г.В. Церетели. Армазская билингва. Двухязычная надпись, найденная при археологических раскопках в Мцхета-Армази, Тб. 1941; В. И. Абаев, დას. ნაშრ., გვ. 323, 332; გვ. 335-337;
მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთი-
ერთობიდან, I, თბ. 1966, გვ. 40-142.
14. Г. В. Ахвледиани, Сборник..., გვ. 176-177.
15. იქვე.
16. В. И. Абаев, დას. ნაშრ. გვ. 95 და შემდეგ.
17. Г. Ахвледиани, Сборник..., გვ. 182.

Theo Chkheidze

Giorgi Akhvlediani - Iranist

Summary

Giorgi Akhvlediani is the founder of the school of Georgian Iranistics. The article considers two aspects of the Iranistic work of G. Akhvlediani – the translation of "Gathas" and his contributions to ossology.

G. Akhvlediani's translations of "Gatha" from Avesta are excellent – the Georgian text is natural and the rich symbolism and pathetics of the original are adequately. All the peculiarities of the original are preserved.

From the ossologic contributions of G. Akhvlediani the reflexes of palatalized velars and ancient affricates, appearance of the prothetic vowel, three types of " t " in Ossetic are discussed. G. Akhvlediani considered the similarity of Georgian – Ossetic consonant systems as a result of the long-standing Georgian-Ossetic contacts.

G. Akhvlediani discussed the Georgian – Ossetic parallelisms in the morphological system (for instance, the category of orientation in Ossetic is considered as the result of influence of Georgian) as well as in the vocabulary.

<კი/არა> სისტემების სემანტიკა და ტიპოლოგია

1. შესავალი: საკითხის დასმა

ენის ძირითადი ფუნქცია არის კომუნიკაციის დამყარება. საკომუნიკაციო აქტის დროს, სხვადასხვა სახის დისკურსში, ჩვეულებრივია გარკვეული ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა, რაც ენობრივ გამონათქვამებში *კი/არა* ტიპის ნაწილაკებით მიიღწევა.

ყოველი გამონათქვამი, თავის მხრივ, რეალობის გარკვეულ ფრაგმენტს, *ფაქტს*, ასახავს. ამდენად, როდესაც რაიმეს ვადასტურებთ ან უარყოფთ, გარკვეული ორაზროვნება წარმოიქმნება: რას ვადასტურებთ (ან უარყოფთ) — *ფაქტს* თუ *გამონათქვამს*, რომელიც ამ ფაქტის ლინგვისტურ გამოხატულებას წარმოადგენს?

ისეთი დისკურსის შემთხვევაში, როდესაც კითხვა დადებითი ფორმით არის ჩამოყალიბებული, ეს ორაზროვნება კარგავს თავის აქტუალობას: დადასტურება (ან უარყოფა) *ფაქტისა* თუ *გამონათქვამისა*, რომელიც ამ ფაქტს ენობრივად წარმოგვიდგენს, ინფორმაციულად ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, კითხვაზე „*წვიმს?*“ მოკლე პასუხი „*კი/არა!*“, რაც შეიძლება ნიშნავდეს როგორც „*მართალი ხართ, წვიმს (არ წვიმს)*“, ისე „*ფაქტობრივად (ობიექტურად), წვიმს*“, ინფორმაციულად ერთსა და იმავე შეტყობინებას გადმოგვცემს: „*ობიექტურად, სინამდვილეში წვიმს*“. თუ, დისკურსიდან გამომდინარე, გვსურს გავხაზოთ, რას ვადასტურებთ, *ფაქტს* თუ *გამონათქვამს*, სპეციალურ ენობრივ ფორმებს უნდა მივმართოთ, მაგალითად, გამონათქვამის დადასტურებისას — „*მართალი ხართ!*“, *გეთანხმები(თ)*“ ან სხვა მსგავსს, ხოლო ფაქტის დადასტურებისას — „*ნამდვილად!*“, „*ფაქტობრივად!*“ ან სხვა მსგავსს.

განსხვავებული ვითარება გვაქვს უარყოფითი ფორმით ჩამოყალიბებული კითხვის დროს; მაგალითად, „*არ წვიმს? კი*“. <კი> აქ შეიძლება გადმოგვცემდეს პოლარულად განსხვავებულ ორ ინფორმაციას: „*მართალი ხართ, არ წვიმს*“ (ასეთი პასუხის შემთხვევაში დადასტურებულია გამონათქვამი) და „*ფაქტობრივად (ობიექტურად) წვიმს*“ (ასეთი პასუხის შემთხვევაში დადასტურებულია ფაქტი). ამდენად, <კი> გამოხატავს ორ სრულიად განსხვავებულ შეტყობინებას და ეს ორაზროვნება ვერ იხსნება ნაწილაკით „*კი*“. ყოველი კონკრეტული ენა, ბუნებრივია, ცდილობს ამგვარი ორაზროვანი დისკურსის დაძლევის და ამისათვის სხვადასხვაგვარ სტრატეგიებს მიმართავს. ამის მიხედვით, ე. პოუპის ტერმინოლოგიით, განსხვავებულ ენათა სამ ძირითად ტიპს:

1. ე.წ. „*კი/არა* სისტემები“, სადაც იგნორირებულია გამონათქვამი და <კი/არა> ნაწილაკები მხოლოდ ფაქტს ადასტურებენ ან უარყოფენ (მაგ., ინგლისურში <კი/არა> ნაწილაკები ნიშნავს მხოლოდ: „*კი, (წვიმს)/არა, (არ წვიმს)*“);

2. ე.წ. „*დათანხმება/არდათანხმების* სისტემები“, სადაც იგნორირებულია ფაქტი და <კი/არა> ნაწილაკები მხოლოდ გამონათქვამს ადასტურებენ ან უარყოფენ (მაგ., იაპონურში <კი/არა> ნაწილაკები გამოხატავენ მხოლოდ თანხმობას: „*გეთანხმებით/არ გეთანხმებით, წვიმს!*“;

3. ე.წ. „ექოს სისტემები“, სადაც საერთოდ იგნორირებულია <კი/არა> ტიპის ნაწილაკები და კითხვის დადასტურება ან უარყოფა პასუხში ზმნური ფორმების (დადებითი/უარყოფითი) გამეორებით მიიღწევა (მაგ., ლათინურში საერთოდ არ არსებობს <კი/არა> ნაწილაკები და პასუხებში აუცილებელია ზმნის დაფიქსირება: „წვიმს/არ წვიმს“).

მაგრამ არსებობს ისეთი ენებიც, რომლებიც სისტემის ამგვარ გამარტივებაზე (უნიფიცირებაზე) უარს აცხადებენ და ლინგვისტურად ინარჩუნებენ ორივე ტიპის დისკურსულ შესაძლებლობას: ამ ენებში <კი/არა> ნაწილაკების უფრო რთული სისტემა ყალიბდება და შესაძლებელია როგორც ფაქტის, ასევე გამოთქვამის დადასტურება ან უარყოფა (ასეთი ენებია, მაგ., ჰინდი, ნავაიო და სხვ.).

ამგვარად, უარყოფით ფორმაში დასმულ ერთსა და იმავე კითხვაზე შესაძლებელია თანაარსებობდეს პასუხთა ორი სისტემა:

- (1) კი, (არ წვიმს)
- (1) არა, (წვიმს)
- (2) კი, (წვიმს)
- (2) არა, (არ წვიმს)

კომუნიკაციური ორაზროვნებისა და ენობრივი რეალიზაციებისას წარმოქმნილი <კი/არა> ნაწილაკების ომონიმური მნიშვნელობების ასახვასთან, აუცილებლად გვესახება კითხვა-პასუხის სისტემების სიღრმისეული ანალიზი, მათი განმსაზღვრელი კონცეპტუალური მიმართებების აღწერა და შესაბამისი აბსტრაქტული სტრუქტურების განსხვავება.

II. აბსტრაქტული სტრუქტურები



საკომუნიკაციო სიტუაციის ფარგლებში წარმოქმნილი დისკურსის სპეციფიკური მიზანდასახულობისა და შესაბამისად, კოგნიტიური პერსპექტივიდან ამოსვლით, (1) და (2) სისტემებს შეესაბამება ორი განსხვავებული აბსტრაქტული სტრუქტურა:

- (1) <გთხოვთ მითხრათ, ვარ თუ არა მართალი>
- (2) <გთხოვთ მითხრათ, რა ხდება>

ენებში, სადაც კითხვა კოგნიტიურად ორიენტირებულია (1) აბსტრაქტულ სისტემაზე, პასუხთა (1) სისტემა ფუნქციონირებს (ე.წ. „დათანხმება-არდათანხმების სისტემა“); მაშინ როდესაც ენებში, სადაც კითხვა კოგნიტიურად ორიენტირებულია (2) აბსტრაქტულ სისტემაზე, პასუხთა (2) სისტემა ფუნქციონირებს (ე.წ. „<კი/არა> სისტემა“). მაშასადამე, ენები, სადაც პასუხთა მხოლოდ ერთი სისტემა ფუნქციონირებს, საკომუნიკაციო ორაზროვნებას გადალახავენ მხოლოდ ერთ აბსტრაქტულ სტრუქტურაზე კოგნიტიური ორიენტაციის შერჩევის საფუძველზე. მაგრამ ენები, სადაც პასუხთა ორივე სისტემა რეალიზდება კონკრეტული ენობრივი სტრუქტურების სახით, გვაფიქრებინებს, რომ ამ ენებისთვის ორივე აბსტრაქტული სტრუქტურა ღირებულია. ამ შემთხვევაში, ომონიმურობის მოსახსნელად, <კი/არა> ნაწილაკების უფრო რთულ ენობრივ სისტემებთან გვაქვს საქმე, რაც უფრო დანვრილებით ანალიზს მოითხოვს.

III. აბსტრაქტული სტრუქტურების კონცეპტუალური ანალიზი

ორი სახის აბსტრაქტული სტრუქტურები სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:



ეს აბსტრაქტული სტრუქტურები რეალიზდება შემდეგი ენობრივი, ზედაპირული სტრუქტურებით:

- (1კ):
 ა. ვთხოვთ მითხრათ, ვარ (/არ ვარ) მართალი, წვიმს (/არ წვიმს).
 ბ. ვარ (/არ ვარ) მართალი, წვიმს (არ წვიმს)?
 გ. წვიმს (არ წვიმს)?
- (2კ):
 ა. ვთხოვთ მითხრათ, წვიმს (/არ წვიმს).
 ბ. —
 გ. წვიმს (არ წვიმს)?

(ა)-ზედაპირული სტრუქტურები სრულად ასახავენ შესაბამის აბსტრაქტულ სტრუქტურებს; (ბ)-(გ) სტრუქტურებში გამქრალია სიღრმისეული S_1 შემადგენელი, თუმცა მისი კვალი ასახულია გარკვეული სტრუქტურული ტრანსფორმაციებით, რომლებიც აყალიბებენ კითხვითი წინადადებების ზედაპირულ სტრუქტურებს: ინტონაციის ცვლა, სიტყვათა რიგის ცვლა, დამხმარე ელემენტების (კითხვითი სიტყვების, ნაწილაკების, დამხმარე ზმნების და სხვ.) გაჩენა და სხვ. თუმცა კონკრეტულ ენათა სპეციფიკის შესაბამისად ეს მექანიზმები თავისებურია, არსებობს უნივერსალური ნიშნებიც, მაგალითად, ინტონაცია, კითხვითი სიტყვები და ა.შ.

რაც შეეხება S_2 -ს (1კ)-ში, ის მთლიანად გამქრალია (1კ)-ს (გ)-სტრუქტურაში. მხოლოდ კონკრეტული სიტუაცია და საკომუნიკაციო კონტექსტი მიანიშნებს მსმენელს, თუ რისი გაგება სურს მოსაუბრეს: 1. რა ხდება ობიექტურ სინამდვილეში (2კ), თუ 2. არის თუ არა ის მართალი (1კ).

ამ სტრუქტურების შესაბამისად, პასუხთა სისტემა იქნება ორი სახის:

- (1): <გეთანხმები (S_1), რომ მართალი ხარ (/არ ხარ) (S_2), წვიმს (/არ წვიმს) (S_3)>
- (2): <ვადასტურებ (S_1), რომ წვიმს (/არ წვიმს) (S_3)>

შესაბამისად, წარმოიქმნება შემდეგი ზედაპირული სტრუქტურები:

- (1კ):
 - ა. გეთანხმები, მართალი ხარ (/არ ხარ), წვიმს (არ წვიმს).
 - ბ. მართალი ხარ (/არ ხარ), წვიმს (არ წვიმს).
 - გ. წვიმს (არ წვიმს).
- (2კ):
 - ა. გეთანხმები, წვიმს (არ წვიმს).
 - ბ. —
 - გ. წვიმს (არ წვიმს).

გამონათქვამთა 'შემოკლების' ეს პროცესი ენათა უმრავლესობაში გრძელდება და შედეგად ჩნდება სპეციალური <კი/არა> ნაწილაკები. ამ ნაწილაკებს ვერ მივიჩნევთ უნივერსალურ ელემენტებად, რამდენადაც არსებობს ენები, სადაც მსგავსი ნაწილაკები არ დასტურდება (ე.წ. ექო სისტემები, მაგ., ლათინური, უელსური, სადაც მხოლოდ ზმნით გაეცემა პასუხი მსგავს კითხვას). ეს, ეგრეთ წოდებული, მიგებითი ნაწილაკები სხვადასხვა სახის წარმონაქმნებია კონკრეტულ ენებში და ეტიმოლოგიურად უკავშირდებიან ისეთ ელემენტებს, როგორცაა: მოდალური ნაწილაკები, ზმნიზედები, კითხვითი სიტყვები, კავშირები და სხვ. ეს ნაწილაკები ნათლად გამოხატავენ კომუნიკაციის აქტის ერთ-ერთ მთავარ, ზოგად პრინციპს — 'ეკონომიურობის პრინციპს'. ამდენად, ჩნდება შემდეგი რედუცირებული კონსტრუქციები:

- დ. კი, წვიმს/არა, არ წვიმს
- ე. კი/არა

(ზოგიერთ ენაში რედუქციის პროცესი იფარგლება (დ) სტრუქტურებით: (ე) სტრუქტურები, სადაც მხოლოდ ნაწილაკებია წარმოდგენილი, ზმნის გარეშე გამორიცხულია.)

ეს (დ)-(ე) სტრუქტურები ორივე სახის აბსტრაქტულ სტრუქტურებს ახასიათებს. (დ) სტრუქტურა არ იწვევს ინფორმაციულ ორაზროვნებას, რამდენადაც მას ომონიმურობის მომხსნელი ზმნური ფორმებიც ახლავს, ხოლო, რაც შეეხება (ე) სტრუქტურას, ის ორაზროვანი ხდება მხოლოდ ისეთ ენებში, სადაც ორივე სახის აბსტრაქტული სტრუქტურა ფუნქციონირებს: არ არის ცხადი <კი/არა> S_2 ჩართულ წინადადებას ენაცვლება, თუ — S_3 -ს. ამ მოვლენის გასააზრებლად საჭიროა კითხვა-პასუხის სისტემათა გამონვლილვითი ლოგიკური ანალიზი.

(2) ტიპის აბსტრაქტული სტრუქტურების დროს კონცეპტუალური მიმართებებისათვის ღირებულია მხოლოდ ორი კომპონენტი: ა) ჩართული

წინადადება, რომელიც ასახავს რეალობას (S₃), მაგ., „წვიმს“; და ბ) კითხვა, რომელიც რეალობას ეხება, მაგ., „წვიმს?“/„არ წვიმს?“ (S₁); პასუხი დადებით ან უარყოფით კითხვაზე მსგავსია: დადებითია, თუ წვიმს; და უარყოფითი, თუ არ წვიმს.

სქემა I

კითხვა	რეალობის ვარიანტები (S ₃)	ჭეშმარიტული შინაარსი	პასუხი
წვიმს?	წვიმს არ წვიმს	ჭეშმარიტი (t) ჭეშმარიტი (t)	კი, (წვიმს) არა, (არ წვიმს)
არ წვიმს?	წვიმს არ წვიმს	ჭეშმარიტი (f) ჭეშმარიტი (f)	კი, (წვიმს) არა, (არ წვიმს)

როგორც სქემა გვიჩვენებს, (2კ-პ)-აბსტრაქტული სტრუქტურების შემთხვევაში, ნაწილაკი იმეორებს ჭეშმარიტი რეალობის ამსახველი (S₃)-წინადადების ზმნის ფორმას: დადებითია („კი“) დადებითი ზმნური ფორმის შემთხვევაში; და უარყოფითია („არა“) უარყოფითი ზმნური ფორმის შემთხვევაში. ზოგიერთი ენა განასხვავებს ამ სტრუქტურებს განსხვავებული ნაწილაკების საშუალებით; მაგ., ძვ. ინგლისურში გამოიყოფა ოთხი ნაწილაკი:

- Yea* – დადებით კითხვაზე დადებითი პასუხი;
- Yes* – უარყოფით კითხვაზე დადებითი პასუხი;
- Nay* – დადებით კითხვაზე უარყოფითი პასუხი;
- No* – უარყოფით კითხვაზე უარყოფითი პასუხი.

ფრანგულში ფორმალურად განსხვავებულია დადებითი პასუხები:

- Oui* – დადებით კითხვაზე დადებითი პასუხი;
- Non* – უარყოფით კითხვაზე დადებითი პასუხი;
- Si* – დადებით კითხვაზე უარყოფითი პასუხი;
- Non* – უარყოფით კითხვაზე უარყოფითი პასუხი.

ასევე, გერმანულში:

- Ja* – დადებით კითხვაზე დადებითი პასუხი;
- Nein* – უარყოფით კითხვაზე დადებითი პასუხი;
- Doch* – დადებით კითხვაზე უარყოფითი პასუხი;
- Nein* – უარყოფით კითხვაზე უარყოფითი პასუხი.

საინტერესო მაგალითებია ასევე, დანიურში: *Ja*(<კი>) / *Ne*(<არა>) ჩნდება პასუხებში დადებით კითხვაზე, *Ja/doch* *vel*(<კი>) / *Ne* (<არა>) კი პასუხებში უარყოფით კითხვაზე.

მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, სადაც გვაქვს დიფერენცირებული ნაწილაკები, ენათა უმრავლესობაში (2) აბსტრაქტული სტრუქტურა ენობრივად გამოხატულია ორი ნაწილაკით: დადებითით (<კი>),

რომელიც ადასტურებს ფაქტს, და უარყოფითით (<არა>), რომელიც უარყოფს ფაქტს.

ახლა განვიხილოთ (1) აბსტრაქტული სტრუქტურა, სადაც S_3 წინადადების (რომელიც რეალობას ასახავს) და S_1 წინადადების (რომელიც კითხვას ასახავს) გარდა, ღირებულია, აგრეთვე, მესამე კომპონენტი – S_2 წინადადება, რომელიც კითხვას (resp. გამონათქვამს) აფასებს. S_2 - S_3 წინადადებების დადებითი და უარყოფითი ფორმების კვებები სხვადასხვაგვარ ვარიანტებს იძლევა:

სქემა 2

კითხვა	გამონათქვამის შეფასება (S_2)	რეალობის შესაძლებელი ვარიანტები (S_3)	ჭეშმარიტული შინაარსი (S_2, S_3)	პასუხი
<i>წვიმს?</i>	<i>მართალია</i> <i>მართალია</i> <i>არ არის მართალი</i> <i>არ არის მართალი</i>	<i>წვიმს</i> <i>არ წვიმს</i> <i>წვიმს</i> <i>არ წვიმს</i>	<i>t</i> <i>f</i> <i>f</i> <i>t</i>	<i>კი, წვიმს</i> <i>0</i> <i>0</i> <i>არა, არ წვიმს</i>
<i>არ წვიმს?</i>	<i>მართალია</i> <i>მართალია</i> <i>არ არის მართალი</i> <i>არ არის მართალი</i>	<i>წვიმს</i> <i>არ წვიმს</i> <i>წვიმს</i> <i>არ წვიმს</i>	<i>f</i> <i>t</i> <i>t</i> <i>f</i>	<i>0</i> <i>კი, წვიმს</i> <i>არა, არ წვიმს</i> <i>0</i>

სქემიდან ნათლად ჩანს, რომ (13) აბსტრაქტული სტრუქტურის შემთხვევაში <კი/არა> ნაწილაკები იმეორებენ არა S_3 , არამედ S_2 ჩართული წინადადების დადებით ან უარყოფით ფორმებს: ნაწილაკი დადებითია, როდესაც გამონათქვამის შეფასებაა დადებითი და უარყოფითია, როდესაც გამონათქვამის შეფასება უარყოფითია. ამგვარად, (13) აბსტრაქტული სტრუქტურის შემთხვევაში, გამონათქვამის (S_2) დადასტურება ან უარყოფა ხდება და რეალობის ამსახველი წინადადება (S_3) არავითარ როლს არ ასრულებს მაშინ, როდესაც (23)-ს დროს, პირიქით, სწორედ ის (S_3) არის გადამწყვეტი.

ენებში, სადაც მხოლოდ (2) აბსტრაქტული სტრუქტურები ფუნქციონირებენ, მაგ., ინგლისურში, {Yes, it isn't} და {No, it is}, რედუცირებული ზედაპირული სტრუქტურების არსებობა გამორიცხულია; ხოლო ენებში, სადაც მხოლოდ (1) აბსტრაქტული სტრუქტურები ფუნქციონირებენ, მაგ., იაპონურში, პირიქით, გამორიცხულია {Yes, it is} და {No, it isn't} ტიპის ზედაპირული რეალიზაციები, რადგან ნაწილაკები და ზმნური ფორმები სხვადასხვა ჩართულ წინადადებებს ასახავენ: ნაწილაკები S_2 -ს, ზმნური ფორმები კი S_3 -ს და უარყოფითი კითხვის დროს ისინი ვერ იქნებიან ერთდროულად უარყოფითიც და დადებითიც. (1)-ს დროს <კი/არა> ნაწილაკები ენაცვლება S_2 -ს და პრო-წინადადების ტიპის ელემენტია, მაშინ როდესაც (2)-ს დროს ის ენაცვლება S_3 -ის ზმნურ ფორმას და წარმოადგენს ფოკუსურ ელემენტს, რომლითაც ხდება S_3 წინადადების შემოკლება.

გარკვეული კომუნიკაციური გაუგებრობები ჩნდება ენაში, სადაც ორივე აბსტრაქტული სტრუქტურა ფუნქციონირებს. მართალია, ენები

გაურბიან ასეთ შემთხვევებს და ამარტივებენ თავიანთ კითხვა-პასუხის სისტემებს, მაგრამ სირთულეები კვლავ ჩნდება. მაგალითად, ინგლისური ენობრივი სიტუაციისათვის აღწერილია ერთი ასეთი შემთხვევა:

An Englishman buys some fruits in a supermarket and the cashier at the pay-desk (who is also an Englishman) says:

– These fruits have no price tags.

– Yes – the man answers (that is he confirms that he understood. But the cashier doesn't understand him and repeats persistently):

– No, they are not. You must weigh them.

– Yes, yes, I know that they have no price tags. I'll weigh them now (and the situation is resolved).

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურში მხოლოდ ერთი აბსტრაქტული სტრუქტურა ფუნქციონირებს, კომუნიკაციური გაუგებრობა წარმოიქმნა. ალბათ ამის მიზეზი იყო ის, რომ მყიდველი ჩქარობდა და სურდა, რაც შეიძლება მოკლედ ეპასუხა გამყიდველისთვის. შედეგად წარმოიქვა ინგლისურისთვის მიუღებელი მოკლე პასუხი ნაწილაკის დაუშვებელი გამოყენებით.

მსგავსი კომუნიკაციური გაუგებრობები განსაკუთრებით ხშირია სხვადასხვა მშობლიური ენის მქონე მოსაუბრეებს შორის, რომელთაც კითხვა-პასუხის განსხვავებული სისტემები აქვთ. თუ ვინმე, ვის მშობლიურ ენაშიც დაშვებულია {Yes, it isn't} ან {No, it is} კონსტრუქციები (მაგ., ქართველი) ესაუბრება ინგლისელს, ის ჩვეულებრივ უშვებს 'შეცდომებს', რაც აფერხებს კომუნიკაციას:

– Haven't you got a raincoat? (Englishman)

*– *No, I have (= Yes, I have)* (Georgian)

– Don't you play chess? (E)

– No, I do (= Yes, I do) (G)

– Aren't you going out this evening? (E)

– Yes. (G)

– Why, it's a nice evening, let's go for a walk! (G)

– Yes, yes, I am going out. (E)

ასეთი გაუგებრობები აიხსნება იმით, რომ ინგლისელი ორიენტირებულია (2) სისტემაზე, მაშინ როდესაც ქართველისთვის ორივე სისტემა ბუნებრივი ჩანს.

IV. <კი>/<არა> ნაწილაკების ფუნქცია და სემანტიკა ქართულში

ქართულში გვაქვს ექვსი <კი/არა> ტიპის ნაწილაკი; ოთხი დადებითი (*კი, ხო(მ), ჰო, დიახ*) და ორი უარყოფითი (*არა, ვერა*). ქართულ ენაში ფიქსირდება ორივე ტიპის კითხვა-პასუხის სისტემა. განსაკუთრებით მრავალფეროვანია პასუხები უარყოფით კითხვაზე:

– დედა, ნინოს არ დაურეკავს?

– არა.

არა აქ ნიშნავს: არა, არ დაურეკავს [(1) აბსტრაქტული სტრუქტურა].
თუ დედა გაბრაზებულია იმის გამო, რომ ნინოს არ დაურეკავს, პასუხში
ჩნდება დადებით ნაწილაკი დიახ:

– დიახ, ბატონო, არ დაურეკავს.

თუ დედას უნდა კიდევ უფრო მეტად გახაზოს თავის გაბრაზება და
იმავდროულად ნიშნის მოგებით დაუდასტუროს შვილს თავისი მოლოდინის
სიმართლე (როგორც ჩანს, დედა თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ ნინო
არ დარეკავდა), პასუხი შეიძლება იყოს:

– დიახაც, არ დაურეკავს.

(1):(2) აბსტრაქტული სტრუქტურების ინტონაცია ნათლად
განსხვავდება ერთმანეთისგან: როდესაც არა ნიშნავს „არა, არ V“, ინტონაცია
შედარებით ნეიტრალური, არამარკირებულია (შეესაბამება ‘მძიმის’
ინტონაციას); ხოლო, როდესაც არა ნიშნავს: „არა, V“, ინტონაცია აღმავალია
(ტონი იწევს), პირველი მარცვალე ძლიერმხაზიანია, ნაწილაკის ბოლოს
გვაქვს ფონოლოგიური ფრაზის დასრულების შესაბამისი ინტონაცია
(შეესაბამება პაუზის ნინა ფრაზული საზღვრის ინტონაციას); მაგ.:

– ქაჯის არ გეშინია?

– არა. გეშინია.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურები უარყოფითი ნაწილაკითა და
დადებითი ზმნური ფორმით ჩვეულებრივ არ გვხვდება ნეიტრალურ პასუხში.
ისინი ხშირია გაჯიბრებისას ნიშნის მოგებით გაცემულ პასუხებში:

– სიმართლე მითხარი, არ მომატყუებ?

– არა, მოგატყუებ – გაეჯიბრა ბიჭი.

– არ იცი იმ გოგოს სახელი?

– არა. ვიცი, მაგრამ არ გეტყვი.

ხშირია ასეთი კონსტრუქციები, ასევე, ისეთ პასუხებში, სადაც
კითხვაში გამოთქმულ აზრს მოპასუხე თავის თვალსაზრისს ან წარმოდგენას
უპირისპირებს:

– ნინო არაა ლამაზი?

– არა, ლამაზია, მაგრამ მე არ მომწონს.

(1) აბსტრაქტული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს ამგვარ
პასუხებს, გულისხმობს დისკურსის მონაწილეთა ძლიერ ორიენტაციას
საკომუნიკაციო აქტზე. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ის მეტად
რეაგირებს და ასახავს კონკრეტული დისკურსის სიტუაციურ ნიუანსებს.
რაც შეეხება (2) აბსტრაქტულ სტრუქტურას, რომელიც ფაქტზე ორიენტი-

რებული დისკურსისთვის არის დამახასიათებელი, ასეთი ნიუანსების გადმოსაცემად ის ნაკლებად გამოიყენება და უბრალოდ ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას ნაკლებად გამოხატავს.

ეს მახასიათებლები ნათლად გვიხსნის, ასევე, იმ სტატისტიკურ მაჩვენებელს, რომლის მიხედვით (1) ტიპის სტრუქტურები შედარებით იშვიათია ნერილობით ტექსტებში და უმეტესად ზეპირმეტყველებითი დისკურსისთვის არის დამახასიათებელი. (არა, I-ტიპის სტრუქტურების იშვიათობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართულში ფაქტობრივად ერთი უარყოფითი ნაწილაკი გვაქვს (ვერა უარყოფასთან ერთად პოტენციალისის კატეგორიასაც გამოხატავს და აბსტრაქტული სტრუქტურების სხვაობას არ ასახავს) და, ამდენად, პასუხთა ომონიმური კონსტრუქციების წარმოქმნის საშიშროება აქ უფრო დიდია, ვიდრე დადებითი ნაწილაკების შემთხვევაში. ოთხი დადებითი ნაწილაკი კი: *დიახ/ხო//ჰო/ხო* იძლევა საშუალებას უფრო ნათლად განვასხვაოთ დისკურსული სპეციფიკა და ლინგვისტურად დავაფიქსიროთ, თუ რისი დადასტურება ხდება: ფაქტის (*კი*) თუ გამონათქვამის (*დიახ/ჰო//ხო/ხო*). ამასთანავე: *დიახ* დასტურდება ზრდილობიან პასუხებში, *ჰო* და *ხო* ვარიანტებია ფამილარული პასუხებისა, *ხო* კი მტკიცებით გამონათქვამებში გვაქვს:

- *მგონი დილით ფული ვერ დავიტოვე.*
- *ჰო, არა უჭირს.*

- *შენ რა, ეს წიგნი ნაკითხული არა გაქვს, კაცო?*
- *ჰო. მხოლოდ გადათვალიერებული.*

- *არ უნდა გამეყიდა ეს სახლი?*
- *დიახ, მშვენიერი სახლი იყო.*

არის შემთხვევები, როდესაც *კი* გვხვდება მოსალოდნელი *დიახ*-ის ნაცვლად. საზოგადოდ, *კი* ყველაზე არამარკირებული ნაწილაკია და ის ფუნქციურად ენაცვლება ყველა დანარჩენ დადებით ნაწილაკს. განსაკუთრებით ხშირია მისი *დიახ*-ის ნაცვლად გამოყენება დადებით კითხვაზე პასუხში. რაც შეეხება უარყოფით კითხვებს, ის აქ იშვიათად გვხვდება:

- *არ მღერი ქართულ სიმღერებს?*
- *დიახ.*

მაგრამ:

- *როგორ, არ მღერი ქართულ სიმღერებს?*
- *კი, არ ვმღერი, მაგრამ მომწონს.*

პასუხი: *დიახ, არ ვმღერი* – იქნებოდა უფრო ოფიციალური და მოცემულ საკომუნიკაციო კონტექსტში ნიშნის მოგების ელფერთან შეუსაბამო – მოსაუბრე მოელის, რომ ადრესატი მღერის ქართულ სიმღერებს. ამ სიტუაციაში მოლოდინის საპირისპიროდ ზრდილობიანი პასუხი *დიახ* გამონწევად აღიქმება და ნეიტრალურ საკომუნიკაციო სიტუაციას

ძაბავს. ამიტომაც, მოცემულ დისკურსში, *კი*, როგორც უფრო ნეიტრალური, მისაღებია და ზრდილობიანიც.

ქართულისათვის ბუნებრივია, ასევე, (2პ) სტრუქტურები:

- *არ წვიმს?*
- *კი, წვიმს.*
- *არა, არ წვიმს.*

ქართულში უარყოფითი კითხვები გამოიყენება სპეციფიკურ დისკურსში შეთავაზების ფორმულის სახით. ამ შემთხვევებში (1პ) პასუხები იშვიათია:

- *არ წავიდეთ სათამაშოდ?*
- *კი (წავიდეთ).*
- *ყავას არ მიირთმევთ?*
- *კი, მაღლობთ.*

საზოგადოდ, ქართულში შეთავაზების რამდენიმე ფორმალური მოდელი არსებობს:

- ა. *წავიდეთ?*
- ბ. *არ წავიდეთ?*
- გ. *ხომ არ წავიდეთ?*

(ა)-დან (გ)-მდე მცირდება შეთავაზების კატეგორიულობა, იზრდება საკომუნიკაციო "სირბილე" და შემთავაზებლის მხრიდან დადებითი პასუხის მოლოდინის (დათანხმების) ხარისხი.

რაც შეეხება თავად ნაწილაკს *ხომ*, მისი ფუნქცია მეტად სპეციფიკურია: ის ჩნდება მხოლოდ კითხვებში ან მტკიცებებში, როდესაც მოსაუბრე მოელის დადებით პასუხს (ან, უბრალოდ, ადრესატის მხრიდან დათანხმებას). როდესაც *ხომ* გვხვდება მტკიცების ან კითხვის უარყოფით ფორმებთან, ის ცვლის (1) აბსტრაქტულ სტრუქტურას (2)-ით, რამდენადაც ამ ნაწილაკის სემანტიკაში უკვე დაფიქსირებულია 'დათანხმება'. ასე რომ, *ხომ*' ნაწილაკიანი გამონათქვამების პასუხებში კონსტრუქციები: *არა, ჩ* ან *კი, არ ჩ* არ ფიქსირდება:

- *ვახტანგი ხომ არ წასულა?*
- *არა, არა.*
- *შვილო, ყვავილები ხომ არ დაგავინყდა?*
- *არა, დედა.*

დადებითნაწილაკიანი ნიმუშები იშვიათია და ძირითადად შეთავაზებაზე პასუხებში დასტურდება:


- *ხომ არ თამაშობ ჭადრაკს?*
- *კი, მოდი ვითამაშოთ.*

ხშირად *ხომ* ნანილაკიან მტკიცებით გამონათქვამს მოსდევს საპირისპირო, მოულოდნელი შინაარსის გამონათქვამი:

„*ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა.*“

მოსაუბრე მოელის, რომ ყველა ეთანხმება მას იმაში, რომ მისი ცოლი ლამაზია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სურს, რომ ის უფრო ლამაზი იყოს.

ქართული ენის მონაცემთა (განხილულია ლიტერატურული ტექსტები, ზეპირმეტყველების ნიმუშები და ჩატარებული ტესტური გამოკითხვები) გაანალიზების შედეგად შეიძლება წარმოვადგინოთ <კი/არა> ნანილაკთა სემანტიკისა და ფუნქციების შემაჯამებელი შემდეგი სქემა:



ამგვარად, ქართულისათვის ორივე ტიპის აბსტრაქტული სტრუქტურა ღირებულია კითხვებისთვის (ან მტკიცებისთვის):

- (1) <გთხოვთ მითხრათ, ვარ თუ არა მართალი> —————> *ხომ*
- (2) <გთხოვთ მითხრათ, რა ხდება> —————> \emptyset

და შესაბამისად, პასუხებისთვის:

- (1) <გეთანხმებით, მართალი ხარ (/არ ხარ)> ———> (კი):*დიახ*:*ხო//ჰო*:*არა*
- (2) <ვადასტურებ, V(/არ V)> —————> კი:(*დიახ*:*ხო//ჰო*):*არა*

V. ენათა ტიპოლოგიური კლასები <კი/არა> სისტემების მიხედვით

შემოთავაზებული აბსტრაქტული სტრუქტურების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ენათა შემდეგი ტიპოლოგიური კლასები:

1. ენები, სადაც მხოლოდ (2) აბსტრაქტული სტრუქტურა ფუნქციონირებს და რომელთაც აქვთ ე.წ. <კი/არა> სისტემა; მაგ., ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ქანური, მეგრული, ძვ. ქართული, აფხაზური, დიდოური, ხუნძური, ებრაული და სხვ.
2. ენები, სადაც მხოლოდ (1)-აბსტრაქტული სტრუქტურა ფუნქციონირებს და რომელთაც აქვთ <დათანხმება/არდათანხმება> სისტემა; მაგ., იაპონური, თურქული, თან. ბერძნული და სხვ.
3. ენები, სადაც ორივე სახის აბსტრაქტული სტრუქტურა ფუნქციონირებს და რომელთაც აქვთ როგორც <კი/არა>, ისე <დათანხმება/არდათანხმება> ტიპის სისტემები; მაგ., ქართული, რუსული, ჰინდი, სპარსული, ჩინური, ძვ. ბერძნული, არაბული, ბაცბური, ჩერქეზული, სვანური და სხვ.

ლიტერატურა

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი 1968.
2. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1973.
3. ზ. სარჯველაძე, ჰ.ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 1990
4. Bäuerle R., Questions and answers. In: Bäuerle et al: Semantics from different points of view. Springer, Berlin 1979.
5. Belnap N. D. Jr. and Steel T. B., The Logic of questions and answers. Yale University Press, New Haven and London 1976.
6. Bolinger D., Yes/No questions are not alternative questions, In: Hizz, Dordrecht, 1978.
7. Ginzburg G. and Sag I.A., Interrogative Investigation. The form, meaning, and use of English Interrogative. CSLI publications, Stanford California 2000.
8. Hausser R., On questions. In: Kiefer, Dordrecht 1983.
9. Hintikka J., New foundation for a theory of questions and answers, In: Kiefer, Dordrecht 1983.
10. Hintikka J., The semantics of questions and the questions of semantics. Acta Philosophica Fennica, vol. 28, No 24, Amsterdam 1976.
11. Keenan E. L. and Hull R. D., The logical presuppositions of questions and answers, In: Petofi/Frank, Frankfurt 1973.
12. Kiefer F., Questions and answers. Reidel, Dordrecht, 1983.
13. Moravcsik E. E., Some cross-linguistic generalizations about Yes/No questions and their answers, Working papers on language universals, vol. 7, Stanford 1971.
14. Pope, E. N., Question-answering Systems, Papers from the ninth regional meeting, Chicago Linguistic Society, Chicago 1976.
15. Tichy P., Question, answers and logic, American Philosophical Quarterly, 15, 1978.
16. Van Valin R. "German Doch: The Basic Phenomena". Papers from the eleventh regional meeting, Chicago Linguistic Society, Chicago 1975, pp. 625-637.

Typology and Semantics of <Yes/No> Systems

Summary

There are three basic systems of <Yes/No> particles: 1. Yes/No systems with a positive particle standing for a positive answer and a negative particle for a negative answer (e.g. English); 2. <Agree/Disagree> systems with a positive particle used when the answer agrees with the question in polarity (positive vs. negative) and a negative particle used when the answer disagrees with the question in polarity (e.g. Japanese); and 3. An Echo system with no special particles – the verb of a question is repeated in answers (e.g. Latin).

On the basis of the functional analysis of the systems, two different abstract representations are suggested, and the Georgian particles are defined as functional elements of a mixed system where particles can represent either (1) or (2) abstract structures corresponding to the (2) or the (1) systems:

- (1) <I confirm that you are/are not right> →
→ *ki* 'Yes', *diax* 'Yes polite', *xo//ho* 'Yes familiar': *ara* 'No';
- (2) <I confirm that this is/is not actually happening in reality> →
→ *ki* 'Yes': *ara* 'No'.

ირინე მელიქიშვილი

ენათა ფონოლოგიური სისტემების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის
ინტროვერტიული და ექსტროვერტიული ტიპის ენებად

1. ინტროვერტიული (დეცესიური) კომპლექსები ქართველურ ენებში

გიორგი ახვლედიანის მრავალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მოვლენის – დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსთა ორი ტიპის გამოვლენასა და სისტემურ გამოკვლევას (ახვლედიანი, 1999, 304).

ქართული ენის ჩქამიერი კომპლექსების ძირითადი ტიპის ანალიზმა მწყობრი და სისტემური ხასიათი გიორგი ახვლედიანის გამოკვლევის შედეგად მიიღო. გიორგი ახვლედიანი ქართული ენისათვის სპეციფიკურ კომპლექსებს განსაზღვრავს როგორც დეცესიურ და ჰომოგენურ კომპლექსებს; ეს არის კომპლექსები, რომელთაც ახასიათებთ ჰარმონიულობა ანუ ჰომოგენურობა (კომპლექსის ორივე წევრი ერთნაირია მჟღერობა-ფშვინგვიერობა-სიმკვეთრის თვალსაზრისით) და დეცესიურობა (კომპლექსის პირველი წევრი უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე მეორე). გიორგი ახვლედიანი განასხვავებს დეცესიური ჰარმონიული კომპლექსების ორ ტიპს: პირველში, რომელსაც ის A ტიპს უწოდებს, კომპლექსთა მეორე წევრებია /გ ქ კ/ ხშულები, ხოლო მეორე ტიპს შეადგენენ კომპლექსები, რომელთა მეორე წევრებია /ღ ხ ყ/ თანხმოვნები (ახვლედიანი, 1999, 112). დეცესიურ კომპლექსთა A და B სისტემები სრულ, უხარვეზო სისტემებს ქმნიან:

A სისტემა			B სისტემა		
ბგ	ფქ	პკ	ბღ	ფხ	პყ
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

დეცესიურ კომპლექსთა საპირისპიროდ, უკანა/წინა წარმოების ჩქამიერთა შეერთებას გ. ახვლედიანი აქცესიურს უწოდებს. აქცესიური კომპლექსები ქართულში გაცილებით უფრო მცირეა და ნაკლებად სრულ სისტემას ქმნის. ჰ. ფოგტს დეცესიურ და აქცესიურ კომპლექსთა აღსანიშნავად შემოაქვს ტერმინები ინტროვერტიული და ექსტროვერტიული. ინტროვერტიულია ჯგუფი, რომელშიც არტიკულაციის წერტილები გადაადგილდება ფილტვებიდან ამონადენი საფონაციო ნაკადის საწინააღმდეგო მიმართულებით, ხოლო ექსტროვერტიულია ჯგუფი, სადაც არტიკულაციის წერტილები საფონაციო ჰაერნაკადის შესაბამისი მიმართულებით გადაადგილდება (ფოგტი, 1961, 29).

საყურადღებოა, რომ გიორგი ახვლედიანი სწორედ ქართველურ ენათა სპეციფიკურ, დამახასიათებელ და სისტემურ მოვლენაზე მსჯელობს – იგი ყოველგვარ დეცესიურ კომპლექსებზე კი არ საუბრობს, არამედ ისეთებზე, რომლებიც თავიანთი ფონეტიკური რწყმულობით, ხმარების ინტენსივობითა და ხასიათით მონოფონემატურ ხასიათს ავლენენ – განსაკუთრებით ეს ეხება კომპლექსებს, რომელთა მეორე წევრი სპირანტული ხასიათისაა (ყ-ს სპირანტული ხასიათის შესახებ იხ. თ.

გამყრელიძე, 2000, 249-256, იხ. აგრეთვე ა. ჩარგვიშვილი, 1946, 537). გიორგი ახვლედიანი განაზავს, რომ ეს კომპლექსები სპეციფიკურია ქართული სათვის, „რადგან ასეთი რამ, სისტემის სახით, სხვა კავკასიურ ენაში არ გვხვდება“ (ახვლედიანი, 1999, 112). ამრიგად, გიორგი ახვლედიანს შენიშნული აქვს ისიც, რომ **დეცესიური ჰარმონიული კომპლექსები არ ქმნიან კავკასიური არეალის საერთო მახასიათებელს – ეს არის ქართული ენის ფონოტაქტიკის თავისებურება.**

გიორგი ახვლედიანი არ ლაპარაკობს დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსთა ქართველურ ხასიათზე, მაგრამ ყველა ქართველოლოგისათვის აშკარაა, რომ ამ რიგის კომპლექსები დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის და მათი არსებობა საერთო-ქართველურ ფუძე-ენაშიც უნდა ვივარაუდოთ (მაჭავარიანი, 1965, 81-96; მელიქიშვილი, 1999, 54-69).

ამრიგად, დეცესიური კომპლექსები ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის ძირითად, განმსაზღვრებელ მოვლენას წარმოადგენენ და ეს სისტემა საერთო-ქართველურ მემკვიდრეობას წარმოადგენს. კომპლექსთა დეცესიური სისტემა იმდენად რწყმულია ფუნქციონირების თვალსაზრისით, რომ გ. მაჭავარიანი საერთო-ქართველური სისტემის შინაგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნევს ვარაუდს, რომ წინარე ქართველურში ამ კომპლექსებს მონოფონემატური ხასიათი შეიძლება ჰქონოდათ. იგი ჰარმონიულ კომპლექსებს განსაზღვრავს როგორც ისეთ კომპლექსებს, რომელთაც აქვთ უნარი დაიკავონ ცალი თანხმოვნის ადგილი ერთი მორფემის ფარგლებში ნებისმიერ გარემოცვაში. მისი აზრით, „ჰარმონიული (კერძოდ, დეცესიური) ჯგუფების ეს თვისება გასაგები გახდება, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ჯგუფები მომდინარეობენ მონოფონემატური კონსონანტური ერთეულებისაგან, რომლებიც რაღაც ნიშნით (გემინაცია? ინტენსიობა? ველარიზაცია?) უპირისპირდებოდნენ „ჩვეულებრივ“ ანტიერიორულ თანხმოვნებს. ველარული ელემენტის განვითარება უნდა ყოფილიყო ამ თანხმოვანთა აღნიშნული დისტინქციური ნიშან-თვისების დამოუკიდებელ თანხმოვნად ჩამოყალიბების შედეგი... ეს ჰიპოთეზა არ ეწინააღმდეგება ჰარმონიული კომპლექსების არსებობას გვიანდელ საერთო-ქართველურ დონეზე: ჰარმონიული დეცესიური ჯგუფების ჩამოყალიბებას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ქართველური დიალექტების ერთიანობის ეპოქაში, უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებოდა ქართველური ენობრივი არეალის დაყოფა დამოუკიდებელ დიალექტურ არეალებად“ (მაჭავარიანი, 1965, 93-94). გივი მაჭავარიანის ჰიპოთეზა ადრეულ, წინარე ქართველურ ენაში დეცესიური კომპლექსების შესატყვისად მონოფონემატური ერთეულების არსებობის შესახებ ამ კომპლექსთა მონოფონემატურ ფუნქციონირებას ეფუძნება. ჩვენ მიერ გაანალიზებული საერთო-ქართველური მასალის ჩვენება ასეთია: დადასტურებულია შემდეგი კომპლექსები (მელიქიშვილი 1999, 56 და 58-59):

A სისტემა	B სისტემა
ბგ ფქ –	ბლ ფხ –
ღვ თქ ტკ	ღლ თხ ტყ
ძგ ცქ წკ	– ცხ წყ
ჯგ ჩქ ჭკ	– ჩხ ჭყ

ხარვეზები პკ, პყ, ძღ, ჟღ კომპლექსების ადგილას შესაძლებელია ამ კომპლექსების დაბალი სიხშირით აიხსნებოდეს.

2. ექსტროვერტიული (აქცესიური) კომპლექსები ქართველურ ენებში

აქცესიური კომპლექსები გაცილებით ნაკლებად არის გავრცელებული ქართველურ ენებში. მეგრულში ისინი საერთოდ არ დასტურდება (გამყრელიძე, გუდავა, 1981). ლაზურში გვაქვს მხოლოდ ასპირირებული აქცესიური კომპლექსები /ქთ, ქც, ქჩ, ხთ, ხც, ხჩ/ (ქუთელია, 2005, 296-303). ქართულსა და სვანურში აქცესიური კომპლექსების სისტემა ხარვეზიანია, ის ვერ ქმნის ისეთ სიმეტრიულ და სრულ სისტემას, როგორსაც დეცესიური კომპლექსები. თანამედროვე ქართველურ ენებში აქცესიური კომპლექსები წარმოქმნილია რელუქციის შედეგად (ქც-ევა შდრ. მო-ი-ქეც, შე-ცღ-ომა შდრ. შე-ვ-ცეთ, და მისთ.) და მორფემათა ზღვარზე. საერთო-ქართველურის ცოცხალი რელუქციული მექანიზმი ისტორიულ ქართულში აბლაუტის სახით არის წარმოდგენილი და ამის შედეგად მთელი რიგი ძირებისა მხოლოდ რელუქციის საფეხურზეა შემორჩენილი; ასეთებია, მაგალითად: თბ-ილი შდრ. ძვ. ქართ. გან-ვ-ტეფ; ქს-ოვა შდრ. სა-გუს-ალი; გბ-ოლვა შდრ. სვ. ლი-ჯაბ; ფქვ-ილი შდრ. სვ. ფექ-).

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში და დიალექტების უმრავლესობაში დადასტურებულ აქცესიურ კომპლექსებს საკმაოდ მკაფიო სტრუქტურა აქვთ. ასეთი კომპლექსების სისტემა ხარვეზებიანია და იგი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ (წარმოვადგენთ აქცესიური კომპლექსების მქონე ყველა ფორმას, რომელიც დაეადასტურეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და ბ. ფონსუას მიერ შედგენილი ინვერსიული ლექსიკონის საფუძველზე):

- თბ ტბ თბილი, თბება; ტბა, ტბორი;
- გბ - კბ გბოლვა, კბილი, კბენა, კბენა, კბოდე, ტკბილი;
- გღ - კღ გღება, გღია; კღმა;
- ცბ წბ ცბიერი, ცბუნება, უცბი; წბერი, წბილა, გაწბილება, ქარწბი;
- ცღ წღ ცღა, იცღის, ცღილობს, ცღომილება; მწღე;
- - ჳბ ხეჳბი;
- ჯღ - ჳღ ჯღომა; ჳღე, ნაჳღევი;

შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ წესი: **ხშული+ხშული ტიპის აქცესიურ კომპლექსში მეორე წევრი ყოველთვის მჟღერია**. ამ წესს ძირეულ მასალაში მხოლოდ ორი გამონაკლისი აქვს: /ქც, ცთ/ კომპლექსების შემცველი სამი ფორმა: მუქთი (ნასესხებია), ქცევა და ცთუნება, ცთომილი. ე.ი. გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლებელია შექმნან მხოლოდ ასპირირებულმა კომპლექსებმა. ნასესხებ ფორმებში გვაქვს ქთ და ქტ კომპლექსები: მუქთი (ერთადერთი ჩანს ლექსიკონების მიხედვით) და ტაქტი, ფაქტი, აქტი ტიპის მრავალი ნასესხობა.

ტიპი > კბილი ტიპის ასიმილაციური ცვლილებები მხოლოდ დასავლურ დიალექტებში გვხვდება.

საინტერესოა, რომ აქცესიური კომპლექსის მეორე წევრის მჟღერობის წესი ნაპრალოვნების შემცველ კომპლექსებზეც ჩანს გავრცელებული:

ხბ ხბო
ღბ უღბი
გზ გზა, გზნება
ხზ თხზავს

გამონაკლისს ისევ ასპირირებული კომპლექსები ქმნიან:

ქს ქსელი, ქსოვა, ქსუ, ქსიტინი; და ბევრი ნასესხები ფორმა: ლუქსი, ლექსი, ტაქსი, სინტაქსი...
ქმ ქმენა, ქმიტინი;

სვანურში ძირეულ მასალაში საერთოდ არ არსებობს ხშული+ხშული ტიპის აქცესიური კომპლექსები. აქცესიურ კომპლექსთაგან დასტურდება მხოლოდ /სდ, სტ, შდ, შტ/ კომპლექსები. ნარეულქციალ ფორმებში კი ყველა იმ სახის აქცესიური მიმდევრობა შეიძლება დადასტურდეს, რომელიც არსებობს ძირის სტრუქტურაში დისტანციურად. მაგ.: ატბიდე „ათბობს“ – ტებდი „თბილი“ ატფურე „ატყავებს“ – ტუფ „ტყავი“, ჰაყბა „ყბა“- ყბ „წვერი“, ლგფგენე „გაყინული“ – ჩგადყფნე „გაყინა“ (ბაბლუანი, 1985, 33); ძირებში თანხმოვანთა განაწილება კი, როგორც ჩანს, საერთო-ქართველურ „სონორული წონასწორობის პრინციპს“ ექვემდებარება. რელუქციის პროცესი სვანურში ცოცხალია და ნარეულქციალი ძირი ვოკალური ვარიანტიც არსებობს ყოველთვის.

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, აქცესიური კომპლექსები ძირეულ მასალაში არც საერთო-ქართველურში უნდა გვქონოდა. CVC- ტიპის ძირებში, რომლებიც აღდგენილ ძირთა 85%-ს შეადგენენ, ასეთი კომპლექსები საერთოდ არ გვხვდება ძირის თავკიდურსა და ბოლოკიდურში, ანუ CCVC-, CVCC- ტიპის სტრუქტურებში. საერთო-ქართველურ დონეზე ისინი მხოლოდ ნარეულქციალ ძირებშია წარმოდგენილი.

ძირის სტრუქტურაში არსებობდა თანხმოვანთა დეცესიური და აქცესიური დისტანციური დაკავშირების განვითარებული სისტემა, რომელიც „სონორული წონასწორობის პრინციპს“ ემყარებოდა (მელიქიშვილი, 1979).

რელუქციის პროცესი, რომელიც საერთო-ქართველურში აქტიურ პროცესს წარმოადგენდა, განაპირობებდა რელუქციის საფეხურზე აქცესიური კომპლექსების გაჩენას. ამდენად, აქცესიური კომპლექსები მხოლოდ მორფონოლოგიური პროცესების შედეგად წარმოიქმნებოდა. განხმოვანების სრულ საფეხურზე CCVC- და CVCC- ტიპის ძირეული მორფემების თავკიდური და ბოლოკიდური ჩქამიერი კომპლექსები მხოლოდ დეცესიური შეიძლებოდა ყოფილიყო. საერთო-ქართველურ ძირეულ მორფემათა ჩვენს მიერ შედგენილ სიაში აქცესიური (ექსტროვერტიული) კომპლექსი არა გვაქვს არც ერთ კანონიკურ, ანუ CVC- ტიპის სტრუქტურაში – იგი წარმოდგენილია მხოლოდ არაკანონიკურ CC- ტიპის ძირებში: აღდგენილია სულ 8 ასეთი ტიპის ძირი: *გზ- (2 ფორმა), *კბ- *ქთ- *წდ- *ვმ- *ვჩ-

***ქმ-**; (მელიქიშვილი, 1999, 62-67). ეს CC- ტიპის აქცესიური ძირები ნარეულქციალ სტრუქტურებს წარმოადგენენ და ამდენად მეორეულ ხასიათს ატარებენ. მათ მეორეულობას მოწმობს არა მარტო სტრუქტურული მოსაზრება: კანონიკურ ძირებში ეს კომპლექსები საერთოდ არ არის წარმოდგენილი და მხოლოდ პერიფერიულ CC- ტიპის სტრუქტურებში ვლინდება, არამედ მასალის ანალიზის საფუძველზედაც შესაძლებელია მათი მეორეული ხასიათის დადასტურება:

***გზ-** „აღზნება, ცეცხლის წაკიდება“ შდრ. ქართ. მუ-გუზ-ალი, გუზ-გუზ-ი, გიზ-გიზ-ი; ***გზ-** „გზა, გაგზავნა“ შდრ. ქართ. გეზ-ი „მიმართულება“

***კბ-** „კბილი, კბენა“ შდრ. მეგრ. ლაზ. კიბ-, რომელიც, ვფიქრობთ, საერთო-ქართველურ გახმოვანებას ასახავს; საინტერესოა საერთო-ინდოევროპული პარალელი, რომელიც ასევე ხმოვნურ საფეხურს გულისხმობს: ***k'eb'-/k'ep'-**; ***k'omb'io** „კბილი“ - **/k'emb'-/k'mb'-** „კბენა“ (პოკორნი 1959, 369); თავკიდურ ფონემას გლოტალიზებულად მივიჩნევთ ინდოევროპულ მჟღერ ნშულთა – გლოტალიზებულებად ინტერპრეტაციის საფუძველზე, ქართველურ ინდოევროპულ შესაბამისობას ადასტურებენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (1984, 5-17; 879).

***წდ-** „დასხმა, დაღვეინება“ შდრ. ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში წარმოდგენილი ძველი ქართული ფორმა **წელა** (3 მეფე 7.26), რომელიც ასეა განმარტებული: „ესე არს ყოველივე ღვინის შესასმელი ჭურჭელი“; მეორეან: „წელა არს ფიალა, თასი, ჭიქა, სირჩა, ბიდანი, ყანწი, კულა და ყოველივე ღვინისა სასმისებისა: დიდი თუ მცირე“ (ს. ს. ორბელიანი, II, 1993, 369-370). სვანური წგდ-ჰმ ასევე ვოკალის შემცველი ფორმაა, სადაც გ *ე-დან მიღებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

რიცხვითი სახელი ექვსის აღმნიშვნელი ძირი, რომელსაც მსგავსად ***კებ/კბ-** ძირისა საერთო-ინდოევროპული პარალელი აქვს, ვფიქრობთ, არ შეიცავდა საერთო-ქართველურში აქცესიურ ***ქმ** კომპლექსს. მისი აღდგენა შესაძლებელია ასეთი სახით:

***ექშმ-** ძვ. ქართ. ექუს-ი ახ. ქართ. ექვსი : მეგრ. ამშვ-ი : ლაზ. აშ-ი/ანშ-ი : სვ. უსგუ-ა; არც ერთ მემკვიდრე ენაში არ დასტურდება აქცესიური კომპლექსი: ძველ ქართულში ქ-სა და ს-ს /უ/ თიშავს, მეგრულ-ლაზურში /ქ/ გამჭრალია, სვანურში კი დეცესიურ /სგ/ კომპლექსად არის ტრანსფორმირებული. აქცესიური /კს/ კომპლექსი გვაქვს საერთო-ინდოევროპულ შესაბამის ფორმაში: ***sũeks-/ seks-/ ũeks-/ uks-** (პოკორნი, 1044; გამყრელიძე, ივანოვი, 845).

ყველაფერი ეს მიუთითებს ქართველურ ენათა ფონოტაქტიკისათვის დეცესიური კომპლექსების ორგანულობაზე და აქცესიურ კომპლექსთა პერიფერიულ და მეორეულ ხასიათზე. ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ დეცესია/აქცესიის თვალსაზრისით საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდოევროპულში სხვადასხვა მიდრეკილება უნდა ვივარაუდოთ: ქართველური დეცესიურ კომპლექსებს აძლევს უპირატესობას, ხოლო ინდოევროპული – აქცესიურს. შესაბამისად, მიდრეკილება თანხმობანთა აქცესიური თუ დეცესიური შეერთებისაკენ ენათა გარკვეულ ტიპოლოგიურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

3. აქცესიური კომპლექსები ინდოევროპულ ენებში

უძველესი ინდოევროპული ენებისათვის, როგორცაა ძველი ბერძნული, ლათინური, სანსკრიტი, აქცესიური კომპლექსები უფრო დამახასიათებელია, ვიდრე დეცესიური კომპლექსები. შესაბამისად, საერთო-ინდოევროპულში საკმაოდ ბევრი აქცესიური კომპლექსის შემცველი ფორმა არის აღდგენილი.

/ks/

- *teks- „წვანა, თხზვა“ (გამყრელიძე, ივანოვი, 705)
- *t'eks- „მარჯვენა“ (გამყრელიძე, ივანოვი, 783)
- *Haks- „ღერძი“ (გამყრელიძე, ივანოვი, 721)
- *louksnā- „მანათობელი“ ავ. raokšna „სინათლე“ (გამყრელიძე, ივანოვი, 685)
- *ksā- „წვა, იწვის“ (პოკორნი, 624)
- *kseip/kseib- „სროლა“ (პოკორნი, 625)
- *kse-ro „მშრალი“ (პოკორნი, 625)

/kt/

- *oktō- „რვა“ (გამყრელიძე, ივანოვი, 849-50)
- *ktei- „დასახლება, დაფუძნება“ (პოკორნი, 626)
- *kte(i)- „მოპოვება“ (პოკორნი, 626)

/ghd/

- *ghdem/gdom- „მიწა, ნიადაგი“ (პოკორნი, 414)
- *ghdies- „გუშინ“ (პოკორნი, 416)
- *ghdkū- „თევზი“ (პოკორნი, 416)

/ght/

- *daughter- „ქალიშვილი“ (გამყრელიძე, ივანოვი, 769)

/k°t/

- *nek°t-/no k°t- „ღამე“ (პოკორნი, 762)

აქცესიური კომპლექსები ხშირია არქაულ ინდოევროპულ ენებში: ბერძნულში, ლათინურში, ძველ ინდურში. მოვიყვანო შესაბამის მასალას საილუსტრაციოდ.

ბერძნული:

/κτ/

- κτάομαι „შეძენა, მოპოვება“
- κτέανον „ქონება“
- κτένω „მოკვლა“
- κτείς „სავარცხელი“
- κτίτωρ „პატრონი“
- κτίσις „დაარსება, შექმნა“
- κτιπέω „გრუსუნია“

κτῖλος	„ცხვარი“
κτῆπιος	„ქუხილი“
ἄκτις	„სხივი“
ἄκταρ	„წინამძღოლი“
ἄκταινος	„სანაპირო“
νέκταρ	„ნექტარი“
νύξ, νυκτος	„ღამე“
τέκτων	„ღურგალი“ და ბევრი სხვა.
/χθ/	
ἄχθιος	„ტვირთი“
ἄχθεινος	„უსიამოვნო“
ἔχθρα	„მტრობა“
ἔχθεις	„გუშინ“
ἔχθεις	„თევზი“
χθόνιος	„მიწა“

ლათინური:

/kt/	
factum	„საქმე“
fructum	„ნაყოფი“
noctem	„ღამე“
tectum	„სახურავი“
octo	„რვა“ და ბევრი სხვა.

/ks/ ტიპის კომპლექსი იმდენად ხშირია როგორც ბერძნულში, ისე ლათინურში, რომ მონოგრაფიკული აღნიშვნაც კი აქვს ორივე დამწერლობაში – ξ, x: იხ. მაგ. ბერძნ. ἄξων „ღერძი“, ξενος, ξενος „უცხო“; ლათ. axis „ღერძი“, vox „ხმა“, nox „ღამე“;

ხშირია /kt/ და /ks/ კომპლექსები ძველ ინდურშიც:

akta	„მოხრილი“
nakta	„ღამით“
aktu	„სხივი, გარიჟრაჟი“
akto	„ცხება, საცხი“
pakti	„საჭმლის მომზადება“
aksan	„თვალი“
aksa	„ღერძი“
taks	„ჭრა“
daksina	„მარჯვენა“
paksa	„ფრთა“
káksā-	„ილია“ (გამყრელიძე, ივანოვი, 168)

თანამედროვე ინდოევროპულ ენებშიც გვხვდება აქცესიური კომპლექსები:

სლავურ ენებში: რუს. КТО, ГДЕ, ГДУНЯ „ნესვი“, ასეთი ფორმები გვაქვს პოლონურშიც, უკრაინულშიც, სლოვენურშიც (kdo), ჩეხურშიც (gdoule „მსხლის ჯიში“). გერმანიკულ ენებშიც: გერმ. Nacht, acht, Tracht, Nichte და ბევრი სხვა.

გიორგი ახვლედიანის მიერ მითითებული სუპერაციის პროცესების შედეგად ბევრი ძველი კომპლექსის ველარული ნაწილი ვოკალიზებული ან გასპირანტებულია, მაგრამ ფაქტია, რომ kt, gd, xt, xθ, ks, kš, sp, šp, št აქცესიური კომპლექსები წინარე ინდოევროპულია და ბევრი ძველი და ახალი ინდოევროპული ენის ფონოტაქტიკის ბუნებრივ ნაწილს შეადგენს.

4. ინტროვერტიულობა/ექსტროვერტიულობა როგორც ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის კრიტერიუმი

ამრიგად, ძველ ინდოევროპულ ენებსა და ქართველურ ენებში ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია, შეიძლება ითქვას, ურთიერთშებრუნებული ფონოტაქტიკური წესები მოქმედებს: **ქართველური ენებისა და საერთო-ქართველურისათვის დამახასიათებელია დეცესიური კომპლექსები, ხოლო ძველი ინდოევროპული ენებისა და საერთო-ინდოევროპულიათვის აქცესიური კომპლექსები უფრო ბუნებრივია, ვიდრე დეცესიური.** საინტერესო სურათს იძლევა მსგავსი ლექსიკური ერთეულების შედარება ამ ორ ენობრივ წრეში.

ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქართველური *ოთხ- და ინდოევროპული *okto- ფორმების ურთიერთმიმართება. უკვე ბრუემანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საერთო-ინდოევროპული ფორმა *oktō(n)- ორობითის ფორმას წარმოადგენს. ეს მოსაზრება საყოველთაოდ არის გაზიარებული. მიიჩნევენ, რომ ის აღნიშნავს „ორივე ხელის თითებს ცერების გარეშე“ და უნდა უკავშირდებოდეს ოთხობითი თვლის პრინციპს (შდრ. „ცხრის“ აღმნიშვნელი სიტყვა *neun-, ლათ. novem, ძვ ინდ. nava ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ახალს“, ე.ი. „რვის“ შემდეგ რიცხვების ახალი წყება მოდის). ამგვარად, ინდოევროპული „რვის“ აღმნიშვნელი ფორმა ეტიმოლოგიურად არის „ორჯერ ოთხი“.

ინდოევროპული და ქართველური ფორმები პირველად ფრანც ბოპმა დააკავშირა ერთმანეთს (ბოპი, 1847, 37). განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ დაკავშირებას გ. კლიმოვა (კლიმოვი, 1977, 1994). საყურადღებოა, რომ ამ შეპირისპირებაში ამოსავალი მნიშვნელობა „ოთხი“ დაცული აქვს ქართველურ ფორმას. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ერთი და იმავე ამოსავალი ფორმიდან მომდინარე ქართველური და ინდოევროპული არქეტიპები განსხვავებულ თანხმოვანთკომპლექსებს გვიჩვენებენ: ქართველურ ფორმაში გვაქვს დეცესიური კომპლექსი: /თხ/, ხოლო ინდოევროპულში – აქცესიური: /kt/. ვფიქრობთ, ეს შეპირისპირება ქართველური და ინდოევროპული ფონოტაქტიკის განსხვავებული პრინციპების თვალსაჩინო ილუსტრაციაა.

საინტერესოა კიდევ ერთი პარალელი, რომელიც ბგერითი სიმბოლიზმის, ბგერწერის სფეროდან შეიძლება მოვიყვანოთ. სემანტიკურად

იდენტური ორი ბგერწერითი ერთეული ქართულსა და რუსულში ასეთსავე განსხვავებას გვიჩვენებს კომპლექსთა აქცესია/დეცესიის თვალსაზრისით: შვედაროთ ერთმანეთს ქართული ფართხ-ალ-ი და რუსული *барахт-аться, бухты-баракты*. ფონოლოგიური დიდი მსგავსების ვითარებაში ქართულ ფორმაში გვაქვს დეცესიური კომპლექსი, რუსულში კი – აქცესიური. რამდენადაც ბგერწერა სწორედ ენის ფონეტიკურ-ფონემატური შესაძლებლობების გამოყენებას ეფუძნება, ვფიქრობთ, ეს მაგალითიც ამ ენებში განსხვავებული ფონოტაქტიკური პრინციპების არსებობის კარგი ილუსტრაციაა.

ამრიგად, მიდრეკილება კომპლექსთა აქცესიურობისა თუ დეცესიურობისაკენ ენათა ტიპოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს. არსებობს ენები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ დეცესიურ კომპლექსებს, რომლებშიც შემადგენელ ელემენტთა მიმდევრობა სამეტყველო აპარატში ქმნის რიგს: წინა-უკანა, და ენები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ აქცესიურ კომპლექსებს, სადაც შემადგენელ ფონემათა წარმოების ადგილთა მიმდევრობა ამოსუნთქული ჰაერის მიმართულებას მიჰყვება.

დგება კითხვა, ხომ არ ახასიათებს აქცესიური კომპლექსები ისეთ ენებს, რომლებშიც ძლიერია ბგერების სამეტყველო აპარატში ზემოთ ამოწვევის ტენდენცია?

ენები განსხვავდებიან წინა და უკანა წარმოების ფონემათა გამოყენების ინტენსივობით როგორც სისტემაში, ისე ტექსტში.

საინტერესოდ გვესახება ენათა კლასიფიკაცია იმ თვალსაზრისით, თანხმოვანთა არტიკულაციისათვის წინა სამეტყველო არეალს ანიჭებენ ისინი უპირატესობას, თუ უკანას.

5. წინა/უკანა წარმოების თანხმოვანთა შეფარდება სისტემაში

ეს კრიტერიუმი ჩვენთვის წარმოადგენს დიფუზურ და კომპაქტურ, ანუ წინა/უკანა წარმოების ფონემათა შეფარდებას ფონემურ სისტემაში. ეს დიფერენციალური ნიშნები ფონოლოგიურ თეორიაში დაამკვიდრა რ. იაკობსონმა (იხ. მაგ. იაკობსონი, ფანტი და ჰალე, 1955, სადაც დიფერენციალურ ნიშანთა თეორია პირველად არის სრულად წარმოდგენილი). უკანა ალვეოლარული თანხმოვნები წარმოადგენენ დემარკაციულ ხაზს შესაბამის ორ ფონემურ კლასს შორის: უფრო ზემოთ ნაწარმოები თანხმოვნები დიფუზურია (წინა წარმოებისა), ხოლო უკანა ნუნისმიერი თანხმოვნებიდან მოყოლებული ქვემოთ – კომპაქტური (უკანა წარმოების თანხმოვნებია). ვიბრანტსა და ლატერალს ამ ანალიზში არ ვითვალისწინებთ, რადგან მათი წარმოება რთულია, შეიცავს ორ კომპონენტს და დიფერენციალურ ნიშანთა მიხედვით ანალიზისას ჩვეულებრივ მათ მიმართ დიფუზურობა/კომპაქტურობის ნიშანი არარელევანტურად მიიჩნევა.

შევისწავლეთ დიფუზურობა/კომპაქტურობის ნიშნების შეფარდება მსოფლიოს ენებში. საანალიზო მასალა აღებული იყო მედისონის ნაშრომიდან (მედისონი, 1984) და სხვა გამოკვლევებიდან, რომლებიც ენათა ჯგუფების ფონემურ სისტემებს შეიცავდენ. ანალიზის შედეგებს წარმოვადგენთ ცხრილის სახით:

ენათა ოჯახი	დიფუზური მეტია	კომპაქტური მეტია	ტოლია
ინდოევროპული (დარდული ჯგუფის გამოკლებით)	15	5	1
დარდული (ინდოევროპული ოჯახი)	1	9	–
უგრო-ფინური	4	2	–
თურქული	6	–	1
ტუნგუსურ-მანჯურიული	5	–	–
ნიგერო-კორდოფანული	30	–	2
ნილო-საჰარული	21	–	2
სემიტური	2	5	–
ქართველური	1	–	3
ჩრდილოკავკასიური	–	33	–
ჩრდილოამერინდური	21	19	6
სამხრეთამერინდური	16	11	5
დრავიდული	–	3	1
წყნარი ოკეანის ენები	24	–	1
ავსტრალიური	13	6	–
ავსტრო-ტაი	15	4	–
სინურ-ტიბეტური	10	4	4
პალეოციმბირული	–	2	4

ცხრილი შედგენილია შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

ინდოევროპული ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):

დიფუზური თანხმონები მეტია გაანალიზებული 24 ენიდან 14-ში: ბერძნული 16/5, გერმანული 11/9, რუსული 24/8, ფრანგული 13/9, ესპანური 12/9, რუმინული 12/8, ფარსი 14/11, ლიტვური 21/16, ბრეტონული 14/10, ბულგარული 25/10, ალბანური 16/11, სომხური 17/13, ნორვეგიული 11/10, ქურთული 15/14. თანაბარია 1 ენაში: სინჰალური 11/11.

კომპაქტური მეტია დიფუზურზე 5 ენაში: პუმტუ 14/16, ბენგა-ლიური 13/19, პენჯაბური 23/26, ირლანდიური 15/23, ჰინდი-ურდუ 19/20,

დარდული ენები (მასალა ამოღებულია: ტოპოროვი, 1966):

კომპაქტური მეტია დიფუზურზე 9 ენაში: აშკუნი 10/13, პრასენი 10/11, ვაიგალი 10/13, გავარ-ბატი 15/16, შუმაშტი 11/12, დამელი 12/16, პჰალურა 13/16, დაშკარიკი 11/15, შინა 14/19. დიფუზური თანხმონები მეტია 1 ენაში: ქაშმირი 13/11.

უგრო-ფინური ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):

დიფუზურები მეტია კომპაქტურებზე 4 ენაში: ფინური (18/7), უნგრული (14/11), ლაპური (12/8) ჩერემისული (14/10).
კომპაქტური სჭარბობს დიფუზურს 2 ენაში: ოსტიაკური (7/11), კომი (13/16).

თურქული ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):
დიფუზური მეტია 6 ენაში: ჩუვაშური (21/9), იაკუტური (18/15), ყირგიზული (13/7), ბაშკირული (15/10), ხალაი (12/9), ტუვიური (13/8).
თანაბარია აზერბაიჯანულში (12/12).

ტუნგუსურ-მანჯურიული ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):
ყველა გაანალიზებულ ენაში მეტია დიფუზური ფონემები: ევენკური (11/7), გოლდი (10/8), მანჯურიული (10/8), კორეული (11/9), იაპონური (14/11).

სემიტური ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):
დიფუზური მეტია 2 ენაში: არაბული 28/25, ტიგრინია 20/18.
კომპაქტური სჭარბობს 5 ენაში: ტიგრე 11/12, ჰარარი 10/12, ამჰარული 13/15, ებრაული 11/12, ახალი არამეული 10/12.

ქართველური ენები:
დიფუზური მეტია 1 ერთეულში: ახ. ქართული 14/12.
ტოლია 3 ერთეულში: ძვ. ქართული, სვანური, მეგრულ-ლაზური 14/14.
ძველ ქართულში, სვანურსა და მეგრულ ლაზურში კომპაქტური ფონემების რიცხვს ზრდის კ, ქ და ე ფონემების არსებობა სისტემაში.

ჩრდილოკავკასიური ენები (მასალა ამოღებულია: იბერიულ-კავკასიური ენები, 1967):
კომპაქტური მეტია ყველა 33 გაანალიზებულ ენაში:
აფხაზური 22/34, აბაზური 14/41, ადიღური 20/33 ყაბარდოული 16/23, უბიხური 30/48; ჩეჩნური 14/18, ინგუშური 15/17, ბაცბური 14/18; ხუნძური 15/18, ანდიური 15/18, ბოთლიხური 15/18, კარატული 16/29, ახვასური 15/32, ბაგვალური 13/25, ტინდიური 13/25, ჭამალური 14/23, წეზური 13/19, ხვარშიული 13/19, ჰინუხური 13/19, ბეჟიტური 13/17, ჰუნზიბური 13/21, ლაკური 17/23, დარგუული 15/20, ლეზგიური 17/18, თაბასარანული 18/26, აღულური 19/24, რუთულური 13/16, წახურული 15/22, არჩიბული 18/26, კრიწული 15/20, ბუღუზური 14/20.

ჩრდილოამერიკული ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):
დიფუზური სჭარბობს 21 ენაში: ნეზ-პერსე 12/9, მაიდუ 10/6, ვინტუ 16/12, ჩონტალი 12/8, ზოკვი 19/6, ცელტალი 15/6, მიქსე 8/6, ოტომი 20/16, ჩატინო 8/6, იაკვი 9/6, ტივალი 13/11, პომო 14/10, სენეკა 7/4, ვიჩიტა 12/7, იუჩი 18/14, ალაბამა 8/4, ვაპო 16/10, იტონამა 10/7, კლამათი 15/14, კაროკი 8/7, დიუგენო 10/9.
კომპაქტური სჭარბობს 19 ენაში: ჰაიდა 15/27, ტლინგიტი 18/24, ტოლოვა 12/15, ჰუპა 12/15, მაზაჰუა 12/21, მაზატეკი 10/13, მიქსტეკი 5/8, ნუტკა 13/20, კვილეუტი 12/19, სკვანიში 12/17, პუჯეტი 11/20, პაპავო 8/11, ლუიზენიო 8/13, ჰობი 9/12, აჩუმავი 6/9, დაკოტა 12/14, ჩიპევა 17/18, ტარასკანი 14/15, აკომა 18/19.
თანაბარია 6 ენაში: ნავაჰო 14/14, ტოტონაკი 7/7, კეკი 9/9, კვაკვალა 18/18, იანა 10/10, შასტა 8/8.

სამხრეთამერიკური ენები (მასალა ამოღებულია: მედისონი, 1984):
დიფუზური მეტია 16 ენაში: ბრიბრი 10/7, პეზი 14/12/ ოციანა 14/10,
კარიბი 9/6, ჰაკოვო 8/6, ტაკანა 9/7, კაშინაჰუა 8/6, არუბელა 6/4, აუკა
7/4, მოქსო 11/7, გუაჰიბო 10/3, ბარასანო 6/4, არაუკანული 10/8 ჰუაკა
7/6, აშუსლაი 11/10, ნამბიკვარა 13/12.
კომპაქტური მეტია 11 ენაში: მუნანე 9/11, აბიპონი 5/8, იაკარუ 12/20,
გუარანი 10/12, სირინო 7/8, კოფანი 12/16, კაიაპა 10/11, აპინაიე 6/7,
კვეჩუა 14/15, გუნუნა-კენა 12/13, აშუეშა 10/11.
თანაბარია 5 ენაში: მურა 4/4, კამპა 7/7, ვაპიშანა 8/8, გუაჯირო 8/8,
ჯივარო 7/7.

დრავიდული ენები:
კომპაქტური მეტია 3 ენაში: კოტა 9/11, კურუქჰი 8/10, მალაიალამი 9/12.
თანაბარია 1 ენაში: ტელუგუ 14/14.

პალეოციმბირული ენები:
კომპაქტური მეტია 2 ენაში: ალუუტური 9/13, გილიაკური 10/14.
თანაბარია 4 ენაში: გრენლანდიური 9/9, იტელმენური 9/9, ჩუკჩური 7/7,
ნგანასანური 10/10.

ნიგერო-კორდოფანული და ნილო-საჰარული ენების მონაცემები
გაანალიზებულია მედისონის ნაშრომში წარმოდგენილი მასალის
საფუძველზე და ყველაში მეტია დიფუზური ფონემები, იხ. ცხრილი, ენების
ჩამონათვალს აღარ წარმოვადგენთ.

ცხრილიდან ჩანს, რომ:

დიფუზური ფონემები მეტია ინდოევროპულ, თურქულ, უგრო-ფინურ,
ნილო-საჰარულ, ნიგერო-კორდოფანულ, ავსტრალიურ, ავსტრო-ტაის,
სინურ-ტიბეტურ ენებში; ამასთან, თურქული, უგრო-ფინური, ნილო-
საჰარული, ნიგერო-კორდოფანული მთლიანად ასეთი ენებისაგან შედგება,
სხვა ენათა ოჯახებში კი ისეთი ენებიც გვხვდება, სადაც გვაქვს
კომპაქტური ფონემების უპირატესობა ან კომპაქტური და დიფუზური
ფონემების რიცხვი ტოლია.

კომპაქტური ფონემები მეტია ჩრდილოკავკასიურ ენებში,
სემიტურში, დრავიდულში, ინდოევროპულ ენათა დარდულ ქვეჯგუფში.

თუმცა ამერიკულ ენათა შორის ჩვენი მასალის მიხედვით
დიფუზური ფონემების უპირატესობის მქონე ენათა რაოდენობა მეტია,
მაგრამ მაინც მათში კომპაქტური ფონემების უპირატესობის მქონე ენებიც
ბევრია: ჩრდილოამერიკურში 19, ხოლო სამხრეთ ამერიკურში – 11.

წონასწორობა ამ ნიშნებს შორის მეტია ქართველურსა და
პალეოციმბირულ ენებში.

ამ მონაცემებიდან ვხედავთ, რომ კომპაქტურობა/დიფუზურობის
შეფარდება ენებში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ასე რომ, ეს მიმართება
უნივერსალური არ არის და ენები ამ თვალსაზრისით ორ ტიპოლოგიურ
კლასს ქმნიან; ხოლო ენათა განაწილება ამ ორ კლასს შორის კავშირში
ჩანს ენათა გენეტიკურ და არეალურ კუთვნილებასთან. ამასთან, ერთი
გენეტიკური ოჯახის ფარგლებში შეიძლება იყოს სხვაობა. ეს მოვლენა
რამდენიმე ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული: მაგალითად,
არტიკულაციის ზემოთ ამოწვევის ტენდენციით ან ენათა არეალური
ურთიერთგავლენით.

საინტერესოა, რომ ენებში, რომლებიც კომპაქტურ ფონემათა დიდი რიცხვით ხასიათდებიან, ხშირად არა გვაქვს ფონემა /f/. არ არის ის კაკასიის, ამერიკის, პალეოციმბირულ ენათა უძრავლესობაში. მაგრამ აქ მკაცრი წესის ჩამოყალიბება არ ხერხდება. შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ გარკვეულ მოლოდინზე, რომ უკანა წარმოების ფონემათა დიდი რიცხვის არსებობის შემთხვევაში ამ ენას არ ექნება /f/ ფონემა. ასეთ ენებში /ფ/-ს არსებობა ჩვეულებრივ შედეგია ან სესხებისა, ან უკანაენისმიერი ლაბიალიზებული ფონემის გამარტივებისა.

საპირისპიროდ, /f/-ს უქონლობა სისტემაში არ გვაგვარაულებინებს, რომ ეს ენა კომპაქტურ ფონემებს მისცემს უპირატესობას. /f/ არ არის ავსტრალიის, ავსტრო-ტაის, სინურ-ტიბეტურ, წყნარი ოკეანის ენებში, რომლებიც დიფუზურ, წინა წარმოების თანხმოვანთა უპირატესობით ხასიათდებიან. ამრიგად, ფრეკვენტალიას ასეთი სახე შეიძლება ჰქონდეს: უკანა წარმოების, კომპაქტურ ფონემათა უპირატესობის მქონე ენისათვის მოსალოდნელია /ფ/-ს უქონლობა, მაგრამ არა პირიქით, /f/-ს უქონლობა არ გვაგვარაულებინებს კომპაქტურ ფონემათა დიდ რიცხვს ფონემურ სისტემაში.

6. ექსტროვერტიზაციის ზოგადი ტენდენცია ენებში: ინდოევროპული და ქართველური

ენათა ფონემური სისტემების განვითარების ძირითად ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ ფონემათა არტიკულაციის წინა მიმართულებით გადაადგილება სამეტყველო აპარატში. ამ ტენდენციას ექსტროვერტიზაციის პროცესი შეიძლება ვუწოდოთ. მისი მოქმედება ზოგ ენაში და ენათა ჯგუფში საერთოდ არ ჩანს, ზოგში სუსტია, ზოგში კი ძალიან ძლიერად არის გამოხატული. შესაძლებელია დავსვათ კითხვა, აქცესიური კომპლექსებისათვის უპირატესობის მინიჭება ფონემური სისტემის ექსტროვერტიზაციის, ზემოთ ამოწვევის ტენდენციის შემადგენელ ნაწილს ხომ არ წარმოადგენს?

თვალსაჩინოა ამ ტენდენციის მოქმედება ინდოევროპულ ენებში. საერთო-ინდოევროპული კონსონანტური სისტემა ასე რეკონსტრუირდება:

b	p	p'		m	w
d	t	t'	s	l	n
g	k	k''	r		y
g	k	k'			
g°	k°	k°'			
	h	h'			

საერთო-ინდოევროპულში ვარაუდობენ ხშირად რამდენიმე გუტურალურ რიგს და რამდენიმე ლარინგალს. თანამედროვე ინდოევროპულ ენებში, როგორც წესი, ერთი ველარული რიგია და ლარინგალური ფონემა ან საერთოდ არ არის, ან ერთადერთია. როგორც ვხედავთ, ამ სისტემაში კომპაქტური ფონემები უფრო დიდი რაოდენობით არის აღდგენილი, ვიდრე დიფუზური. თანამედროვე ინდოევროპულ ენათა უძრავლესობაში კი დიფუზური თანხმოვნების რიცხვი სჭარბობს კომპაქტურ თანხმოვანთა რიცხვს. ეს ინდოევროპულ ენებში ექსტროვერტიზაციის ძლიერი ტენდენციის მოქმედების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ინდოევროპული ენებისათვის აქცესიური

(ექსტროვერტიული) კომპლექსები უფრო ბუნებრივია, ვიდრე დეცესიური (ინტროვერტიული).

ქართველურ ენებშიც მოქმედებს უკანა წარმოების თანხმობანთა დაკარგვის ტენდენცია, თუმცა უფრო სუსტად. ამას მოწმობს /ჰ/ ფონემის გადასვლა /ხ/-ში ქართული ენის ბარის დიალექტებში და მეგრულ-ლაზურში.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით მეორე სუბიექტური და მესამე ირიბი ობიექტური მორფემების დიაქრონიული განვითარების ინტერპრეტაცია. S_2O_3 -დ ძველი ქართულის ხანმეტ ტექსტებსა და სვანურში /ხ/ ფონემა გვევლინება, ხოლო ჰაემეტ ტექსტებსა და ახალ ქართულში იგი /ჰ/-მ შეცვალა. როგორ უნდა გავიაზროთ ეს მოვლენა არტიკულაციური გადაწყვეის თვალსაზრისით? ამოსავალ ფონემად ჩვენ მივიჩნევთ /ხ/-ს, მაგრამ $h > \chi$ გადასვლა ჩვენთვის არ არის არტიკულაციის უკან გადაწყვეა, რადგან, თუმცა /ჰ/ ხშირად კვალიფიცირდება როგორც ლარინგალი, ის უფრო ადეკვატურად დახასიათდება როგორც აპროქსიმანტი, რომლის წარმოქმნის ადგილი დამოკიდებულია გარემომცველ ფონემებზე. ფონოლოგიურ სეგმენტთა უნივერსალურ ბაზაში (UPSID Universal Phonological Segment Inventory Database) /h/-ს წარმოების ადგილის თვალსაზრისით ეძლევა კვალიფიკაცია: variable place “ცვალებადი ადგილი”. ი. მედისონის აზრით: /h/-ს შეფარდებით ერთგვაროვანი დახასიათება საუკეთესოდ ხერხდება მეზობელი სეგმენტების თვისებებთან მსგავსების ტერმინებში; /h/ და h' -ს ადგილი განსაზღვრულია გარემოცვით, ამიტომ მათ არ ეძლევა დახასიათება წარმოების ადგილის თვალსაზრისით. (“a relatively uniform phonetic characterization of /h/ is possible, but it is best made in terms of similarities to the properties of abutting segments”. მედისონი, 1984, 57; “/h/ and h' (მუღერი h) having place determined by invironment, do not receive any place specification” იქვე, გვ. 164). თვითდაკვირვებითაც შესაძლებელია შემჩნევა, რომ /ჰ/-ს შესაბამისი ასპირაციის აკუსტიკური ეფექტი გარემომცველ ფონემათა წარმოების ადგილთან ახლოს წარმოიქმნება, ისევე როგორც ფშვინვიერი თანხმობებისა, თუმცა, ცხადია, ყველა ასპირირებულ ფონემისა და /ჰ/-ს წარმოებასაც სახმო სიმების (ანუ ლარინგალური არტიკულაციის) გარკვეული მდგომარეობა შეესაბამება. ამრიგად, /ხ/ > /ჰ/ გადასვლაც შესაბამისობაშია არტიკულაციის წინ გადაწყვეის ტენდენციასთან.

საინტერესოა ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობათა ინტერპრეტაცია ამ თვალსაზრისით. თუ სიბილანტურ შესატყვისობათათვის საერთო-ქართველურში აღვადგენთ *სისინა ფონემებს (შესატყვისობისათვის სისინა : სისინა), *შიშინა ფონემებს (შესატყვისობისათვის სისინა: შიშინა) და *სიბილანტი+ველარი ტიპის კომპლექსებს (შესატყვისობისათვის შიშინა : სიბილანტი+ველარი), მაშინ საერთო-ქართველური ვითარება დაცული ექნება სვანურსა და ზანურს, ხოლო გადაწყვეას ვივარაუდებთ ქართულში, და მასში განხორციელებული ტრანსფორმაციები ასე წარმოგვიდგება:

*შქ/სქ > შ
*უ > ს
*ს > ს

გადასვლათა ეს წყება სისტემური და თანმიმდევრულია და არტიკულაციის წინ გადაწყვეის ტენდენციის მოქმედებად შეიძლება ჩავთვალოთ. *შქ/სქ > შ გადასვლის შედეგად ელიმინირებულია

უკანანისმიერი კომპონენტი, ხოლო *შ>ს გადასვლა უკანა ნუნისმიერის წინა ნუნისმიერში გადასვლას, ანუ კვლავ არტიკულაციის წინ გადაწევას გულისხმობს. ქართულისათვის ზოგადად დამახასიათებელ ექსტროვერტიზაციას თუ გავითვალისწინებთ (ჭ>ხ პროცესი, აქცესიური კომპლექსების გაჩენა), ვფიქრობთ, ეს დამატებითი საბუთია ამ რეკონსტრუქციის სასარგებლოდ. საერთო-ქართველურში სამი სიბილანტური რიგის დაშვების შემთხვევაში ზანურსა და სვანურში მომხდარი ტრანსფორმაციები უკან გადაწვევის სახეს მიიღებს, რაც ზოგადი დიაქრონიული ტიპოლოგიის თვალსაზრისით ნაკლებ სავარაუდოა.

ლიტერატურა

- ახვლედიანი, 1999** – გ. ახვლედიანი, ჰარმონიულ ხმულთა ორი სისტემა ქართულში, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1999 (მეორე გამოცემა).
- ბაბლუანი, 1985** – ლ. ბაბლუანი, თანხმოვანკომპლექსები სვანურ ენაში, თბილისი 1985 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი).
- ბოპი, 1847** – Fr. Bopp, Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, Berlin 1847.
- გამყრელიძე, 2000** – თ. გამყრელიძე, ქართულ თანხმოვანთა „განდასება“ (ველარი ყ და პოსტველარი ჳ სპირანტები ქართულში), რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი 2000.
- გამყრელიძე, ივანოვი, 1984** – Т. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Москва 1984.
- გულავა, გამყრელიძე, 1981** – ტ. გულავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძისადმი, თბილისი 1981.
- იაკობსონი, ფანტი, ჰალე, 1955** – R. Jakobson, C.G. Fant, M. Halle, Preliminaries to Speech Analysis. The Distinctive Features and their Correlates, “Technical Report”, N 13, June 1955.
- იბერიულ-კავკასიური ენები** – Иберийско-Кавказские языки, Языки народов СССР, Наука, Москва 1967.
- კლიმოვი, 1977** – Г. А. Климов, Картвельское *otxo- – индоевропейское *okto-, Этимология, 1975, М. 1977.
- კლიმოვი, 1994** – Г. А. Климов, Древнейшие индоевропейизмы Картвельских языков, Москва 1994.
- მედისონი, 1984** – Ian Maddieson, Patterns of Sounds, Cambridge Univ. Press, 1984.
- მაჭავარიანი 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი 1965.
- მელიქიშვილი 1979** – ი. მელიქიშვილი, მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი და ძირის სტრუქტურა საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდოევროპულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1979.
- მელიქიშვილი 1999** – ი. მელიქიშვილი, აღდგება თუ არა ჩქამიერთა აქცესიური კომპლექსები საერთო-ქართველურში? ენათმეცნიერების საკითხები, 1, 1999.

ს. ს. ორბელიანი 1993 – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. II, თბილისი 1993.

პოკორნი, 1959 – J. Pokorny, Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Bern und München 1959.

ტოპოროვი, 1966 – В. Н. Топоров, Предварительные материалы к описанию фонологических систем консонантизма дардских языков, Лингвистические исследования по общей и славянской типологии, Москва 1966.

ფოვტი, 1961 – ჰ. ფოვტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი 1961.

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი 2005.

ჩარგეიშვილი 1946 – ა. ჩარგეიშვილი, ქართულის ჰ-ყ თანხმოვანთა ბიომქანნიკის საკითხისათვის, საქ. მეცნ. მოამბე, 1946.

Irine Melikishvili

About the Introvert/Extrovert (Decessive/Accessive) Types of Phonotactic Rules and Phonemic Systems

Summary

From the viewpoint of the place of articulation of phonemes in clusters, phonotactic systems can be divided in two types: a) systems, which give preference to decessive (introvert) sequences of consonants – to this type belong the Kartvelian languages and b) systems preferring the accessive (extrovert) sequence of consonants in clusters – to this type belong the Old Indo-European languages, such as Greek, Latin, Sanskrit and Common Indo-European. Preference of decessive or accessive sequences of phonemes in clusters can be regarded as a typological feature of phonotactic systems.

Second typological criterion, discussed in the article, is the rate of front (diffuse)/back(compact) consonants in the phonemic system. Languages can be classified as giving preference to the feature diffuse or to the feature compact. To the first type belong most of the modern Indo-European languages, Turkic, Finno-Ugric, Semitic, Tungus, Nigero-Kordofanian, Nilo-Saharan, Austro-Asiatic, Austro-Tai, Sino-Tibetan, Indo-Pacific and many Amerindian languages. To the second type belong all the North Caucasian languages, languages of the Dard group of the Indo-European family, many Paleo-Siberian and a considerable number of Amerindian languages. In Kartvelian languages the diffuse and compact phonemes are equal in number.

The discussed typological criteria are supposed to be linked with the general tendency towards the shifting of the articulation of phonemes from the back to the front area of the articulatory cavity. This tendency is observable in the majority of languages and language groups.

ფონეტიკა/ფონოლოგია/მორფოლოგია

ციური ახვლედიანი

ფონემათა ჯგუფების მსთეტიკური ფუნქცია

ფონემათა ჯგუფები ქმნიან განსაზღვრულ სისტემას, რომელიც მოცემული ენის ფონემათა სისტემისათვის არსებით ნაწილს წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანხმოვან ფონემათა შეერთებები, რომლებიც ენაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: დემარკაციულს, მასტრუქტურებელს, რეკოგნიციურს, ესთეტიკურს, მაგიურს და ა.შ. ყველა ეს ფუნქცია ხორციელდება ბგერათა ჯგუფების მიერ, რომლებიც გაბმულ მეტყველებაში წარმოგვიდგენენ ფონემათა თანმიმდევრობებს. ფონემათა ჯგუფების ყველა შემოჩამოთვლილ ფუნქციას მათი გამომხატველი ბგერითი ჯგუფები ასრულებენ სიტყვისა და გაბმული ტექსტის ფარგლებში. თანამედროვე ლინგვისტიკამ წინა პლანზე წამოსწია არა ფორმის, არამედ ფუნქციის კვლევა. ეს ეხება თანხმოვან ფონემათა ჯგუფების ფუნქციების კვლევასაც. ესთეტიკურ ფუნქციაში კვლისწმობთ ესთეტიკური შემოქმედების ფუნქციას, ანუ ინფორმაციის მიმღებისათვის განსაზღვრული მდგომარეობას შექმნას. ყველაზე ნათლად ეს ჩანს პოეზიაში. ფონემათა შეერთებები შეფერილნი არიან გარკვეული სემანტიკით, გამომსახველობით, ხატოვანებით და ამიტომაც აღიქმებიან როგორც მატარებელი ან გამაძლიერებელი სხვადასხვა გრძობისა: სინაზის, შიშის, სინარულის, ყურადღების, მწუნარების, სიყვარულის, სიმსუბუქის, უხეშობის და სხვ.

პოეზიის ინსტრუმენტირება ანუ ბგერების დაჯგუფება მუსიკალური ჟღერადობის შექმნით და გამეორებებით სწორედ ესთეტიკური შემოქმედების მიზნით ხდება (თანხმოვანთა გარკვეული ჯგუფების ალიტერაციით);

„ქაღი ჰქნის, ქაღი ჰქნის, ქაღი ჰქნის,
ფოთლები მიჰქნის ქაღაქაღ. . .“
(გალაკტიონი)

„ქაღწულ ყვავილს ქაღწულ ბაღში,
ქაღწულივე ქაღი რგავდა“

(ი. გრიშაშვილი)
„კადვის კალთა ჩაზლართული, ჩავჭედ ჩავაკადაბაკე“
(შ. რუსთაველი)

„ტანო ტატანო, გულწარმტანო, უცხო მარებო!
ზილოფო, კავებო, მომკლავებო, ვედ საკადებო“
(ბესიკი)

პანტორითმაც და პარცელაციაც ესთეტიკურ შემოქმედებას ახორციელებს:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი. . .“
(ჩახრუხაძე „თამარიანი“)

„ლაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“
(პ. იაშვილი „ღარიანული“)

რა თქმა უნდა, იზოლირებულად აღებულ ბგერას სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ ტექსტში ბგერითი შეერთებები და განმეორებები შეფერილნი არიან განსაზღვრული სემანტიკით, საერთო

აზრით, ხატოვანებით, გამომხატველობით და ამიტომაც აღიქმებიან როგორც აზრის ან ხატის მატარებელი ან გამაძლიერებელი.

ფრანგულ ლინგვისტიკაში არსებობს თანხმოვანთჯგუფები, რომელთა მნიშვნელობა-გამომხატველობა დადასტურებულია: bl – სინაზე, სირბილე; br – სისასტიკე, უღმობელობა, თრთოლა; bsk – დაბრკოლება; bt – სირთულე; kr – მკაცრი, უხეში; ks – უსიამოვნო, სირთულე, აღზნება; ksp – დაშორება, სიფართოვე; dr – მიმდინარე, მიმავალი (მოძრაობის სემა); fl – ნაზი, ნორჩი, მსუბუქი, აბრეშუმოვანი; fr – ნგრევა, შიში, მწუხარება; gl – სინარული, სინათლე; gr – უსიამოვნო, პირქუში; gz – დაშორება, დისტანცია; pl – სიძულვილი, უკუგდება; pl – სიფართოვე; pr – კანკალი, თრთოლა; psl – მოწოდება, ყურადღება; rd, rf, rs, rt, rz – მოძრაობა; st – ჯიუტი, პირდაპირი, ფიქსირებული, tr – მიმდინარე და ა. შ.

წარმოვიდგინოთ გალაკტიონის ზემოთ მოყვანილი ციტატის ფრანგული თარგმანის 2 ვარიანტს:

"Le vent souffle en sifflant, le vent souffle,
Sur les feuilles qui fuient, le vent s'ouvre..."
(ს. წულაძის თარგმანი)

"Bruit du vent, cri du vent, gémissement,
et les feuilles emportées par le vent..."
(თ. ავალიანის თარგმანი)

და იმავე ციტატის იტალიურ თარგმანს:

"Il vento, senti, spira, grida e gira,
Di vento in vento volteggiano le foglie..."
(ლუიჯი მაგაროტოს თარგმანი)

ფრანგული და იტალიური თარგმანებიდან თ. ავალიანის თარგმანის უღერადობა მეტად ემთხვევა ორიგინალს, რადგან გალაკტიონის სტრიქონებში ფონემური ჯგუფის „ქღ“-ს ალიტერაცია, რომელიც „ქროლვას, სიმკაცრეს“ უკავშირდება, გამოხატულია თ. ავალიანის თარგმანში, სადაც „br“ და „dr“ ფონემური ჯგუფები იმავე სემანტიკით არიან გაჟღერებული (სიმკაცრისა და თრთოლვის).

ბგერითი სიმბოლიზმის და ასევე ხმაბაძვის გამოყენების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს სხვადასხვა ფოლკლორული ტექსტები: შელოცვები, წეს-ჩვეულებათა რიტუალები და სხვ. წარმოვიდგინოთ მწვემსთა შელოცვის ტექსტს მგლის მიმართ, რომელიც შემორჩენილია საფრანგეთის მთიან რაიონებში:

"Viens, bête à laine; c'est l'agneau de l'humilité; je te garde.

C'est l'agneau du Redempteur, qui a jeuné quarante jours, sans rébellions, sans avoir pris aucun repas de l'ennemi, et fut tenté en vérité. Va droit, bête grise, à gris aggripense, va chercher la proie, loups et louveteaux; tu n'as point à venir à cette viande, qui est ici".

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ტექსტის ყველა – 8 თანხმოვანთჯგუფი შეიცავს r-ს: gr – გვხვდება სამჯერ; pr – ორჯერ, dr, rd და rs – თითო-თითოჯერ.

ქრ-ს შესაბამეობა ნიშნები: უსიამოვნო, პირქუში, ქრ-ს თრთოლა, ქდ-ს მოძრაობა.

ზემოთ მოყვანილ ფრანგულ ტექსტში რ-იანი ჯგუფების სიუხვის ახსნა მარტივია: ყველა ეს კონსონანტური ჯგუფი იმიტირებს „ლრიალს, ღრენას, ბრდღვინვას“, რაც გამოიწვევს მგლის შეშინებას და იგი აღარ მიეკარება ცხვარს.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონსონანტური ჯგუფის მაგიური ფუნქციის გამომხატველობასთან.

ფონემათა ჯგუფების სისტემური და ფუნქციური მახასიათებლების კვლევა ღიდ პერსპექტივებს ვარაუდობს.

ლიტერატურა

- R. Jakobson**, Principes de phonologie historique, Hague-Paris 1971.
Berghe van den Ch., La phonostylistique du français, Hague-Paris 1976.
Carton F., Introduction à la phonétique du français, Paris 1974.

Tsiuri Akhvlediani

The Aesthetic Function of Phonemic Groups

Summary

The phonemic groups of a language have demarcational, structurizing, recognitional, aesthetic, magical and other functions, which are carried out within the limits of a word and a continuous text. An aesthetic effect, i.e. creation of a certain condition for the receiver of information obviously takes place in poetry.

The phonemic units are connected with some semantics, expressiveness, figurativeness, and thus are regarded as bearers or intensifiers of such feelings as tenderness, fear, happiness, attention, sorrow, affection, lightness, rudeness, etc. Folkloric texts of conjuration, traditional rituals, etc. represent a particular case of usage of sound symbolism.

**ხშირისა და განხშირის საპრობლემატიკა აქცესიურ და დეცესიურ
თანხმოვანთა კომპლექსებში**

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში განხშირებულია თანხმოვანთა მიმდევრობის ორი ტიპი: დეცესიური და აქცესიური. დეცესიური ეწოდება ორი თანხმოვნის ისეთ მიმდევრობას, სადაც პირველი თანხმოვანი უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე მომდევნო. დეცესიურ კომპლექსებში გამოყოფენ ე.წ. ჰარმონიული კომპლექსების ორ ჯგუფს, A და B სისტემებს:

A სისტემა	B სისტემა
ბგ ფქ ჰკ	ბლ ფხ ჰყ
ღგ თქ ტკ	ღლ თხ ტყ
ძგ ცქ წკ	ძლ ცხ წყ
ჯგ ჩქ ჭკ	ჯლ ჩხ ჭყ

მათ საერთო აქვთ პირველი ელემენტები (ხშულთა და აფრიკატთა სამეულები), განხშირებას ქმნის მეორე კომპონენტი: A სისტემაში – ხშულებია (აბგა, ფქვილი, ღგომა, თქმა მწკრივი...), B სისტემაში კი – ნაპარალოვნები (ცხარე, წყალი, დღე...).

დეცესიური კომპლექსები ქართული ენის სპეციფიკური მოვლენაა. ავტორთა აზრით (ახვლედიანი 1949, ქუთელია 1959), ეს კომპლექსები გამოირჩევიან როგორც არტიკულაციურად, აგრეთვე ფუნქციონალურად. მათ მიაჩნიათ, რომ დეცესიურ კომპლექსებში შემავალ თანხმოვანთა არტიკულაცია „მიისწრაფვის ერთჟამიერო-ბისაკენ“... „შეიძლება ითქვას, რომ ბღ ჯგუფში ბ და ღ-ს ხშვა ხდება თითქმის ერთჟამიერად... ერთჟამიერობისკენ მიდრეკილ-ლება, ყოველ შემთხვევაში, ყველაშია, და ეს ერთჟამიერობა გვაქვს თანხმოვანთა არტიკულაციის პირველ ნაწილში (იგულისხმება ხშვა), ხოლო მეორე მომენტი ორივეს თავისი აქვს (განხშირეან ჰაერის დინება)“.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჰარმონიული კომპლექსების A სისტემაში არ არის შეყვანილი ისეთი დეცესიური თანხმოვნობა როგორცაა ბღ, ფთ, პტ. უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების ციფრული ანალიზით მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად მათი სურათი ფაზების მიხედვით ადეკვატურია ჰარმონიული კომპლექსების სურათისა (იხ. სურათი 1, 2).

დეცესიური კომპლექსების ფუნქციური თავისებურება, ამ ავტორთა აზრით, მარცვალთან არის დაკავშირებული: დეცესიური კომპლექსი ყოველთვის ერთ მარცვალშია მოთავსებული, მის კომპონენტებს შორის მარცვალთგასაყარი არ გადის.

აქცესიური ეწოდება ისეთ ორთანხმოვანი მიმდევრობას, სადაც პირველი ბგერა უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე მეორე (გღება, გზა,

შფოთავს...)). მიაჩნიათ, რომ აქცესიური კომპლექსები ფიზიოლოგიურად „ნაკლებად ბუნებრივი“ მიმდევრობაა და ამიტომ ხდება მათი სუპერაცია. სხვადასხვა ენაში სუპერაციის სხვადასხვა შესაძლებლობა არის გამოყენებული.

ამრიგად, დეცესიური და აქცესიური ბგერათმიმდევრობა მკვეთრად დაპირისპირებული ოდენობაა. ვფიქრობთ, ასეთ მკვეთრ დაპირისპირებას არა აქვს მყარი საფუძველი.


აქცესიური და დეცესიური კომპლექსების ექსპერიმენტული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ კომპლექსებში ხშვისა და განხშვის თვალსაზრისით სურათი მსგავსია – მათ კომპონენტებს აქვთ საკუთარი ხშვა და განხშვა. მხოლოდ აქცესიურ კომპლექსებში მეორე კომპონენტის ხშვის ფაზა შედარებით უფრო გრძელია. შეიძლება ითქვას, „ერთჟამიერობისაკენ მოსწრაფება“ დეცესიურ კომპლექსებში გამოხატულია მეორე კომპონენტის ხშვის დამოკლებით (იხ. სურ. 3, 4).

ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ (ნ. იმნაძე), რომელიც მიზნად ისახავდა დეცესიური კომპლექსების კომპონენტთა აკუსტიკური ფაზების დროითი მახასიათებლების შედარებით შესწავლას, დაადგინა, რომ ყველა ჰარმონიულ კომპლექსში კომპონენტთა ხშვის ფაზები გათიშულია, ე.ი. ერთჟამიერობა არ დასტურდება.


არსებობს მოსაზრება (Ladefoged 1977, 52-53), რომ ნებისმიერ ხშულ თანხმოვანთა თანმიმდევრობაში წინა ხშულს არა აქვს განხშვა (it is unexploded), მის ადგილს იკავებს მომდევნო თანხმოვნის ხშვა, რასაც მოსდევს საერთო განხშვა. აქ ავტორის ტერმინოლოგიით საქმე გვაქვს ე.წ. ანტიციპაციურ კოარტიკულაციასთან (anticipatory coarticulation).

მისი მაგალითებია: *act* და *apt* თანმიმდევრობა, რომელთაგან პირველი აქცესიურია, მეორე კი - დეცესიური, მაგრამ ხშვა-განხშვის თვალსაზრისით, ერთ-გვაროვან სურათს გვაძლევს: ორსავეს აქვს თავისი ხშვა, ხოლო განხშვა საერთოა.


რაც შეეხება დეცესიური კომპლექსების მარცვალთან დამოკიდებულებას, აქ ორი შესაძლებლობაა: დეცესიური კომპლექსი ან ერთ მარცვალში შედის, ან განაწილდება ორ მარცვალზე, როგორც აქცესიური თანმიმდევრობა, ა-ღგა ან აღ-გა შდრ. აგ-ღებს.




სურ. 1



სურ. 2 და | ბ | ა | ა



სურ.. 3 და | ბ | ა | ა



სურ. 4 და | ბ | ა | ა

ლიტერატურა

- ახვლედიანი 1949* – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1949.
- იმნაძე 1985* – ნ. იმნაძე, სშული ჰარმონიული კომპლექსებისათვის ქართულში, იკე, XXIV, 1985.
- კუთელია 1959*) – Кутелия Н. С., Экспериментально-фонетическое исследование двух систем гармонических комплексов в грузинском языке, Фонетический сборник I. Труды кафедры общего языкознания, Тбилиси 1959.
- Ladefoged 1977* – Ladefoged P., A course in Phonetics, sec.ed., 1977.

Isabela Tevdoradze

The Case of Occlusion and Explosion in the Groups of Introvert and Extrovert Consonants

Summary

Two types of groups are distinguished in the consonant order: introvert and extrovert. The components of the harmonious groups are said to have momentary occlusion, but each of them have their own explosion. Thus they from the extrovert consonant order. The difference is also functional – the harmonious groups go into one syllable (G. Akhvlediani, N. Kutelia). According to the recent scientific studies the extrovert and introvert consonant groups both have their own occlusion and explosion. P.Ladefoged suggests that these groups are more specific in speech: in any occlusive consonant order the preceding occlusive is unexploded and the following consonant takes place as a result we get the overall explosion.

დისტანციური დისიმილაციური გამჟღავნება სვანურ ენაში¹

ხშილთა დისტანციური დისიმილაციური გამჟღავნების არსი ზოგადად მდგომარეობს შემდეგში: სიტყვაში შემავალი ორი ყრუ ხშილიდან ერთ-ერთი მჟღერდება, ანუ ორი ყრუ ხშილი განემსგავსება ერთმანეთს მჟღერობა-სიყრუის მიხედვით. კერძოდ, თუ სიტყვაში ორი აბრუპტივია ან ორი ფშვინვიერი, ან აბრუპტივი და ფშვინვიერი, დისიმილაციური გამჟღავნების საფუძველზე ერთი მათგანი გამჟღერდება. მაგალითები:

მთიულური – ბატარა < პატარა, ხევსურული – ბაჭიჭი < პაჭიჭი, ქართული – ზადიკი < ყ ა ს ი ჰ ყ (zatic) (სომხ.), ოსური – ბიტნა < პიტნა, სვანური – ბაპ < პაპა, დაიჭ < ტაიჭი, მადრანკ < მათრანკ და სხვა.

ბოლო მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ე ფუნქციონალურად იქცევა როგორც ხშილი, რადგან სვანურში დისტანციური გამჟღავნება მხოლოდ ხშილებს შორის არის დასაშვები.

გიორგი ახვლედიანისა და სერგი ჟღენტის მიხედვით ქართულიდან სვანურში ნასესხებ სიტყვებში ხშილთა დისტანციური დისიმილაციური გამჟღავნების მაგალითებია, რეგრესული: ბალტო < პალტო, ბაპ < პაპა, ბატრონი < პატრონი, ბაწკ < პაწკი, ბეტრე < პეტრე, ბირწამლ < პირწამლი, გაკ < კაკალი, გალტეზ < კალატოზი, გარყანდ /ღარყანდ < ყარყატი, გატ < ქატო, გირწყალ < კირწყალი, გოწხირ < კოწახური, დაიჭ < ტაიჭი, დგტ < ტუტა, ებისკოპოსი < ეპისკოპოსი, ლაგურკა < კვირიკე, მადრანკ < მათრანი, ჯაჭარ < ჭაჭები, ჯაჭკ < ჭიკჭიკი; პროგრესულია – კრამიდ < კრამიტი, კუბეც < კუბეცი (купец), სღუბანუ < სტეფანე, ტაბანგ < ტაბაკი, ყანჯუ < ყანჩა, ყაჭ < ყაჭი, ჭახრანგან < ჭახრაკია, ჭანგ < ჭაკი (ახვლედიანი, 1949, 385-386; ჟღენტი, 1949, 167-168).

ქართულიდან სვანურში ნასესხებ სიტყვებში დისტანციური დისიმილაციური გამჟღავნების მაგალითების საფუძველზე გიორგი ახვლედიანი დაასკვნის: “სვანურის ხშილთა დისიმილაციურ გამჟღავნებაში მოქმედებს როგორც რეგრესული, ისე პროგრესული გამჟღავნება და დისტანციურში ჭარბობს რეგრესული, ხოლო კონტაქტურში – პროგრესული” (ახვლედიანი 1999, 388).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებს უნდა დაემატოს როგორც რეგრესული, ისე პროგრესული დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღავნების რამდენიმე ნიმუში. კერძოდ, რეგრესულის მაგალითებია: ბიწარ/ბირწალ < ფიწალი; ბრატ – სვანურად ნიშნავს ღვედს, სავარაუდოა, რომ ეს სიტყვა ძველი ქართულიდან შესულია სწორედ გლოტალიზებული თანხმოვნებით, რადგან ძველ ქართულში მეპრატაკე, რომელიც მეტყავეს, დაბალს ნიშნავს, სემანტიკურად ღვედთან ძალიან ახლოს არის; ხოლო პროგრესულის –

¹ მოხსენება წაკითხულია გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 119-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 2006 წელს.

ჭაბიგუ < ჭაბუკი; ჭაგუ < ჭლაკვი; წიბარ < წრიაპი; ჭადრანგ < ჭადრაკი.

სვანურ სიტყვებში დისტანციური რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერება, როგორც წესი, ხორციელდება ერთი ხმოვნითა და სონორი ბგერით გათიშულ თანხმოვნებს შორის ანუ CVC, CVSC და CSVC სტრუქტურებში.

გამონაკლისია: ა) დაიჭ < ტაიჭი, როდესაც ხშულებს შორის ორი ხმოვანია, რაც პრინციპში CVC სტრუქტურის მოდიფიკაციაა (დასაშვებია აგრეთვე, რომ ხმოვანი რეალიზდებოდეს როგორც ა სონორი; ბ) ებისტოლე < ებისტოლე, სადაც მეორე თანხმოვანს წინ უსწრებს არა სონორი, არამედ ნაპრალოვანი. თუმცა ეს ფორმა (ებისტოლე) პარალელურად ძველ ქართულშიც არსებობს და სავსებით დასაშვებია, რომ სვანურში ძველი ქართულიდანვე გამჟღერებული სახით შესულიყო; ბერძნულიდან, სომხურიდან და სპარსულიდან ძველ ქართულში შემოსულ სიტყვებში ინტერვოკალური ყრუების გამჟღერება ჩვეულებრივი მოვლენაა – ებისტოლე < ἐπιστολή, ზადიკი < ღათიქი (zatic), ჭაბუკი < čapük, ნიადაგი < nihatak (ჟღენტი, 1949, 169; ანდრონიკაშვილი, 1966, 193, 195).

CVC, CVSC და CSVC სტრუქტურებში დისტანციური პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების მაგალითები გაცილებით ნაკლებია: ყანჯუ < ყანჩა, ჭანგ < ჭაკი, ჭაგ < ჭლაკვი, წიბარ < წრიაპი (ყანჯ < ყაჭი სვანურის ლექსიკონში არ დასტურდება).

ამ მაგალითებში რეგრესული დისიმილაციის განუხორციელებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით: ა) როდესაც პირველი თანხმოვანი არის აფრიკატი წ ან ჭ, მათი გამჟღერების „ხელის შემშლელი“ შესაძლოა იყოს ის, რომ გლოტალიზაცია აფრიკატებისათვის უფრო ბუნებრივი ნიშანია, ვიდრე მჟღერობა (მელიქიშვილი 1976, 152); ბ) ხოლო -აკ მიმდევრობაში ხშულის გამჟღერება შეიძლება ანალოგიური იყოს საშუალო სპარსულიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში ბოლოკიდური ყრუ ველარის გამჟღერების მაგალითებისა: ფარდაგ-ი < pārdak, ამხანაგ-ი < hamxānak, ნიადაგ-ი < nihatak და სხვა (ანდრონიკაშვილი, 1966, 192, 196, 197). სავარაუდოა, რომ ქართულის ეს თავისებურება, თუნდაც ანალოგიის გამო, სვანურისთვისაც ყოფილიყო დამახასიათებელი; გ) რაც შეეხება ყ თანხმოვანს, მისი გამჟღერების შესაძლებლობა ერთობ ჰიპოთეტურია, რადგან სვანურში შესატყვისი მჟღერი არ არსებობს და, როგორც ჩანს, არც არსებობდა (გარყანდ/ღარყანდ – ეს ფორმები სვანურის ლექსიკონში არ არის დაფიქსირებული).²

მაშასადამე, სვანური ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხშულთა დისტანციური რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერება CVC, CVSC და CSVC სტრუქტურებისათვის არის უფრო დამახასიათებელი.

რაც შეეხება თავკიდური და ბოლოკიდური ხშული თანხმოვნების დისტანციური პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშებს ორმარ-ცვლიან სიტყვებში, სავარაუდოა, რომ ბოლოკიდურის გამჟღერება შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა ფონეტიკური და არაფონეტიკური ფაქტორებით.

² ხმაბაძვითა სვანურში – ღარღად– „ბატი“.

კერძოდ, მაგალითებში: ტაბაგ < ტაბაკი, ჭაბიგუ < ჭაბუკი, ჭადრაგ < ჭადრაკი – უპირატესობა ენიჭება ბოლოკიდური ველარი აბრუპტივის გამჟღერების ტენდენციას, რომელიც იშვიათად ერთმარცვლიანებშიც იჩენს თავს. არ უნდა გამოირიცხოს ხმოვნით ან ხმოვნითა და სონორით დაშორებული წინამავალი მჟღერი თანხმოვნის მასიმილირებელი გავლენა ანუ დისტანციური პროგრესული ასიმილაცია. მჟღერის პროგრესული დისიმილაციის სხვა მაგალითში – კრამიდ³ < კრამიტი – წინაენისმიერი აბრუპტივის გამჟღერების განმსაზღვრელი შესაძლოა იყოს მორფოლოგიური ფაქტორი.

სხვა ტიპის მაგალითია – კუბეც⁴ < კუბეცი. გახვლედიანის მიხედვით ინტერვოკალური ხშულის გამჟღერებას იწვევს თავკიდური აბრუპტივი (პროგრესული დისიმილაცია), ხოლო ს.ჟღენტის აზრით, რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე განმსგავსება ზდება ბოლოკიდურ ფშვინვიერსა და ინტერვოკალურ მკვეთრს შორის (ახვლედიანი, 1999, 387; ჟღენტი, 1949, 168). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითში შესაძლებელია ორივე მიმართულების დისიმილაცია მოქმედებდეს, და ამას ემატებოდეს ინტერვოკალური ყრუების გამჟღერების ტენდენცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სვანურისათვის ძირითადად დამახასიათებელია ხშულთა დისტანციური რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერება და ეს პროცესი განსაკუთრებით მწყობრია CVC, CVSC და CSVC სტრუქტურებში, სადაც მოქმედებს მარტივი წესები, კერძოდ: ა) უმრავლეს შემთხვევაში განმსგავსება ზდება ორ აბრუპტივს შორის; ბ) პროცესი ყოველთვის რეგრესულია, თუ დისიმილაციურ პროცესში მონაწილეობს ერთი და იმავე რაგვარობის ორი თანხმოვანი (ორივე მსკლომი ან ორივე აფრიკატი), ან პირველი თანხმოვანია მსკლომი და მეორე კი აფრიკატი. ამ წესიდან გადახვევა – პროგრესული დისიმილაცია – ზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი თანხმოვანი წ.ჭ.ყ – აფრიკატია. მაშასადამე, გლოტალიზებული აფრიკატი არ ექვემდებარება მჟღერი ხშულ-მსკლომის რეგრესულ-დისიმილაციურ გავლენას, რადგან გლოტალიზაციის ნიშნისათვის აფრიკატობა უკეთეს პირობას წარმოადგენს ვიდრე ხშულ-მსკლომობა (მელიქიშვილი, 1976, 102).

ლიტერატურა

- ახვლედიანი 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1999.
- ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი 1966.
- მელიქიშვილი 1976 – ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი 1976.
- ჟღენტი 1949 – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი 1949.
- სვან. 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალღანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი 2000.

³ ეს სიტყვა სვანურის ლექსიკონში არ არის დაფიქსირებული (სვან. 2000).
⁴ ასევე არ არის დაფიქსირებული სვანურის ლექსიკონში.

Incontiguous Dissimilative Voicing in Svan Language

Summary

As a result of incontiguous dissimilative voicing of the stops one of the two voiceless stops becomes voiced.

In dissimilative voicing of Svan stops regressive as well as progressive voicing occurs. Incontiguous dissimilation is mostly regressive, whereas juxtapositional dissimilation is mostly progressive (G. Akhvlediani).

The Svan stops are mainly characterized by incontiguous regressive dissimilation and this process is very consequent in the structures of the type CVC, CVSC and CSVC, where simple rules apply, in particular: a) In most cases dissimilation takes place between ejective stops; b) The process is always regressive if two consonants of the same mode of articulation (both plosives or both affricates) take part in dissimilation, or the first consonant is plosive and the second – affricate.

The deviation from this rule – progressive dissimilation – takes place only when the first consonant is an ejective affricate (č', č', q') and the second – an ejective plosive, i.e. the ejective affricate is not subject to regressive-dissimilative influence of the ejective plosive, since the feature of glottalization is a better condition for the functioning of affricates than for that of plosives (I. Melikisvili).

**ხშულ ფონემათა დისტრიბუცია და მათი სინჰრონიზაცია
ურთიერთმიმართება ეტიოპიის სემიტურ ენათა
პირველ მორფემებში**

წინამდებარე წერილში განხილულია ჰეტერორგანულ ხშულთა ჰომოგენური და ჰეტეროგენური სტრუქტურები სამი ლოკალური რიგის (ლაბიალური, დენტალური, ველარული) და სამი სერიის მიხედვით (მჟღერი, ფშვინვიერი, გლოტალიზებული) ეტიოპიის სემიტური ენების (მკ. ეტიოპური, ტიგრინა, ტიგრე, ჰარარი, ამჰარული) სამთანხმონიან ძირეულ მორფემებში. აღნიშნული სტრუქტურები შესწავლილია წარმოების ადგილის მიხედვით: წინა წარმოება – უკანა წარმოება (დეცესიური სტრუქტურები), უკანა წარმოება – წინა წარმოება (აქცესიური სტრუქტურები) (ახვლედიანი, 1949, 105) და ლარინგალური არტიკულაციის ნიშნით (ოპოზიციით მჟღერი – ფშვინვიერი – გლოტალიზებული). ხშულ ფონემათა ფუნქციონალური დატვირთვის სინშირე, წარმოდგენილი რეალურ ციფრებში თითოეული ეტიო-სემიტური ენის ლექსიკონის მიხედვით, იძლევა საშუალებას გაირკვეს, რა მიმართებაშია (იერარქიული თვალსაზრისით) ხშულ ფონემათა ლოკალური თვისებები ლარინგალური არტიკულაციის თვისებებთან:

<i>მკ. ეტიოპური</i>		<i>ტიგრინა</i>		<i>ტიგრე</i>	
252b	14p' 2p ^h	144b	–	–	303b – –
197d	129t' 121t ^h	118d	88t'	81t ^h	275d 153t ^h 11t'
167g	211k' 150k ^h	115g	124k'	93k ^h	138g 218k ^h 179k'
<i>ჰარარი</i>		<i>ამჰარული</i>			
62b	– –	153b	–	–	
67d	53t' 28r ^h	145d	158t'	117t ^h	
47g	79k' 34k ^h	140g	143k'	88k ^h	

მთლიან სინშირეთა მონაცემთა საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ხშული თანხმონების ლოკალური რიგების იერარქია აღნიშნულ ენობრივ სისტემებში: ველარები>დენტალური>ლაბიალური. მხოლოდ ტიგრეებში განსხვავებული რიგია წარმოდგენილი: დენტალური>ველარები>ლაბიალური. ტიპოლოგიური პარალელები აღინიშნება ქართველურ, კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში (მელიქიშვილი, 1974, 98). ორივე შემთხვევაში ველარების გავრცელების სინშირე საგრძობლად მეტია ლაბიალურზე, თუმცა ცალკე /ბ/ ფონემის სინშირე აღემატება ველარისას, რაც არ შეესაბამება საერთოდ ლაბიალურ და ველარულ თვისებათა ურთიერთმიმართებას (მდრ. ქართველურს და კავკასიურ ენებს; ინდოევროპულს, სემიტურს და თურქულს) (მელიქიშვილი, 1974, 99). ამგვარად, ლოკალურ თვისებათა იერარქია მჟღერი ფონემების სერიაში შემდეგია: b>d>g; მიმდევრობა b>d იცვლება ჰარარიში: d>b>g. თუმცა ლაბიალური და ველარი ფონემების

კორელაცია არ ირღვევა, მჟღერი ლაბიალის სიხშირე მეტია მჟღერი ველარის სიხშირეზე. ლოკალური თვისებების საპირისპირო კორელაციას აქვს ადგილი ფშვინვიერ ფონემების სერიაში: $k^h > t^h$. რიგი ირღვევა მხოლოდ ამჰარულში: $t^h > k^h$. რაც შეეხება გლოტალიზებულთა სერიას, ყველა მოცემულ ენობრივ სისტემაში $k' > t'$, გამონაკლისია ისევე ამჰარული $t' > k'$.

ამგვარად, სიხშირეთა შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ: ხშულთა სამ ლოკალურ რიგში და სერიაში იერარქიის თვალსაზრისით დომინირებს მიმდევრობა მჟღერი – ფშვინვიერი; დენტალთა რიგში მჟღერი – გლოტალიზებული – ფშვინვიერი, რომელიც ირღვევა ტიგრეს შემთხვევაში: მჟღერი – ფშვინვიერი – გლოტალიზებული და ამჰარულში: გლოტალიზებული – მჟღერი – ფშვინვიერი. რაც შეეხება ველართა რიგს, ყველა ენობრივ სისტემაში დაცულია ერთნაირი მიმდევრობა: გლოტალიზებული – მჟღერი – ფშვინვიერი, გამონაკლისს წარმოადგენს ისევე ტიგრე: ფშვინვიერი – გლოტალიზებული – მჟღერი: $k^h > k' > g$ (მელიქიშვილი, 1974, 99) მჟღერ ხშულთა სერიაში არამარკირებულია კომბინაცია მჟღერობისა ლაბიალურობასთან /b/; ფშვინვიერ ფონემათა სერიაში არამარკირებულია კომბინაცია ფშვინვიერობის ველარულობასთან /k^h/, ხოლო მჟღერობა შერწყმული ველარულობასთან ქმნის სიხშირის თვალსაზრისით შედარებით სუსტ გ ერთეულს: გამონაკლისის გარეშე ყველა ენობრივ სისტემაში: $b > d > g$ (მელიქიშვილი, 1976).

საინტერესოა, ჰეტერორგანულ ხშულთა რომელი ჰომოგენური და ჰეტერორგანული მიმდევრობებია დასაშვები ეთიო-სემიტურ ენათა ძირეულ მორფემებში. მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ძირეული მორფემების ჩამოყალიბებაში მჟღერთა კომბინაციაში პრევალირებს აქცესიური მიმდევრობა.

ჰეტერორგანულ ფონემათა ჰეტეროგენური სტრუქტურების ანალიზი იძლევა ლარინგალური არტიკულაციის შემდეგი სახის კორელაციას წარმოების ადგილის არტიკულაციასთან:

დეცესიური სტრუქტურები
(წინა წარმოება – უკანა წარმოება)
წარმოება)

აქცესიური სტრუქტურები
(უკანა წარმოება – წინა წარმოება)

მჟღერი – გლოტალიზებული
 $b-k' \quad b-t' \quad d-k'$
მჟღერი – ფშვინვიერი
 $b-k^h \quad b-t^h \quad d-k^h$
ფშვინვიერი – გლოტალიზებული
 t^h-k'

გლოტალიზებული – მჟღერი
 $k'-b \quad t'-b \quad k'-d$
ფშვინვიერი – მჟღერი
 $k^h-b \quad t^h-b \quad k^h-d$
გლოტალიზებული – ფშვინვიერი
 $k'-t^h$

განსხვავებულ სტრუქტურათა მოდელებია წარმოდგენილი მჟღერ /g/ ფონემასთან დაკავშირებით:

დეცესიური სტრუქტურები

გლოტალიზებული – მჟღერი
 $t'-g$
ფშვინვიერი – მჟღერი
 t^h-g

აქცესიური სტრუქტურები

მჟღერი – გლოტალიზებული
 $g-t'$
მჟღერი – ფშვინვიერი
 $g-t^h$

ამგვარი სტრუქტურები ხასიათდება დაბალი სიხშირით, მაგ. ძვ. ეთიოპურში მხოლოდ ორი ძირეული მორფემაა აქცესიური და დეცესიური მიმდევრობებით. გარდა ამისა, არის კიდევ ორი გ-პ' მიმდევრობით. აღსანიშნავია, რომ გლოტალიზებული /p'/ ფონემა ყოველთვის ბოლოკიდურ პოზიციაშია (მელიქიშვილი, 1974, 63-65). ტიგრინაში სამი ძირეული მორფემა თავკიდურ პოზიციაში; ტიგრეში და ჰარარიში მხოლოდ სამი ძირეულ მორფემაში რეალიზდება კონტაქტური და დისტანციური მიმდევრობები; ამჰარულში ამგვარი სტრუქტურების რიცხვი უფრო მეტია (აქცესიური – 15; დეცესიური – 7).

აქცესიური სტრუქტურების სიხშირე, მიმდევრობით გლოტალიზებული – მჟღერი, ცალკეულ ენებში (ძვ. ეთიოპური, ტიგრინა, ტიგრე) მეტია დეცესიურზე. გამონაკლისს წარმოადგენს ამჰარული, რომელშიც სჭარბობს დეცესიური სტრუქტურა მიმდევრობით მჟღერი – გლოტალიზებული ანუ დომინანტი არის მჟღერობა შეხამებული უკანა წარმოების არტიკულაციასთან. თუმცა იმ სტრუქტურებში, რომელშიც მჟღერი /d/ ფონემა და გლოტალიზებული /k'/ ფონემაა, პრევალირებს დეცესიური სტრუქტურები მიმდევრობით მჟღერი – გლოტალიზებული: d-k' > k'-d. მხოლოდ ტიგრეში არის დეცესიურ და აქცესიურ სტრუქტურათა სიხშირე ერთი და იგივე, ტიგრინასა და ტიგრეში მჟღერი /g/ და /b/ ფონემების კომბინაციები ფშვინვიერ /t^h/ ფონემასთან ავლენს დეცესიური სტრუქტურების უპირატესობას: t^h-g > g-t^h; b-t^h > t^h-b.

ეთიო-სემიტური ენების ძირეულ მორფემათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

ნშულ ფონემათა სტრუქტურებში მჟღერი ლაბიალი /b/ ფონემა, გლოტალიზებული /k'/ და ფშვინვიერი /k^h/ ფონემები გამოირჩევიან თავისუფალი დისტრიბუციით.

ყველაზე არამარკირებული კომბინაცია არის სტრუქტურა, შემცველი მჟღერი /b/ და გლოტალიზებული /k'/ ფონემებისა.

დენტალის ფუნქციონალური დატვირთვა უფრო შეზღუდულია ნშულთა კომბინაციებში. თითქმის ყველა არარეალიზებული სტრუქტურა დენტალის შემცველია (მდრ. მელიქიშვილი, 1974, 65).

აქცესიური სტრუქტურების სიხშირე, ჰომოგენური და ჰეტეროგენური მიმდევრობებით, მეტია დეცესიური სტრუქტურების სიხშირეზე, ან მათი სიხშირე ტოლია, ან დეცესიური სტრუქტურები არ არის წარმოდგენილი. მხოლოდ ამჰარულში ჰომოგენურ სტრუქტურებში, მიმდევრობით გლოტალიზებული – გლოტალიზებული, აქცესიურ სტრუქტურათა სიხშირე მეტია დეცესიურზე.

ჰეტეროგენურ კომბინაციებში აქცესიური სტრუქტურების სიხშირე, მიმდევრობით გლოტალიზებული – მჟღერი მეტია დეცესიურზე. გამონაკლისია ამჰარული ენა, რომელშიც დეცესიური სტრუქტურების რიცხვი, მიმდევრობით მჟღერი – გლოტალიზებული საკმაოდ მაღალია.

საერთო სიხშირე სტრუქტურებისა, მიმდევრობით მჟღერი – მჟღერი მეტია, ვიდრე კომბინაციები მიმდევრობით გლოტალიზებული – გლოტალიზებული და ფშვინვიერი – ფშვინვიერი.

ჰეტეროგენურ სტრუქტურებში ნშულთა კომბინაციების სიხშირე, მიმდევრობით მჟღერი – გლოტალიზებული, მეტია კომბინაციებზე მიმდევრობით მჟღერი – ფშვინვიერი და გლოტალიზებული – ფშვინვიერი.

ჰომოგენურ სტრუქტურებში უფრო მარკირებული კომბინაცია არის დეცესიური მიმდევრობა ფშვინვიერი – ფშვინვიერი (ჰარარიში ამგვარი სტრუქტურა არ რეალიზდება).

ჰეტეროგენურ სტრუქტურებში ყველაზე მარკირებული კომბინაცია არის დეცესიური მიმდევრობა ფშვინვიერი – გლოტალიზებული (ძვ. ეთიოპურში, ტიგრინაში და ამჰარულში – აღნიშნული სტრუქტურა არ რეალიზდება).

გლოტალიზებული ლაბიალი /pʰ/ ფონემა შეიძლება ჩაითვალოს არამარკირებულად /pʰ/ ფონემის მიმართ (დასტურდება ძვ. ეთიოპურის სამთანხმოვნიან და ოთხთანხმოვნიან ძირებში), რაც ემთხვევა გლოტალიზებულ ფონემათა საერთო ტენდენციას ფშვინვიერ ფონემათა მიმართ ლოკალურ რიგებში (გამონაკლისს წარმოადგენს ტიგრე).

მაღალი სიხშირე გლოტალიზებული ფონემებისა უნდა იყოს განპირობებული სუბსტრატული გავლენით, მეორადი გლოტალიზაციის პროცესით.

ხოლო ორი არაიდენტური გლოტალიზებული ფონემის არსებობა ძირეულ მორფემაში უნდა იყოს შედეგი ერთ-ერთი ელემენტის ასიმილაციისა კომბინაციებში მჟღერი – გლოტალიზებული, ყრუ – გლოტალიზებული (Гринберг 1964, 41).

ცხრილი I

<i>დეცესიური სტრუქტურები</i>	<i>აქცესიური სტრუქტურები</i>
(წინა წარმოება – უკანა წარმოება)	(უკანა წარმოება – წინა წარმოება)
	მჟღერი – მჟღერი
გეეზი 12	25
ტიგრინა 9	27
ტიგრე 53	61
ჰარარი 5	20
ამჰარული 14	42
	ფშვინვიერი – ფშვინვიერი
გეეზი 3	7
ტიგრინა 5	12
ტიგრე 14	15
ჰარარი –	8
ამჰარული 7	16
	გლოტალიზებული – გლოტალიზებული
გეეზი 18	5
ტიგრინა 18	5
ტიგრე 14	10
ჰარარი 8	3
ამჰარული 11	18

ცხრილი II

<i>დეცესიური სტრუქტურები</i>	<i>აქცესიური სტრუქტურები</i>
მჟღერი – გლოტალიზებული	გლოტალიზებული – მჟღერი
გეეზი 26	32
ტიგრინა 21	23
ტიგრე 24	31
ჰარარი 20	19
ამჰარული 58	32

მჟღერი – ფშვინვიერი	ფშვინვიერი – მჟღერი
გეეზი 16	20
ტიგრინა 17	31
ტიგრე 36	44
ჰარარი 5	5
ამჰარული 22	23
ფშვინვიერი – გლოტალიზებული	გლოტალიზებული – ფშვინვიერი
გეეზი –	6
ტიგრინა –	3
ტიგრე 6	6
ჰარარი 2	3
ამჰარული –	4

ლიტერატურა

ახვლედიანი 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1949.

Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Реконструкция системы смычных Общеиндоевропейского языка. Глоттализированные смычные в Индоевропейском, Вопросы Языкознания, №4, Москва 1980.

Гамкрелидзе Т.В., Маркированность в фонологии и типология фонологических систем, Теоретические основы классификации языков Мира, Москва 1980, с.62.

T.V. Gamkrelidze, On the Correlation of Stops and Fricatives in a Phonological System, Reprinted from Universals of Human Language, Stanford, California, 1979.

Гринберг 1964 – Гринберг Дж., Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей, Вопросы Языкознания, №4, Москва 1964, с.41.

J.H. Grinberg, The Patterning of Root Morphemes in Semitic, "Word", 1950.

მელიქიშვილი 1974 – И.Г. Меликишвили, К изучению иерархических отношений единиц фонологического уровня, Вопросы Языкознания, №3, 1974, с.94.

მელიქიშვილი 1976 – ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი 1976.

И.Г. Меликишвили, Структура корня в общекартвельском и общеиндоевропейском, Вопросы Языкознания, №4, 1980, с.60.

ბ. ჟვანია, ძირის ფონოლოგიური სტრუქტურა გეეზში (ძველ ეთიოპურ ენაში), „მეცნიერება“, თბილისი 1975.

Н.А. Жвания, Дистрибуция согласных в корневых морфемах семитских языков Эфиопии, "Мецниереба", Тбилиси 1985.

E.Ullendorff, The Semitic Languages of Ethiopia, A Comparative Phonology, London 1955.

**The Distribution of Stops and their Frequency Correlation
in Ethio-Semitic Root Morphemes**

Summary

Summing up the results of analysis of root morphemes of the Semitic languages of Ethiopia, the following is noteworthy: In the system, as in the structures of stops, the voiced labial phoneme /b/, the glottalized velar /kʔ/ and the voiceless velar /k^h/ are distinguished by universally free occurrence.

The most unmarked combinations are the structures with voiced /b/ and glottalized /kʔ/.

The functioning of dentals is more restricted in the combinations of stops. The number of almost all unrealized structures are the sequences with dentals /.

The frequency of accessive structures with homogeneous and heterogeneous sequences is greater than the frequency of decessive ones or their frequencies are equal; in heterogeneous combinations the frequency of decessive structures with voiced-glottalized sequence only because of Amharic is greater than the frequency of accessive ones.

The general frequency of structures with the voiced-voiced sequence on the features of laryngeal articulation is greater than the frequencies of glottalized-glottalized and voiceless-voiceless sequences.

In heterogeneous structures the frequency of combinations with voiced and glottalized stops is greater than the frequency of combinations with voiced-voiceless and glottalized-voiceless sequences.

In homogeneous structures the most marked structure is the decessive structure with voiceless-voiceless sequence (in Harari such a structure is not found).

In heterogeneous structures the most marked combination is the decessive structure with voiceless-glottalized sequence (in Gəʿəz, Tigriña and Amharic such sequences of stops do not occur).

The phonemes /pʔ/ and /p^h/ are marked phonemes in old Ethiopic but the frequency of the glottalized labial phoneme is greater than the frequency of the voiceless one, which coincides with the general tendency of glottalized phonemes in other local groups (the exception is Tigre).

Probably the general high frequency of glottalized consonants is due to the substratum influence – the process of secondary glottalization.

The tendency to the combination of two non-identical glottalized phonemes within the root morpheme is considered as a result of the assimilation of one of the elements of voicing – glottalization; voicelessness – glottalization.

**ფიზიკური ხელოვნება რეპრეზენტაციული-დისტანციური
დისიმილაციური ბაზისებისათვის სვანურში¹**

გ. ახვლედიანიმ ოსურში ქართულიდან ნასესხები სიტყვების მაგალითზე დააფიქსირა ყრუ ხელოვნება დისიმილაციურ-დისტანციური გამჟღავნების შემთხვევები: სიტყვის ფუძეში ერთმანეთისაგან დისტანციურად დაშორებული ორი ყრუ ხელოვნება თანხმობიდან ერთი მჟღავნება, ჩვეულებრივ – წინამავალი (იშვიათად – მომდევნო): ოსურ. ბ ე ტ რ ე < ქართ. პეტრე, ოსურ. ბ ი ტ ნ ა / ბ ე ტ ი ნ ა < ქართ. პიტნა, ოსურ. დ ი ჭ ი < ქართ. ტიკი... (ახვლედიანი, 1941, 43; 1949, 374-383).

შემდგომში ყრუ ხელოვნება დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღავნების ფაქტები დადასტურდა სვანურში – ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში (გ. ახვლედიანი, გ. როგავა) და ქართულში – ძველ ქართულსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. ამ ფონეტიკურ პროცესს კიდევ რამდენიმე ავტორი შეეხო: ა. შანიძე, ვ. თოფურია, ს. ჟღენტა, ფ. ნაისერი, გ. დეგტერსი... (საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურისათვის იხ. როგავა, 1984).

გ. როგავამ სპეციალურად შეისწავლა ხელოვნება დისიმილაციური გამჟღავნების საკითხი ზანურსა და სვანურში და ამ ენობრივ კონტექსტშივე განიხილა ყაბარდოულ ენაში ხელოვნება დისიმილაციური გამჟღავნების დამადასტურებელი ფაქტები რუსული ენიდან შემოსული ნასესხობების მიხედვით. გ. როგავამ დაამოწმა გ. ახვლედიანის დებულება, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესს გამსესხებელი და მსესხებელი ენების ხელოვნება განსხვავებული სისტემები უღვევს საფუძვლად (გ. როგავა, 1984, 7, 26, 28...).

გ. ახვლედიანის მიერ დადგენილი კანონზომიერება საენათმეცნიერო ლიტერატურაში სახელდებულია ყრუ მკვეთრი ხელოვნების (აბრუპტივების) რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღავნების წესად, შდრ.: „სიტყვაში არსებული ორი მკვეთრიდან პირველი მჟღავნება იქცევა, ამასთან, ეს მოვლენა შეიძლება იყოს კონტაქტურიც და დისტანციურიც (სარჯველაძე, 1984, 321...), „ამ პროცესს ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთ სიტყვაში ორი აბრუპტივი (მკვეთრი) იყრის თავს“ (ნებიერიძე, 1991, 113), „როდესაც დისიმილაციური და დისიმილირებული აბრუპტივია, დისიმილაციური პროცესის გამომწვევია ორი აბრუპტივის შეუთავსებლობა ერთ სიტყვაში“ (ლეჟავა, 1996, 46) და სხვ.

სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით ქართველური ენებისათვის თითქმის უჩვეულო ჩანს ყრუ ფშვინგიერი თანხმობის რეგრესულ-დისტანციური გამჟღავნება. ზანურისათვის ორ ასეთ მაგალითს იმოწმებს გ. როგავა (მეგრ. დ ო ფ ა „ნაკვერცხალი“ < ბერძნ. τειρα „ნაკვერცხალი“, ჭან. მ დ უ თ ი < ქართ. თუთა (როგავა, 1984, 12), ორი მაგალითი დაამოწმებულია სვანურშიც: სვან. გ ა ტ < ქართ. ქატო, სვან.

¹საკითხულია მოხსენებად არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში 2007 წ. 24 აპრილს, აკადემიკოს გ. ახვლედიანის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

მ ა დ რ ა ჯ < ქართ. მათრავი, შდრ. აგრეთვე, ოსურ. ბ უ ტ რ ო < ქართ. ფუტურო (ახვლედიანი, 1941, 43).

სვანურში დამატებით კიდევ იძებნება რამდენიმე ქართულიდან ნასესხები ისეთი ფუძე, რომელთა მიხედვითაც ფშვინვიერთა რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერება თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს:

ბ ი წ ა ლ || ფ ი წ ა ლ (ბზ.), ბ ი წ ა რ (ბქ.), ფ ი რ წ ა ლ (ლშხ.), ფ ი წ ა ლ (ლნტ.) (სვან. 2000) – როგორც ვხედავთ, გამჟღერების პროცესი ყველა დიალექტში არ განხორციელებულა.

ბქ. ბ ი წ ა რ, ბზ. ბ ი წ ა ლ, უშგ. ბ ი რ წ ა ლ < ქართ. ფიწალ-ი; ფიწლვა, განფიწლვა, განფიწლული უკვე ძველ ქართულში დასტურდება (აბულაძე, 1973), მეგრ. ფირწალ-ი (ქაჯაია, III, 2002) ასევე ქართულიდან არის ნასესხები.

ბ ა რ ჩ ხ ა ლ ა ი (ჩოლ.) „გატოტვილი“ (ლიპარტელიანი, 1994) < ქართ. ფარჩხა „გაფარჩხული“, ფარჩხ-ი კუთხ. (გურ., იმერ.) – წვრილტოტებიანი ხმელი შტო (უფოთლებო), ქველ VII, 1962.

ლ ი ფ ო რ ე (ლხმ.) > ლ ი ბ უ რ ე (ჩხხ.) „დორბლის ყრა“ (ქალღანი, 1955, 180).

სვან. ბ ი ფ ხ „ნამი, ცვარი, წვეთი“ < ქართ. ფიფქ-ი „თოვლის კრისტალი“.

სვან. ბიფხ ფუძე, როგორც ფონეტიკური სტრუქტურით, ასევე თავისი ძირითადი („ნამი, ცვარი, წვეთი“) თუ გადატანითი მნიშვნელობით ქართ. ფიფქ- ფუძეს უკავშირდება (შდრ. ქორ ბ ი ფ ხ დ ლგ ბზ. „სახლი კარგადაა დალაგებულ-დასუფთავებული“ და ქართ. ფიფქინა „სუფთა, თეთრი, ქათქათა“, ფიფქინი გაუდის (ქართლ. 1981).

სვან. ბიფხ და ქართ. ფიფქ- ლექსიკური ერთეულების სტრუქტურათა შედარება არ იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ რომელიმე მათგანის უწინარესობა და მათი დიაქრონიული ურთიერთმიმართება ერთმნიშვნელოვნად წარმოვადგინოთ. ეს საკითხი ჯერაც საკვლევეია. მაინც ვფიქრობთ, რომ სვან.

ბიფხ ქართულიდან შეთვისებული ფონეტიკურად ტრანსფორმირებული ფიფქ-ფუძეა (სუნიშვილი, 1997, 141-150). სახელდობრ, სვანურისათვის ფქ კომპლექსი სტაბილური არ არის, ის მხოლოდ რელუქციის შედეგად რეალიზდება (ბაბლუანი, 1985, 5-7), სვანურისათვის სტაბილურია და ბუნებრივი ფხ კომპლექსი; ამდენად, ქართულიდან შეთვისებული ფიფქ-სვანურში *ფ ი ფ ხ > ბ ი ფ ხ (რეგრესიულ-დისიმილაციური დისტანციური გამჟღერებით) მჟღერანლაუტიან ფუძედ გარდაიქმნებოდა.

სვან. ლ ი ბ გ რ თ ხ გ ნ ა ლ (ბზ. < *ლ ი ფ გ რ თ ხ გ ნ ა ლ < ქართ. ფართხალი. ლ ი ბ გ რ თ ხ გ ნ ა ლ დამოწმებულია ბ. ნიჟარაძის ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში ფანცქალ- სიტყვის განმმარტველად: ფანცქალი - ლიბგრთხენალ - барахтаться (ნიჟარაძე, 2007).

დ უ ხ უ ზს., დუხ ლშხ., ლნტ. „ყონი, ერკემალი“ (სვან. 2000) < ქართ. თოხლი < თურქ თოქლუ (ფუძის ნასესხობის შესახებ ქართულში იხ. საბა, შდრ., ჩუხუა, 2000-2003, 95). ამ ნასესხობაში სამსჯელოდ რჩება ლ > უ მონაცვლეობა ქართულისა და სვანური ფუძეების აუსლაუტში (ამის შესახებ იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 82...). სესხების თანამდევი ფონეტიკური პროცესი ასე წარმოგვიდგება: ქართ. თ ო ხ ლ - ი > სვან. *დ ო ხ უ > დ უ ხ უ (ო > უ ბოლოკიდური უ-ს გავლენით) > || დ უ ხ.

აქ ჩამოთვლილი, ჩვენი აზრით, ქართულიდან ნასესხები ფუძეები გამსესხებელი ენის სათანადო ფუძეების ფონემატური სტრუქტურისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ – სვანურში თავკიდურა პოზიციაში ამოსავალი ყრუ ფშვინვიერის ნაცვლად მჟღერი გვაქვს, მადისიმილირებელ თანხმოვნად დისტანციით დაშორებული ყრუ ნშული (აბრუპტივი თუ ფშვინვიერი) ან ყრუ სპირანტი გვევლინება: ქართ. ფიწალ-ი > სვან. ბიწარ (ბქ.), ქართ. ფიფქ-ი > სვან. ბიფხ, ქართ. თოხლ-ი > სვან. დუხ[ჟ].

აქვე შევნიშნავთ, რომ ნასესხებ სიტყვებში, ანალოგიურ ფონეტიკურ გარემოცვაში სხვა შემთხვევებში დისიმილაციურ-რეგრესული გამჟღერების ფონეტიკური პროცესი არ რეალიზდება. მაგ., თ უ ხ უ რ ი კ (ბზ.) < თოხარიკი. ფ ა თ რ ა კ ბზ., ფ ა თ რ ე კ ბქ., ქს < ფათერაკი. ფ ა თ ა ნ, ფ ა თ ე ნ ლშხ. „ფარლალა“ (სვან. 2000) < ფათენი (იმერ. ოკრიბ.) „ნაკვეთში დატოვებული გამოუყენებელი ადგილი“ (ლონტი, 1984), ფ ა ც ხ ბზ., ბქ., ლშხ. < ფაცხა და ა. შ.

იმ ფუძეთაგან, რომლებიც დისიმილაციური გამჟღერების ფონეტიკურ პროცესს დაექვემდებარნენ, სტაბილური სტრუქტურა, ანლაუტში მჟღერი ნშულით, მთელს სვანურში მხოლოდ ორ მათგანს აქვს (დუხ[ჟ], ბიფხ), სხვები, დიალექტების მიხედვით, პარალელურ (დისიმილირებულ და არადისიმილირებულ) ვარიანტებს გვიჩვენებენ (ბიწალ || ფიწალ ბზ., ბიწარ ბქ., ფირწალ ლშხ.); უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსი ფონეტიკური სტრუქტურის ნასესხებ ფუძეთა სტაბილიზაციის პროცესი კვლავაც გრძელდება. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს რიგი ნასესხები სიტყვებისა, რომლებიც ორმაგი ფონეტიკური პროცესის – რეგრესულ-დისტანციური გამჟღერებისა და, ამის შემდგომ, პროგრესული ასიმილაციის მოქმედების შედეგად ჩანან წარმოქმნილი, შდრ., ფ ა ლ თ ა მ, ბ ა ლ დ ა მ ბზ., ფ ა ლ თ ა მ, ბ ა ლ დ ა მ, ფ ა თ ა ბქ. 1. თმაგამილი, თმაგაჩილი; გრძელბალნიანი, ბანჯგვლიანი... (სვან. 2000).

სვანურის დიალექტების ამ და მსგავს ფონეტიკურ ვარიანტთა ურთიერთმიმართება ასე წარმოგვიდგება: ფ ა ლ თ ა მ > *ბ ა ლ თ ა მ (რეგრესულ-დისტანციური გამჟღერება) > ბ ა ლ დ ა მ (პროგრესული ასიმილაცია, სვან. ბ ა რ დ ა ნ < ქართ. ფართალ-ი (დისიმილაციური გამჟღერება ანლაუტში, პროგრესული ასიმილაცია და ლ–ნ სუბსტიტუცია; სვან. ბ ი დ ი რ – 1. კანაფის ჩენჩო, კანაფის თესლის გარეთა ბუსუსები. 2. სათესლე კანაფი (სვან. 2000) < ქართ. ფითრი; მნიშვნელობისათვის შდრ. საბა: ფითრი (ხე), „ნახევრად პარაზიტი მცენარე, აქვს სქელი მწვანე ფოთლები“ (ქეგლ VII); ჯ ო ნ ჯ ლ ლხმ. < ჩ ო ნ ჩ ხ ბზ., ჩ უ ე ნ ჩ ხ ბქ. ჩ ო ნ ჩ ხ ლშხ. < ქართ. ჩონჩხი; გ ა გ ბქ. < *გ ა ქ < ქ ა ქ „ფაფა“ ლშხ., ლნტ.; ბ გ რ დ ღ ლხმ. < ფ გ რ თ ხ ე ნ ჩხ. < ქართ. ფრთხილი (ქალღანი, 1955, 179, 184); ბ ა ნ დ ღ უ ა ლ ზს., ლნტ. „რბილი, ფუძფულა“ < ფ ა ნ თ ქ უ ა ლ ზს. იდ (სვან. 2000).

ბოლო სამ სიტყვაში (ჯონჯლ ლხმ., ბგრდღენ ლხმ., ბანდღულ ზს., ლნტ.) ანლაუტში ფშვინვიერ ნშულთა დისიმილაციური გამჟღერების შემდეგ უკვე პროგრესული ასიმილაციით ფუძისეული ყრუ კომპლექსებიც მჟღერდებიან (ჩონჩხ ბზ. > ჯონჯლ, ლხმ., ქართ. ფრთხილი > ფგთგნ ჩხ. > ბგრდღენ ლხმ., ფანთქულ ზს. > ბანდღულ ზს., ლნტ.).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვანურში (ასევე ნასესხებ სიტყვებში)

დასტურდება ხშირად დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღერების საპირისპირო – მჟღერთა რეგრესულ-ასიმილაციური დაყრუების (გაფშინვიერების) რამდენიმე შემთხვევა: ფ ი რ თ უ ႁ < ბ ი რ თ უ ႁ (სვან. 2000), თ გ რ ქ ა ლ , თ გ რ ქ ა ლ ზ ს., ლნტ., თ გ რ ქ ა ლ ლ შხ. < *თურქად <*თუქარდ *ლუქარდ „მაკრატელი“. შდრ. ქართ. (< სპ.) ლუქარდი (სუხიშვილი, 1998, 33, სალიანი, 2005, 122), ლ ი ფ უ რ თ ე ლ (ლნმ.) < ლ ი ბ უ ლ თ ა ნ ლ (ლშხ.) „ბურთაობა“, გ ო ხ ქ ს. „მწირი, გამოფიტული მიწა“, გ ე ხ ზ ს. > ქ ო ხ ლ შხ. იდ (სვან. 2000), შდრ., ქართ. (მთიულ. გუდ.) გ ო ხ -ი „მოურწყველი, გამაგრებული მიწა, (ლონტი, 1984), გ ო ხ ი (ქართლ.) „გაუტენელი, ურწყავი მაღალი ადგილი, უბალახო და მწირი“ (ქეგლ II, 1951).

ფშინვიერთა დისტანციურ-რეგრესული გამჟღერების პროცესის მოქმედების კვალი სპორადულად დაჩნდება ქართულშიც – ნასესხებ სიტყვებში (თურქულიდან, სპარსულიდან...) და ამ რიგის მასალა მოსაძიებელია. შდრ.: ქართ. ბაქმაზი < თურქ. ფექმეზ (ლაზ. ბექმეზი ႁ ხოფ. ბექმეზი. ქუთელია, 2005, 158), ბაჩია – „ბავშვის ფეხსაცმელი“ (ქეგლ I, 1950) < ფაჩია (ქიზიფ.) – „ფეხსაცმელი ბავშვის ენაზე“ < სპარს. ფაჩე „ფეხი“ (მენტეშაშვილი, 1943), ქართ. ბასტურმა < თურქ. ფასთირმა (ქეგლ I, 1950), გომფაკი (აჭარ.) < თურქ. ქოფეკი „ქოფაკი“ (ნიჟარაძე, 1971) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ფშინვიერთა რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების პროცესის მოქმედება რიგ შემთხვევაში შეიძლება მკვიდრ სიტყვებშიც ვივარაუდოთ. ასეთი მასალა დასტურდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებშიც; დასტურდება ის მეგრულშიც. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

სალიტერატურო ქართული – ფაჩუნი / ბაჩუნი, ფუნჩულა / ბუნჩულა, ფორხვენა / ბორხვენა... (ქეგლ I, 1950; VII, 1962).

დიალექტები – ფუცუნცველა / ბუცუნცველა „წვრილი ბუხი...“, ქვინცხი / გვინძლი „ეკალ-ბარდი და ბუჩქი...“ აჭარ. (ნიჟარაძე, 1971), ფანცალა, ლეჩხ. „ძაღლის სენი“ / ბანცალა, იმერ. „ძაღლის ავადმყოფობა“... (ლონტი, 1984).

მეგრული – ფიხუა / ბიხუა / პიხუა „მსხვილი ლუკმებით მადიანად ჭამა (ბევრისა)“, პიხუაფონორია / ბონორია „მსხვილი, დიდი“...; ფირჩინაფა / ბირჩინაფა „უმნოდ გაშვერა (გაფიცხება) ხელისა, ფეხისა“, ფიხვინაფა / ბიხვინაფა / პიხვინაფა „გავსება, გასუქება“, ფურჩხოლუა // ბურჩხოლუა „დამტვრევა, დამსხვრევა, დანამცეცება“, ფუცხუა / ბუცხუა „ფოცხვა“... (ქაჯაია, I, 2001; II, III, 2002).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსპერიმენტული მონაცემებით ქართულსა და მეგრულში მჟღერი ხშირად სიტყვის ანლაუტში სუსტი მჟღერობით ხასიათდებიან (ახვლედიანი, 1949, 56-60; აბზიანიძე, 1959, 129-135; ონიანი, 1973, 61-73; მელიქიშვილი, 1976, 121-122; იმნაძე, 1981, 38-66), მაშინ ქართულისა და მეგრულის მჟღერ და ფშინვიერ (ასევე, აბრუპტიული) თანხმოვანთა მონაცვლეობაში ანლაუტის პოზიციაში, არა დისიმილაციური გამჟღერების, არამედ სხვა ფონეტიკური პროცესის კვალი შეიძლება დავინახოთ. ექსპერიმენტულად ანლაუტში სუსტ მჟღერობას აფიქსირებენ სვანურშიც(ლეჟავა, 1984, 3-7; შდრ. ჟღენტი, 1965, 114-119).

ყველა ცალკეულ შემთხვევაში, როცა ასეთი პარალელური ფორმები გვაქვს, ამოსავალი ვითარებისა და, შესაბამისად, ფონეტიკური კანონზომიერების რაობის დადგენას სპეციალური ეტიმოლოგიური კვლევა

სჭირდება.

მეგრულის მჟღერ- და ფშვინვიერანლაუტიანი ვარიანტების ჩამონათვლიდან თუ უკანასკნელი მაგალითის (ფუცხუა / ბუცხუა „ფოცხვა“) ან, უფრო ზუსტად, ამ ფონეტიკურ ვარიანტთა მიმართების შესახებ არსებული თვალსაზრისების მიხედვით ვიმსჯელებთ, ასეთი ვითარება გვექნება. ამოსავლად (ფუძეების დონეზე) აქ ფშვინვიერანლაუტიანი ვარიანტი *ფარცხ აღდგება (ფენრიხი, სარჯველაძე, 1999, 458-460). იგივე ავტორები ამ ფუძეს მჟღერი ანლაუტითაც – *ბცხ აღადგენდნენ (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, 61-62). ბუნებრივია, რომ ეს განსხვავებული რეკონსტრუქციები განსხვავებულ ფონეტიკურ პროცესებს (რეგრესულ დისიმილაციას ან პროგრესულ ასიმილაციას) ემყარება.

მასალა ყოველთვის არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რეკონსტრუქციები საერთო-ქართველურ დონეზე მოვახდინოთ და ამის კვალობაზე ფონეტიკური პროცესები რამდენადმე ერთმნიშვნელოვნად განვსაზღვროთ. სადავოა და საკამათო ფონეტიკური პროცესების რაობა და მიმართულება იმ შემთხვევებშიც, სადაც შედარების საშუალება გვაქვს. ნიმუშად რამდენიმე ასეთ განსხვავებულ რეკონსტრუქციას წარმოვადგინოთ:

*დ ვ ა (კლიმოვი, 1964, 77) – *თ ვ ა (კლიმოვი, 1998, 80),
*თ თ ხ ე ლ- (კლიმოვი, 1969, 93), *თ თ ხ - ე ლ (კლიმოვი, 1998, 71) –

*დ უ თ ხ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 178), *დ უ (ს ') თ ე- (კლიმოვი, 1964, 75), *დ უ თ ე (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 177) – *თ უ თ ე (კლიმოვი, 1998, 74), *ფ რ ი წ- (კლიმოვი, 1964, 190), *ფ რ ე წ- / *ფ რ ი წ- (კლიმოვი, 1998, 204) – *ბ რ ე წ- / *ბ რ ი წ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 119) და სხვ.

განსხვავებული რეკონსტრუქციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურთიერთგამომრიცხავ ფონეტიკურ პროცესებს (ყრუ ხშულთა რეგრესულ დისიმილაციას ან პროგრესულ ასიმილაციას) გულისხმობს. თითოეულ ამ არჩევანს საკითხთა მთელი წყება უკავშირდება, მაგ., საერთო-ქართველური ფუძის აგებულებისა და, კონკრეტულად, ქართველური ფუძის ანლაუტის კვალიფიკაციის საკითხი (იხ. კლიმოვი, 1964, 70, 75 და სხვა ავტორები). ყრუ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების წესის დაშვება რიგ შემთხვევაში ეჭვქვეშ აყენებს იმ დებულებას, რომელიც ამ ფონეტიკურ პროცესს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში ეძებს და მას გამსესხებელი და მსესხებელი ენის ხშულთა განსხვავებული სისტემებით ხსნის. ეს საერთო-ქართველურ მასალას ეხება. შდრ., საერთო-ქართველურ დონეზე *ფარცხ ფუძის აღდგენა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000) ზანურში დისიმილაციური გამჟღერების პროცესს ადასტურებს (აქ მჟღერანლაუტიანი შესიტყვება გვაქვს). საკუთრივ მეგრულში დამოწმებული ფშვინვიერანლაუტიანი ფოცხ- და მჟღერანლაუტიანი ბუცხ-, ბირცხ- ფონეტიკური ვარიანტები ამ პროცესს მკვიდრ მასალაში აფიქსირებს. მსგავს პოზიციებში სხვა შემთხვევაში ეს პროცესი არ ხორციელდება: საერთო-ქართვ. *ფაცხ- – ქართ. ფაცხა „მოწნული სახლი“ : მეგრ. ფეცხ-ი „წნელი, ტოტი“, საერთო-ქართვ. *ფერთხ- – ქართ. ფერთხ-ავ-ს : მეგრ. ფართხ-უ-ა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000). თუ გ. კლიმოვის რეკონსტრუქციებს (განსაკუთრებით 1998 წ. ნიუ-იორკში გამოცემულ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მასალებს) გავითვალისწინებთ, რეგრესიულ-დისიმილაციური გამჟღერების ფაქტები ფუძეებიდან მომდინარე ქართველურ შესატყვისებში უფრო თვალში საცემი, ხოლო პროცესის გამომწვევი მიზეზები უფრო ბუნდოვანი ხდება.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის ირგვლივ ახალი მასალის მოძიება და

ფონეტიკური პროცესის რაობის (შესაბამისად, მიმართულების) დაზუსტება კვლავაც აქტუალური რჩება. ერთგვარ ნიმუშად აქ ფუძეენის დონეზე რეკონსტრუირებული მჟღერანლაუტიანი *ბ ა ნ დ ლ- ფუძეც (ქართ. ბ ა ნ დ ლ - ი : მეგრ. ბ ო ნ დ ლ - ი) გამოგვადგება (იხ. კლიმოვი, 1998, 8, ფენიხი, სარჯველაძე, 2000, 93-94). შესადარებელ მასალაში გათვალისწინებული არ არის რაჭულის ფ ა ნ თ ხ ი / ბ ა ნ დ ლ ი / ბ ა ნ ძ ლ ი (კობახიძე, 1987), მეგრულის ბ ა ნ დ ლ ი, ბ ა ნ დ ლ უ ა (|| ბონდლუა) „ბანდვა, ქსელვა“, შესაძლოა, ბ ა ნ ძ ლ უ ა „ხლართვა“-ც (ქაჯაია, I, 2001) და, ასევე, სვანურის (ლშხ., ლნტ.) ფ ა ნ თ ხ, ფ ა ნ თ ხ „ობობას ქსელი“ (სვან. 2000), ბალსქვემსოურის ბ ე ნ დ ლ ე (ღ) (საღლიანი, 2005), რომელიც მეგრულიდან ჩანს შეთვისებული: მეგრ. ბონდლ-ი > სვან. ბქ. *ბუნდლ > *ბუნდლუ > ბენდლ(ღ).

ბუნებრივია, რომ ამ მონაცემთა ურთიერთმიმართების შეჯერება რეკონსტრუქციას უფრო სარწმუნოს გახდის.

დასკვნის სახით შეიძლება აღენიშნოთ, რომ სვანურში, ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში, აბრუპტიულ ხშულთა დისიმილაციურ-რეგრესული, დისტანციური გამჟღერების პროცესის პარალელურად ფშვინვიერ ხშულთა დისტანციურ-რეგრესული გამჟღერების პროცესის მოქმედების კვალიც დანდნება, ძირითადად ეს ანლაუტის პოზიციას ეხება. ფშვინვიერთა დისიმილაციურ-რეგრესული გამჟღერების პროცესი სვანურში შეზღუდულია, არ მოიცავს მთელ სვანურს, არ ხორციელდება ყველა ნასესხებ სიტყვაში, სადაც სათანადო სადისიმილაციო პირობები არსებობს. ვფიქრობ, ეს ფაქტი სესხებათა სხვადასხვა პერიოდს მიანიშნებს და შეიძლება ენობრივი კონტაქტების მეტ-ნაკლები ინტენსივობის მაჩვენებლადაც მივიჩნიოთ.

ნასესხებ სიტყვათა ერთ ნაწილში, სვანურში დისიმილაციურ-დისტანციური რეგრესული გამჟღერების კვალდაკვალ პროგრესული ასიმილაციის მოქმედების დაფიქსირება ნასესხები სიტყვის ფონემატური სტრუქტურის მსესხებელ ენასთან ადაპტაციისკენ არის მიმართული.

ლიტერატურა

აბზიანიძე 1959 – Абзианидзе Т., Степень звонкости звонких смычных в грузинском языке, Фонетический сборник, I, Тбилиси.

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ახვლედიანი 1941 – გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის, III; ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურ ენაში, თსუ შრომები, XVIII, თბილისი.

ახვლედიანი 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

ბაბლუანი 1985 – Л. Баблуани, Комплексы согласных в сванском языке, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი.

იმნაძე 1981 – ნ. იმნაძე, ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კლიმოვი 1998 – Georgij A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Trends in Linguistics, Documentation 16, Berlin - New York.

კობახიძე 1987 – რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები); შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი.

ლუჯავა 1984 – И. Лежава, Акустический анализ сванского консонантизма, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси.

ლუჯავა 1996 – ი. ლუჯავა, დისტანციური გამჟღერების ზოგიერთი თავისებურება სვანურში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია (ედვუნება ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავს). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლური კილო), თბილისი.

მელიქიშვილი 1976, – ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი.

მენტეშაშვილი 1943 – ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.

ნებიერიძე 1991 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ნიჟარაძე 2007 – ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ონიანი 1973 – ა. ონიანი, თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირების შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მეტყველების ანალიზის საკითხები, IV, თბილისი.

როგავა 1984 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, II, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი.

სვან. 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

სუხიშვილი 1997 – მ. სუხიშვილი, სვანური კომპოზიტი შუპრ-ბიფხილდ „ცვარ-ნამი“ და მასთან დაკავშირებული საკითხები, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

სუხიშვილი 1998 – მ. სუხიშვილი, ფშვინვიერთა რეგრესიულ-დისიმილაციური გამჟღერებისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები,

საქართველოს მეცნ. აკადემია. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი –თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

ფენრიზი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიზი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქალდანი 1955 – მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, თბილისი.

ქართლ. 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები); შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი.

ქაჯაია I, 2000 – თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ.

ქაჯაია I, 2002 – თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ.

ქეკელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, 1950-1964, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონეტიკური სტრუქტურა, თბილისი.

ლლონტი 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, II გამოცემა, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

Murman Sukhishvili

On Regressive-Dissimilative Voicing of Aspirate Occlusives in Svan

Summary

Apart from the regressive-dissimilative incontinuous voicing of abruptives (Georgian **ṭuta** > Svan **dəṭ** - *ash*, Old Georgian **papa** - “grandfather”, “priest”, Megrelian **papa** - “priest”, Svan **bap** - “priest”, (G.Akhvlediani, G.Rogava), in borrowed words of the Svan language there are some cases of regressive-dissimilative incontinuous voicing of aspirates in certain positions, mainly at the beginning of the word (Georgian **pičal-i** > Svan **pirčal** // **birčäl** - *pitchfork*; Georgian **kaṭo** > Svan **gät** - *bran*; Georgian **pipk-i** - *snow-flake* > Svan **bipx** - *dew*). This process appears to be sporadic and occurs mainly in the words borrowed from Georgian.

ნათელა კუთელია

**АРЕАЛЬНЫЕ КОНТАКТЫ И ВОПРОСЫ ДИАХРОНИЧЕСКОЙ
ТРАНСФОРМАЦИИ ВОКАЛЬНОЙ СИСТЕМЫ
В КОЛХСКОМ (МЕГРЕЛЬСКО-ЛАЗСКОМ) ЯЗЫКЕ**

Распад общекартвельского языка положил начало возникновению языковых единиц, которые приобрели в дальнейшем форму исторически засвидетельствованных картвельских диалектов. На раннем этапе распада общекартвельского языкового единства сванский, согласно Г. Деетерсу, выделился как самостоятельная единица, в противоположность грузинско-занскому языковому единству. К более позднему этапу относится выделение грузинского и занского (мегрельско-лазского). К наиболее позднему этапу надо относить распад занской (resp. колхской) языковой общности, и тем самым, возникновение и обособленное развитие мегрельского и лазского диалектов. Причиной распада колхского языкового единства послужили культурно-исторические факторы. В начале новой эры картвельские племена – лазы и мегрелы, в исторической традиции именуемые колхами, всё ещё сохраняли территориальную целостность, нарушение которой относится, предположительно, к V-VIII вв. Дальнейшее развитие исторических событий привело к их полной языковой изоляции.

Несмотря на полную изоляцию от ареала распространения других картвельских языковых единиц, лазский сохраняет удивительное сходство с ними с точки зрения фонемного инвентаря и парадигматических отношений, значительно расходясь в правилах синтагматической сочетаемости.

Фонологическую структуру языка во многом определяют фонетические процессы, имеющие место в процессе развития любой языковой единицы. Фонетические тенденции и так называемые "фонетические законы", правила фонотактики сочетаемости фонем определяют фонетическую организацию звуковой системы языка и формируют в конечном итоге фонологическую модель языка. Совокупность и хронологическое единение фонетических и фонологических аспектов определяют фонологическую структуру языка в целом. Фонетическая эволюция и структура языка как взаимодействующие и взаимообусловленные явления (А. Мартине) определили единовременность процессов дифференциации мегрельско-лазской языковой общности и интеграции мегрельского и лазского как обособленных диалектов.

Мегрельско-Лазская фонологическая структура развивалась согласно законам **внутри языка** и рассматривается нами, в основном, как

результат исторически действующих процессов палатализации, дефарингализации, глоттализации и соноризации.

Все эти тенденции выходят за пределы комбинаторной интерпретации и являются глобальной для языка, ибо обусловлены самой структурой языка.

В начале же хочу заверить: итоги исследования парадигматической системы консонантов, правила фонотактики сочетаемости фонем и определение канонических форм синтагматической сочетаемости компонентов в мегрельском установленные Т. Гамкрелидзе, Т. Гудава совершенно совпадают с итогами моих исследований в лазском – **Фонологическая структура консонантов в мегрельском и лазском идентична. Проанализированный материал выявил основную структурную особенность: занская (resp. колхская) корневая морфема преимущественно децессивного строя.** Согласно теории Г. Ахвледиани, существует общеструктурное правило, подразумевающее образование децессивных комплексов как естественных. Разумеется это не означает, что в языке не могут существовать акцессивные группы. Акцессивные комплексы в языке имеются, порой даже образуются из децессивных групп.

Основные канонические формы консонантных групп в мегрельском и лазском определяются структурами:

лазский	мегрельский
$S_mCCC_v - S_nCCC_v$	$S_rCCC_v - S_nCCC_v$
$S_mCC - S_nCC$	$S_rCC - S_nCC$
$S_mCC_v - S_nCC_v$	$S_rCC_v - S_nCC_v$
$CCC_v; S_rCC;$	CCC_v
$S_mC; S_nC; S_mC_v; S_nC_v; CC; CC_v$	$S_rC; S_nC; CC; CC_v$

Самой крупной единицей контактной сочетаемости является четырехчленный комплекс. Все иные группы более низкого разряда складываются из той же последовательности путём изъятия одного или двух членов, причем в колхском (мегрельско-лазском) действует структурное правило, запрещающая смещение рядов.

Однако тема моего исследования лазский вокализм и ее диахроническая трансформация. Вокальная система гласных претерпела наиболее существенные преобразования, что повлекло за собой значительное отдаление от вокализма мегрельского и грузинского как по составу фонемных единиц так и по их парадигматической и синтагматической структурам.

Основным источником осложнения системы лазского вокализма был процесс палатализации с её последствиями: 1. закономерное превращение фонем $r-q'>j$; 2. йотирование отдельных фонем и групп фонем; 3. редукция ауслаута путём йотирования; 4. палатализация

вокального анлаута; 5. превращение первичных гласных в палатализованные ä-ö-ë-ü.

В итоге в лазском образовались вокалические элементы ä-ë-ö-ü. Они функционируют в коррелятивных оппозициях и различают глагольные формы (Н.Кутелиа, Фонематическая структура лазского, 2005).

Предполагается что они возникли на почве влияния турецкого языка, с чем я не согласна. Перед лингвистами стоит серьезная задача – выяснить динамику процесса языковых контактов, которые зависят в конечном счёте от социально-исторических условий.

Лазский развивался на территории Трапезундской Империи в пределах XIII-XV вв. в области распространения картвельских диалектов.

Вплоть до первой трети XIX в. о Трапезундской империи почти ничего не было известно достоверно. Относительная неудача первых историков Трапезундской Империи – XVII-XVIII вв. была связана с тем обстоятельством, что базовые источники по истории империи тогда еще не были открыты, существующие ранее источники были весьма скудные, если не сказать больше. Советской историографии а в частности и грузинской были недоступны многочисленные материалы на арабском, персидском и турецком языках.

Ныне наши знания значительно обогатились благодаря крупнейшим учёным запада (А. Bryer) и замечательной московской школы византинологов во главе с С. П. Карповым, ибо в анализе материала исследователи в соответствии с традициями медиевистической школы МГУ придерживаются к методу комплексного подхода.

Сельджукская армия дважды (1205-1230 гг.) осаждала Трапезунд, но взять город не смогла. Особую роль в политической и социальной структуре Трапезундской империи играла местная родовая знать картвельского происхождения.

Византийский автор – Георгий Пахимер, крупнейший английский византинолог современности А. Брайер, турецкие историки XVIII в. Катиб Челеби и Эвлия Челеби отмечают что основное население Трапезундской империи состояло из лазов. Так же мусульманские хронисты часто Трапезунд называют "город Лазики". Арабский географ Абу ал-Фида (1273-1331) называет Трапезунд большим портом лазов. По мнению А. Брайера лазы с начала XIII в. (1204 г.) твёрдо осели на территории Трапезундской империи где и была образована административная единица – фема Великая Лазия, которая начиналась с Атины и доходила до границ Грузии (А. Bryer. Some Notes on the Laz and the Tzan. Bedi Kartlisa, Paris, 1976; Э.Жордания, Этический состав населения Понта XIII-XV вв. часть 1: Лазы, Byzantinoslavika L, VII, 1996).

По мнению Р. М. Шукурова в Трапезундской империи "вторым по численности этносом был картвельский представленный лазами и чанами, двумя чрезвычайно близкими друг к другу народами населявшими

восточную половину империи – возможно, часть Мацуки, области Сирмены, Ризеона, Лазики, а в глуб материка – восток Хермианы... Не исключено что в составе Трапезундской империи были и другие этнические или скорее, это этно-территориальные ополчения. Так, Панарет упоминает "лазские отряды". (Р.М. Шукуров, Великие Комнены и восток (1204-1561), Санкт-Петербург, ст. 53, 59). А. Брайер предполагает что оборонительную организацию Трапезундской империи в основном определяли чанские подразделения благодаря их воинственности. "Они обеспечивали Трапезундскую империю воинами, храбрыми как львы, которые никогда не молились за беглецов" (А. Bryer. Some Notes on the Laz, and the Tzan, 1. p. 181).

"Трапезунд пал 1461 г., но лазы остались независимыми. Лазистан считался турецкой провинцией, но власть султана здесь была номинальной и распространялась лишь на побережье. Лазы были обращены в ислам примерно после 1580 г., сохраняли свою автономию до 40-ых гг. XIX в. под властью своих бегов, которые управляли своими землями из своих горных крепостей. Персидский историк – Искандер Мунш в своем произведении – "История Шах-Абаса Великого" рассказывает о дипломатических контактах с разными христианскими государствами и правителями отмечает: "Среди этих правителей были и христианские правители: Лазики, Германии, Франции, Англии, Голландии, Португалии и Испании... М.Сейвор комментируя эти сведения Искандера Мунша отмечает, что"... посольство лазов в Сефевидский Иран свидетельствует о виртуальной автономии лазских правителей в XVII в.

Лазские правители, как видимо проводили независимую внешнюю политику и устанавливали дипломатические контакты с другими государствами и прежде всего с теми которые находились в противоречии с Османской империей". (Э. Жордания, Этнический состав населения Понта в XIII-XV вв. часть 1: Лазы, *Byzantinoslavica*, L, VII 1997, ст. 58).

Общеизвестно полное неповиновение крупного лазского феодала Джаникли Али-Фаша обладателя Самсуна, Синопа, огромной и богатейшей территорией горного Темискири; под его контролем находились некоторые территории Крыма (середина XVIII в). Мусульманские хронисты того времени называли Джаникли Али-Фаша – "гроза султана".

Сельджуков в Лазистане не было, позднее Тюрки-Османы появились в Лазистане в виде военных гарнизонов, которые менялись в год два раза. Языковые контакты с лазами редко осуществлялись а порой вовсе отсутствовали. Билингвизм наступил значительно позже – со времен Ата-Тюрка. На этом фоне можно ли предположить что такой устойчивый уровень языковой иерархии как фонологическая система претерпела столь значительные отклонения от вокалической системы мегрельского.

ასპექტი და ზმნის ფლექსიური კატეგორიები თანამედროვე ქართულში

ზოგადი განმარტების თანახმად, ასპექტის კატეგორიასთან ყოველთვის დაკავშირებულია ზმნის უნარი – სხვადასხვა სახით წარმოგვიდგინოს მოქმედების მიმდინარეობის პროცესი. თითოეულ ენაში კი შესაძლებელია ასპექტის კატეგორიის განმარტების დაზუსტება იმის მიხედვით, თუ რა უნარი აქვს ზმნას მოქმედების მიმდინარეობის გასარჩევად.

საზოგადოდ, გამოყოფენ ორი სახის ასპექტს: რაოდენობრივსა და წრფივს, რომლებიც სხვადასხვა ენაში რამდენიმე კატეგორიად და ქვეკატეგორიად შეიძლება წარმოვადგინოთ (მელჩუკი, 1998, 92; პლუნგინი, 2000, 292; ხრაკოვსკი, 1997, 128). მაგალითად, ი. მელჩუკი გამოყოფს ასპექტის ხუთ კატეგორიას: რაოდენობრივს, დისტრიბუციულს, დურატიულს, პროგრესიულსა და კომპლექტიურს (მელჩუკი, 1998, 115).

ქართული ასპექტის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. გ. მაჭავარიანი ქართულში გამოყოფს ასპექტის რამდენიმე სახეობას: სრულსა და უსრულს, წყვეტილსა და უწყვეტელს, ერთგზისსა და მრავალგზისს. გ. მაჭავარიანი შენიშნავს, რომ სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება ძირითადად თანამედროვე ქართულში, ხოლო დანარჩენი ასპექტები შედარებით სუსტად გამოიხატება. იგი მიიჩნევს, რომ „ყველა ეს კატეგორია ასპექტის კატეგორიის ნაირსახეობას წარმოადგენს და მოქმედებას სხვადასხვა თვალსაზრისით ახასიათებს“ (მაჭავარიანი, 1974, 121). გ. მაჭავარიანის დაკვირვებით, „სრული ასპექტის ფორმა ამავე დროს შეიძლება უწყვეტელი (განგრძობითი) იყოს და ამ შემთხვევაში ის აუცილებლად მრავალგზისიც იქნება (ე.წ. I ხოლმეობითი). უსრული ასპექტის ფორმა შეიძლება უწყვეტელიც იყოს (ნ. უსრული) და წყვეტილიც (უსრული აორისტი). თუ წყვეტილია, მაშინ შეიძლება მრავალგზისიც იყოს. თუ სრული ასპექტის ფორმა წყვეტილია, მაშინ ის მხოლოდ ერთგზისი შეიძლება იყოს (სრული ასპექტის აორისტი)“ (გ. მაჭავარიანი, 1974, 121).

იმ ასპექტს, რომლის გრამემები წყვეტილი და უწყვეტელია, გ. მაჭავარიანი უწოდებს გრძლიობის კატეგორიას. გრძლივი ფორმები მარკირებულია და, შესაბამისად, გრძლიობის(უწყვეტლობის) გრამემას გამოხატავს თემის ნიშნები: {-ებ}, {-ობ}, {-ამ}, {-ავ}, {-ი}, {Ø}. გრძლივი (უწყვეტელი) მარკირებული ფორმები არაგრძლივი(მომენტობრივი, წყვეტილი) არამარკირებულ ფორმებს უპირისპირდება.

წყვეტილი და უწყვეტელი როგორც ასპექტის, ისე მწკრივის ტერმინებია. მათი ერთმანეთში აღრევა რომ არ მოხდეს, წყვეტილი და უწყვეტელი სჯობს მწკრივის ტერმინებად გამოვიყენოთ, ხოლო გრძლიობის კატეგორიის გრამემებს, შესაბამისად, მომენტობრივი და განგრძობითი ან, ი. მელჩუკის მსგავსად, დურატიული (განგრძობითი) ასპექტის კატეგორიის გრამემებს შეიძლება წერტილოვანი და დურატივი ვუწოდოთ.

კ. ჭრელაშვილისა და გ. ნებიერიძის აზრით, ასპექტის კატეგორია ქართულ ენაში ადეკვატურად შეიძლება აღიწეროს მხოლოდ ტერმინული მოდელით. კ. ჭრელაშვილი გამოყოფს სრულ I-ს, სრულ II-სა და უსრულს, რომელთა დასახასიათებლად შემოაქვს ოთხი დიფერენციალური ნიშანი: პროცესუალობა, დურატიულობა, მომენტურობა და მთლიანობა. ასპექტის

ტერნარული მოდელის დახასიათება ამ დიფერენციალური ნიშნებით შეგვიძლია ცხრილის სახით ასე წარმოვადგინოთ:

	სრული I	სრული II	უსრული
პროცესუალობა	-	+	+
დიურატიულობა	-	-	+
მომენტურობა	+	-	-
მთლიანობა	+	+	-

თუმცა, ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ასპექტის ტერნარული მოდელის დახასიათებლად ოთხი დიფერენციალური ნიშანი ჭარბია და საკმარისია $\log_2 3$, ანუ დაახლოებით 1,5 ნიშანი, ხოლო მეორე მხრივ, როგორც გ. ნებიერიძემ შენიშნა, კ. ჭრელაშვილი სრულ I ასპექტს ახასიათებს [-პროცესუალობით] და [+მთლიანობით], რითაც ეწინააღმდეგება მთლიანობის განმარტებას: მთლიანობა არის „ისეთი პროცესუალური მოქმედება, რომელსაც საწყისიც აქვს და ბოლოც, ოღონდ ამგვარი პროცესუალური მოქმედების შეწყვეტა ან ფაზებად დაყოფა შეუძლებელია“ (ნებიერიძე, 1987, 136).

გ. ნებიერიძე გამოყოფს სრულს, უსრულსა და წყვეტილ ასპექტს. მისი აზრით, „იმპლიციტურად ასეთი მოდელი მოცემულია აკ. შანიძესთანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მწკრივის კატეგორიაში არის გაერთიანებული“ (გ. ნებიერიძე, 1987, 142).

აკ. შანიძეს ასპექტის კატეგორია შეტანილი აქვს წარმოქმნის (დერივაციულ) კატეგორიათა რიცხვში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში სრული ასპექტი დერივატემაა; ამდენად, წერს და დაწერს სხვადასხვა ზმნებია. ასეთი აღწერის მიხედვით, ზოგ ზმნას აწმყოფს წრის მწკრივები არ ექნება და ზოგს – მყოფადის წრისა, ამიტომ I სერიაში უნდა გამოიყოს სამი მწკრივი: აწმყო-მყოფადი, უწყვეტელ-ხოლმეობითი და I კავშირებითი (მაჭავარიანი, 1964-66; გოგოლაშვილი, 1988, 97; ონიანი, 2003, 154). ასეთ შემთხვევაში უფრო ადეკვატური სურათი გვექნება.

აკ. შანიძე გამოყოფს გზისობის (ჯერობის) კატეგორიას, რომელიც მას შეაქვს უღლების (ფლექსიურ) კატეგორიათა რიცხვში. თუ ქართულ ენაში არსებობს გზისობის მორფოლოგიური კატეგორია, მაშინ იგი შედგება ერთგზისისა და მრავალგზისის გრამემებისაგან. გზისობის კატეგორიას ი.მელჩუკის მიერ გამოყოფილი ასპექტის კატეგორიებში, ალბათ, შეესაბამება ასპექტის II კატეგორია, რომელსაც იგი უწოდებს დისტრიბუციულ ასპექტს, ხოლო ერთგზისისა და მრავალგზისის შეესაბამება დისტრიბუციული ასპექტის კონცენტრაციისა და იტერატივის გრამემები.

ქართულ ენაში მრავალგზისობას გადმოგვცემს აწმყო-მყოფადის, უწყვეტელ-ხოლმეობითისა და წყვეტილის მწკრივები. თუმცა ამ მწკრივებით თავისუფლად შეიძლება გადმოიცეს ერთგზისი მოქმედება, ამიტომ ცალკე აღებული ზმნის ფორმით ვერ გავარკვევთ, მოცემული ზმნა ერთგზისია თუ მრავალგზისი. აქედან გამომდინარე, საჭიროა გავითვალისწინოთ კონტექსტი.

მაგალითად, რომ ავიღოთ ზმნა *აშენებდა*, კონტექსტის გარეშე ვერ მივხვდებით, ერთგზისია იგი თუ მრავალგზისი. ავიღოთ ორი ასეთი წინადადება: *პეტრე სახლს აშენებდა, როცა მივესალმე* და *პეტრე მშენებელი იყო და სახლებს აშენებდა*. პირველ წინადადებაში *აშენებდა* ერთგზისია, ხოლო მეორეში – მრავალგზისი. ასევეა წყვეტილის მწკრივის ფორმებში: *პეტრემ სახლი აშენა* და *პეტრემ სახლი აშენა, აშენა და ვერ ააშენა*. გ.მაჭავარიანის აღნიშნავს, რომ პირველ წინადადებაში მოქმედება ბოლომდე

არ არის მიყვანილი, იმიტომ რომ შეწყდა და ეს მოქმედება ერთგზისია, ხოლო მეორე შემთხვევაში მოქმედება წყდება და ისევ განახლებოდა, ამიტომ მრავალგზისია.

თუ წყვეტილის ფორმით მრავალგზისობაა გადმოცემული, მაშინ ზმნა მეორდება და „შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქოს მრავალგზისობა გამოხატულია არა ორგანულად, ზმნის ფორმით, არამედ ზმნის გამეორების გზით. სინამდვილეში მრავალგზისობას ზემოხსენებული ფორმები გამეორების გარეშეც გამოხატავენ, მაგრამ არა მკაფიოდ“ (ჭუმბურიძე, 1967, 350).

როგორც ითქვა, აწმყო-ყოფადითაც შესაძლებელია გადმოცემა მრავალგზის განმეორებული მოქმედება. *გათენდება თუ არა, პეტრე ადგება, ტანთ ჩაიცვამს, ხელ-პირს დაიბანს, ისაუზმებს და სამუშაოდ გასწევს მინდორში, ან თენდება თუ არა, პეტრე დგება, ტანთ იცვამს, ხელ-პირს იბანს, საუზმობს და სამუშაოდ მიდის მინდორში.* ამ წინადადებაში გამოყენებული ზმნებით თავისუფლად შესაძლებელია ერთგზისი მოქმედების გადმოცემა.

ეს ყველაფერი ითქვა მოქმედებითი გვარის ზმნების შესახებ. რაც შეეხება ინ-იანისა და ენ-იანი ვნებითის ზმნებს, მათ უმრავლესობას წყვეტილის ფორმით მრავალგზისი მოქმედების გადმოცემა არ შეუძლია, რადგან მათი სემანტიკა ამის საშუალებას არ გვაძლევს. დონ-იანი და უნიშნო ვნებითის ყველა ზმნა წყვეტილს ვერ აწარმოებს, ხოლო რომლებიც აწარმოებენ, ისინი გამოხატავენ ერთგზისობას. იგივე შეიძლება ითქვას საშუალო გვარის შესახებ – მედიოაქტივიცა და მედიოპასივიც აწარმოებს წყვეტილის ფორმებს, ოღონდ მრავალგზისობის გაგება არა აქვთ.

ზ. ჭუმბურიძეს დაფიქსირებული აქვს დონ-იანი ვნებითის წყვეტილის ფორმა მრავალგზისის მნიშვნელობით შემდეგ წინადადებაში: *შენდა, შენდა, ვერ აშენდა.* იგი შენიშნავს, რომ „შენდა აქ ამჟამად ახალი წარმოქმნილი ფორმაა, ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნათა ანალოგიით“ (ჭუმბურიძე, 1967, 344).

ზემოგანხილულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ ენაში არ არსებობს გზისობის მორფოლოგიური კატეგორია, რადგანაც ერთი და იმავე ფორმით თავისუფლად შესაძლებელია როგორც ერთგზისი, ისე მრავალგზისი მოქმედების გადმოცემა, ამიტომ გზისობას სემანტიკურ კატეგორიად მივიჩნევთ.

აქტის კატეგორია, აკ. შანიძის აზრით, ორი, ნახული და უნახავი აქტის, ქვეკატეგორიისაგან შედგება. აკ. შანიძე ცალკე არ გამოყოფს აქტის მაჩვენებლებს, თუმცა ამბობს, რომ უნახაობას გადმოსცემს I თურმეობითი და II თურმეობითი, თანაც ნახული და უნახავი აქტი ოპოზიციას ქმნის წარსულ დროში. რ. ასათიანი მიუთითებს, რომ უნახაობა მორფოლოგიურად გადმოცემა III სერიისათვის დამახასიათებელ პირის ნიშნითა ინვერსიით, „მაგრამ დასახელებული მწკრივები უნახაობაზე არ მიუთითებენ, როცა ა) ზმნაში სუბიექტი პირველი და მეორე პირის ფორმითაა წარმოდგენილი; ბ) ზმნას ახლავს უარყოფითი ნაწილაკები; გ) კილო პირობითია“ (ფეიქრიშვილი 1974, 69).

დროის კატეგორიის შესახებ ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი არის გამოთქმული. ერთის თანახმად, ქართულში სამი დროა: წარსული, ახლანდელი და მომავალი (შანიძე 1980, 199). ამ აზრს იზიარებს ვ. თოფურიაც, მაგრამ იგი გამოყოფს წარსული დროის – უწყვეტელ-ხოლმეობითის, წყვეტილის, I თურმეობითისა და II თურმეობითის მაჩვენებლებს. მეორე აზრის თანახმად, ქართულში დროის მორფოლოგიური კატეგორია არ არსებობს, რადგან თითოეული მწკრივის ფორმას შეუძლია

სხვადასხვა დრო გადმოგვცეს, რასაც კონტექსტის გარეშე ვერ გავარკვევთ (გოგოლაშვილი 1984; ონიანი 2003, 119).

ის, რის შესახებაც გ. გოგოლაშვილი და ალ. ონიანი წერენ, ცნობილია ტრანსპოზიციის სახელით. მაგალითად, აწმყო-მყოფადი, გამოყენებული წარსული დროის ფუნქციით, არის სწორედ ტრანსპოზიციის შემთხვევა. ა. პეშკოვსკი *Завтра я уезжаю* ტიპის შემთხვევებზე წერდა: «Этот будущий акт при помощи формы настоящего времени представлен говорящим как настоящий... таким образом, здесь категория настоящего времени не только не теряет и не видоизменяет как-либо своего значения, а, напротив, выступает в своем основном значении особенно ярко, и яркость это создается как раз противоречием между ней и реальными условиями речи...» (ბონდარკო, 1971, 96). ა. პოტებნია წარსული დროის ფორმით მომავალი დროის გადმოცემის შესახებ წერდა: «прошедшие времена так и остались прошедшими. Их грамматическое значение несколько не затемнилось, не переиначилось, так как, хотя действие, ими обозначенное, глядя со стороны, есть будущее, но самому говорящему в момент речи оно кажется прошедшим» (ბონდარკო, 1971, 96). თუ ა. პეშკოვსკისა და ა. პოტებნიას აზრს გავიზიარებთ, იგივე შეიძლება ითქვას აწმყო-მყოფადის შესახებ, როდესაც იგი წარსული დროის ფუნქციით არის ნახმარი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში არსებობს დროის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც შედგება ორი – წარსული და არაწარსული დროის გრამემებისაგან. წარსული დროის გრამემის მარკებლებია უწყვეტელ-ხოლომობითის, წყვეტილის, I თურმეობითისა და II თურმეობითის ნიშნები (ამ ნიშნების განაწილების შესახებ დაწვრილებით იხ. მაჭავარიანი, 1964-66; თოფურია, 1955; ონიანი, 2003, 170), ხოლო არაწარსული დროის გრამემის მარკებელი – აწმყო-მყოფადის ნიშნები (დაწვრილებით იხ. მაჭავარიანი, 1964-66; ონიანი, 2003, 170).

ახლა განვიხილოთ კილოს კატეგორია. ამ კატეგორიის შესახებაც ისეთივე რადიკალურად საპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული, როგორც დროის კატეგორიის შესახებ. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ქართულში კილო სამია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი (აკ. შანიძე). აკ. შანიძე აგრეთვე გამოყოფს პირობით და შედეგობით კილოებს, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ამ კილოებს ცალკე ფორმები არ აქვთ და თხრობითი კილოს ფორმებს იყენებენ. სხვა მოსაზრების თანახმად, ქართულში არ არსებობს კილოს მორფოლოგიური კატეგორია, რადგან თითოეული მწკრივის ფორმას სხვადასხვა კილოს გადმოცემა შეუძლია, და ამას კონტექსტის გარეშე ვერ გავარჩევთ (გ. გოგოლაშვილი, ალ. ონიანი). თუმცა გ. გოგოლაშვილი სვამს საკითხს დებიტური (დებიტატიური, აუცილებლობითი) კილოს გამოყოფის შესახებ (ამ შემთხვევაში გვექნება ანალიზური წარმოება *უნდა+ზმნა*). აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი მნიშვნელობის მქონე ფორმები ი. მელჩუკს მოღალატის კატეგორიაში შეაქვს.

ამგვარად, აქაც იგივე შეიძლება ითქვას, რაც დროის კატეგორიის შესახებ, კერძოდ, აქაც გვაქვს ტრანსპოზიცია. მაგალითად, როდესაც წყვეტილის მწკრივი გადმოსცემს კავშირებით კილოს ან II კავშირებითი – ბრძანებით კილოს.

საბოლოოდ, კილოს ნიშნების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში არსებობს კილოს მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც შედგება ორი, კავშირებითი და არაკავშირებითი კილოს გრამემებისაგან. კავშირებითი კილოს გრამემის მარკებლებია I

კავშირებით, II კავშირებითა და III კავშირებით ნიშნები, ხოლო არაკავშირებით კილოს გრამემის გამომხატველი მორფემა ერთი \emptyset ალომორფისაგან შედგება (ამ ალომორფების განაწილების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. მაჭავარიანი, 1964-66; ონიანი, 2003, 170).

კილოს კატეგორიის სხვაგვარი აღწერაც არის შესაძლებელი: იგი შეიძლება წარმოვადგინოთ სამი გრამემის სახით: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. ამგვარი აღწერის დროს გამოვყოფთ ბრძანებითი კილოს მაწარმოებელ სუპრაფიქსს. ასეთ შემთხვევაში კილოს მიხედვით ოპოზიციის მარკირებული წევრები კავშირებითი და ბრძანებითი იქნება, ხოლო თხრობითი – არამარკირებული. თუმცა ასეთი მიდგომის დროს მწკრივების რაოდენობა გაიზრდება (მაჭავარიანი, 1964-66).

თანამდევრობის, ანუ ტაქსისის (რ. იაკობსონის ტერმინი), კატეგორია ქართულში პირველად აკ. შანიძემ გამოყო. ეს კატეგორია ერთდროულის, უწინარესისა და შემდგომის გრამემებისაგან შედგება. მათ შორის დაპირისპირება მხოლოდ წარსულ დროში გვაქვს. როგორც ი.მელჩუკი შენიშნავს, ბევრ ენაში ერთი და იგივე მაჩვენებლები ითავსებენ თანამდევრობისა და დროის კატეგორიის ფუნქციებს. ასე გვაქვს ქართულ ენაშიც: წარსული დროისა და თანამდევრობის კატეგორიის გრამემები მორფოლოგიურად გამოიხატება მწკრივის იმ ნიშნებით, რომლებსაც წარსული დროის მაჩვენებლები ვუწოდებთ.

ქართულ ენაში უნდა გამოვყოთ რეზულტატივის კატეგორია, რომელიც რეზულტატურისა და არარეზულტატურის გრამემებისგან შედგება. ამ გრამემებს შორისაც დაპირისპირება მხოლოდ წარსულ დროში გვაქვს: III სერიის მწკრივები რეზულტატურია, ხოლო წარსული დროის სხვა მწკრივები (უწყვეტელ-ხოლმეობითი და წყვეტილი) – არარეზულტატური. რეზულტატური/არარეზულტატური პრივატული ოპოზიციის მარკირებული წევრია რეზულტატური. ეს გრამემა, შესაძლებელია, მორფოლოგიურად გადმოიცემოდეს I თურმეობითისა და II თურმეობითის ნიშნებით, რომლებიც აგრეთვე თანამდევრობისა და დროის მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

ახლა შეგვიძლია დავავჯუფოთ ის გრამემები, რომელთა საშუალებითაც დავახასიათებთ მწკრივებს. ეს გრამემებია:

- 1) დროის კატეგორიაში – წარსული/არაწარსული,
- 2) კილოს კატეგორიაში – კავშირებითი/არაკავშირებითი,
- 3) თანამდევრობის კატეგორიაში – უწინარესი/არაუწინარესი,
- 4) რეზულტატივის კატეგორიაში – რეზულტატური/არარეზულტატური,
- 5) გრძლიობის კატეგორიაში – განგრძობითი/არაგანგრძობითი (მომენტობრივი).

1) წარსული/არაწარსული ნიშნის დადებითი მნიშვნელობით დახასიათდება უწყვეტელ-ხოლმეობითი, წყვეტილი, I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობით – აწმყო-მყოფადი, I კავშირებითი და II კავშირებითი.

2) კავშირებითი/არაკავშირებითი ნიშნის დადებითი მნიშვნელობით დახასიათდება I კავშირებითი, II კავშირებითი და III კავშირებითი, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობით – აწმყო-მყოფადი, უწყვეტელ-ხოლმეობითი, წყვეტილი, I თურმეობითი და II თურმეობითი.

3) უწინარესი/არაუწინარესი ნიშნის დადებითი მნიშვნელობით დახასიათდება II თურმეობითი და III კავშირებითი, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობით – უწყვეტელ-ხოლმეობითი, წყვეტილი და I თურმეობითი (ამ ნიშნით დავახასიათებთ მხოლოდ წარსული დროის მწკრივები, რადგან,

როგორც ითქვა, თანამდევრობის კატეგორიის გრამმათა შორის დაპირისპირება ღირებულება მხოლოდ წარსულ დროში).

4) რეზულტატური/არარეზულტატური ნიშნის დადებითი მნიშვნელობით დახასიათდება I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობით – უწყვეტელ-ხოლმეობითი და წყვეტილი (როგორც ითქვა, თანამდევრობის კატეგორიის მსგავსად, რეზულტატურობის კატეგორიის გრამებს შორის დაპირისპირება ღირებულება მხოლოდ წარსულ დროში).

5) განგრძობითი/არაგანგრძობითი ნიშნის დადებითი მნიშვნელობით დახასიათდება აწმყო-მყოფადი, უწყვეტელ-ხოლმეობითი, I კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობით – წყვეტილი და II კავშირებითი.

აქვე შევნიშნავთ, რომ მწკრივების მსგავსი დახასიათება მოცემული აქვს რ. ასათიანსაც. იგი ახასიათებს თერთმეტ მწკრივს ექვსი ნიშნით. ეს ნიშნებია: ხოლმეობითობა, უნახაობა, კავშირებითობა, ასპექტი, ნამყოფობა, წინარე ნამყო. როგორც ითქვა, ქართულში არ არსებობს ხოლმეობითობისა (გზისობის) და უნახაობის (აქტის) კატეგორიები, ხოლო რაც შეეხება ასპექტს, ის ერთმანეთისაგან ასხავეებს მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივებს, ამიტომ, რადგან ჩვენ გავაერთიანეთ ეს მწკრივები, ასპექტის კატეგორია მათ განსახვავებლად აღარ გვჭირდება.

ზემოთ კავშირებითის მწკრივები დავახასიათეთ დროის კატეგორიის მიხედვით, თუმცა არსებობს განსხვავებული აზრი (და, ალბათ, უფრო მისაღებიც), რომლის თანახმად, ირიბი კილოები დროის მიხედვით არ განიჩევა.

გრამებით დავახასიათებთ მხოლოდ შვიდ მწკრივს: აწმყო-მყოფადს, უწყვეტელ-ხოლმეობითს, I კავშირებითს, წყვეტილს, II კავშირებითს, I თურმეობითსა და II თურმეობითს. რაც შეეხება III კავშირებითს, იგი თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ იხმარება, მისი ფუნქციები II თურმეობითმა შეითავსა. ამგვარად, თანამედროვე ქართულში სისტემა შეიცვალა და გამარტივდა – მწკრივების რაოდენობა შემცირდა.

ახლა შეგვიძლია შევადგინოთ ცხრილი, რომელშიც განვსაზღვრავთ გრამმათა ღირებულებას თითოეული მწკრივისათვის (იხ. ცხრილი I). შვიდი მწკრივის აღსაწერად გამოვიყენეთ ხუთი დიფერენციალური ნიშანი, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შვიდი მწკრივის აღსაწერად საკმარისი იქნებოდა *log₂7* რაოდენობის დიფერენციალური ნიშანი, ანუ დაახლოებით სამი.

როგორც ითქვა, გზისობა სემანტიკური კატეგორიაა. იგი ზმნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე გვაძლევს წარმოდგენას, მაგრამ, ზ.ჭუმბურიძის აზრით, დამოუკიდებელი ზმნური კატეგორიის წონა და მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ ის ასპექტის კატეგორიის გარკვეულ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ, „რომელთა მსგავსი მოვლენები მსოფლიოს მრავალ ენაში დასტურდება და თანამედროვე ასპექტოლოგიაში აღინიშნება ტერმინით Aktionsart (რუსული способ действия). მის შესატყვისად ქართულში მიზანშეწონილი იქნება ვიხმართ „მოქმედების სახე“ (ჭუმბურიძე, 1967, 351).

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ენის ზმნას აქვს 5 ფლექსიური კატეგორია (პირისა და რიცხვის კატეგორიის გარდა): დროის, კილოს, თანამდევრობის, გრძობისა და რეზულტატიურობის, ხოლო გზისობა და აქტი არა მორფოლოგიური, არამედ სემანტიკური კატეგორიებია.

	აწმყო- მყოფადი	უწვევებულ- ხილვითი	I კავშირებითი	წვევები	II კავშირებითი	I თურმეობითი	II თურმეობითი
წარსული	-	+	0	+	0	+	0
კავშირებითი	-	-	+	-	+	-	0
უწინარესი	0	-	0	-	0	-	+
განგრძობითი	0	+	+	-	-	0	0
რეზულტატ- ტური	0	-	0	-	0	+	0

ცხრილი 1

ლიტერატურა

- ასათიანი 1982** – რ. ასათიანი, მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბილისი 1982.
- ასათიანი 1988** – რ. ასათიანი, მწკრივის უნივერსალური კატეგორიის გრამატიკული რეალიზაციები ქართველურ ენებში, ტიპოლოგიური ძიებანი, თბილისი 1988.
- გოგოლაშვილი 1984** – გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი 1984.
- გოგოლაშვილი 1988** – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი 1988.
- ზურაბიშვილი 1965** – თ. ზურაბიშვილი, მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ.40 №2, 1965.
- თოფურია 1955** – ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, VII, თბილისი 1955.
- კოტინოვი 1986** – ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბილისი 1986.
- მაჭავარიანი 1964-66** – გ. მაჭავარიანი ქართული ენის სტრუქტურული შესწავლა (ლექციების კურსი, ხელნაწერი), თსუ, 1964-66.
- მაჭავარიანი 1972** – გ. მაჭავარიანი, გრძლიობის, ასპექტისა და დროის კატეგორიების მიმართება თანამედროვე ქართულში, თსუ, „მიმომხილველი“ (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული), 6-9, 1972.
- მაჭავარიანი 1974** – გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ.IV, თბილისი, 1974.
- ნებიერიძე 1987** – გ. ნებიერიძე, ასპექტი ქართულში, აკაკი შანიძე-100, 1987.
- ონიანი 2003** – ალ. ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბილისი 2003.
- ფეიქრიშვილი 1974** – ჟ. ფეიქრიშვილი, თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ.IV, თბილისი 1974.
- ფხაკაძე 1985** – დ. ფხაკაძე, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და I თურმეობითის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი 1985.
- შადური 2006** – ი. შადური, ფლექსიური კატეგორიები აფხაზური და ქართული ზმნის მწკრივებში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXII, თბილისი, 2006
- შანიძე 1980** – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1980.
- ჭრელაშვილი 1980** – კ. ჭრელაშვილი, ასპექტის როგორც ენობრივი კატეგორიის არსი და ასპექტის სამწვეროვანი კორელაცია თანამედროვე ქართულ ენაში, „საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი“, ნაწ.1, თბილისი 1980.
- ჭუმბურიძე 1967** – ზ. ჭუმბურიძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, „ორიონი“, თბილისი 1967.
- ბონდარკო 1971** – Бондарко А. В., Грамматическая категория и контекст, Ленинград 1971.

მეცნიერება 1998 – Мельчук И. А., Курс общей морфологии, т.2, Москва-Вена 1998.

პლუნგიანი 2000 – Плунгян В. А., Общая морфология, Введение в проблематику, Эдиториал УРСС, 2000.

ხრაკოვსკი 1997 – Храковский В. С., Понятийная база и опыт классификации семантических типов множества ситуаций, Труды аспектологического семинара филологического факультета, МГУ, Том 2, 1997.

შადური 2005 – Шадური И. И., Граммемы аспекта в абхазском литературном языке в сопоставлении с грузинским, С.-Петербургский университет, Тбилисский университет, Научные труды, серия: филология, X, 2005.

Zurab Baratashvili

Aspect and Inflectional Categories of the Verb in Modern Georgian

Summary

The problem of aspect and verbal inflectional categories in modern Georgian is studied in the article.

There are three aspects in Georgian: imperfective~perfective, durative~punctual, concentrative~iterative. It is argued by the author that these aspects differ in type. The imperfective~perfective is a derivational morphological category; the durative~punctual aspect is an inflectional morphological category; as for the concentrative~iterative aspect, it is a semantic category that could also be considered as a type of Aktionsart.

The formal distinctions between the screeves are, as a rule, expressed by inflection, but in the screeves of the first series (Present, Imperfect, Present Subjunctive, Future, and Future Subjunctive) the formal distinction is expressed by derivation. In order to get a symmetric and consistent system for the verbal screeves in Georgian, the number of these six screeves is reduced to three (Present-Future, Imperfect-Habitative, I Subjunctive) in which the pairs of screeves are made distinct through derivation and the screeves themselves are differentiated through inflection.

Besides, as III Subjunctive screeve is hardly used in modern Georgian and its functions are taken over by screeve, the author has removed it out of the screeve system.

The eleven-screeve system is thus reduced to the seven-screeve system. The values of the seven screeves are described with the grammemes of the five inflectional categories – tense, mood, taxis, resultative and durative which are analysed in the article.

ნანა პერიძე

არსებითი სახელის ობლიგატორული და ფაკულტატური ვალენტობა

არსებითი სახელის ვალენტობა დღემდე რჩება აქტუალურ პრობლემად. მისი შესწავლის ასპექტები და სისტემატიზაციის კრიტერიუმები განსხვავებულად არის წარმოდგენილი ენათმეცნიერთა შრომებში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა რაოდენობის აქტანტებს შეიწყობს არსებითი სახელი გერმანულ ენაში და რის საფუძველზე შეიძლება მათი რიცხვის განსაზღვრა. ამ საკითხს ლოგიკურად უკავშირდება აქტანტების ურთიერთმიმართების დადგენა და მათი ობლიგატორულობისა და ფაკულტატურობის დასაბუთება.

ობლიგატორული აქტანტების გამოტოვება წინადადებაში დაუშვებელია, რასაც ვერ ვიტყვით ფაკულტატურ შემავსებელზე. მისი ელიმინირებით წინადადება გრამატიკულად კორექტული რჩება. ზმნის გარემოცვაში მოქცეული აქტანტები ვაშლილია მთელ წინადადებაში, ხოლო არსებითი სახელის შემთხვევაში ვალენტური მიმართებები გამოიხატება მხოლოდ ნომინალურ ფრაზაში, რომელსაც ქმნის არსებითი სახელი. ამდენად, არსებითი სახელის აქტანტების ობლიგატორულობა-ფაკულტატურობის კვლევა მიზანშეწონილია აგრეთვე ზმნური ვალენტობისგან დამოუკიდებლადაც.

ზოგიერთი ლინგვისტი თვლის, რომ ვალენტობა ახასიათებს მხოლოდ ნაზმნარ და დეადიექტიურ სახელებს, რომლებიც ვალენტურ თვისებებს მემკვიდრეობით იღებენ იმ ზმნისგან და იმ ზედსართავი სახელისაგან, რომლებსგანაც ისინი იწარმოებიან. ეს კარგად ჩანს საბაზისო ზმნების და ზედსართავების ტრანსფორმაციით, როდესაც მათი აქტანტები ავტომატურად გადადის შესაბამის ნაზმნარ და დეადიექტიურ სახელებზე.

მაგალითად: Er ruft mich an.

→ Sein Anruf

Der Satz ist richtig.

→Die Richtigkeit des Satzes

ვალენტურ თვისებებს ავლენენ აგრეთვე მარტივი(სიმპლექსური) არსებითი სახელები, რადგან მათ -er-ზე დაბოლოებული ნაზმნარი სახელების მსგავსად შეუძლიათ აქტანტების შეწყობა (Welke, 1988, 147).

ვალენტური უნარის მქონე მარტივ სახელებს შეიძლება მივაკუთვნოთ -er-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები, მაგალითად: Vater, Bruder, რომლებიც ვალენტობას ავლენენ Verwandter სიტყვის მსგავსად. აქვე შესაძლებელია სიმპლექსური არსებითი სახელების დასახელება, რომლებსაც სემანტიკური ანალოგიები მოეპოვებათ და იმავე ვალენტურ თვისებებს ავლენენ.

Feind - Angreifer

Freund - Geliebter

Nachbar - Anwohner

König - Anführer

შემდგომი აქტუალური საკითხია, რა სახის აქტანტებს შეიწყობს არსებითი სახელი. ერთი მხრივ, ამტკიცებენ, რომ არსებითი სახელი შეიწყობს მხოლოდ ფაკულტატურ აქტანტებს, რამდენადაც ზმნების და ზედსართავებისთვის დამახასიათებელი ობლიგატორული აქტანტები

ნომინალიზირების დროს ფაკულტატიური ხდება. მეორე მხრივ, გამოითქმის მოსაზრება, რომ „თავისუფალი ადგილები ფაკულტატიურია, მაგრამ ხშირად კომუნიკაციურად საჭირო სუბსტანტიური ატრიბუტები იკავებენ თავისუფალ ადგილს, ისევე როგორც წინდებუდიანი ჯგუფები, მაგრამ აუცილებელი არიან იმ გაგებით, რომ მათი არსებობის გარეშე გამონათქვამი არაგრამატიკული გახდება“ (Th. Schippan, 1967, 186).

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს პ. ზანდბერგი, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებითი სახელები იმავე რაოდენობის თავისუფალ ადგილებს ხსნიან, რამდენსაც შესაბამისი საბაზისო ზმნები. ზმნის შემავსებლები ობლიგატორულად მიიჩნევა მაშინაც, როცა კონტექსტის გამო ისინი გამოტოვებულია. გაარსებითების შემთხვევაში ფაკულტატიური შეიძლება იყოს მხოლოდ ზმნის ფაკულტატიური შემავსებლები.

არსებითი სახელის ობლიგატორული აქტანტები რეალიზდება არა მარტო ნათესაობითი ბრუნვით ან კუთვნილებითი ნაცვალსახელით გამოხატული განსაზღვრებით, არამედ იმავე წინადადებაში ან კონტექსტში არსებული შემავსებლის სახით.

არსებითი სახელის აქტანტების ობლიგატორულობის დასადგენად გასათვალისწინებელია ცნების „ობლიგატორული“ სხვადასხვაგვარი გაგება. „კონტექსტური ობლიგატორულობა“ (Direktobligatorium) და დისტანციური ობლიგატორულობა (Fernobligatorium), როგორც მათ პ. ზანდბერგი უწოდებს, დაახლოებით იმასვე გულისხმობს, რასაც ტერმინები „წინადადების ობლიგატორულობა“ და „ტექსტური ობლიგატორულობა“ (მათ შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ როგორ განლაგდებიან შემავსებლები წინადადებაში).

თუ ობლიგატორულობას ფართო მნიშვნელობით ვაგვიგებთ, მაშინ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი სხვა სახისაა არსებითი სახელის ჯგუფში, ვიდრე ზმნისა და ზედსართავის ჯგუფებში.

გარდა ტერმინოლოგიური პრობლემებისა, განსხვავებული რჩება კიდევ ორი მომენტი:

- 1) Er hat viele Bilder von seinem Urlaub.
Er ist gerade beim Zeigen.
- 2) Er ging gerade aus seinem Zimmer hinaus.
*Beim Verlassen stolperte er.
Beim Verlassen des Zimmers stolperte er.

პირველ წინადადებაში Bilder – აქტანტი მოცემულია და ნაზმნარ არსებით სახელთან აღარ მეორდება. მეორეში, პირიქით, აქტანტის განმეორება აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ ის (Zimmer) წინამდებარე წინადადების კონტექსტში მოცემულია. სხვა შემთხვევაში წინადადება გრამატიკულად არასწორი იქნებოდა. ეს მაგალითი ადასტურებს, რომ არსებითი სახელის აქტანტი Zimmer შეიძლება იყოს ობლიგატორული, ე.ი. არ მოხდეს მისი ელიმინირება. ავიღოთ სხვა მაგალითები:

Das Meiden des Alkohols war für ihn nötig.
Durch die Berücksichtigung dieses Tatbestandes hat er Erfolg gehabt.
Das Feststellen dieses Fehlers war möghich.

მსგავს შემთხვევებში ნაზმნარი არსებითი სახელის აქტანტები (des Alkohols, dieses Tatbestandes, dieses Fehlers) არ უნდა შეიკვეცოს, რათა წინადადება გრამატიკულად სწორი დარჩეს.

- * Das Meiden war für ihn nötig.
- * Durch die Berücksichtigung hat er Erfolg gehabt.

* Das Feststellen war möglich.

ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ

1. არსებით სახელებს აქვთ როგორც ობლიგატორული, ისე ფაკულტატური აქტანტების შეწყობის უნარი;
2. ნაწარმოებ (ნაზმნარ და დეადიექტიურ) არსებით სახელებთან ფაკულტატური ვალენტობა დასაშვებია:
das Bauen des Hauses; das Gut des Herren;
3. ობლიგატორულ აქტანტებს მოითხოვენ აბსტრაქტული სახელები:
die Benutzung des Internets; die Entwicklung der Literatur, die Einteilung des Romans; die Verringerung der Kosten;
4. ობლიგატორული ვალენტური შემავსებელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს აგრეთვე ინფინიტიური ჯგუფით:
der Wunsch zu reisen; die Möglichkeit zu bauen; die Lust etw. zu unternehmen;
5. არსებით სახელთა ერთი ნაწილი არ ხსნის თავისუფალ ადგილს და არ მოითხოვს შემავსებელს. ეს ეხება პირველ რიგში საკუთარ სახელებს:
Frau Fischer, Herr Schröder.

არსებით სახელთა ვალენტური მიმართებების საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს სახელთა მონოსემურობა ან პოლისემურობა. არსებითი სახელის მნიშვნელობასთან ერთად იცვლება მისი ვალენტობაც.

Er ist Lehrer.

Er ist Lehrer mehrerer Generationen.

პირველ შემთხვევაში Lehrer პროფესიის აღმნიშვნელი სახელია და წარმოადგენს ვალენტურ (ზმნურ) აქტანტს, მეორე შემთხვევაში, როცა მისი მნიშვნელობა ფართოვდება, Lehrer აქტანტური (სახელადი) დომინანტია, რომელიც, თავის მხრივ, უფრო დაბალი რანგის აქტანტს – mehrerer Generation შეიწყობს.

ობლიგატორული ვალენტობის მქონე არსებით სახელთა რიცხვი არ არის ძალიან დიდი. მათ არასრულ ჩამონათვალს ასე ვიძლევი:

der Absender (des Briefes)
der Empfänger (der Gäste)
der Besitzer (des Gutes)
der Anbieter (der Arbeit)
der Erzeuger (der Produkte)
der Verwender (der Stelle)
der Arbeitgeber (der Tat)
der Vorschlag (des Chefs)
der Wunsch (des Beamten)
die Bitte (des Angeklagten)
die Erinnerung (an die Vergangenheit)

ამრიგად, არსებით სახელს შეიძლება შეეწყოს როგორც ობლიგატორული, ისე ფაკულტატური აქტანტი, რაც დამოკიდებულია როგორც არსებითი სახელების სუბკლასების თავისებურებებზე, ისე სინტაქსურ მიმართებებსა და კონტექსტებზე.

ლიტერატურა

Admoni 1986 – Admoni W., Der deutsche Sprachbau, Москва, 1986

- Eisenberg 2004** – Eisenberg P., Grundriss der deutschen Grammatik, Der Satz. Stuttgart – Weimar 2004.
- Engel 1977** – Engel U., Syntax der deutschen Gegenwartssprache, Berlin 1977.
- Erben 1964** – Erben Y., Abriss der deutschen Grammatik, Berlin 1964.
- Jermek** – Jermek B., Valenz des Substrativs. Dokument, ელ. კერძო: <http://www.grin.de>.
- Helbig 1976** – Helbig G., Zur Valenz verschiedener Wortklassen, DaF. 3/1976, Leipzig.
- Yarnatovskaja 1981** – Yarnatovskaja V., Das Substantiv. Ein Hilfsverb zur deutschen Grammatik, Moskau 1981.
- Sandberg 1982** – Sandberg B., Zur Valenz der Substantive, DaF. 5/1982. Leipzig, 19. Jhrg., Göteborg.
- Schippan 1986**– Schippan Th., Die Verbalsubstantive in der deutschen Sprache, der Gegenwart, Leipzig 1968.
- Sommerfeldt 1973**– Sommerfeldt K. E., Zur Besetzung der Leerstellen von Valenzträgern, DaF. 2/1973.
- Sommerfeldt, Schreiber 1975** – Sommerfeldt K. E. / Schreiber H., Zu einem Wörterbuch der Valenz und Distribution der Substantive, DaF. 2/1975.
- Teubert 1979** – Teubert W., Valenz des Substrativs. Ergänzungen und Angaben, Düsseldorf 1979.
- Welke 1988** – Welke K., Einführung in die Valenz- und Kasustheorie, Leipzig 1988.

Nana Beridze

Obligatory and Facultative Valency of the Nouns

Summary

The determination of the number of the valency of the noun phrase is an important issue, it is connected with the obligatory-facultative character of the actants.

The noun can be harmonized both with obligatory and facultative actants. This depends on the peculiarities of the sub-classes of the noun, as well as on the syntactic relations and context.

Obligatory valency may be connected with nouns, being former verbs, expressed by the possessive pronoun, the possessive case or attribute with a preposition.

სამპირიანი ბარდაშვალის ზმნები

მიღებულია, რომ ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია (ვნებითი ან საშუალო გვარისა), სამპირიანი – გარდამავალი (მოქმედებითი გვარისა), ორპირიანი კი შეიძლება სამივე გვარისა იყოს. სკოლის მოწაფემაც და სტუდენტმაც, თუ გრამატიკის ლაბირინთებში ღრმად ჩახედული არ არის, იცის, ასე ვთქვათ, ზედაპირულად, რომ, თუკი ზმნას სამი პირი შეეწყობა, ის უთუოდ მოქმედებითი გვარისა უნდა იყოს, რომელსაც ორივე სახის პირმომართი ობიექტი ახლავს – პირდაპირიცა და ირიბიც და, ამდენად, გარდამავალია.

მაგრამ ეს თითქოსდა მყარი წესი ყოველთვის როდი ამართლებს. ენაში არის შემთხვევები, როცა სამპირიანი ზმნა ვნებითი გვარისა შეიძლება აღმოჩნდეს – ეს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ობიექტი ირიბია, ანუ მეორე სერიაშიც მიცემით ბრუნვაში დგას.

ასეთი ზმნები, როგორც წესი, ძველად ორპირიანი იყო, ვნებითი გვარისა, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთი პირი მიემატა, ოღონდ არა პირდაპირი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ მეორე ირიბი. უმეტესობა ასეთი ზმნებისა პრეფიქსიანი, ეგრეთწოდებული ენიანი ვნებითებია, იშვიათად კი სხვა ტიპის ვნებითებაც გამოიყვება.

განსახილველი ზმნების ერთი ნაწილი მხოლოდ სამ პირს იგუებს, მეორე კი კონტექსტის მიხედვით ორპირიანიც შეიძლება იყოს და სამპირიანიც.

ამგვარი ზმნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არის სხვადასხვა ავტორის რამდენიმე საგანგებო შენიშვნა. 1953 წელს აკაკი შანიძე წერდა: „დეპონენსურად იხმარება „უყვება“ ზმნაც, რომელსაც ორი ობიექტი აქვს, პირდაპირი და ირიბი: „ამხანაგს ამბავს უყვება“ – „ამხანაგს ამბავს მოუყვა“, სადაც „ამხანაგს“ ირიბია და „ამბავს“ პირდაპირი, მაგრამ ეს პირდაპირიც ირიბია წარმოშობით: ამბავს ჰყვება – ამბავს მოჰყვა. პირდაპირად გახდომასთან დაკავშირებით მან შეიძლება ფორმაც იცვალოს: ამბავი მოჰყვა, ამბავი მოუყვა“. იქვე მკვლევარი დასძენს: „როგორც მაგალითები გვიჩვენებს, დეპონენსური ხასიათი აქვს იმ ზმნებს, რომლებიც ვნებითს პრეფიქსით აწარმოებენ, სუფიქსიანთაგან ამავე ჯგუფს მიეკუთვნება „ჰპირდება“, რომელიც ორ ობიექტს იგუებს და – „უყვება“ ზმნის მსგავსად – I და II სერიის ფორმებსაც ადვილად იკეთებს: ჰპირდება იგი მას მას – დაჰპირდა იგი მას მას. ორივე ობიექტი ირიბია წარმოშობით (ერთი პირისა, მეორე ნივთისა), მაგრამ მეორე ობიექტი (ნივთისა) ამჟამად პირდაპირად არის გაგებული“.²

ამ ზმნებს შეეხო ლეო კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“. 1958 წლის გამოცემაში მოკლედია აღნიშნული: „გვაქვს ორიოდე ზმნა, რომელთაც სამი ბრუნვა უცვლელი სახით ეწყობა და ზოგ მათგანს სამპირიანობა III სერიაშიც გადაჰყვება. ეს ის ზმნებია, რომელთაც ფორმა ვნებითისა აქვთ, მნიშვნელობა – მოქმედებითისა“. აქვე დასახელებულია ასეთი ოთხი ზმნა: ჰპირდება, უყვება, ეკითხება და

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 308.

² იქვე, გვ. 309.

ემუქრება.³ შედარებით ვრცლად ამ საკითხზე საუბარი 1996 წლის გამოცემაში: „სამი პირის გაგებას იძლევა დებონენსები: ეკითხება, ემუქრება, ეუბნება, ეტყვის, ეხვეწება, ევეღრება, ჰპირდება, უყვება. ამათგან ჰპირდება ღონიანია, უყვება – უნიშნო, დანარჩენები კი პრეფიქსული წარმოებისაა (ენიანი): [ცოტები დედას] ძუძუს ეხვეწებიან (წერ., 1, 8); მსურვალედ ევეღრებოდა ზეცას შვიტას (კლდ., 205); მამა შვილს საჩუქარს ჰპირდება.

ამ ტიპის ზმნას სამპირიანობა შეიძლება მესამე სერიაშიც გადაჰყვეს: მამა შვილს საჩუქარს ჰპირდება (აწმყო); მამა შვილს საჩუქარს დაჰპირდა (წყვეტილი); მამა შვილს საჩუქარს დაჰპირებია (I თურმეობითი). როგორც ვხედავთ, ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ პირებთან შეწყობილი სამივე სახელი ბრუნვაუცვლელია. მამა ქვემდებარეა, შვილს და საჩუქარს დამატებებია (ერთი – პირისა, მეორე – ნივთისა). ორივე დამატება წარმოშობით ირიბია, მაგრამ ამჟამად პირველი (შვილს) ირიბი დამატებაა, მეორეს კი პირდაპირი დამატების მნიშვნელობა აქვს. ამის გამო ასეთმა დამატებამ შეიძლება ბრუნვაც იცვალოს: წმინდა გიორგის ჯვარდ დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მიმიტანდა (ჭავ., 318); აი, ეს ამბავი მოუყვა ახლა ზაქრემ ვარამაძეს და ორივემ გულიანად გაიცინა (თ.დონჟ.). სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ასეთი შეწყობა მიუღებელია; უნდა: „... ჯვარდს დაჰპირდნენ იმას“, „აი, ამ ამბავს მოუყვა ახლა ზაქრო ვარამაძეს“.⁴

ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „ენიანი ვნებითების (გამოყენების) ნახევარზე მეტს წარმოადგენენ ე-პრეფიქსიანი დებონენსები“, და დასძენს, რომ დებონენსური გაგება შეიძლება ჰქონდეს ყველა სახის ვნებითს: პრეფიქსიანებსაც, სუფიქსიანებსაც და უნიშნოთაც.⁵

ივანე იმნაიშვილი უფრო ვრცლად ეხება სამპირიან გარდაუვალ ზმნებს და საგანგებოდ მიმოიხილავს მათ „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ (ტომი I, ნაწ. II, 1982, გვ. 321). იგი წერს: „ჩვეულებრივად ...გარდაუვალ ზმნას ორ პირზე მეტი არ უნდა ჰქონდეს (შესაფერის მოქმედებითს ხომ მხოლოდ სამი პირი აქვს!). ეს ასეცაა საერთოდ, მაგრამ ახალ ქართულში გვაქვს ...ათილედ გარდაუვალი ზმნა, რომელთაც მესამე პირიც გასჩენია და ახლა სამპირიანი გამხდარა, სინტაქსური ძალა კი ისევ ძველი შეუნარჩუნებია“.⁶ ქვემოთ ჩამოთვლილია ასეთი ზმნები: მოუყვება/ მოუყვა, ჰპირდება/ დაჰპირდა, ესესხება/ესესხა, ეკითხება/შეეკითხა, ეცილება/შეეცილა, ემუქრება /დაემუქრა, ეთამაშება/ ეთამაშა, მიუხვდება /მიუხვდა. სინტაქსური ძალის შეუნარჩუნება იმას ნიშნავს, რომ I და II სერიებში სუბიექტი სახელობითში დგას, ორივე ობიექტი კი – მიცემითში.

დღეისათვის ამგვარ ზმნათა რიცხვმა უკვე ოთხ ათეულს გადააჭარბა. ზოგიერთი მათგანი უხვადაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ლიტერატურულ პროდუქციაში, ზოგი იშვიათად გამოკრთება, რამდენიმე თავისი შინაარსით აქ წარმოდგენილი ზმნების რიგში დგას პოტენციურად, მაგრამ ჯერჯერობით ჩემთვის სასურველ კონტექსტში ვერ მოვიგდე ხელთ, თუმცა არაა გამორიცხული, საგანგებო ძებნის შედეგად მათი შემცველი ფორმებიც ამოტივტივდეს. ამა თუ იმ პირის მეტყველებაში ასეთი ფორმები გვხვდება, მაგრამ ლიტერატურული წყაროს მითითება არ შემიძლია.

რასთან გვაქვს საქმე?

³ ლ.კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1958, გვ. 62.

⁴ ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1996, გვ. 105.

⁵ ბ.ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, 1975, გვ. 147, 222.

⁶ ი.იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტომი I, ნაწ. II, 1982, გვ. 321.

ბიჭი ელაპარაკება მეგობარს – ელაპარაკა მეგობარს. „ელაპარაკება“ ჩვეულებრივი ორპირიანი ზმნაა, ენიანი ვნებითი. აქ შეიძლება გაჩნდეს მესამე პირიც: რაზე ლაპარაკობენ, ანუ რას ელაპარაკება ერთი მეორეს. მივიღებთ: ელაპარაკება ის მას მას. იგივე კონსტრუქცია გვექნება მეორე სერიაშიც: ელაპარაკა ის მას მას.

გოგონა ესალმება მეზობელს – მიესალმა მეზობელს. ეს ზმნა მესამე პირს – მეორე ირიბ ობიექტს – ვერ იგუებს.

მე მაინტერესებს პირველი ჯგუფი, რომელშიც შესაძლებელია ეგრეთწოდებული ნივთის ობიექტის მიმატება. ამ მეორე ირიბი ობიექტის პოტენციურად შემგუებელი ზმნა ბევრია – თეორიულად, პრაქტიკულად კი კონტექსტში ვერ მივაკვლიე. დრო სჭირდება მათს გამოძეურებას. მე მინდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ზმნას ასეთი მეორე, ანუ ნივთის, ობიექტი ახლავს ანდა მისი დართვის შესაძლებლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ზოგჯერ ამგვარ ზმნას უფრო ნაკლებად სავარაუდო ობიექტი ახლავს, უფრო აშკარას კი მასთან ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე. ალბათ, დროა საჭირო მათს მოსაძიებლად. მოდიოთ, ვნახოთ ის, რაც დღეისთვის მაქვს ხელთ. სხვებით ამგვარი ზმნების სია, ეჭვი არ მეპარება, თანდათან შეივსება.

ახლა მიყვით თანმიმდევრობით. მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ დამოწმებულ ზმნათაგან უმეტესობა ენაში დღევანდელი ვითარების მაჩვენებელია, მცირე ნაწილს კი განმარტებით ლექსიკონს დავესესხე. ზოგიერთი ნიმუში ამა თუ იმ დიალექტის კუთვნილებაა ანდა მოძველებულთა რიგში დგას, მაგრამ მაინც ენაში დადასტურებულ ფაქტს ასახავს.

უნდა ითქვას, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონში არაა ასეთ ზმნებთან საგანგებოდ მინიშნებული, რომ მათ, როცა სამ პირს შეიწყობენ, II სერიაში მოქმედებითი გვარის ჩვეულებრივ სამპირიან ზმნათაგან განსხვავებული წყობა აქვთ პირის ნაცვალსახელებისა: არა წესისმიერი **მან მას იგი**, არამედ სამპირიანთათვის უჩვეულო: **იგი მას მას**. სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი კონსტრუქციის მქონე ათიოდე ზმნას მიუთითებენ, სინამდვილეში კი ასეთ ზმნათა რაოდენობა გაცილებით მეტია და ოთხ ათეულს აღემატება. ზოგიერთი მათგანი შედარებით ზმირად იხმარება, ზოგი კი, რომ იტყვიან, სანთლითაა საძებარი. ერთი ნაწილი ანალოგიური ზმნებისა ჯერჯერობით არცაა დაფიქსირებული სხვადასხვა სახის ლიტერატურულ პროდუქციაში, მაგრამ პოტენციურად ისინიც დადასტურებული ზმნების რიგში დგანან და არაა გამორიცხული, საგანგებო ძებნის შედეგად მათი შემცველი ფორმებიც ამოტივტივდეს.

1) უყვება / მოუყვა

ეს ზმნა ყველაზე მეტად არის გავრცელებული. ხმარების სიხშირით მას ჰპირდება და ედავება მოჰყვებიან.

- 1) **მზადლ მოუყვა** თავის გაწილების ამბავს (ა. ყაზბეგი, „ელგუჯა“, XVI).
- 2) **ეფროსინე** პირდაპირ, დაუმალაჟად **მოუყვა** სონიას თავის ამბავს (დ. კლდიაშვილი, „ქამუშაძის გაჭირვება“, VI).
- 3) **პლატონი** დაწერილებით **მოუყვა ცოლ-ქმარს** თავისი მდგომარეობის ამბავს (დ. კლდიაშვილი, „სამანიშვილის დედინაცვალი“, IV).
- 4) **ფიცხელაურები** ერთმანეთს საკუთარ **თავგადასავალს** მოუყვნენ („ქრონიკა“, №18, 2004, გვ. 16).
- 5) **არისტლ მოუყვა** სამანიშვილების ამბავს ელენეს (დ. კლდიაშვილი, „სამანიშვ. დედინაცვ.“, X).

2) ჰპირდება / დაჰპირდა / შეჰპირდა

- 1) რუსებს დახმარებას დაჰპირდა, რათა ხელშეკრულებაზე მომეწერინებინა ხელი („კვირის პალიტრა“, №11, 2006, გვ. 11).
- 2) ხარჯებისა და მონების მიცემას დაჰპირდა გიორგი კათალიკოსს (კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“, XX).
- 3) მას ახალთახალ „ფერარისაც“ დაჰპირდნენ („კვირის პალიტრა“, №19, 2005, გვ. 6).
- 4) არლოვი დავითს საზინიდან რამდენიმე ათასი მანეთის გამოტანას შეჰპირდა (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 329).
- 5) ამ ბრძანების აღსრულებისთვის მეფე პირდებოდა ღიდ პატივს და წყალობას, (ა.ყაზბეგი, „ელგუჯა“, IX).
- 6) დედამ გამოააშკარავა, რომ ლევანი შეჰპირდა მის შვილს გაპარებას (დ. კლდიაშვილი*).
- 7) თავადი საქმეს უნგრევს და დაქვეითებას ჰპირდება (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 284).
- 8) [გუბერნატორი] ბოლოს მაინც იმდენ ჩაფარ-ყაზახს დაჰპირდა, რამდენსაც არლოვი თხოულობდა (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 330).
- 9) ოსმალები მათ ისევ ჰპირდებიან შველას (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 378).
- 10) მაიორმა კუჭატნელი შეაქო, შველას შეჰპირდა (მ.ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 383).
- 11) ჩაჩანიძეს ნობელის პრემიაზე წარდგენას დაჰპირდნენ („კვირის პალიტრა“, № 20, 2007, გვ. 15).

3) ესესხება / დაესხება

- 1) სიცოცხლეს ვერვის დავესხებები, თუ სამშობლოსგან გავიწირები! (გ. ლეონიძე, „ვუმღერ სამშობლოს“).
- 2) ზოგს ფულს ესესხებოდა... ზოგს ქალაღში უგებდა (ეკ. გაბაშვილი*).
- 3) თთარი ერთ-ორ მანეთს დავესხებოდა მასპინძელს (გ. წერეთელი*).
- 4) ჩვენებიანთ ნინომ მჭადი ამოყარა, წავალ, ვესესხები (ს.მგალობლიშვილი*).

4) ეკითხება / დაეკითხა / შეეკითხა

- 1) ლიტოვჩენკოს დაეკითხნენ აზრს („მთავარი გაზეთი/სპორტი“, №185, 2004, გვ. 2).
- 2) დირექტორის დანიშვნას არავის დავეკითხები (ჟურნ. „სარკე“, №33, 2004, გვ. 9).
- 3) ბოლოს მას სამსახურის ამბებს შეეკითხა(**).
- 4) განზე გამდგარი სევასტელები ... ერთმანეთს ისე შეჰყურებდნენ, თითქოს რალაცას ეკითხებოდნენ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 317).
- 5) კარპინა გზადგზა იქაურ ამბებს ეკითხებოდა (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 391).
- 6) ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ [სპიდონას] თავიანთ მიცვალებულთა ამბავს, ეკითხებოდნენ ამათ იქაურ ყოფაზე (დ. კლდიაშვილი, „მიქელა“).

⁷ * ნიშნით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ დამოწმებული მაგალითებია აღნიშნული, ** ნიშნით კი წყაროს გარეშე მოხმობილი ნიმუშები.

5) ეცილება / შეეცილა / შემოეცილა

- 1) [ისინი] ორლოვს ორ ლამაზ ქალსაც ეცილებიან (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, გვ. 75).
- 2) ორი „მოქიშპე“ მყვინთავი პირველობას ეცილება ერთმანეთს (TV პროგრამა, №19, 2004, გვ. 11).
- 3) სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შაგვეცილება (ვაჟა-ფშაველა, რჩეული, 1953, გვ. 69).
- 4) ერთმანეთს უსინდისოდ მამულებს ვეცილებოდით (ილია, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“).
- 5) ტვირთოს დასჯერდება ნაკლებსა, დიდს ალარ შეეცილება (აკაკი, ტ. III, გვ. 235).
- 6) სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდებას ერთმანეთს შეეცილება 16 უძლიერესი მოჭადრაკე ქალი (ლელო*).
- 7) თავდადებას მამულისათვის ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ (ილია, „აჩრდილი“, XXI).
- 8) [არსენა მაიორს] ქალსაც შეეცილა ((მ.ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 98).
- 9) იმ ქალს ეს მუყიკი მეცილება? (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 98).
- 10) ეს ისეთი მაცილობელი კაცია, თუ ამ ტყავ-კაბასაც არ შემომეცილება, ნახავთ (სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“).

6) ემუქრება / დაემუქრა

- 1) ბეგლარი [ფილიპიას] შეუწყრა და გაგდებას დაემუქრა (დ.კლდიაშვილი, „ქამუშაძის გაჭირება“, III).
- 2) [ბაგრატ კურაპალატი ფარსმანს] ენის მოჭრას დაემუქრა (კ.გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“, XXIV).
- 3) [ჭაბუკს] ემუქრებოდნენ ტყავის გაძრბას! (აკაკი, ტ. I, გვ. 125).
- 4) ირმის ნუკრსა ცილსა სწამებს, ემუქრება ჩუმად კბენას (აკაკი, ტ. I, გვ. 163).
- 5) უკეთუ სვიმონ არ დაემორჩილებოდა, [მეფე] ემუქრებოდა სარჩო- საბადებლის გადაწვას და ცოლ-შვილის ამოწყვეტას (ა. ყაზბეგი, „ელგუჯა“, IX).
- 6) „უფროსი ვასილ ივანიჩს სამსახურიდან დათხოვას დაემუქრა, თუ კიდევ ამგვარი რამე განმეორდება“ (დ. კლდიაშვილი, „ბაკულის ღორები“).
- 7) „მღვდელი ძლიერ შეუწყრა მიქელას შვილიშვილის დატანჯვისთვის და ემუქრებოდა პასუხისგებაში მიცემას“ (დ. კლდიაშვილი, „მიქელა“).

7) ედავება / შეედავა / შემოედავა

- 1) პროკურატურა მილიონებს შეედავა მას („ალია“, №49, 2004, გვ. 14).
- 2) სემეკი „საქართველოს რკინიგზას“ ლიცენზიას ედავება („ხვალინდელი ლე“, №75, 2004, გვ. 5).
- 3) ექსპრინისტრს გულგრილობას ოფიციალურად ედავებიან („დილის გაზეთი“, №75, 2004, გვ. 2).
- 4) ეს გვარი წარსულში საქართველოს წარჩინებულებს პირველობას ედავებოდა (მ. ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“, ნაწ. I, თ. III).
- 5) კომპანიას აპრილის თვის დავალიანების გადაუხდელობას ედავებიან („ქრონიკა“, №31, 2004, გვ. 2).
- 6) მე რა ვქნა, ერთი შვილის დედა ვარ, მასაც სიკვდილი შემომედავა (ვ. აბაშიძე*).

8) ეთამაშება / ეთამაშა

- 1) მათა ჩიბურდანიძე 1986 წელს სუბოტიცაში რვა პარტიისგან შემდგარ ამხანაგურ მატჩს ეთამაშა მამაკაცს, იუგოსლავიის ვიცეჩემპიონ პ. პოპოვიჩს, და ფრედ (4:4) დაამთავრა შეხვედრა („ლელო“, №68, 1987).
- 2) მარშან ბობი ფიშერი პრეტენდენტის გამოსავლენ მატჩს ეთამაშა ბენტ ლარსენს და მშრალი ანგარიშით დაამარცხა დანიელი გროსმაისტერი („ლელო“, №121, 1972).
- 3) მომდევნო პარტიაში ტალი ბოტვინიკს ლაზიერის გამბიტს ეთამაშა („ლელო“, №167, 1960).
- 4) მე ვუკითხავდი წიგნებს, გაზეთებს, ხანდახან ნარდსაც ვეთამაშებოდი (ეკ. გაბაშვილი*).

9) მიუხვდება / მიუხვდა

- 1) უკუნური ხომ არ გკონივარ, რომ არ მიგიხვდე გულის წადილს?! (მ. არაგვისპირელი*).
- 2) უმაღ მიუხვდა გიორგი განზრახვას (**).
- 4) ახლა კი რაზმელები ღვთისაგარს ყველაფერს მიუხვდნენ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 343).
- 5) თმელაშვილი მაშინვე მიუხვდა გლეხებს ყველაფერს (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 374).

10) გამორჩება / გამორჩა

- 1) „ლ ბლექსი“...ორი ლელოს გარდა ვერაფერს გამორჩა ავსტრალიელებს („მთავ. გაზ./სპორტი“, №185, 2004, გვ. 12).
- 2) ზვიადური მსაჯს მეტოქის სამჯერ გაფრთხილებას კი გამორჩა (მთავ. გაზ./სპორტი“, №195, 2004, გვ. 2).
- 3) შოკოვსკიმ ივაჟკაცა და უკრაინელებს კუთხურსდა გამორჩით („კვირის პალიტრა“, №36, 2005, გვ. 35).
- 4) [მატონს] არც არას გამორჩება, არც სხვას რამეს გაატანს (აკაკი, ტ. III, გვ. 88).
- 5) გამიშვით, ჩემთვის გაფრინდე, რას გამომრჩებით წვალებით? (აკაკი, ტ. IV, გვ.51).

11) ეხვეწება / შეხვეწა

- 1) იძულებულია ევროპის ქვეყნებს ეხვეწოს სესხს (ნ.გრიგალაშვილი, სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები, 1997, გვ. 48).
- 2) ეხვეწებოდა განა ცლტასა იმ სულწაწყმედილს საწყალი მამა (ილია, „კაკო ყაჩაღი“, ი. ჭავჭავაძე, I, 1951, გვ. 173).
- 3) ტიტლ მას იუგოსლავიაში გადასახლებას ეხვეწებოდა (ჟურნ. „ელიტარული ქრონიკა“, №3, 2005, გვ. 19).
- 4) ეგზეკუციის ამოყვანას მამა-თქვენი მეხვეწებოდა (მ.ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 327).
- 5) ბევრს ეხვეწნენ იქით-აქედან ქაიხოსროს, არც დაღუპო საწყალი ბესარიონიო (დ. კლდიაშვილი, „სოლომან მორბელაძე“, IV).
- 6) ქვრივი დაიჭირეს და წამოსვლას ეხვეწებოდნენ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 368).
- 7) „ბატონო, შემოგეხვეწე დახმარებას, – უარი მითხარი“ (დ. კლდიაშვილი, „დარისპანის გასაჭირი“).

12) შეწვევა / შეწია

1) „კაცი რომ ღჯახს 50 მანეთს შეწვევა მეგობარიც არის, მოყვარეც და ნათესავეც (ივერი ტაბიძე, „გაუმარჯოს ამხანაგ ფულავას!“, „ნიანგი“, №2, 1977, გვ. 2).

13) ელაპარაკება / ელაპარაკა

- 1) საღამოზე ვანო იჯდა თავის ტოლებში და ქალაქის ამბავს ელაპარაკებოდა (ი. გოგებაშვილი*).
- 2) ათას რამეს ელაპარაკა დიდი ხნის უნახავ მეგობარს (**).
- 3) რას ელაპარაკები ამდენ ხანს უცნობ ქალს? – მხოლოდ სიმართლეს (**).
- 4) რას მელაპარაკები?! – შეიცხადა ელენემ (**).

14) ევედრება / შეევედრა

- 1) შორენა ...მამის სიცოცხლეს ევედრება მას (თ. კიკაჩიშვილი, „კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის...“, 1974, გვ. 51).
- 2) ქალი და კაცი იხოკენ პირსა, მკვდრებს ევედრიან გაღვიძებასა (ვაჟა*).
- 3) თუნდ იყოს ცოდვა თქვენისა მცნებათ – მის მოტყუებას არ გვევედრებით (მ. ლერმონტოვი, „მწირი“ (ილია ჭავჭავაძის თარგმანი: ი. ჭავჭავაძე, I, 1951, გვ. 266).
- 4) შინ დარჩენა არ ინება, შეევედრა თან წაყვანას და მეფემაც დართო ნება (ილია, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, XXII).
- 5) მათს სიკეთე-დღეგრძელობას სუყველა ღმერთს ევედრება (აკაკი, ტ. II, გვ. 409).
- 6) დაჰყარეს მათი ფარ-ხმალი, მხოლოდ სიცოცხლეს გვევედრებოდნენ (აკაკი, ტ. VI, გვ. 169).
- 7) ყვავს თვალი არ ება და ღმერთს წამწამებს ევედრებოდალ (ძველი ანდაზა*).
- 8) ეს კი, გულდაჩაგრული, გულაჩვილებული ამ უნუგეშო სურათებით, ... მხურვალედ ევედრებოდა ზეცას შებას (დ. კლდიაშვილი, „მრეველში“).

15) ეცეკვება / ეცეკვა

1) დაჯილდოებისადმი მიძღვნილ წვეულებაზე ახალგამომცხვარი ვარსკვლავი სახელგანთქმულ რეჟისორს ვალსს ეცეკვა (**).

16) ემუდარება / ემუდარა

1) სოფილ დედას კონცერტზე გამკვებას ემუდარებოდა (**).

17) ემართლება

- 1) გიორგი მივარდა ღილების დამჩემებელს, მიეცი, რას ემართლებილ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“).
- 2) ცემას რას ემართლებით (რ. ერისთავი*).
- 3) ემართლები სწორედ შენ ბედს (აკაკი, ტ. IV, გვ. 440).
- 4) ბონძი ღლეს გუჯას მეგობრებს ემართლებოდა იმ ფულს, (ზ. კალანდია, ზვარაკი, „ციცისკარი“, №2, 1985, გვ. 100, გვ. 262).
„რას ემართლება“ ნიშნავს: რას ერჩის, რა ხელი აქვს მასთან, რა უნდა მისგან.
„ემართლება“ II სერიაში არ იხმარება.

18) ეფიცება

1) ტასო და ზურაბი ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ (დ. სულიაშვილი*).

- 2) რომ არ ვჭამე, კარგი ვქენი, გეფიცები შვილებსალ (აკაკი*).
 - 3) გეფიცები და-ძმობასა (შოი მღვიმელი*).
 - 4) სინდისს გეფიცები (ა. ბელიაშვილი*).
 - 5) გეფიცებით იმავე თვალებს (აკაკი, ტ. I, გვ. 97).
 - 6) გამიშვით, გეფიცებით გამჩენსლ (აკაკი, ტ. V, გვ. 182).
 - 7) დიდხანს ეფიცებოდა ერთგულებას, მაგრამ ვერ დააჯერა (**).
 - 8) ეს არ არის მოსაწონი, გეფიცები ზენაარსა (აკაკი ტ. III, გვ. 388).
 - 9) ბოლოს გაზღვევინებ, გეფიცები ზეციერსლ (აკაკი, ტ. II, გვ. 27).
- არც ამ ზმნას აქვს მეორე სერიის ფორმები.

19) ექალბა / ექალა

- 1) დევებმა შეელა აღუთქვეს, აბჯარ-აბგარში სხდებიან, წიწილის დამღონებელსა ტანჯვასა ექალბებიან (ვაჟა, „ნახევარ-წიწილა“, V).
- 2) თითქოს რალაც დიდ წყალბას ექალბდეს მათ ეს დილა (აკაკი, ტ. V, გვ. 77).
- 3) შენი ვარსკვლავი ბედს გექალბის (აკაკი, ტ. I, გვ. 424).
- 4) გექალბის ხანგრძლივ ბედნიერებას (აკაკი, ტ. III, გვ. 423).

20) ევაჭრება / ევაჭრა / შემოევაჭრა

- 1) ერთი გაჭარი იმ ყანას მეცხვარეს ევაჭრებოდა (აკაკი, ტ. V, გვ. 359).
- 2) ერთ ურემს გევაჭრები, სამს ხომ არა? (რ. ერისთავი*).
- 3) ხაზინა შემომევაჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს (ილია*).

21) ეპუება / შეეპუა

- 1) ის ბუზი იმას სცდილობდა, რომ დაჯდომოდა მძინარეს და არას ეპუებოდა მის მეგობარს და მოყვარეს (აკაკი, ტ. IV, გვ. 189).
- 2) [ტოროლა] მიმინოსაც არაფერს ეპუებოდა (ი. გოგებაშვილი*).

22) ეპირება / დაეპირა

- 1) გაღმიდან მგელი გამოღმა ცხვარს ძმობას ეპირებოდა (ვაჟა, დანაბარები“). შდრ. ჰპირდება (ის მას სამსახურში მოწყობას).

23) ესარჩლება

- 1) რას მესარჩლება ... მიწის გამგლეჯი და გზაგარყვნილი (გ. ლეონიძე*).
- „რას ესარჩლება“ ნიშნავს: რას ეღავება, რას ემართლება (განმ. ლექსიკ.)

24) ურჩევნია / ერჩივნა / ერჩია

- 1) „ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული ლუკმა მთელ ქვამ ჩიხირთმას მიჩხევინა“ (ილია, „კაცია-ადამიანი?!“, V).
- 2) „მაგას ერთი კარგი ზურგიელი მერჩივნაო, (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, ტ. III, 1989, გვ. 29).

25) დასთანხმდება / დასთანხმდა (ეთანხმება / დაეთანხმა)

- 1) დიდი ხვეწნის შემდეგ დასთანხმდა ლევანს ექსპედიციაში წაყოლას (**).
 - 2) ფიქრობდა, დასთანხმებოდა თუ არა ვაჟს ცოლად გაყოლას (**).
 - 3) მთავარი ბუღალტერი დასთანხმდა მას სამივლინებო თანხის გამოყოფას (**).
- ამ ზმნას თავისუფლად შეიძლება შეენაცვლოს „დაეთანხმება/ დაეთანხმა“.

26) ეგულება

- 2) რას მეგულები? (განმარტ. ლექსიკ.*).
- ეს შესიტყვება ნიშნავს: „რა გგონია, რომ მაქვს?“; „რა გეგულება ჩემთან?“

27) ებოდიშება / ებოდიშა

- 1) რას ებოდიშები [შენ მას] (განმარტ. ლექსიკ. **).
- 2) გულწრფელად ებოდიშებოდა მას გუშინდელ საქციელს (**).

28) ეთავაზება

- 1) ერთმანეთს ეთავაზებოდნენ, რომ რიგზე უფროსობით დამსხდარიყვნენ (ა.ყაზბეგი*).

29) ეცინის

- 1) [სალომიკას] ეცინოდნენ უნებბას... მიხრა-მოხრას (ნ. ლორთქიფანიძე*).

30) ერჩის

- 1) გამობრძანდეს ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ. 516).
 - 2) კატას რას ერჩის მურა? (აკაკი, ტ. I, გვ. 253).
 - 3) ბელსა გწევ... არაფერს გერჩი და გული გაიმაგრეო (აკაკი, ტ. IV, გვ. 337).
 - 4) [ვირს] არცა ვინ რას ერჩოდა (აკაკი, ტ. IV, გვ. 343).
 - 5) მის ქვეყანას არას ერჩის (აკაკი, ტ. V, გვ. 211).
 - 6) კაცს არას ვერჩი, თუ სამტროდ არ გადმოვიდა ძალადა (შ. მღვიმელი*).
 - 7) რას ერჩი, ადამიანო, საცოდავ პირუტყვს (ი. ელფთერაშვილი*).
- „ერჩის“ (გადატ. მნიშვნ.) არის: უშავებს, ცუდ რამეს უშვრება, ემტრება, ემართლება (ადამიანი). II სერიის ფორმები არა აქვს.

31) დაეხარება / დაეხარა

- 1) ერთი იმისთანას რას დაეხარებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განზე გასდგომოდა (ილია*).

32) დაეჯება / დაეჯა

- 1) ესტატე ბურტელაძე დაგვეჯა იმის დასჯის პატიებასა (ზ.ანტონოვი*) ეს ზმნა მოძველებულია, მისი მნიშვნელობაა „გეთხოვა“, „შეგვეხვეწა“.

33) შეეზიარება / შეეზიარა

- 1) მეზობელს მიწის ნაკვეთს შეეზიარა (**).

34) ენუკვის / დაენუკება / დაენუკვა

- 1) შენ გენუკვი მონახვასა, კილით კიდე მოლახო ცა („ვეფხისტყაოსანი“, 128,4).
 - 2) კვლა ეტყვის: „ყმაო, რა გინდა, ანუ მენუკვი მე რასა?“ (რუსთაველი, 235,1).
- „ენუკვის“ (=ევეღრება, ეხვეწება, სთხოვს) მოძველებული ფორმა კია, მაგრამ ვაჟა-ფშაველასთან არაერთგზის გვხვდება:
- 3) [წიწილა] ქარსაც კი შეეკვას ენუკვის (ვაჟა, „ნახევარ-წიწილა“, VII).
 - 4) [ირემი] ვისაც დაენუკვა მფარველობას, ყველამ მოკვლა დაუპირა (ვაჟა, „ირემი“).

შეიძლება ცალკე გამოიყოს რელუპლიკაციური ფუძეების მქონე ორპირიანი ე-პრეფიქსიანი ვნებითების ერთი ნაწილი, რომელიც, ასევე, იგუებს კიდევ ერთი ირიბ ობიექტს:

35) ებუტბუტება / ებუტბუტა

1) ტყე ხმაურობდა, დედაჩემის მომავალ საყვედურს მებუტბუტებოდა (ი. ეკალაძე*).

36) ეტიტინება / ეტიტინა

1) ბავშვი კარგა ხანს მაღიანად ჭამდა ძუძუს, შემდეგ ეტიტინებოდა დედას თავის გაუგებარ ენაზე. (ე. ნინოშვილი*).

ეს ზმნა იგუებს მეორე ირიბ დამატებასაც, რომელიც მოცემულ წინადადებაში შეიძლება თავისუფლად ჩაემატოს: ეტიტინებოდა დედას რაღაცას.

37) ეჩინება / ეჩინა

1) ვისაც არ უნდა, იმდენს ეჩინება, რომ ძალად ანდომინებს (ილია*).

2) იმდენს ვეჩინებ, რომ გავაბეღვინე ცოლის შერთვა (აკაკი*).

38) ეჩურჩულება / ეჩურჩულა

1) რაზე გაგინძო, რას გეჩურჩულებოდა? (აკაკი*).

2) გულ რაღაცას საინტერესოს უყვებოდა ქალებს, დედავდა და საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა (მ. მრევლიშვილი*). აქაც შეიძლება „ეჩურჩულებოდას“ უპრობლემოდ დავუმატოთ „რაღაცას“.

39) ეწუწუნება / ეწუწუნა

1) ზემოსხენებულმა გაკიცხულმა კანონმდებელმა „ქრონიკას“ კიდევ ბევრი ეწუწუნა („ქრონიკა“, №22, 2005, გვ. 5). უნდა იყოს: „ქრონიკას“ ბევრს ეწუწუნა.

40) ეჭიკჭიკება / ეჭიკჭიკა

1) პირველი ძმა ჭმუნვის გასაქარვებლად მომავლის გაზაფხულის იმედებს მერცხალივით გვეჭიკჭიკებოდა (აკაკი*).

41) ეჩიფჩიფება / ეჩიფჩიფა

1) ეჩიფჩიფებოდა (ის მას რაღაცას).

42) ეღუღუნება / ეღუღუნა

1) (მე რაღას მეღუღუნები? (დ. კლდიაშვილი, შერისხვა). აქ რაღას არაა ირიბი დამატების მნიშვნელობით ნახმარი, უფრო „რატომს“ უნდა ნიშნავდეს, მაგრამ სხვა კონტექსტში თავისუფლად შეიძლება სწორედ ირიბი დამატების შინაარსიც ჰქონდეს.

43) ეყაყანება / ეყაყანა

1) რას ეყაყანები (შენ მას)? (განმ. ლექსიკ.*).

44) ეჯიყჯიყება / ეჯიყჯიყა

1) რაღაცას გვეჯიყჯიყებოდნენ, მაგრამ ჩვენ ენა არ ვიცოდით და თოლომაჯი კი არა გვყავდა (ა. ყაზბეგი*). „ეჯიყჯიყება“ ნიშნავს: ჯიყჯიყით, გაუგებრად ელაპარაკება (სხვა ენაზე).

ამათ შეიძლება დაემატოს ეთათობირება, ემასლაათება ესაუბრება, ებასება, ემუსაიფება, ელაქლაქება, ეტრაბანება, ეხუმრება... და არაერთი სხვაც, რომლებსთვისაც ამ მიმართებით საგანგებო ყურადღება ჯერჯერობით არ მიუქცევიათ. ეს სიტყვები განმატებით ლექსიკონში მოხვედრით კი მოხვდა, თუმცა ჩემთვის სასურველ კონტექსტში არაა დადასტურებული – ყველა ორპირიანია, უფრო სწორად, სამპირიანადაც შეიძლება გავიგოთ, მაგრამ ის მესამე პირი, ნივთის ობიექტი, დასახელებული არაა. იმედს ვიტოვებ, ისინიც ამოუღებებიან გვერდში აქ წარმოდგენილთ.

როგორც აღნიშნავენ, სამპირიანი გარდაუვალი ზმნის ორივე ობიექტი ირიბია წარმოშობით (ერთი პირისა, მეორე ნივთისა), მაგრამ მეორე ობიექტი (ნივთისა) ამჟამად პირდაპირად არის გაგებული და ზმირია შემთხვევები, როდესაც განსახილველი ზმნები სხვა სამპირიანი ზმნების (გარდამავლების) გავლენით კონსტრუქციას იცვლიან, სუბიექტს მოთხრობითში იგუბენ, ხოლო ნივთის ობიექტს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეიწყობენ. ასე რომ, ზმნას II სერიაში **ის მას მას** კომბინაციის ნაცვლად ახლა უკვე **მან მას ის** შეეწყობა.

მიუთითებენ, რომ მესამე პირი ამგვარ მაგალითებში მერმეა შენაძენი, თავიდან კი, ვთქვათ, **უყვება – მოუყვა** ჩვეულებრივი ორპირიანი ზმნა იყო. მესამე პირის შემატება ამ ზმნას ახლებური სინტაქსური დალი დაასვა: რაკი ახალი ფორმა სამპირიანია, მოლაპარაკეს იგი ესმის როგორც ყველა სხვა სამპირიანი (მამასადაძე, გარდამავალი) ზმნა და ამათი ყალიბის მიხედვით II სერიაში სუბიექტს მოთხრობითში სვამს, ხოლო ახლად შექმნილ მეორე (ირიბ) ობიექტს – სახელობითში, და ასე ვიღებთ სალაპარაკო ენაში (განსაკუთრებით, დასავლურ დიალექტებში) გავრცელებულ კონსტრუქციას: „მოსწავლემ მასწავლებელს გაკვეთილი მოუყვა“. ეს შეცდომა ცოცხალი დიალექტებიდან სალიტერატურო ენაშიც შემოდის.⁸

ვნახოთ ზოგიერთი ასეთი მაგალითიც
მოუყვა: „ბორმანმა სტალინს მისი ბერლინიდან გამოყვანის წვრილმანები მოუყვა“ („ქრონიკა“, №34, 2005, გვ. 22). სხვათა შორის, ორპირიანი „მოჰყვა“ ზმნაშიც („მოჰყვა ის საყვედურებს // გაკვეთილს...“) ხდება ირიბი დამატების პირდაპირად გააზრება და, შესაბამისად – მიცემითიდან სახელობითში გადადგომა: „მოყვევი მწარე-მწარე საყვედურები“ („ცისკარი“, №10, 1973, გვ. 103). „გაკვეთილი მომიყევი“ ზომ სკოლაში დღეს ჩვეულებრივი ფრაზაა და უკვე აღარავის სჭრის ყურს.

ზოგჯერ მიცემით- და სახელობითბრუნვიანი კონსტრუქციები ლამის გვერდიგვერდ გვხვდება: მხოლოდ ორი სტრიქონი ამორებს ერთმანეთისგან განსხვავებულ კონსტრუქციებს: „რარიგად მთუყვევი მისი შვილის გაბორტოტანება?“ და „წადი ახლა და ასეთ ამბებს მოუყევი“ (დ.კლდიაშვილი, „მსხვერპლი“).

შეჰპირდა: „პრემიერ-მინისტრმა იანუკოვიჩმა სავარაუდო ოლიმპიურ ჩემპიონებს... ახალი ბინები და მანქანები შეჰპირდა“ („მთავარი გაზეთი/სპორტი“, №220, 2004, გვ. 15).

ესესხა: „გადარბინე და მელანოს ოთხიოდე კვერცხი ესესხე“ (მ.ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი, 1955, გვ. 37).

დაეკითხა: „დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავეკითხეთ შეხვედრის მოტივი და საუბრის შინაარსი“ („მთავარი გაზეთი/სპორტი“, №34, 2004, გვ. 10).

⁸ ი.იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გვ. 322.

ეთამამა: „ერთხელ თურმე სადღაც დათა ყანჩაშვილმა წარდი ეთამამა ალმასკომის თავმჯდომარეს“ (კ. ლორთქიფანიძე, არაბიძის ქალი: „ლიტერატურული საქართველო“, №33, 1982, გვ. 9); „სამშაბათს ... ჭადრაკი ეთამამა, მესუთე სვლაზე ჩამამათლა“ (ზ.კაციაშვილი, კუთხური: „ლელო“, №53, 1984).

გამორჩა: „გიდ ნავთიას ტურნირს დაბალი წოდებით კი შეხვდა, თუმცა უკვე ცხრა გამარჯვება გამორჩა“ („მსოფლიო სპორტი“, №№201, 06, 1).

ეხვეწა: „მარკოზა ბევრი ეხვეწა მას, მიელო მისგან გასამრჯელო“ (დ.კლდიაშვილი, „მსხვერპლი“, „ქართული პროზა“, ტ. XVI, გვ.52).

აქ ისაა საყურადღებო, რომ ობიექტმა ბრუნვა კი იცვალა, მაგრამ სუბიექტი ისევ სახელობითში დარჩა. ჩვეულებრივ, ობიექტის სახელობითში გადაყვანა იმავდროულად სუბიექტის მოთხრობითში ჩაყენებას იწვევს.

ელაპარაკა: „ბერამ ტყუილები კი არ ელაპარაკა სტალინს“ („ქრონიკა“, №45, 04, 13).

ეჩინა: „იმდენი ეჩინა, გაახელინა თვალი“ (აკაკი, ტ. V, გვ. 159).

* * *

ხანდახან კი მეორე (ე.წ. ნივთის) ირიბი ობიექტი თანდებულს დაირთავს და ირიბი დამატება უბრალო დამატებად გარდაიქმნება:

მოუყვა: „ბუცხრიკიძე დაწერილებით მოუყვა ტარასოვს თავისი მილიციულობის პერიოდზე“ („ქრონიკა“, №20, 2004, გვ. 17).

შეეცლია: „ბლნძი ზოგ-ზოგებს ...სახელსა და „მეველ ბიჭობაში“ ეცილებოდა“ (ზ.კალანდია, ზვარაკი, „ცისკარი“, №2, 1985, გვ. 100).

შეედავა: „რუსი სამართალდამცველები მას ლისტევის მკვლელობაშიც შეედავნენ“ („ასავალ-დასავალი“, №9, 07, 7).

დაეთანხმა: „მაგაზედ გეთანხმები, ევ თუ გინდა – მართალი“ (აკაკი, ტ. VI, გვ. 307) /შდრ. მაგას კი არა, მაგაზედ/.

გამორჩა: „ღამურები“ კი „ინტერთან“ მხოლოდ ფრეს გამორჩნენ“ („მთავ. გაზეთი /სპორტი“, №260, 2004, გვ. 1) „ინტერთან“ და არა „ინტერს“ !!

ამ მაგალითში საყურადღებო ისაა, რომ თანდებული დაირთო არა ე.წ. ნივთის ობიექტმა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ ნაღმა ირიბმა!!

იშვიათად ე.წ. ნივთის ობიექტი შეიძლება ერთ წინადადებაშიც კი იყოს წარმოდგენილი განსხვავებული – ჩვეულებრივი და თანდებულდართული – ფორმით: „ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ [სპიდონას] თავიანთ მიცვალებულთა ამბავს, ეკითხებოდნენ ამათ იქაურ ყოფაზე“ (დ.კლდიაშვილი, „მიქელა“). მიაქციეთ ყურადღება: ეკითხებოდნენ ამბავს, ერთი მხრივ, და ყოფაზე, მეორე მხრივ).

ზოგჯერ ირიბ დამატებას უთანდებულო უბრალო დამატებაც ენაცვლება:

დაემუქრა: „ხრუმლვი საჭაერო თავდაცვის ხელმძღვანელობას დათხვნიტ დაემუქრა“ („ახალი თაობა“, №216, 2005, გვ. 13).

შეეწია: „ბეჭა ხარაჯას იხლიდა და „მონღოლებს ლაშქრით ეწეოდა“ (საქ. ისტორია*).

რაკი ორივე ობიექტი ირიბადაა გაგებული, განსახილველი ზმნების ნაწილს III სერიაში სამპირიანობა შენარჩუნებული აქვს, განსხვავებით სამპირიანი მოქმედებითებისაგან: „დავითი თავის მეგობარს ბასილას თურმე რალაცას შეჰპირებოდა“ (მ.ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1955, გვ.

41); „ხშირად მინახავს, ზვიადი მამას ჭკუას დაჰკითხვია“ („ქრონიკა“, №20, 2004, გვ. 21).

თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში მიღებულია, რომ ის აქტანტი, რომელსაც ზმნის ფორმაში არ შეიძლება ჰქონდეს თავისი ნიშანი (ანუ მარკერი), ვერ ჩაითვლება პირმომართ აქტანტად (მაგალითად, ინდოევროპულ ენებში). მართალია, ჩვენს შემთხვევაში ზმნასთან სამი ნაცვალსახელია უთანდებულოდ შეწყობილი, მაგრამ გვიან წარმოქმნილ – ე.წ. ნივთის – ობიექტს არ შეუძლია ზმნაში პირის ნიშნის გაჩენა და, ამდენად, მას პირმომართ დამატებად არ მიიჩნევენ. ამიტომ, ალბათ, აჯობებდა „სამპირიანი ზმნების“ ნაცვლად „სამვალენტოვანი“ შეხმარა, მაგრამ, რადგან ტერმინი „სამპირიანი“ ქართულ სინამდვილეში დღესდღეობით მყარად არის ფეხმოკიდებული, მე მაინც ის დავტოვე, რაკი ასე უფრო გამოკვეთილად ჩანს, რა ვითარებასთან გვაქვს საქმე.

Vakhtang Imnaishvili

Intransitive Verbs with Valency of 3

Summary

It is believed that verbs the valency of which equals 1 or 2 are intransitive and verbs with valency =3 are transitive. However, exceptions are quite common in languages. Part of 2 valency verbs eventually gained the third and became three valency – but in their own way. Although these verbs have three valencies, they take one subject and two indirect objects. Accordingly, as they do not have the direct object, they remain intransitive and retain the syntactic construction typical for the passive voice – the subject is in the nominative case. One of the two indirect objects is called the old one – the personal one and the new one is called a thing object. Under the influence of the active voice the 3 valency transitive verbs often take the nominative case and appear as direct objects. This tendency of object transformation is eventually rooting in the language. The article reviews verbs of this kind the number of which exceeds 40 in Georgian.

**ძირითადი (დასახელების, სახელობითი) ბრუნვის ბაზორმების
საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში**
(ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით)

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ნაშრომი ეძღვნება ჩვენი დიდი მასწავლებლის, ბატონი გიორგი ახვლედიანის, იმ დებულების შევსება-დასაბუთებას, რომლის მიხედვითაც ქართული ენისათვის დამახასიათებელია ღია მარცვლისაქენ სწრაფვა. პირველად ამ პრობლემას შევეხე თითქმის ნახევარი საუკუნის წინ თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესიაზე 1959 წელს, ე.წ. ემფათიკური ა-ს პრობლემასთან დაკავშირებით და მაშინ მოხსენების თეზისებში გამოკვლევას „ღიაობის ა“ ვუწოდე. როცა მოხსენება სრულად გამოქვეყნდა. „ღიაობის ა“, თვითონ ბატონი გიორგის რჩევით, დაკონკრეტდა და იწოდა „მარცვალთღიაობის ა-დ“. გამოკვლევის მთავარი სიახლე ის იყო, რომ ა გამოვლინდა მხოლოდ თანხმობაზე გათავებული სიტყვის ბოლოში და არა მხოლოდ არსებითი სახელების ბრუნვის ნიშანთა გავრცობად, არამედ თითქმის ყველა მეტყველების ნაწილთან.

შრომამ დიდი გამოხმაურება პოვა. მასში გამოთქმული დებულებები გაიზიარეს პროფესორებმა: ს. ჟღენტმა და გ. ნებიერიძემ; „სხვა მოსაზრებად“ და „ახალ თეორიად“ მონათლეს გ. კლიმოვმა და ლ. პალმაიტისმა და რადგან ამ დებულების საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა პროფ. თ. უთურგაიძემ, იძულებული გავხდი საკითხს ისევ მივბრუნებოდი და საგანგებოდ შემესწავლა სიტყვის ბოლო მარცვლის გაფორმების საკითხი სტატისტიკურადაც.

დადგინდა, რომ თანამედროვე ქართულში შეფარდება ასეთია 2/3 1/3-თან ღია მარცვლის სასარგებლოდ (ანტონ პირველი, 1997, 13-51). შრომამი მოხმობილი იყო ძველი ქართულის მონაცემებიც.

რადგან სტატიის თემა სახელობითი ბრუნვის ნიშნად თანხმობანფუძიან სახელზე ი-ს დართვისას ამ ხმოვნის ბრუნვის ნიშნად გამოცხადება – არგამოცხადებას ეხება, საკითხს თავისთავად მივყავართ იქეთკენ: რანაირი მარცვლი გვაქვს სიტყვის ბოლოში – ღია თუ დახურული? რანაირი კვალიფიკაცია მიეცეს „კაცი“ ფორმას, იგი თანხმობანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი? ი ფუძის თანხმობა თუ ბრუნვის მაწარმოებელი?

ქართული ენის სტრუქტურის შესწავლისადმი მიძღვნილ თანამედროვე გრამატიკულ ლიტერატურაში დომინირებს მოსაზრება, რომ ძირითად ანუ დასახელების (სახელობით ბრუნვაში) სახელები ორ ჯგუფად იყოფიან. ერთ ჯგუფს ქმნის ა, ე, ო, და უ ხმოვნებზე დამთავრებული სახელები (იწოდებიან ხმოვანფუძიანებად), ხოლო მეორეს – სახელები, რომელთაც ბოლოში მოუდით ი ხმოვანი (იგი კვალიფიცირდება როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშანი). სახელთა ეს ჯგუფი იწოდება თანხმობანფუძიანებად.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, სახელთა ბოლოკიდური ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ნიშნად კვალიფიკაცია სათავეს იღებს

ნაკლებად ცნობილი ავტორის, იასონ ნიკოლაიშვილის „ქართული ენის გრამატიკიდან“.

ი. ნიკოლაიშვილის შესახებ „ქართულ ენციკლოპედიაში“ კვითხულობთ: „...ქართველი პედაგოგი, ენათმეცნიერი(!), მწერალი... დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია... მუშაობდა მასწავლებლად... ბეჭდავდა მოთხრობებს... მისი შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“ დაიბეჭდა 7-ჯერ (1912-28წ.).

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ი-ზე დაბოლოებულ სახელთა ბოლოკიდური ხმოვანი ი სახელობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადდა მისი გრამატიკის მე-4 გამოცემაში 1919 წელს. ამ გამოცემაში აღრინდელი გამოცემების პარაგრაფი „ი-ზე დამთავრებული არსებითი სახელების ბრუნება“ შეიცვალა დასახელებით: „თანხმოვანი ბრუნების მაგალითი“ (ორივეგან ნაბრუნებია ბავშვი-ი, ბავშვი-ებ-ი; ხარ-ი, ხარ-ები-ი – ა. ფ.). სამწუ-ხაროდ, ი. ნიკოლაიშვილი არსად მიუთითებს იმაზე, თუ ვისგან ან საიდან აიღო ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადების მოსაზრება.

იგი წერს: „ბევრ ქართულ სიტყვას, ბგერებისა და მნიშვნელობის მიხედვით, ორი მხარე აქვს: ძირითადი ან ნივთიერი და დამატებითი ან ფორმული. ავიღოთ, მაგ., სიტყვა „კაცი“. ამ სიტყვაში ჩვენ ვარჩევთ, ერთი მხრით, ბგერებს: კ, ა, ც (კაც), რომლის გაგონებაზე მაშინვე წარმოგვიდგება ორფეხი, მოაზროვნე, მეტყველი ცხოველი. ეს არის ამ სიტყვის ფუძე, რომელიც გვიჩვენებს მის ნივთიერ მნიშვნელობას, მეორე მხრით, ბგერა ი გვაგებინებს მხოლოდ რიცხვის სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობას“ (დანელია, 1986, 23). ეს მოსაზრება სხვა რედაქციითაცაა წარმოდგენილი: „არსებითი სახელის ბრუნებისათვის უნდა ვიცოდეთ მისი ფუძე, ე.ი. სიტყვის ის ნაწილი, რომელიც ბრუნების დროს უცვლელი რჩება.

ქართულში ორგვარი ფუძეა თანხმოვანი და ხმოვანი. თუ ფუძე თანხმოვნით თავდება – ფუძეც თანხმოვანია, მაგ.: კაც-ი, ამ სიტყვაში კაც-თანხმოვანი ფუძეა, ხოლო ი სახელობითი ბრუნვის დაბოლოება. ქალი, ბავშვი, ქათამი, კალამი, ბოსტანი, ფრინველი და სხვ. ი თანხმოვანფუძიანი სახელებია“ (დანელია, 1986, 83).

ი ხმოვანი სახელობითის ნიშნად მიჩნეულია აკ. შანიძის „ქართული გრამატიკის“ (ნაწილი I, მორფოლოგია) პირველ გამოცემაშიც, რომელიც დაიბეჭდა 1930 წელს. ამ წიგნის პარაგრაფში „ბრუნვები და მათი ნიშნები“ ნათქვამია: „სახელთა ფორმების ცვლას შვიდი დაბოლოების მიხედვით ქართულში ბრუნება ეწოდება. ეს დაბოლოებანია: ი, ო, მა, ს, ის, ით, (ა)დ. თითოეულ ფორმას სახელისას, რომელიც ამ დაბოლოების მიხედვით არის ნაწარმოები, ბრუნვა ჰქვია, ხოლო ეს დაბოლოებანი ნიშნებია.

თითოეულ ბრუნვას თავისი სახელი და ნიშნები აქვს: ესენია:

1. სახელობითი – ი
2. წოდებითი – ო
3. მოთხრობითი – მა
4. მიცემითი – ს
5. ნათესაობითი – ის
6. მოქმედებითი – ით
7. ვნებითი – (ა)დ“ (ნიკოლაიშვილი, 1927, 22).

არც ბატონი აკაკი მიუთითებს იმაზე, თუ რატომ უარყო ტრადიცია და ი ხმოვანი გამოაცხადა სახელობითი ბრუნვის ნიშნად.

ტრადიცია კი ასეთი იყო: დაწყებული უდიდესი ქართველი მოაზროვნისა და ენათმეცნიერის, პირველი ქართული გრამატიკის ავტორის, ანტონ პირველი ბაგრატიონის „ქართულ გრამატიკაში“ ი ხმოვანი სხვა ოთხ (ა, ე, ო, უ) ხმოვანთან ერთად გამოცხადებული იყო ფუძისეულ ხმოვნად და არა სახელობითი (წრფელობითი) ბრუნვის ნიშნად. მართალია, ანტონთან ფუძის, როგორც ენობრივი ერთეულის, ცნება გამოკვეთილად მოცემული არაა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ მისთვის ფუძედ გაიაზრება წრფელობითი დასმული სახელი: „დასაბამ ბრუნვათა არს წრფელობითი, რომელიცა უფრორე სამართალი არს რათა ეწოდებოდესმცა სახელობითი. ხოლო წრფელობითი ესე პირუელსა მდგომარეობასა შინა არს უცვალეზლად და დაჰნიშნავს რომელისამე მყოფისა არსებასა მარტივად, მაგ.: ცხოველი, კაცი, ფარნავაზი და სხვანი“ (ონიანი, 1998, 146).

ანტონი განასხვავებს ხმოვნიან და თანხმოვნიან ფუძეებს, მაგრამ არა საზოგადო სახელებში, არამედ საკუთარ სახელებში (ტოპონიმებში, ანთროპონიმებში...) ასე მაგ., მისთვის თანხმოვანზე (უხმოზე) დაბოლოებული სახელებია: მარიამ, ისრაელ, აბრაამ..., რაც შეეხება ხმოვნებს, ისინი, როგორც წესი, მოუღიო წრფელობითს, რომელიც ითვლება ბრუნვის საწყის ერთეულად. ყველა ბრუნვის ფორმალური მხარის დახასიათება იწყება იმაზე მითითებით, თუ რომელი ბგერითაა წარმოდგენილი ესა თუ ის სახელი წრფელობითში, ანუ დასახელების ბრუნვაში (საწყის, უცვლელ ბრუნვაში) ანუ რომელი ფორმაც უდევთ საფუძვლად არაპირითად ბრუნვებს: „სახელნი წრფელობითნი, საზოგადონი, კიდურ მექონნი ა, ე იბრუნვიან რა ნათესაობითად... სახელნი წრფელობითნი, საზოგადონი, კიდურ მექონნი ო, უ იბრუნვიან რა ნათესაობითად...სახელნი წრფელობითნი, დაბოლოებამექონნი დაღათუ მითილებენ მათ ნიშნად მრავლობითთა... ისპობენ კიდურთა ასოთ. მაგ.: კაცთა...“

ი ხმოვანი რომ ფუძის ბოლოკიდურად მიაჩნია ანტონს, კარგად ჩანს შემდეგი ადგილიდანაც: „სახელნი წრფელობითნი, ასოთა ამათ მიერ ი, ჯ დაბოლოებულნი, რომელ არიან: ცხოველი, კაცი, მოგჯ, ამათ...“

ანტონიდან დაწყებული, ი ხმოვნის ფუძის დამაბოლოებელ ასოდ მიჩნევა, მეორდება ყველა შემდგომ გრამატიკოსთან, ვიდრე ი. ნიკოლაიშვილის ზემოთ მითითებულ შრომამდე.

რადგან ი-ს სახელობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადების დასაბუთება არავის უცდია, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი გადაწყვეტილების საბაბი ი-ხმოვნის განსაკუთრებული ქცევა უნდა ყოფილიყო, კერძოდ ე-წ. არაპირითადად ბრუნვებში იგი სახელს აღარ გადაჰყვება. ეს არგუმენტი, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვანი ჩანს, თუმცა გაუგებარია, რატომ უნდა მოქცეულიყო ი-ხმოვანფუძიანი სახელი სხვა ხმოვანფუძიანების მსგავსად, მით უფრო, რომ ამ „სხვების“ ქცევა ერთმანეთისას არ ემთხვევა?! ხოლო საკითხის უფრო დაწვრილებით განხილვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ი-ბოლოხმოვნიანი ფუძე ძალიან ახლო დგას, ბევრ შემთხვევაში კი, სახვებით იზიარებს ა-ფუძიანი სახელების თვისებებს.

დავიწყოთ იმით, რომ ი-ფუძიანი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში მთლიანად ემთხვევა ა-ფუძიანისას – ორივე ფუძეკვეცადია. (დედა//დედ-ებ-ი კაცი//კაც-ებ-ი/. ნათესაობითსა და მოქმედებითში ი-ფუძი-ანსაც ისევე ეკვეცება ბოლო ხმოვანი, როგორც ა და ე-ფუძიანებს, რაც იმას

ნიშნავს, რომ ა-სგან განსხვავებულად ი მხოლოდ ორ ბრუნვაში (მოთხრობითსა და მიცემითში) იქცევა. აქედან მიცემითიც უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ამ ბრუნვაში ი-ს შენარჩუნებისას მიცემითი და ნათესაობითი ერთმანეთს დაემთხვეოდა – კაცი-ს//კაცი-ის. დაგვრჩა მხოლოდ მოთხრობითი, რომელშიაც ძველი ქართულის – „მან“ ნიშანი დღეს ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ი-ფუძიანთან – „მა“ ნიშნით, დანარჩენი ხმოვნის მომდევნოდ – „მ“-თი, ანუ, ფუძისეული ხმოვანი ი დაიკარგება, მის ნაცვლად ბრუნვის ნიშნისეული „მ“-ს გაუჩნდა ა, ანუ სიტყვის მარცვლის ღიაობა მაინც შენარჩუნდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბრუნვის ერთ ტიპში გაერთიანებული ა და ე ხმოვნებს შორისაც სხვაობა მნიშვნელოვანია – ვითარებით ბრუნვას სხვადასხვანაირად აწარმოებენ და მთლიანად უპირისპირდებიან ერთმანეთს მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. აღარას ვამბობ იმ განსხვავებებზე, რასაც, ერთის მხრით, ა და ე ფუძიანი სახელები გვიჩვენებენ და, მეორეს მხრით, ი და უ ფუძიანები, რის გამოც ისინი ბრუნვის სხვადასხვა ტიპებში გაერთიანეს. ამას გარდა არის კიდევ სახელთა ბრუნვის ერთი სფერო, სადაც ი-სა და ა ხმოვნების დანიშნულება საკვებით ემთხვევა ერთმანეთს. მხედველობაში მაქვს თანხმოვანზე დამთავრებული ბრუნვის ნიშნების გავრცობა. პირველსა და მეორე ტიპის ბრუნვაში გაერთიანებული სახელების (ი, ა და ე-ზე დაბოლოებულების) თანხმოვანზე დამთავრებულ ბრუნვის ნიშნებს მავრცობად მოუდით ა ხმოვანი (ღედა-მ-ა, ღელ-ის-ა, კაც-ის-ა, კლდე-ს-ა...), ხოლო ო-სა და უ-ზე დამთავრებულ (მესამე ტიპის ბრუნვის) სახელებს ი-ხმოვანი (უთო-ს-ი, უთო-თ-ი, ყრუ-ს-ი, ყრუ-თ-ი).

რაც შეეხება წოდებითს: ამ ბრუნვაში ი-ხმოვანი, როგორც ყველაზე სუსტი, ბრუნვისნიშნისეულ ო ხმოვნის დართვის შემდეგ დაიკარგა, ხოლო დანარჩენი ხმოვნების გვერდით ო-მ თავად განიცადა ცვლილება და იქცა სონორ ვ-დ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ წოდებითში ი-ფუძიანები ო-ს შენარჩუნებდა ეს ფორმა დაემთხვეოდა სხვათა ო- ნაწილსა და შესაძლებელია ენამ ამიტომ შეიკავა თავი.

ამრიგად, ი ხმოვანი ქართული ენის ფონეტიკურ სისტემაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, იქცევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმით. ამასთანავე, ამჟღავნებს ძალიან ბევრ სხვა ხმოვნებისათვის მქონე თვისებებს, რის გამოც, როცა საჭირო გახდა ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურის ცვლილების ტენდენციის მოთხოვნილებით, იგი ჩადგა სხვა ხმოვნების რიგში და შეავსო „ცოცხალი“ ადგილი - თანხმოვანზე დამთავრებული ფუძეებიც ხმოვანფუძიანად აქცია, რამაც ქართული ენა, ლაზურთან ერთად, მთლიანად დაუპირისპირა სვანურს, რომელშიც არსებითი სახელის ბოლო მარცვალი მეტწილად დახურულია (თანხმოვანითაა წარმოდგენილი), აგრეთვე ნაწილობრივ მეგრულსაც, რომელშიც გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში ძირითად დასახელების (სახელობით) ბრუნვაში სახელები შეიძლება თანხმოვანფუძიანებიც იყოს.

უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ე-წ. არგუმენტს, რომელსაც იშველიებენ ი-ს ფუძისეულ ხმოვნად გამოცხადების წინააღმდეგ: ი-ხმოვანი სახელობითში აღდგება საერთო ქართულ ფუძე ენის ღონეზე.

რაც შეიძლება ითქვას ამ „არგუმენტის“ საწინააღმდეგოდ? უპირველესად ის, რომ საერთო ქართველური ფუძე ენის ღონეზე აღადგენენ ე-ხმოვანსაც (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 183), მაგრამ არავის

უთქვამს, რომ ე-ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშანიაო. ამას გარდა, განა ფუძის ბოლოს რაიმე ბგერის აღდგენა უპირობოდ ნიშნავს, რომ იგი სახელობითი ბრუნვის ნიშანი იყო?

ი-ხმოვანზე დამთავრებული სიტყვები ხომ სვანურშიც გვაქვს, მაგრამ ამ ხმოვანს სახელობითის ნიშნად არ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ „ფორმის მიხედვით სახელობითი ბრუნვა თანამედროვე სვანურში ოპოზიციის არამარკირებული წევრია, რაიმე სემანტიკური მორფოლოგიური ერთეულით ის არცერთ შემთხვევაში არ არის გამოხატული“ (უთურგაიძე, 1976, 67).

ცნობილია ისიც, რომ თანამედროვე სვანურში ხმოვნით დამთავრებულ ფუძეებს გაცილებით ჭარბობს თანხმოვნიანები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის დამახასიათებელი იყო ფუძეობლო-თანხმოვნიანობა. ამ პროცესმა რღვევა დაიწყო ქართულ-ზანური ერთობის პერიოდში. ყოველ შემთხვევაში ძველ ქართულში დადასტურებულ იოტადართულ ხმოვანფუძიანებსა და „კაც“ „ღმერთ“ ფორმების პარალელურად „კაც-ი“, „ღმერთ-ი“ ფორმების არსებობა მიგვიანიშნებს იმაზე, რომ თანხმოვანფუძიანთა პოზიცია ირღვევა. ამ ტენდენციამ ახალ ქართულში მოგვცა ხმოვანფუძიანთა ბოლოში იოტის გაქრობასთან ერთად თანხმოვანფუძიანების ი-ხმოვნით გაფორმება, რამაც მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე, როცა ენაში ფაქტობრივად ნაცვალსახელების: შენ, ჩვენ, თქვენ და ვინ-ის გარდა, თანხმოვანფუძიანი სახელები საერთოდ აღარა გვაქვს. ხოლო ამ ნაცვალსახელთა ბოლოკიდური თანხმოვანი – სონორია, რომელიც იმავე გ. ახვლედიანის თქმით, სრულიად თავისუფლად შეგვიძლია დავაყენოთ ხმოვნების გვერდით. აკი ხმოვნის მსგავსად იქცევიან: როგორც ცნობილია „ც“-ნაწილაკის დართვისას, თუ სიტყვა თანხმოვანზე მთავრდება, აუცილებელია მის წინ ე.წ. შემაერთებელი ხმოვანი იყოს: კაც-ი-ც, კაც-მა-ც, კაც-სა-ც... ჩამოთვლილი ნაცვალსახელები კი „ც“-ნაწილაკს ყოველგვარი შემაერთებელი ხმოვნის გარეშე დაირთავენ: **შენ-ც, ჩვენ-ც, თქვენ-ც, ვინ-ც.**

რაც შეეხება ლაზურს (ჭანურს) და მეგრულს. კ. დანელიას თქმით: „ჭანურში ი, გარდა „მინ“ („ვინ“) ნაცვალსახელისა ყველგან შეუხორცდა ფუძეს და ამ ენაში თანხმოვანფუძიანი სახელი საერთოდ არ გვაქვს... მეგრულში კი სახელობითის ი- მაწარმოებელი შეიძლება ფუძეს შეეზარდოს ან არ შეეზარდოს იმის კვალობაზე, თუ რომელ თანხმოვანზე ბოლოვდება ფუძე“ (ფოცხიშვილი, 2000, 84-85).

მართალია, ი- ფუძიანი სახელები ლაზურსა და ქართულში განსხვავებულად იქცევიან, პირველში იგი გაჰყვება ფუძეს ყველა ბრუნვაში, მსგავსი მდგომარეობა გვაქვს მეტწილად მეგრულშიც, ქართულში კი წარმოდგენილია მხოლოდ ძირითად ბრუნვაში, მაგრამ საკითხის არსს ეს არ ცვლის. თანამედროვე დონეზე – ქართველური ენების ისე, როგორც ყველა იმ ენებისა (ინდოევროპული, ურალურ-ალთაური...), რომელთაც ბრუნვის მორფოლოგიური კატეგორია აქვთ, ძირითადი (დასახელების, სახელობითი) ბრუნვა წარმოდგენილია სუფთა ფუძის სახით და რაიმე სახელობითი ბრუნვის ნიშანზე ლაპარაკი ზედმეტია ისევე, როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშანზე არ ლაპარაკობენ რუსულში, თუმცა ხმოვანფუძიან **рука**ს ფუძის ბოლო ხმოვანი **а**, ქართული ი-ს მსგავსად, არცერთ ბრუნვაში არ გადაჰყვება: **рук-а, рук-и, рук-е, рук-у, рук-ой, о рук-е.**

ამიტომაც სავსებით მართალი იყო გენიალური ქართველი მოაზროვნე ანტონ პირველი ბაგრატიონი, რომელმაც ი ნმოვანი სხვა ნმოვნებთან ერთად ფუძის მაწარმოებლად მიიჩნია და ამ ჭეშმარიტი მოსაზრების რევიზიისათვის საფუძველი არ არსებობს.

ლიტერატურა

- ანტონ პირველი, 1997* – ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, 1997.
დანელია, 1986 – კ. დანელია, სახელობითი ბრუნვის ფუძესთან შეზღუდვის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, „ენათმეცნიერება“, 1986.
ნიკოლაიშვილი, 1927 – ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, 1927 წ., VI გამოცემა..
ონიანი, 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, 1998.
უთურგაიძე, 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა, 1976.
ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000.
ფოცნიშვილი, 2000 – ალ. ფოცნიშვილი, ქართული ენა, 2000.
შანიძე, 1930 – აკ. შანიძე, ქართული გრამატიკა (ნაწ. I, მორფოლოგია), 1930.

Alexandre Potskhishvili

The Question of the Marker of the Basic (Nominative) Case in the Modern Georgian Language

Summary

According to the predominant opinion in the modern Georgian linguistic literature, the so-called consonant-root nouns have the marker of the nominative case - the vowel **o**, and the vowel-root nouns we have no marker. In the view of Anton Bagrationi (Anton I), the author of the first Georgian grammar, vowel **i**, together with the other vowels (**a**, **e**, **o**, **u**), was the root vowel. Anton's opinion was shared by all grammarians of the following period up to 1919. That was the year of the publication the 4th edition of the "Grammar of the Georgian Language" written by a less known author Iason Nikolaishvili, in which the vowel **i** with the consonant-root nouns (**კაც-ი**, **სახლ-ი**) was declared to be the marker of the nominative case.

In the article it is argued that, as Academician G.Akhvlediani thought, the syllable of the Georgian language has a tendency to openness, the proof of which must be the loss of the vowel-root after iota (**j**) in the old Georgian language, and the adding of vowel **i** to the forms of consonant-root “**კაც**” “**სახლ**”.

**მედიაექსპერტიზისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების
ურთიერთმიმართება თანამედროვე ქართულში**

მედიაექსპერტიზის (იცივის, იცლის, იბრძვის,...) და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების (იშენებს, ისესხებს, ივარცხნის,...) ურთიერთმიმართების საკითხი ერთ-ერთი დასაზუსტებელი საკითხია ქართველოლოგიაში.

სპეციალისტთა უმეტესობა ქართულ მედიაექსპერტიზაში ი-პრეფიქსიან პარადიგმატულ ფორმებს უკუქცევით ფორმებად მიიჩნევს, თუმცა ამ თვალსაზრისის მომხრეები ვერ თანხმდებიან ორ პრინციპულ საკითხში: I. რა ტიპის უკუქცევითი ზმნაა მედიაექსპერტიზა: ა) სათავისო, რომელიც აღნიშნავს სუბიექტის მოქმედებას თავისი ინტერესებისათვის და გულისხმობს სუბიექტისა და რომელიმე ობიექტის კორუფერენტულობას (მელიქიშვილი, 1991, 133; შანიძე, 1980, 473; ნებიერიძე, 1976, 137), ბ) რეფლექსივი შინაგანი ობიექტით (მელიქიშვილი, 2001, 83-85) თუ გ) უკუქცევითი ზმნა, რომელიც გამოხატავს უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის უზოგადეს მნიშვნელობას – მოქმედების უკუქცევას სუბიექტზე (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 200); II. მედიაექსპერტიზის პარადიგმატული ფორმები მედიაექსპერტიზა დეფექტური პარადიგმის შესავსებად ნასესხები ფორმებია (მელიქიშვილი, 1991, 131; შანიძე, 1980, 473; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 201) თუ საკუთარი და ორგანული (ნოზაძე, 2005, 193; მელიქიშვილი, 2001, 83-85).

„უკუქცევითობის თეორიის“ მომხრეები სხვადასხვაგვარად საზღვრავენ აგრეთვე ი-პრეფიქსის ფუნქციას მედიაექსპერტიზაში პარადიგმატულ ფორმებში. მკვლევართა ის ნაწილი, რომელიც მედიაექსპერტიზის ი-პრეფიქსიან ფორმებს სათანადო ფუნქციის გარდამავალი ზმნების სათავისო ქცევის ნასესხებ ფორმებად მიიჩნევს, მედიაექსპერტიზის ი-პრეფიქსს სათავისო ქცევის ნიშნად მოიაზრებს, თუმცა აღიარებს, რომ მედიაექსპერტიზის ქცევის გაგება არა აქვთ (შანიძე, 1980, 473) ან თვლის, რომ მედიაექსპერტიზის ზმნათა კლასი არის „ზმნების დიდი კლასი, რომელიც ქცევით აწარმოებს ასპექტურ დაპირისპირებებს“ (მელიქიშვილი, 2002, 123). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ადრეც დაისვა მედიაექსპერტიზის ი-პრეფიქსთან ასპექტის გამოხატვის ფუნქციის დაკავშირების საკითხი, მაგრამ ი-პრეფიქსიანი მედიაექსპერტიზის არა ნასესხებ, არამედ მედიაექსპერტიზის ზმნათა პარადიგმის ორგანულ, საკუთარ ფორმებად იქნა კვალიფიცირებული (ნოზაძე, 1974, 50). მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ი-პრეფიქსი მედიაექსპერტიზებშიც და ყველა სხვა ტიპის ზმნებში უკუქცევითობას გამოხატავს: „უკუქცევითობა წარმოადგენს ი-პრეფიქსის ზოგად, ამ ფორმანტიის მქონე ყველა ფორმისათვის საერთო ფუნქციას“ (ჯორბენაძე, 1983, 107). „ი-პრეფიქსი ზმნას ანიჭებს უკუქცევით მნიშვნელობას ანდა უფრო მკვეთრად გამოხატავს მისი შინაარსის სუბიექტურ აღქმას“ (მარი, 1925, 136-137). არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომლის თანახმად, მედიაექსპერტიზები მყოფად-წყვეტილის ჯგუფის მწკრივებს აწარმოებენ ი-პრეფიქსის საშუალებით,

რომელიც ავტოტივებშიც (მედიაქტივებში – მ.ქ.) და პასივებშიც რეფლექსივის ნიშანია (მელიქიშვილი, 2001, 83-85).

ყველა ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს უპირისპირდება მოსაზრება, რომლის მიხედვით, მედიაქტივების ი-პრეფიქსის „მორფოლოგიური ფუნქცია მოცემულ ეტაპზე დაბნელებულია“ (ნოზაძე, 2005, 205). ეს თვალსაზრისი, ფაქტობრივად, გამორიცხავს ქართულში მედიაქტიური ზმნების სემანტიკის ადეკვატურად განსაზღვრის შესაძლებლობას.

ქართული მედიაქტივებისა და მათ მორფოლოგიურ სტრუქტურაში დადასტურებული ი-პრეფიქსის ფუნქციურ-სემანტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული თვალსაზრისების ასეთი ნაირგვარობა, ერთი მხრივ, საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი ცხადყოფს, რომ ქართველოლოგიაში ჯერაც არ არის დაზუსტებული უკუქცევით ზმნათა აღწერისა და კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რის გარეშეც შეუძლებლად მიგვაჩნია გარდამავალი უკუქცევითი ზმნებისა და მედიაქტივების ურთიერთმიმართების განსაზღვრა.

ჩვენი მიზანია ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითი ზმნური კონსტრუქციების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების დეფინიცია დათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის კრიტერიუმებით, რომლებიც იძლევიან ნებისმიერი ენის უკუქცევითი კონსტრუქციების ერთსახოვანი რეპრეზენტაციისა და შედარება-შეპირისპირების საშუალებას.

ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული ენის უკუქცევით ზმნათა ამომწურავ კლასიფიკაციას. ჩვენ გვაქვს რამდენიმე კონკრეტული ამოცანა:

1. გარდამავალ უკუქცევით ზმნათა აღწერა-კლასიფიკაციის პრინციპების ჩამოყალიბება;

2. გარდამავალი უკუქცევითებისა და მედიაქტივების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრა ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ კონსტრუქციებთან მათი მიმართების საფუძველზე; გარდამავალი უკუქცევითების ძირითადი ლექსიკური ჯგუფების გამოყოფა;

3. დასაბუთება იმისა, რომ თანამედროვე ქართულში მედიაქტიური ზმნები და გარდამავალი უკუქცევითები ფუნქციურად განსხვავებული ენობრივი ერთეულებია და ალოგიკურია მედიაქტივთა ი-პრეფიქსის მიჩნევა ქცევის გრამატიკული კატეგორიის ფორმალურ ნიშნად.

წინასწარ განემარტავთ რამდენიმე ამოსავალ დებულებას:

I. ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ვუწოდებთ ზმნის ინდივიდუალურ, სხვა ზმნური ლექსემისაგან მის განმასხვავებელ მნიშვნელობას, რომელიც განისაზღვრება აქტანტებთან ზმნის ინდივიდუალური შეთავსებადობით. მაგალითად, დაიჭირა ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა რეალიზდება სინტაქსურ კონსტრუქციაში აქტანტებთან შეთავსებადობის მიხედვით:

ა) ~ წიგნი = ხელში აიღო წიგნი; ბ) ~ ტაქსი = დაიჭირა ტაქსი;

გ) ~ ყინვები = გაგრძელდა ყინვები; დ) ~ ადგილი = დაიკავა ადგილი.

II. თანამედროვე ქართულში მედიაქტივი და სათავისო ზოგჯერ ომონიმურ წყვილებს ქმნიან და კონტექსტის გარეშე შეუძლებელია მათი გარჩევა: იპრიალებს (ფეხსაცმელს) – სათავისო; იპრიალებს (იატაკი) – მედიაქტივი. ომონიმის თავიდან ასაცილებლად საანალიზო ზმნურ ლექსემას ნაშრომში წარმოვადგენთ აქტანტებთან ერთად და ამდენად, ჩვენი კვლევის ობიექტი იქნება ოპოზიცია, რომელსაც ქმნის ამოსავალი არაუკუქცევითი სინტაქსური კონსტრუქცია მისგან წარმოქმნილ სინტაქსურ კონსტრუქციასთან:

ა) გაახსენა დედამ შვილს მოვალეობა => გაიხსენა დედამ მოვალეობა;

ბ) დაახურა გოგომ ძმას ქული => დაიხურა გოგომ ქული;

გ) ასესხა კაცმა მეზობელს ფული => ისესხა მეზობელმა კაცისგან ფული;

- დ) სთხოვა ბიჭმა მეგობარს წიგნი => ითხოვა ბიჭმა მეგობრისგან წიგნი;
- ე) გაიცინა გოგომ => გააცინა ბიჭმა გოგო.

III. ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის ი- პრეფიქსი ნაშრომში განიხილება დერივაციულ პრეფიქსად, ხოლო გარდამავალი უკუქცევითი ზმნა წარმოქმნილ ენობრივ ერთეულად, დერივატად.

დერივაციასა და ფლექსიას ერთმანეთისაგან განასხვავებს რამდენიმე ნიშანი: ფლექსია არ ცვლის სიტყვის პარადიგმატულ კლასს, ხოლო დერივაციამ შეიძლება გადაიყვანოს სიტყვა სხვა პარადიგმატულ კლასში. ფლექსია უფრო „გარეგანია“, არ მონაწილეობს სიტყვის შინაგანი სტრუქტურის შექმნაში, ხოლო დერივაცია განაპირობებს სიტყვის პარადიგმატულ სტრუქტურას (გამყრელიძე და სხვ. 2003, 182). დერივაციისა და ფლექსიის ეს ერთი განმასხვავებელი ნიშანი განაპირობებს მეორეს: ფლექსია და დერივაცია სხვადასხვა ხარისხით არიან დამოკიდებული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაზე. რადგან ფლექსია „გარეგანია“, მას ნაკლებად განსაზღვრავს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. მაგალითად, ფლექსიური ზმნური კატეგორიების: დროის, რიცხვის და კილოს გაგება, მცირე გამონაკლისის გარდა, აქვს ნებისმიერი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნას, დერივაცია კი თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ამოსავალი ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებაზე. მაგ., პოსესიური სათავისოები წარმოქმნილიან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მხოლოდ იმ ზმნებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ სულიერი არსების სხეულზე ან მის ნაწილებზე შესრულებად მოქმედებას (მიზანმიმართულს ან უნებლიეს):

- დედამ დაბანა შვილს ხელები => დედამ დაიბანა ხელები
- ძალღმა ლეკვს ატკინა ფეხი => ძალღმა იტკინა ფეხი

უკუქცევითი ზმნის სინტაქსურ-სემანტიკური მახასიათებლები განისაზღვრება არა მხოლოდ ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით, არამედ ზმნის აქტანტების სემანტიკითაც:

- ა) მოაჭრა დედამ გოგონას ნაწნავი => მოიჭრა დედამ ნაწნავი
- ბ) მოაჭრა დედამ პურს ყუა => მოიჭრა დედამ ყუა

(ა) ოპოზიციაში უკუქცევითი მოიჭრა ზმნა გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტ-პოსესორის, ხოლო (ბ) ოპოზიციაში – სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციანტის კორეფერენტულობას.

ამდენად, წარმოქმნილი გარდამავალი უკუქცევითი ზმნის მნიშვნელობა წინამდებარე ნაშრომში მოიაზრება ამოსავალი არაუკუქცევითი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისა და აქტანტების სემანტიკის ფუნქციად.

IV. უკუქცევით გარდამავალ ზმნაში ი- პრეფიქსი ასრულებს ორ ფუნქციას – სემანტიკურს, და სტრუქტურულს. თუ ტრანსფორმაციისას ამოსავალი ზმნის მნიშვნელობა რთულდება სემანტიკური კომპონენტით „თავისას“/„თავისი ინტერესებისათვის“ და ამასთან იცვლება ამოსავალი სინტაქსური კონსტრუქციის აქტანტების რიცხვიც, მაშინ ტრანსფორმირებული ი- პრეფიქსის ორივე ფუნქცია. თუ გარდაქმნისას იცვლება ამოსავალი ზმნის მნიშვნელობა, აქტანტების რაოდენობა კი უცვლელი რჩება, მაშინ ი- პრეფიქსი ტრანსფორმირებად წარმოდგენილია მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით. მაგ., მოაჭრა მან მას თმა => მოიჭრა მან თმა გარდაქმნისას ი- პრეფიქსი ტრანსფორმირებად ასრულებს როგორც სემანტიკურ, ისე სტრუქტურულ ფუნქციას, რადგან ტრანსფორმაციისას ამოსავალი ზმნის მნიშვნელობა რთულდება სემანტიკური კომპონენტით „თავისი“ და ხდება ირიბი დამატების ელიმინაცია. მოკლა მან ის => მოიკლა მან თავი გარდაქმნისას კი ტრანსფორმირებად ი- პრეფიქსი მხოლოდ სემანტიკური

ფუნქციით არის წარმოდგენილი. ის ართულებს ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას სემანტიკური კომპონენტით „თავისი“, სუბიექტს წარმოვდიდგენს პოსესორად, მაგრამ არ ეკისრება აქტანტების რიცხვის შემცირების მარკირება, რადგან ტრანსფორმში შევსებული რჩება ამოსავალი კონსტრუქციის ყველა აქტანტის პოზიცია.

V. ფორმალურ უკუქცევით ვუწოდებთ ზმნურ ლექსემას, რომელშიც წარმოდგენილია პოსესიურ-ბენეფაქტიური ი-პრეფიქსი, მაგრამ გარდამავალი არაუკუქცევითი შესატყვისის უქონლობის გამო ვერ მონაწილეობს ოპოზიციაში: არაუკუქცევითი=>უკუქცევითი. თანამედროვე ქართულში ფორმალური უკუქცევითები: ი-ცის, ი-წყებს, ი-ნახავს და ა.შ.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ უკუქცევით ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მათი შეპირისპირებით (ხრაკოვსკი, 1981, 13-38; 9, 37). "Видимо, можно утверждать, что взятая изолированно, ни одна конструкция не может считаться рефлексивной. РК прежде всего производна; она не может существовать и не может рассматриваться без соответствующей исходной конструкции" (ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981, 270).

რადგან ჩვენი ამოცანაა გარდამავალი უკუქცევითების გამოჯვანა მედიაქტივებისაგან სწორედ ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მათი არაერთგვაროვანი მიმართების საფუძველზე, ფორმალური უკუქცევითები ჩვენი საკვლევი სფეროს მიღმა რჩებიან.

გარდამავალ უკუქცევით ზმნათა ანალიზის ძირითადი პრინციპები

თანამედროვე ქართული ენის გარდამავალ უკუქცევით ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრისას ჩვენ ვეყრდნობით დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიურ კონცეფციას, რომელიც ფორმული-რებულია ა. ხოლოდოვიჩისა და ვ. ხრაკოვსკის (ხრაკოვსკი, 1981, 10-19) პუბლიკაციებში და რომელიც წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მოდიფიცირებული სახით, ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების თავისებურებათა გათვალისწინებით.

აღნიშნული კონცეფციის ამოსავალი ცნებაა დიათეზა – ზმნის სინტაქსური, სემანტიკური როლების და რეფერენტული ღონეების ერთეულთა ურთიერთმიმართება. ნებისმიერი ტიპის უკუქცევითი ზმნის მახასიათებელი ნიშნების ადეკვატური განსაზღვრისათვის აუცილებელია ამოსავალი არაუკუქცევითი და წარმოქმნილი უკუქცევითი კონსტრუქციების რეპრეზენტაცია სამივე მითითებულ ღონეზე, რადგან ტრანსფორმაციის დროს ამ ღონეების ერთეულთა ურთიერთმიმართებაში მომხდარი ცვლილებები განსაზღვრავენ ტრანსფორმის – უკუქცევითი ზმნის – სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებს.

სინტაქსური ღონის ერთეულებია ზმნასთან დაკავშირებული აქტანტები. ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნის პროცესის აღსაწერად აუცილებელია და საკმარისი შემდეგი აქტანტების გამოყოფა: ქვემდებარე (ქვ), პირდაპირი დამატება (დკ), ირიბი დამატება (დ_{ირ}), უბრალო დამატება (დ_{უბ}) და ადგილის გარემოება (გ_{ად}). აქტანტები ქმნიან დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურას.

სინტაქსური(აქტანტური) სტრუქტურა იცვლება თითქმის ყველა ტიპის გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნისას.

სემანტიკური როლების დონეზე ერთეულებად მოიაზრება ზმნით დასახელებული სიტუაციის მონაწილეთა (რეფერენტთა) როლები. ისინი დიათეზაში ქმნიან სემანტიკური როლების სტრუქტურას. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია შემდეგი როლების მითითება: მოქმედების სუბიექტი (S), ობიექტი (O), ადრესატი (A) და მოქმედების ადგილი (Loc).

სუბიექტს ვუწოდებთ ზმნით დასახელებული სიტუაციის აუცილებელ აქტიურ მონაწილეს, რომლის გამო სიტუაციის სხვა მონაწილეს ან თვითონ მას რაღაც ემართება. სუბიექტი განზოგადებული სახელწოდებაა კონკრეტული როლების: აგენსი (Ag), კაუზატორი (Ca), ექსპერიენცერი (Ex) და სხვ.

ობიექტს ვუწოდებთ სიტუაციის პასიურ მონაწილეს, რომელსაც სუბიექტის ზემოქმედებით ან ხილული მიზეზის გარეშე რაღაც მოსდის. ობიექტი განზოგადებული სახელწოდებაა შემდეგი კონკრეტული როლების: პაციენსი (Pt), ადრესატი (A), კაუზაციის რეციპიენტი (Rc), კონტრაგენსი (ContrAg), პირდაპირი ობიექტი (O^d), ირიბი ობიექტი (O^{ind}) და სხვ.

მკვლევართა მიერ აღიარებულია სემანტიკური როლების განზოგადების უპირატესობა. "Мы хотим иметь сравнительно небольшое число диатез, с тем, чтобы могли в широком классе случаев обнаружить одну и ту же диатезу" (უსპენსკი, 1977, 75).

სემანტიკური როლების სტრუქტურა არ იცვლება გარდამავალი უკუქცევითი ზმნის წარმოქმნისას. რეფერენტული დონის ერთეულები – რეფერენტები, ზმნით დასახელებული სიტუაციის მონაწილეები – ქმნიან რეფერენტულ სტრუქტურას, რომელიც განისაზღვრება რეფერენტების თვისებრივი მახასიათებლებით. ჩვენი მიზნებისათვის აუცილებელია გამოიყოს რეფერენტთა სამი კლასი: 1) პოტენტები (ოტ) – რეფერენტები, რომლებსაც გააჩნიათ აქტიურობის პოტენცია. ამ კლასს ვკოფთ ორ ქვეკლასად: სულიერ

პოტენტთა (Anim) და პირთა (Pers) ქვეკლასებად; 2) საგნები (NonP); 3) მთელის ნაწილები (Part) – სულიერი არსების სხეული ან მისი ნაწილები. რეფერენტული სტრუქტურა იცვლება მხოლოდ გარკვეული ტიპის გარდამავალი უკუქცევითი ზმნის წარმოქმნისას.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ, საზოგადოდ, რეფერენტთა თვისებრივი მახასიათებლები განსაზღვრავენ ამოსავალი და, შესაბამისად, წარმოქმნილი ზმნის სემანტიკას, მაგრამ თუ რომელიმე რეფერენტის თვისებრივი მახასიათებლების მითითება არაარსებითია უკუქცევითი ზმნის წარმოქმნისას, მაშინ ასეთი რეფერენტი აღინიშნება პირობითი სიმბოლოებით: A, B, C,...

ამდენად, გასაანალიზებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს ნაშრომში წარმოვადგენთ სამდონიანი დიათეზების სახით ანუ წარმოვაჩენთ ზმნური ლექსემის სინტაქსური, სემანტიკური როლების და რეფერენტული დონეების ერთეულთა ურთიერთმიმართებას. მაგ., კონსტრუქციას – დედამ ჩააცვა შვილს კაბა – შეესაბამება დიათეზა:

Pers ₁	Pers ₂	NonP
S	O ₁	O ₂
ქვ	ღ _{ორ}	ღ _ს

ამავე დიათეზის რეპრეზენტაცია შესაძლებელია ასეც:

$$(Pers_1=S=ქვ)(Pers_2=O_1=ღ_{ორ})(NonP=O_2=ღ_ს).$$

უკუქცევით ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპები

ამოსავალ არაუკუქცევით დიათეზაში გვაქვს სინტაქსური, სემანტიკური როლების და რეფერენტული დონეების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა. ამ დიათეზის უკუქცევითად გარდაქმნის დროს ირლვევა ერთეულების პირდაპირი შესაბამისობა, რადგან იცვლება ამოსავალი დიათეზის რომელიმე ორი ან სამივე დონის ერთეულების რაოდენობა და ნომენკლატურა. დაგარცხნა => დაივარცხნა ტიპის გარდაქმნისას იცვლება ამოსავალი დიათეზის სამივე დონის ერთეულთა მიმართება, რადგან ერთით მცირდება რეფერენტული და სინტაქსური დონეების ერთეულთა რიცხვი:

$(Pers_1=S=ქვ)(Pers_2=O_1=ღ_{\infty})(Part=O_2=ღ_3) \Rightarrow (Pers_1=S=O_1=ქვ)(Part=O_2=ღ_3)$.

უკუქცევითი ტრანსფორმების დაჯგუფება ხდება ამოსავალ დიათეზაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. კლასიფიკაცია ორ ეტაპს გულისხმობს. კლასიფიკაციის პირველ – სინტაქსურ ეტაპზე უკუქცევითი ტრანსფორმები კლასებად ნაწილდებიან ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის შეცვლა-შენარჩუნების მიხედვით. საერთოდ, აქტანტები უკუქცევით ტრანსფორმში გამოჩენის სხვადასხვა სინშირით ხასიათდებიან, რაც პირველ რიგში განპირობებულია ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით და შემდეგ – გარდაქმნის ტიპით. შესაბამისად იმისა, თუ რომელი აქტანტის პოზიციაა შევსებული ტრანსფორმში უფრო ხშირად, აქტანტებს ენიჭებათ იერარქიული რანგები. რადგან ნებისმიერი ტიპის უკუქცევითი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში შევსებულია ქვემდებარის პოზიცია, რადგან არ არსებობს უქვემდებარო უკუქცევითი დიათეზა, პირველი – უმაღლესი რანგი ენიჭება ქვემდებარეს. მეორე რანგისაა პირდაპირი დამატება. ამ აქტანტის პოზიცია შევსებული რჩება გარდაუვალ უკუქცევით ტრანსფორმში, მაგრამ შევსებულია გარდამავალ უკუქცევითებში, რომლებიც დიდ კლასს ქმნიან ენებში. ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, ენებში უკუქცევითი დიათეზები ირიბი დამატებით რაოდენობრივად გაცილებით ნაკლებია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების შემცველ დიათეზებზე. ამიტომ ირიბ დამატებას ენიჭება მესამე რანგი. უბრალო დამატებას ან ადგილის გარემოებას ენიჭება ყველაზე დაბალი – IV რანგი. გარდაქმნისას შეიძლება ამაღლდეს ან დაქვეითდეს ამოსავალი დიათეზის ამა თუ იმ აქტანტის რანგი.

აქტანტები ქმნიან მოწესრიგებულ სიმრავლეს: I აქტანტი – ქვემდებარე; II აქტანტი – პირდაპირი დამატება, ხოლო III აქტანტი – ირიბი დამატება (გამყრელიძე და სხვ. 2003, 254).

ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა შეიძლება უცვლელი დარჩეს ან შეიცვალოს მხოლოდ III აქტანტის ელიმინაციის გამო.

მეორე ანუ სემანტიკურ ეტაპზე გარდამავალი უკუქცევითი ტრანსფორმების კლასებად დაყოფა ხდება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში ან რეფერენტულ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. რეფერენტულ სტრუქტურაში შეიძლება მოხდეს რომელიმე ერთი რეფერენტის ელიმინაცია, ხოლო სემანტიკური როლების სტრუქტურაში – რომელიმე რეფერენტის როლის გაორმაგება, რომელიმე ორ რეფერენტს შორის როლების გაცვლა ან რომელიმე რეფერენტის როლის დაზუსტება ამა თუ იმ სემანტიკური კომპონენტით. უკუქცევის ტრანსფორმაციამ შეიძლება შეცვალოს რეფერენტული სტრუქტურა, მაგრამ იგი ვერ ცვლის როლების სტრუქტურას.

ქართული სათავისოების წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურის ერთეულთა რაოდენობა ან არ იცვლება, ან მცირდება ერთით, ხოლო სემანტიკური როლების სტრუქტურა არ იცვლება.

გარდამავალი უკუქცევითი ზმნების სინტაქსური კლასიფიკაცია

ამოსავალი დიათეზის გარდაქმნისას სინტაქსურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითები იყოფიან ორ კლასად:

I. გარდამავალი უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნიან ამოსავალი დიათეზის ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების შენარჩუნებითა და ირიბი დამატების ელიმინაციით (დ_ა → Ø);

II. გარდამავალი უკუქცევითები, რომლებსაც მთლიანად შენარჩუნებული აქვთ ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა.

პირველ სინტაქსურ კლასში ხვდებიან სამვალენტური კონსტრუქციებისაგან წარმოქმნილი სათავისოები. ი-პრეფიქსით ამ სათავისოებში მარკირებულია აქტანტების რიცხვის შემცირება (ირიბი დამატების ელიმინაცია) და ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულება სემანტიკური კომპონენტით „თავისას“/„თავისი ინტერესებისათვის“. ეს სემანტიკური კომპონენტი არ ცვლის ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურას, მაგრამ სუბიექტის როლის შემსრულებელ რეფერენტს ობიექტის როლის შემსრულებლადაც წარმოგვიდგენს ანუ ი-პრეფიქსით ხდება სუბიექტის როლის გაორმაგების მარკირებაც. აქედან გამომდინარე, პირველი სინტაქსური კლასის სათავისოებში ი-პრეფიქსი წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით.

მეორე სინტაქსურ კლასს ქმნიან სათავისოები, რომლებიც წარმოიქმნიან ორვალენტური გარდამავალი კონსტრუქციებისაგან. ამ კლასის სათავისოების სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების პოზიცია ზოგჯერ შევსებულია „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელით. ი-პრეფიქსი მეორე სინტაქსური კლასის სათავისოებში ასრულებს მხოლოდ სემანტიკურ ფუნქციას. ამ პრეფიქსით მარკირებულია სემანტიკური კომპონენტი „თავისას“ – „თავისთვის“ ანუ ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულება სუბიექტის პოსესორად ან ბენეფიციანტად წარმოდგენის გამო.

გარდამავალი უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაცია

გარდამავალ უკუქცევით ზმნათა ყოველი სინტაქსური კლასი რამდენიმე სემანტიკურ კლასად იყოფა. სემანტიკური კლასიფიკაციისას გასათვალისწინებელია:

ა) ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურასა და რეფერენტულ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები;

ბ) ამოსავალ და წარმოქმნილ დიათეზათა რეფერენტების თვისებრივი მახასიათებლები;

გ) გარდამავალი უკუქცევითი ზმნის სემანტიკა და მისი მიმართება ამოსავალი ზმნის მნიშვნელობასთან;

დ) ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება ამოსავალი ზმნა.

ამოსავალი არაუკუქცევითი გარდამავალი კონსტრუქციების მორფოსინტაქსური მახასიათებლები

გარდამავალი უკუქცევითების (სათავისოების) ამოსავალი არაუკუქცევითი გარდამავალი კონსტრუქცია უნდა იყოს არანაკლებ ორვალენტური. ოპოზიციაში საარვისლ=>სათავისლ არაუკუქცევითი წევრი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქცევითი დაპირისპირების შემქმნელი

ნებისმიერი გარდამავალი ზმნით, თვით მეორეული წარმოების ა- პრეფიქსიანი ზმნითაც, რომელშიც ა- პრეფიქსი აჩენს ირიბი ობიექტური პირის გაგებას და ზრდის ზმნის ვალენტობას. წერს და აწერს, წყვეტს და აწყვეტს სუბიექტ-ობიექტთა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით თანაბრად უპირისპირდებიან სათანადო ინიან სათავისოებს.

გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნებს ვალენტობას ზმნისწინიც უცვლის. მაგ., აშენებს ის მას – დააშენებს ის მას მას, აბამს ის მას – მიაბამს ის მას მას. ამ ტიპის უზმნისწინო ორვალენტიანი გარდამავლებისაგან წარმოქმნილი სათავისოები ინარჩუნებენ ამოსავალი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურას და შედიან მეორე სინტაქსურ კლასში, ხოლო სამვალენტიანი კონსტრუქციებისაგან წარმოქმნილი სათავისოები მოხვდებიან პირველ სინტაქსურ კლასში. ამათ სინტაქსურ სტრუქტურაში, განსხვავებით ამოსავალი სინტაქსური სტრუქტურისაგან, ირიბი დამატების პოზიცია აღარ იქნება შევსებული.

თანამედროვე ქართულში გვხვდება გარდამავალი ზმნები, რომლებიც კონტექსტის მიხედვით იცვლიან ვალენტობას – ხან ორვალენტიანები არიან, ხან სამვალენტიანები და ორივე შემთხვევაში ქმნიან ქცევით დაპირისპირებას: გადაასხა მან მას წყალი – გადაასხა მან ის. ამ ტიპის ორვალენტიანი ზმნის ტრანსფორმაციით წარმოქმნილი სათავისოები შევლენ მეორე სინტაქსურ კლასში, ხოლო ამ ტიპის სამვალენტიანი კონსტრუქციის ტრანსფორმაციით მიღებული სათავისოები შევლენ პირველ სინტაქსურ კლასში: გადაასხა მან მას წყალი ფეხზე = გადაისხა მან წყალი ფეხზე (I სინტაქსური კლასი); გადაასხა მან ღვინო ბოთლში – გადაისხა მან ღვინო ბოთლში (II სინტაქსური კლასი). ამ ტიპის სათავისოებს განსხვავებული შეიძლება ჰქონდეთ სემანტიკური კლასებიც: გადაისხა მან წყალი თავზე (პოსესიური სათავისო), გადაისხა ღვინო თავისთვის ბოთლში (ბენეფაქტიური სათავისო). გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის გარდამავალი ზმნა, კონტექსტის მიხედვით, სუბიექტის როლის შემსრულებლად ხან პოტენტთა კლასის რეფერენტს (Pot) გულისხმობს, ხან – საგანთა კლასის რეფერენტს (NonP). ამ ტიპის ზმნა სათავისოდ გარდაიქმნება, როცა მას სუბიექტის როლის შემსრულებლად პოტენტთა კლასის რეფერენტი ეგულისხმება: მოტეხა კაცმა ტოტი => მოიტეხა კაცმა ტოტი, მაგრამ მოტეხა ქარმა ტოტი => X.

ზოგი ამოსავალი გარდამავალი ზმნაც და მისგან წარმოქმნილი სათავისოც პოლისემიურია:

- | | | |
|----------------|----|-------------------|
| 1. ახსენებს | | 1. იხსენებს |
| აგონებს – | => | იგონებს |
| 2. ხმას აწვდის | | 2. ჩმანავს, ტყუის |

გარდამავალი უკუქცევითი კონსტრუქციების სინტაქსური და სემანტიკური მანასიათებლების კვლევისას საგულისხმოა და ღირებული მხოლოდ ის ოპოზიციები, რომელთა არაუკუქცევით და უკუქცევით წევრებს ლექსიკურ-სტილური ერთგვაროვნება ახასიათებთ.

ირიბი დამატების ელიმინაციით წარმოქმნილი სათავისოები

ამ ტიპის სათავისოები წარმოიქმნიან სამვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციებისაგან. ტრანსფორმაციის დროს იცვლება ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა (დ_{ორ} → ∅), ამიტომ ეს სათავისოები მიეკუთვნებიან გარდამავალ უკუქცევითთა პირველ სინტაქსურ კლასს. მათთვის ამოსავალია საყოფაცხოვრებო საქმიანობის, ფსიქიკური ზემოქმედებისა და სულიერი არსების სხეულზე შესრულებადი მოქმედებების აღმნიშვნელი ზმნური ლექსემები. ამ სათავისოების ამოსავალ დიათეზებში,

ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შესაბამისად, ირიბ ობიექტს აქვს პოსესორის (Pos), ბენეფიციანტის (Ben) ან რეციპიენტის (Rec) სემანტიკური ფუნქცია, რაც განსაზღვრავს უკუქცევითი ტრანსფორმის სემანტიკურ თავისებურებებს და, აქედან გამომდინარე, მის სემანტიკურ კლასს. ი-პრეფიქსით ამ სათავი-სოებში მარკირებულია სუბიექტისა და ირიბი ობიექტის კორეფერენტულობა და აქტანტების რიცხვის შემცირება ერთი ერთეულით. ამოსავალი დიათეზის ირიბი ობიექტის სემანტიკური ფუნქციის მიხედვით, პირველი სინტაქსური კლასის უკუქცევითი ტრანსფორმები იყოფიან სამ სემანტიკურ ჯგუფად:

I. სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-პოსესორის კორეფერენტულობას

სამვალენტო ამოსავალ დიათეზაში ამ სათავისოთა წარმოქმნისას ხდება შემდეგი სახის ცვლილებები:

$$(Pot_1=S=ქ)(Pot_2=O^{ინდ}(Pos)=დ_3)(Part=O^d=დ_3) \Rightarrow \\ \Rightarrow (Pot_1=S=O^{ინდ}(Pos)=ქ)(Part=O^d=დ_3).$$

რადგან ეს სათავისოები გულისხმობენ პოსესორის სემანტიკური ფუნქციის შემსრულებელ რეფერენტს, მათ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პოსესიური სათავისოები. ი-პრეფიქსი პოსესიურ სათავისოებში, რომლებიც წარმოიქმნიან სამვალენტო სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით — ამოსავალ რეფერენტულ და სინტაქსურ სტრუქტურათა ერთეულების რიცხვს ამცირებს ერთი ერთეულით, ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას კი ართულებს სემანტიკური კომპონენტით „თავისი“. ეს სათავისოები ქმნიან ორ სემანტიკურ ქვეჯგუფს. პირველი სემანტიკური ქვეჯგუფის პოსესიური სათავისოები წარმოიქმნიან სამვალენტო სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, რომელთა II აქტანტი III აქტანტის ორგანულ კუთვნილებას ასახელებს:

- დაბანა დედამ მას პირი => დაიბანა დედამ პირი
- დავარცხნა დამ მას თმები => დაივარცხნა დამ თმები
- დააქნა დედამ მას ფრჩხილები => დაიქნა დედამ ფრჩხილები
- გადაპარსა დალაქმა მას თავი => გადაიპარსა დალაქმა თავი
- ატკინა ბიჭმა მას ხელი => იტკინა ბიჭმა ხელი
- მოაგლიჯა ძაღლმა მას კუდი => მოიგლიჯა ძაღლმა კუდი

შენიშვნა: სულიერი არსების სხეულის ან მისი ნაწილის მოძრაობის აღმნიშვნელ ზოგიერთ გარდამავალ ზმნას არ შეესატყვისება პოსესიური სათავისო. მაგ., არ ითქმის: * მან დაიხამხამა წამწამები, * მან გამოიყო ხელი, * მან დაიკრიჭა კბილები, * მან აიწია თავი, * მან აიხილა თვალი, * მან დაილო პირი. მსგავსი მოვლენა დასტურდება ინდოევროპულ ენებშიც. სულიერი არსების სხეულის ნაწილების მოძრაობის აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნებისაგან ლიტვურში არ წარმოიქმნება უკუქცევითი კონსტრუქციები: *Petras pasikele glava * „პეტრამ აიწია თავი“ (გენიუშენე, 1981, 179). თანამედროვე ფრანგულში სხეულის ნაწილების მოძრაობის აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნები, განსხვავებით სხვა გარდამავლებისაგან, წარმოქმნიან არატიპურ უკუქცევით კონსტრუქციებს (კორდი, 1981, 232).

მეორე სემანტიკური ქვეჯგუფის პოსესიური სათავისოები წარმოიქმნებიან სამვალენტიანი არაუკუქცევითი კონსტრუქციებისაგან, რომლებიც გულისხმობენ პოსესიურ მიმართებას III აქტანტსა და იმ სახელს შორის, რომელიც სინტაქსურ კონსტრუქციაში ადგილის გარემოების ან უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს. ამ ქვეჯგუფის სათავისოების წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზაში ხდება შემდეგი ცვლილებები:

$$(Pot_1=S=ქვ)(Pot_2=O^{ind}(Pos)=დ_{არ})(A=O^d=დ_3)(Part=Loc=დ_{უ/გ_{აღ}})=> \\ =>(Pot_1=S=O^{ind}(Pos)=ქვ)(A=O^d=დ_3)(Part=Loc=დ_{უ/გ_{აღ}}).$$

ამ დაპირისპირებულ სინტაქსურ კონსტრუქციებში IV აქტანტი აუცილებელია ან ფაკულტატური. პოსესიური სათავისოები, წარმოქმნილი აუცილებელი IV აქტანტის შემცველი სამვალენტიანი კონსტრუქციებისაგან, გამოხატავენ ორგანულ ან არაორგანულ კუთვნილებაზე შესრულებად მოქმედებებს:

ბიჭმა შეასხა გოგოს თვალში წყალი => ბიჭმა შეისხა თვალში წყალი

კაცმა შემოადგა ბიჭს მხარზე კოკა => კაცმა შემოიღდა მხარზე კოკა

დედამ დააფინა შვილს ტილო შუბლზე => დედამ დაიფინა ტილო შუბლზე

ძაღვმა დაადო ბიჭს თავი ფეხზე => ძაღვმა დაიღო თავი ფეხზე

დედამ ჩამოსწმინდა შვილს სახიდან მური => დედამ ჩამოიწმინდა სახიდან მური

ქალმა დააკერა კაბაზე ღილი => ქალმა დაიკერა კაბაზე ღილი

ქალმა შეასვა მხარზე კაცს ბავშვი => ქალმა შეისვა მხარზე ბავშვი

შენიშვნა: ამ ტიპის კონსტრუქციებში პირდაპირი დამატების შესატყვისი რეფერენტი შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც პირთა (Pers), ისე საგანთა (NonP) ან მთელის ნაწილთა (Part) კლასს. რადგან ამ ტიპის ოპოზიციებში არაარსებითა პირდაპირი დამატების შესატყვისი რეფერენტის თვისებრივი ნიშნები, ის აღინიშნება A სიმბოლოთი.

პოსესიური სათავისოები, წარმოქმნილი ფაკულტატური ადგილის გარემოების ან უბრალო დამატების შემცველი სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, ასახელებენ სულიერი არსების ორგანულ კუთვნილებაზე შესრულებად მოქმედებებს. ამ სემანტიკური ქვეჯგუფის სათავისოებშიც და მათ ამოსავალ კონსტრუქციებშიც ადგილის გარემოების ან უბრალო დამატების ფაკულტატურობა განპირობებულია იმით, რომ მოქმედების ადგილი იმპლიციურებურია პირდაპირი დამატების სემანტიკით:

კაცმა მოახურა ქალს პალტო (მხრებზე) => კაცმა მოიხურა პალტო (მხრებზე)

დედამ დაახურა შვილს ქუდი (თავზე) => დედამ დაიხურა ქუდი (თავზე)

დედამ მოარგო შვილს კაბა (ტანზე) => დედამ მოირგო კაბა (ტანზე)

მამამ გადაიკიდა ბიჭს თოფი (მხარზე) => მამამ გადაიკიდა თოფი (მხარზე)

ბიჭმა შემოაკრა ძმას ქამარი (წელზე) => ბიჭმა შემოიკრა ქამარი (წელზე)

ძაღვმა მოაცილა ლეკვს რწყილები (ტანიდან) => ძაღვმა მოიცილა რწყილები (ტანიდან).

შენიშვნა: პოსესიურ სათავისოებში, რომლებიც ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციებისაგან არიან წარმოქმნილი, ი- პრეფიქსი წარმოდგენილია მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით, რადგან ამ სათავისოებში მთლიანად შენარჩუნებულია ამოსავალი დიათეზის რეფერენტული და სინტაქსური სტრუქტურები. წარმოქმნილი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში სუბიექტი ითავსებს პოსესორის სემანტიკურ ფუნქციას და ი- პრეფიქსით ტრანსფორმში მარკირებულია პოსესიურობის პრედიკატული მიმართების წარმოქმნა სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის. ამ შემთხვევაში ხდება ამოსავალი დიათეზის ასეთი გარდაქმნა:

$$(Pot=S=ქ)(Part=O^d=ღ_3) \Rightarrow (Pot=S(Pos)=ქ)(Part=O^d=ღ_3).$$

ამოსავალი გარდამავალი კონსტრუქციისაგან განსხვავებით, ტრანსფორმი გულისხმობს, რომ II აქტანტი I აქტანტის ორგანული კუთვნილებაა:

გოგონა წნავს თმებს => გოგონა იწნავს თმებს
 ქალი იღბავს ფრჩხილებს => ქალი იღბავს ფრჩხილებს
 სტილისტი ვარცხნის თმებს => სტილისტი ივარცხნის თმებს
 ძალი ილოკავს პატრონის ფეხს => ძალი ილოკავს ფეხს

ორვალენტიანი ამოსავალი კონსტრუქციის ტრანსფორმაციით მიღებული პოსესიური სათავისოები ხვდებიან II სინტაქსურ კლასში. ამ ტიპის სათავისოებს, აქტანტების სემანტიკის შესაბამისად, ეცვლებათ სემანტიკური ჯგუფი(იხ.ქვემოთ).

II. სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციანტის კორეფერენტულობას

ამ სემანტიკური ჯგუფის სათავისოები წარმოიქმნიან ყოფითი საქმიანობის გამომხატველი სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან ირიბი დამატების ელიმინაციით და გულისხმობენ ერთდროულად ორი როლის – სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციანტის როლის შემსრულებელ რეფერენტს. ი-პრეფიქსით ამ ჯგუფის სათავისოებში მარკირებულია ამოსავალი დიათეზის რეფერენტებისა და აქტანტების რიცხვის შემცირება ერთი ერთეულით და ამოსავალი ზმნური ლექსემის მნიშვნელობის გართულება სემანტიკური კომპონენტით „თავისთვის“/„თავისი ინტერესებისათვის“. რადგან ეს სათავისოები გულისხმობენ ბენეფიციანტის სემანტიკური ფუნქციის შემსრულებელ რეფერენტს, მათ პირობითად ვუწოდებთ ბენეფაქტიურ სათავისოებს. მათი წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზაში ხდება შემდეგი სახის ცვლილებები:

$$(Pot_1=S=ქ)(Pot_2=O^{ind}(Ben)=ღ_3)(NonP=O^d=ღ_3) \Rightarrow (Pot_1=S=O^{ind}(Ben)=ქ)(A=O^d=ღ_3).$$

ბენეფაქტიური სათავისოებისა და მათი წარმოქმნილი სამვალენტიანი კონსტრუქციების ოპოზიციებია:

დედამ დაავალა შვილს საქმე => დედამ დაივალა საქმე
 კაცმა შეარჩინა მეზობელს ვალი => კაცმა შეირჩინა ვალი
 მამამ შესძინა შვილს ქონება => მამამ შეიძინა ქონება
 დედამ ბავშვი ანლო მეზობელს => დედამ ინლო ბავშვი
 მამამ ჩააბარა ბავშვი აღმზრდელს => მამამ ჩაიბარა ბავშვი
 ძალღმა მოაშორა მგელი ფარას => ძალღმა მოიშორა მგელი

შენიშვნა: ბენეფაქტიურ სათავისოებში, რომლებიც წარმოიქმნიან ორვალენტიანი არაუკუქცევითი კონსტრუქციებისაგან, ი-პრეფიქსი ასრულებს მხოლოდ სემანტიკურ ფუნქციას – ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას ართულებს სემანტიკური კომპონენტით „თავისთვის“, „თავისი ინტერესებისათვის“ ანუ სუბიექტს წარმოგვიდგენს ბენეფიციანტად. ეს სათავისოები ხვდებიან მეორე სინტაქსურ კლასში, რადგან მათი წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა. ამ შემთხვევაში ამოსავალი და წარმოქმნილი დიათეზები ქმნიან შემდეგი ტიპის ოპოზიციას:

$$(Pot=S=ქ)(A=O^d=ღ_3) \Rightarrow (Pot=S(Ben)=ქ)(A=O^d=ღ_3)$$

მამამ ააშენა სახლი => მამამ აიშენა სახლი
 ქალმა მოქსოვა წინდა => ქალმა მოიქსოვა წინდა

გოგონამ დაწნა კალათი => გოგონამ დაიწნა კალათი

კაცმა დაასხა ღვინო => კაცმა დაისხა ღვინო

ჩიტმა ააშენა ბუდე => ჩიტმა აიშენა ბუდე

ეს სათავისოები ქართულში ქმნიან რიცხობრივად დიდ კლასს. ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისა და აქტანტების სემანტიკის შესაბამისად, ბენეფაქტიურ სათავისოებს ეკვლებათ როგორც სემანტიკური ჯგუფი, ისე სინტაქსური კლასი:

გოგონამ დაწნა კალათი => გოგონამ დაიწნა კალათი (ბენეფაქტიური სათავისო)

გოგონამ დაწნა ნაწნავი => გოგონამ დაიწნა ნაწნავი (პოსესიური სათავისო)

კაცმა დაასხა ღვინო=>კაცმა დაისხა ღვინო (მეორე სინტაქსური კლასის ბენეფაქტიური სათავისო)

კაცმა დაასხა ქალს ღვინო ხელზე => კაცმა დაისხა ღვინო ხელზე (პირველი სინტაქსური კლასის პოსესიური სათავისო).

ბენეფაქტიური სათავისოების წარმოქმნისას არაარსებითია პირდაპირი ობიექტის შესატყვისი რეფერენტის თვისებრიობა, ამიტომ ის აღინიშნება A სიმბოლოთი, მაგრამ ბენეფაქტიური სათავისოს წარმოქმნა/არწარმოქმნა დამოკიდებულია ამოსავალი დიათეზის სუბიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის თვისებრიობაზე – ეს რეფერენტი უნდა მიეკუთვნებოდეს პოტენტთა კლასს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფაქტიური სათავისო ვერ წარმოიქმნება: კაცმა ჩაკეტა კარი => კაცმა ჩაიკეტა კარი; ქარმა ჩაკეტა კარი => X.

III. სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-რეციპიენტის კორეფერენტულობას.

ამ სემანტიკური ჯგუფის სათავისოები წარმოიქმნებიან მენტალური პროცესების, ფსიქიკური ზემოქმედების აღმნიშვნელი სამვალენტო სინტაქსური კონსტრუქციებისაგან ირიბი დამატების ელიმინაციით და გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-რეციპიენტის კორეფერენტულობას. ამ სათავისოებს პირობითად, სხვა ჯგუფის სათავისოებისაგან განსასხვავებლად, რეციპიენტულ სათავისოებს ვუწოდებთ. მათი წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზში მომხდარი ცვლილებები აღიწერება ასე:

$(Pers_1=S=ქ)(Pers_2=O^{ind}(Rec)=დ_{ა}) (A=O^d=დ_{ა}) => (Pers_1=S=O^{ind}(Rec)=ქ)(A=O^d=დ_{ა})$

დედამ შთაგონა შვილს სიყვარული => დედამ შთაგონა სიყვარული

ძმამ გაახსენა დას ბავშვობა => ძმამ გაიხსენა ბავშვობა

მამამ ბიჭს მოაგონა წინაპრები => მამამ მოიგონა წინაპრები

ბიჭმა ძმას მოანდომა თამაში => ბიჭმა მონდომა თამაში

მამამ შვილს შეაყვარა კითხვა => მამამ შეიყვარა კითხვა

მოდღვარმა ბიჭს შეაძულა სიზარმაცე => მოდღვარმა შეიძულა სიზარმაცე

ექიმმა შეაზიზლა ავადმყოფს წამალი => ექიმმა შეიზიზლა წამალი

ი- პრეფიქსი რეციპიენტულ სათავისოებში წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით. ეს პრეფიქსი ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას ძირითადად ართულებს სემანტიკური კომპონენტით „თავისი მიზნებისათვის“, „თავისი ინტერესებისათვის“. რეციპიენტული

სათავისოები შედიან პირველ სინტაქსურ კლასში, რადგან მათი წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულთა რიცხვი მცირდება ერთით.

სპეციალურ ლიტერატურაში სათავისოებად განიხილებიან გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების ორგანიზების პრინციპით განსხვავდებიან სათავისოებისაგან და გამორჩეული ტიპის დაპირისპირებებს ქმნიან შესატყვის არაუკუქცევით გარდამავლებთან. მხედველობაში გვაქვს იყიდა, ისესხა, იშვილა და მსგავსი უკუქცევითი ზმნები, რომლებიც არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ ლექსიკური მნიშვნელობითაც უპირისპირდებიან შესატყვის არაუკუქცევითებს. მაგ., მიჰყიდა ლექსიკურად სხვაა და იყიდა – სხვა. ლექსიკური მნიშვნელობით ასევე არ ემთხვევიან ერთმანეთს გაამვილა და იშვილა, გაასესხა და ისესხა. ზოგი მკვლევარი არც მიიჩნევს ასესხა=>ისესხა, გაამვილა=>იშვილა ტიპის დაპირისპირებებს ქცევით დაპირისპირებებად, მაგრამ არც იმას განმარტავს, თუ რა სახის ფუნქციურ-სემანტიკური მიმართება უნდა ვიგულისხმოთ აქ (ბ. ჯორბენაძე, 1983, 134).

წინამდებარე ნაშრომში ვერ მოხერხდება ასესხა=>ისესხა ტიპის მიმართებათა ამომწურავი დახასიათება. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მითითებულ ოპოზიციათა ყველა თავისებურებას განსაზღვრავს აგენსისა და კონტრაგენსის – ამ ორის აუცილებელი აქტიური მონაწილის არსებობა ოპოზიციის თითოეული წევრის სემანტიკური როლების სტრუქტურაში. ამ ოპოზიციის წევრები ასახელებენ ერთსა და იმავე სიტუაციას, რომელსაც ქმნიან ერთი და იგივე მონაწილეები შებრუნებული როლებით. ასესხა=>ისესხა ტიპის ოპოზიცია არის როლებისა და აქტანტების ერთგვაროვანი, მაგრამ შებრუნებული სტრუქტურების მქონე დიათეზათა ოპოზიცია: ასესხა სიტუაციის რეალიზაციისათვის აუცილებელია გამსესხებლის (Ag) და მსესხებლის (ContrAg) არსებობა და აქტივობა. ისესხა სიტუაციის განხორციელებისთვისაც აუცილებელია გამსესხებლის (ContrAg) და მსესხებლის (Ag) არსებობა და აქტივობა. ორივე სიტუაცია გულისხმობს რაღაცის დროებით გაცემა-მიღებას, ოღონდ, ასესხა სიტუაციის შემთხვევაში რაღაცის დროებით გაცემა-მიღებას განაპირობებს მსესხებლის არსებობა და მისი ინიციატივა, ხოლო ისესხა სიტუაციის შემთხვევაში – გამსესხებლის არსებობა და მისი ინიციატივა.

ამდენად, დაპირისპირება ასესხა მან მას ფული => ისესხა მან მისგან ფული როლებისა და აქტანტების შებრუნებული სტრუქტურების მქონე კონსტრუქციათა ანუ კონვერსივითა დაპირისპირებაა. აქვე იმის აღნიშვნაც მიგვაჩნია საჭიროდ, რომ „თუ ტრანსფორმირებული კონსტრუქციის თანდებულბრუნვიანი სახელი ტრანსფორმია ამოსავალი კონსტრუქციის პრედიკატის სემანტიკით განსაზღვრული ერთ-ერთი უთანდებულო სახელისა, მაშინ ეს თანდებულბრუნვიანი სახელი აქტანტად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც ამავე კონსტრუქციის პრედიკატთან დაკავშირებული უთანდებულო სახელები“ (გამყრელიძე, 1979, 39). ამ თვალსაზრისით, ასესხა მან მას ის => ისესხა მან მისგან ის ტიპის გარდაქმნისას არ იცვლება ამოსავალი სინტაქსური სტრუქტურის ვალენტობა. ამასთან თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი გარდაქმნისას ამოსავალი დიათეზის არც სემანტიკური როლების სტრუქტურისა და არც რეფერენტული სტრუქტურის შემადგენლობა იცვლება, მაშინ გასაგები გახდება, რატომ უწოდა ზ. ჰარისმა He sold me a book => I bought a book from him ტიპის გარდაქმნას „კვაზიტრანსფორმაცია“ (აპრესიანი, 1974, 256).

როცა ისეცხა, იყიდა ტიპის გარდამავალი უკუქცევითები წარმოიქმნებიან სამვალენტური ამოსავალი კონსტრუქციებისაგან, ხდება ამოსავალი დიათეზის ქვემდებარის რანგის დაქვეითება. იგი გარდაიქმნება თანდებულბრუნვიან უბრალო დამატებად: პეტრემ მეზობელს ფული ასესხა => მეზობელმა პეტრესგან ფული ისესხა. ამოსავალ და წარმოქმნილ დიათეზთა დაპირისპირებას ექნება შემდეგი სახე:

$$(Pers_1=Ag=ქვ)(Pers_2=ContrAg=ღორ)(A=O^d=ღვ)=> \\ =>(Pers_2=Ag=ქვ)(Pers_1=ContrAg=ღვ)(A=O^d=ღვ)$$

ორვალენტური გაასესხა, გაყიდა დიათეზებში კონტრაგენსი ჰიპოთეტურია. ის იგულისხმება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში, მაგრამ კონტრაგენსის შესატყვისი აქტანტის პოზიცია შეუვსებელი რჩება სინტაქსურ სტრუქტურაში. იგივე ხდება წარმოქმნილ უკუქცევით დიათეზშიც:

$$(Pers_1=Ag=ქვ)(Pers_2=ContrAg=∅)(A=O^d=ღვ)=> \\ =>(Pers_2=Ag=ქვ)(Pers_1=ContrAg=∅)(A=O^d=ღვ)$$

ასესხა=>ისესხა, მიჰყიდა=>იყიდა, გააქირავა=>იქირავა ტიპის კონვერსივებში სიტუაცია ყოველთვის წარმოიქმნება აგენსური პირის პოზიციიდან. აგენსის როლის შემსრულებელი რეფერენტის შესატყვისი აქტანტი სინტაქსურ სტრუქტურაში ყოველთვის ქვემდებარედა წარმოდგენილი, ხოლო კონტრაგენსის როლის შემსრულებელი რეფერენტის შესატყვისი აქტანტის – ირიბი დამატების – გამოჩენა სინტაქსურ სტრუქტურაში დამოკიდებულია ამოსავალი კონსტრუქციის ვალენტობაზე.

ასესხა=>ისესხა ტიპის მიმართებათა აქ მითითებული სემანტიკური ნიშნები, ვფიქრობთ, საკმარისია საარვისლო=>სათავისო ტიპის მიმართებებისაგან მათ გასამიჯნად, მაგრამ აღვნიშნავთ კიდევ რამდენიმეს.

ისესხა, იყიდა უკუქცევითებისაგან განსხვავებით, სათავისოები ინარჩუნებენ ამოსავალი არაუკუქცევითი ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობას. ამიტომაც შესაძლებელია სათავისოების თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირება ამოსავალი ზმნითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით:

მან შთაიგონა = მან შთააგონა თავის თავს

მან დაიკერა დილი კაბაზე = მან დააიკერა დილი თავის კაბას

საარვისლო=>სათავისო ტიპის ოპოზიციებში დაპირისპირებული ზმნები არ ასახელებენ ორმხრივი ობლიგატორული კავშირის მქონე სიტუაციებს, ამიტომ არაუკუქცევითი წევრით დასახელებული სიტუაცია არ გულისხმობს უკუქცევითი წევრით დასახელებულ სიტუაციას: მან დაწერა ის არ ნიშნავს, რომ მან ის აუცილებლად თავისთვის დაიწერა, მან დააკურა არ ნიშნავს, რომ მან აუცილებლად თავისაზე დაიკურა..

სულ სხვა ვითარებაა გაყიდა=>იყიდა ტიპის ოპოზიციებში. უკუქცევითი წევრის ტოლმნიშვნელობიანი პერიფრაზირება არაუკუქცევითი წევრითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით აქ დაუშვებელია:

მან იყიდა ≠ მან გაყიდა თავისი (ან თავისთვის)

მან ისესხა ≠ მან გაასესხა თავისი (ან თავისთვის)

ასესხა-ისესხა ტიპის წყვილებში ორივე ზმნა ასახელებს ორმხრივი ობლიგატორული კავშირის მქონე ერთმანეთით განპირობებულ სიტუაციებს, ამიტომ არაუკუქცევითი კონსტრუქციით დასახელებული სიტუაცია გულისხმობს უკუქცევითი კონსტრუქციით დასახელებულ სიტუაციას და პირიქით: მან ასესხა ფული ნიშნავს, რომ ვიღაცამ ისესხა მისგან ფული; მან ისესხა ფული ნიშნავს, რომ ვიღაცამ მას ასესხა ფული.

ნებისმიერი ტიპის სათავისოში აუცილებლად იგულისხმება სემანტიკური კომპონენტი „თავისთვის“ ან „თავისი“/„თავისას“, ისესხა ან გაყიდა უკუქცევითები კი აუცილებლობით არ გულისხმობენ მითითებულ

სემანტიკურ კომპონენტს. მან ისეცხა არ ნიშნავს, რომ მან აუცილებლად თავისთვის ისეცხა. მაგ., ქალმა ბავშვთა სახლის დასახმარებლად ისეცხა ფული. სათავისოების წარმოქმნისას სემანტიკური როლების სტრუქტურაში ხდება რომელიმე რეფერენტის როლის გაორმაგება ან რომელიმე რეფერენტის როლის დაზუსტება ამა თუ იმ სემანტიკური კომპონენტით. ასეცხა => ისეცხა გარდაქმნის დროს კი ხდება რეფერენტთა როლების შეცვლა.

ამდენად, სათავისოებისა და ისეცხა, იყიდა ტიპის უკუქცევითების წარმოქმნის პროცესების და ამ ზმნების სემანტიკურ-სინტაქსური მახასიათებლების არსებით განსხვავებულობას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ გაუმართლებელია ისეცხა, იყიდა ტიპის გარდამავალი უკუქცევითების სათავისობად მიჩნევა.

ჩვენი ამოცანა, როგორც უკვე ვთქვით, არ არის ქართული სათავისო ქცევის ფორმათა ამომწურავი კლასიფიკაცია. ჩვენი მიზანია სათავისოებისა და მედიაქტიური ზმნების ურთიერთმიმართების გარკვევა თანამედროვე ქართულში. ამიტომ ვიფარგლებით სათავისოთა მხოლოდ იმ სემანტიკური ჯგუფების დახასიათებით, რომლებიც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამჯერად შევეცდებით სათავისობად მიჩნეული ზმნური ფორმების კიდევ ერთი ჯგუფის სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების დაზუსტებას.

აკ. შანიძე ცალკე ჯგუფად გამოყოფს „სათავისობებს“: მოიპარა, მოიტაცა, იკითხა, ითხოვა,... და მიანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში სათავისო ქცევის ფორმით ხდება საარვისოს ირიბი ობიექტის გამორიცხვა (შანიძე, 1980, 329). ირიბი ობიექტის გამორიცხვა, უფრო ზუსტად: ქცევის კატეგორიის მიხედვით ამოსავალი დიათეზის ცვლის დროს ირიბი დამატების პოზიციის წაშლა სინტაქსურ კონსტრუქციაში ხდება არა მხოლოდ იკითხა, ითხოვა ტიპის უკუქცევითების წარმოქმნის, არამედ პოსესიური, ბენეფიქტიური და რეციპიენტული სათავისოების წარმოქმნის დროსაც. ამიტომ ირიბი დამატების პოზიციის წაშლა-შენარჩუნება ამ შემთხვევაში საკლასიფიკაციო ნიშნად ვერ გამოდგება და ითხოვა ტიპის ფორმებს ვერ გამოიჯნავს იმ სათავისოებისაგან, რომლებიც წარმოიქმნებიან სამვალენტური გარდამავალი კონსტრუქციებისგან.

ჰკითხა=>იკითხა, სთხოვა=>ითხოვა და სხვა ამგვარი ოპოზიციების მთავარი მახასიათებელი ნიშანია ამ ოპოზიციათა წევრების ორმხრივი, თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობა, რითაც ისინი განსხვავდებიან სათავისოებისაგან, რომელთა პერიფრაზირება შესაძლებელია შესატყვისი არაუკუქცევითი წევრითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით, მაგრამ არაუკუქცევითი წევრის სათავისოთი პერიფრაზირებისას არ ვიღებთ თანაბარმნიშვნელობიან სინტაქსურ კონსტრუქციებს:

ჩაიბარა მან ბავშვი = ჩააბარა მან საკუთარ თავს ბავშვი
ჩააბარა მან მას ბავშვი ≠ ჩაიბარა თვითონ მან ბავშვი
ორმხრივი თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობით
დაპირისპირება სთხოვა=>ითხოვა ჰკავს მიჰყიდა=>იყიდა ტიპის მიმართებას:
მიჰყიდა მან მას ის <=> იყიდა მან მისგან ის
სთხოვა მან მას ის <=> ითხოვა მან მისგან ის

მაგრამ, მიჰყიდა-იყიდა ტიპის გარდამავალი კონვერსიებისაგან განსხვავებით, სთხოვა და ითხოვა დიათეზების სემანტიკური როლების სტრუქტურებში აგენსის გვერდით არ იგულისხმება კონტრაგენსი და ამიტომ სთხოვა=>ითხოვა ტიპის მიმართებები ვერ ჩაითვლება ობლიგატორულად

დაკავშირებული, ერთმანეთით განპირობებული სიტუაციების აღმნიშვნელ ზმნათა მიმართებად: შეიძლება ვინმეს რაიმე სთხოვო, მაგრამ მან არ გათხოვოს.

სთხოვა=>ითხოვა ტიპის კონსტრუქციათა ოპოზიციები ერთგვაროვანი რეფერენტული, სემანტიკური როლებისა და სინტაქსური სტრუქტურების მქონე დიათეზების დაპირისპირებებია და, აქედან გამომდინარე, ერთნაირი სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობის მქონე კონსტრუქციებია:

$$(Pers_1=S=ქ)(Pers_2=O^{ind}(Ben)=დ_{ორ}) (NonP=O^d=დ_3) => \\ => (Pers_1=S=ქ) (Pers_2=O^{ind}(Ben)=დ_{ორ}) (NonP=O^d=დ_3)$$

ისეთი ზმნური ლექსემები, რომლებსაც ერთგვაროვანი სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები აქვთ და ლექსიკური მნიშვნელობის საკმარისად დიდი ნაწილი აკავშირებთ, სპეციალურ ლიტერატურაში სინონიმურ ზმნურ ლექსემებად განიხილება (აპრესიანი, 1974, 221-223). სინონიმები შეიძლება ურთიერთშენაცვლებადი იყოს, მათ შორის არსებული განსხვავებები შეიძლება ნეიტრალიზებული იქნეს გარკვეულ პოზიციაში, მაგრამ, საზოგადოდ, სინონიმია ურთიერთშენაცვლებადობას აუცილებლობით არ გულისხმობს (გამყრელიძე და სხვ. 2003, 365).

ამ თვალსაზრისით, სთხოვა=>ითხოვა, მოსტაცა=>მოიტაცა, მოპარა=>მოიპარა და ა.შ. სინონიმურ ზმნურ ფორმათა დაპირისპირებებად უნდა იქნეს განხილული და არა ქცევის კატეგორიით განსხვავებულ ლექსემათა დაპირისპირებებად. საგულისხმოა, რომ აშანიძე მითითებული ოპოზიციების ი-პრეფიქსიან წევრებს სათავისობად მოიაზრებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „ასეთი სათავისო მნიშვნელობით საარვისოს უახლოვდება“ (შანიძე, 1980, 329).

სთხოვა=>ითხოვა ტიპის ოპოზიციები გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობით განსხვავებული სინონიმების ოპოზიციებია. მნიშვნელობათა ნაწილობრივ განსხვავებულობას ამ ოპოზიციებში ქმნის ი-პრეფიქსის გრამატიკული ფუნქცია – მოქმედების შემოფარგვლა სუბიექტით ან მისი ინტერესების სფეროთი. ამ გრამატიკული შინაარსით დატვირთულ ზმნურ ლექსემაში, რომელსაც სხვა გარდამავალი უკუქცევითებისაგან განსასხვავებლად უკუქცევით სინონიმს ვუწოდებთ, ი-პრეფიქსით აქცენტირებულია სუბიექტის მომეტებული დაინტერესება ამა თუ იმ მოქმედებით, საპირისპიროდ სინონიმური არაუკუქცევითი ზმნისა, რომლის სუბიექტი შედარებით ნეიტრალურია მოქმედების თუ მისი შედეგის მიმართ.

უკუქცევით სინონიმს და უკუქცევით გარდამავალ კონვერსივს ერთმანეთთან და პოსესიურ, ბენეფაქტიურ ან რეციპიენტულ სათავისოსთან აახლოვებს მხოლოდ უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობა. ნებისმიერი მათგანი სუბიექტისაგან განსხვავებული პირისაკენ მიმართულ მოქმედებას უპირისპირებს სუბიექტის სფეროთი შემოფარგულ მოქმედებას და ყველა შემთხვევაში ი-პრეფიქსით აღნიშნულია, რომ სუბიექტი „შინაგანია“ და არა „გარეგანი“ ზმნური კონსტრუქციით დასახელებული მოქმედებისათვის (ბენვენისტი, 1974, 190).

ამდენად, დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის კრიტე-რიუმებით ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითი კონსტრუქციების აღწერამ შესაძლებელი გახდა იმის ჩვენება, რომ უკუქცევითი გარდამავალი კონ-ვერსივი (იყიდა, ისესხა, ...), უკუქცევითი სინონიმი (ითხოვა, იკითხა, ...) და პოსესიური (დაივარცხნა, დაიბანა, ...), ბენეფაქტიური (ჩაიბარა, ჩაიწერა, ...), რეციპიენტული (შთაიგონა, გაიხსენა, ...) სათავისოები ამოსავალი არაუკუ-ქცევითი დიათეზის სხვადასხვაგვარი ცვლილებით წარმოიქმნებიან; მათ არაერთგვაროვანი სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები გააჩნიათ

და ამ კონსტრუქციებში სხვადასხვაგვარად რეალიზდება უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობა.

რაკი სპეციალურ ლიტერატურაში ქართული მედიაოქტივების სემანტიკა უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკასთან კავშირში მოიაზრება, მედიაოქტიური ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებსაც შევაფასებთ იმავე კრიტერიუმებით, რომელი კრიტერიუმითაც შეფასდა წინამდებარე ნაშრომში გარდამავალი უკუქცევითების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები ანუ მედიაოქტივების სემანტიკურ ნიშნებსაც განვსაზღვრავთ ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მიმართების საფუძველზე.

მედიაოქტიური ზმნები გარდაუვალი ზმნებია. სემანტიკურად ეს ზმნები შეიძლება დახასიათდეს, როგორც აქტიური, პროცესუალური, ატელიკური ანუ უმიზნო ზმნები. ამ ზმნებით გამოიხატება პროცესი, რომელიც რაიმე გარკვეული მიზნის მიღწევას არ გულისხმობს (მელიქიშვილი, 2002, 123). მედიაოქტივები ასახელებენ მონოტონურ პროცესს ან მოქმედებას, რომელიც ერთგვაროვანია თავის ყოველ მონაკვეთში და არ აქვს არანაირი პერსპექტივა, გარდა მონოტონური გრძლიობისა (ივანიშვილი, 1977, 135; ქარქაშაძე, 2005, 253).

მიუხედავად იმისა, რომ მედიაოქტივები გარდაუვალი ზმნებია, ზოგიერთ მათგანს გარკვეულ კონტექსტში უჩნდება პირდაპირი ობიექტური პირის გაგება, მაგრამ კონტექსტის გარეშე მედიაოქტივი გარდამავალ ზმნად არ მოიაზრება. მედიაოქტივის პირდაპირი ობიექტი „არ არის გარდასაქმნელი ობიექტი“ (მელიქიშვილი, 2002, 122), მას არაფერი არ „ემართება“ სუბიექტის მოქმედების შედეგად. მაგ., ბიჭი კარგად თამაშობს ჭადრაკს, მსახიობმა იცეკვა „ტანგო“ და ა.შ. როცა პრედიკატი მედიაოქტიური ზმნით არის წარმოდგენილი წინადადებაში და მას არ ახლავს პირდაპირი დამატება, შეუძლებელია ლაპარაკი პირდაპირი დამატების ელიფსისზე, რადგან ეს წინადადება სტრუქტურულად სრულია: კატამ დაიქნავლა, გოგონა იცინის, კაცი ბრაზობს და ა.შ.

მედიაოქტივებისაგან განსხვავებით, სათავისოები გარდამავალი ზმნებია და მედიაოქტივების პარადიგმატული ფორმების სათავისოებად განხილვის შემთხვევაში ასახსნელი რჩება მედიაოქტიურ პარადიგმაში დროითი ან ასპექტობრივი შინაარსით დატვირთვისას სათავისოების გარდაუვალ კონსტრუქციებად გარდაქმნის ენობრივი საფუძველი, რაც, ფაქტობრივად, გადაუჭრელ ამოცანად გვესახება.

ქართული ზმნის მკვლევრებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ გარდამავალი ზმნების ერთი ნაწილი ქართულში წარმომდგარია სათანადო ფუძის მედიაოქტივებისაგან. ა- პრეფიქსის ერთ-ერთ ფუნქციად აკ. შანიძე მიიჩნევს მედიაოქტივებისაგან გარდამავალი ზმნების წარმოებას: „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ... ა- პრეფიქსი გამოყენებულია გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად გარდაუვალი ფუძეებისაგან: დულს→აღულებს, წუხს→აწუხებს, ... და სხვ.“ (შანიძე 1980, 326). მედიაოქტივებს პირველად ზმნებად მიიჩნევს ბ. ჯორბენაძე: „მოქმედებითი გვარის ის ზმნები, რომელთაც შესაბამისი „საშუალო“ ფორმა შეესატყვისება, ამ „საშუალო“ ფორმისაგან არის ნაწარმოები“ (ჯორბენაძე, 1975, 128). ქართულ მედიაოქტივებთან დაკავშირებულ უკანასკნელ პუბლიკაციებშიც ხაზგასმულია, რომ მედიაოქტივი ძირეული ზმნაა და ამოსავალია სათანადო გარდამავალი კონსტრუქციისათვის (ნოზაძე, 2005, 192-193; მელიქიშვილი, 1991, 84; ივანიშვილი, სოსელია, 2002, 133-140). ტიპოლოგიური მონაცემების

მიხედვითაც ასეა: ქართული მედიაოქტივების სემანტიკურად ეკვივალენტურ გარდაუვალ ზმნებს ენაში თუ ეძებნება გარდამავალი შესატყვისი, ეს უკანასკნელი მეორეულია (პერელმუტერი, 1978, 121-122). მედიაოქტივებს ქართულში და ქართული მედიაოქტივების სემანტიკურ ეკვივალენტებს ინდოევროპულ ენებში მათგან წარმოქმნილი აქტივები უპირისპირდებიან, როგორც კაუზატივები (ბენვენისტი, 1974, 189; ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135-136; პერელმუტერი, 1978, 121).

ამგვარად, მედიაოქტივი და სათავისო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მიმართების თვალსაზრისით: მედიაოქტივი ისე მიემართება სათანადო გარდამავალს, როგორც ამოსავალი კონსტრუქცია ტრანსფორმს, ხოლო სათავისო – როგორც ტრანსფორმი ამოსავალ კონსტრუქციას.

ოპოზიციის საარვისო=>სათავისო ერთ-ერთ მახასიათებლად ჩვენ დავასახელებთ საარვისოთი სათავისოს პერიფრაზირების შესაძლებლობა (იხ. ზემოთ). მედიაოქტივს კი სათანადო გარდამავალი ზმნი სინონიმური პერიფრაზირება არ უხერხდება. (1) საარვისო – (1) სათავისო და (2) მედიაოქტივი – (2) აქტივი მიმართებების ამ სხვაობის განმაპირობებელი მიზეზი ნათლად ჩანს (1) და (2) დიათეზების (1) და (2) დიათეზებად გარდაქმნის დროს:

ქალმა შეიკერა კაბა => ქალმა შეიკერა კაბა

$$(1) (\text{Pers}=\text{S}=\text{ქვ}) (\text{NonP}=\text{O}^d=\text{ღვ}) \Rightarrow (1') (\text{Pers}=\text{S}(\text{Ben})=\text{ქვ}) (\text{NonP}=\text{O}^d=\text{ღვ})$$

გოგომ გაიცინა => გოგო გააცინა ბიჭმა

$$(2) (\text{Pers}_1=\text{S}=\text{ქვ}) \Rightarrow (2') (\text{Pers}_1=\text{O}^d(\text{Rc})=\text{ღვ}) (\text{Pers}_2=\text{S}(\text{Ca})=\text{ქვ})$$

ტრანსფორმაცია (1)=>(1) არის სემანტიკურად მარტივი საარვისოს გარდაქმნა სემანტიკურად რთულ სათავისოდ. ამ გარდაქმნისას რთულდება ამოსავალი ზმნის სემანტიკა; ამოსავალი კონსტრუქციის სუბიექტი ტრანსფორმშიც სუბიექტის პოზიციაზე რჩება; არ იცვლება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურა. სათავისოს მნიშვნელობა მთლიანად მოიცავს საარვისოს მნიშვნელობას და, ამასთან, გულისხმობს სემანტიკურ კომპონენტს „თავისი“. სწორედ ეს ქმნის საარვისოთი და უკუქცევითი ნაცვალსახელით სათავისოს პერიფრაზირების შესაძლებლობას, მაგრამ გამორიცხავს სათავისოთი საარვისოს პერიფრაზირებას.

მიმართება (2)=>(2) არის სემანტიკურად მარტივი მედიაოქტივის მიმართება სემანტიკურად რთულ აქტივთან. ამ გარდაქმნისას იცვლება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურა; იზრდება როლებისა და აქტანტების რიცხვი ანუ იზრდება ამოსავალი დიათეზის სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურათა ვალენტობა. ამოსავალი მედიაოქტივის სუბიექტი გადადის პირდაპირი ობიექტის – კაუზაციის რეციპიენტის პოზიციაზე და სუბიექტის პოზიციას აქტიური დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში იკავებს მედიაოქტივით დასახელებული სიტუაციის კაუზატორი. ტრანსფორმი (აქტივი) სრულად იმეორებს ამოსავალი მედიაოქტივის მნიშვნელობას – აღნიშნავს კაუზაციის რეციპიენტის ყოფნას გარკვეულ პროცესში და ამასთანავე ასახელებს პირს (Ca), რომელმაც კაუზაციის ობიექტი ჩართო ამ პროცესში. ამიტომაც ხდება შესაძლებელი მედიაოქტივით დასახელებული სიტუაციისა და ამ სიტუაციის კაუზატორის მითითებით აქტივის მნიშვნელობის პერიფრაზირება: ის აცინებს = ის (Ca) იქცევა ისე, რომ ვიღაც (Rc) იცინის; ის აწუხებს = ის (Ca) იქცევა ისე, რომ ვიღაც (Rc) წუხს (შდრ. ივანიშვილი, სოსელია, 2002, 136).

ამდენად, მედიაოქტივი და სათავისო არაერთგვაროვან მიმართებებს ქმნიან ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნებთან. სათანადო გარდამავალთან მიმართებაში მედიაოქტივი ამოსავალია და სემანტიკურად მარტივი, ხოლო სათავისო – ტრანსფორმია და სემანტიკურად რთული. რაკი მედიაოქტივი პირველადი, არაწარმოქმნილი კონსტრუქციაა, ის ვერ განიხილება ვერც ერთი ტიპის უკუქცევით ფორმად, რადგან ნებისმიერი უკუქცევითი ფორმა ტრანსფორმია, წარმოქმნილი კონსტრუქციაა.

თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ქართული მედიაოქტივების პარადიგმატული ფორმები უკუქცევითი, კერძოდ, სათავისო ქცევის ფორმებია, რამდენიმე სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება: 1) მედიაოქტივთა ერთ ნაწილს (ელავს, დავობს, წვიმს, ქუხს, ცრუობს და ა.შ.) საერთოდ არ ეძებნება ენაში ლექსიკურად შესატყვისი აქტივი და, ამდენად, მედიაოქტივთა ი-პრეფიქსიანი ფორმების: იელვა, იღავა, იწვიმა, იქუხა, იცრუა და ა.შ. განხილვა ენაში არარსებული აქტივების უკუქცევით შესატყვისებად ალოგიკურია; 2) მედიაოქტივები გარდაუვალი ზმნებია, სათავისოები კი – გარდამავალი. თუ დავუშვებთ, რომ მედიაოქტივთა პარადიგმაში ქცევით ხდება ასპექტის გამონატვა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ მედიაოქტივის პარადიგმატულ ფორმებში დადასტურებული ი-პრეფიქსი სათავისოს ი-პრეფიქსია, თვით ეს ფორმები კი – სათავისოები, რომლებიც ასპექტური შინაარსით დატვირთვისას გარდაუვალ ზმნებად გარდაიქმნებიან. ეს ეწინააღმდეგება ასპექტური სემანტიკის გამონატვის პრინციპებს თანამედროვე ქართულში – ასპექტური სემანტიკის ცვლა არ არის დაკავშირებული გარდამავლობის მიხედვით ზმნის ცვლასთან, სინტაქსურ სტრუქტურაში პირდაპირი დამატების ჩართვა-გამორიცხვასთან. 3) თუ ქცევის ი-პრეფიქსი მედიაოქტივის პარადიგმაში სრული ასპექტის გამონატვას ემსახურება, მაშინ ის არ უნდა ჩანდეს აწმყოს ჯგუფის უსრული ასპექტის ი-ცინის, ი-ბრძვის, ი-ღვწის ფორმებში. რადგან ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსი დასტურდება მედიაოქტივის პარადიგმის როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმებში, ი-პრეფიქსთან სრული ასპექტის სემანტიკის გამონატვის ფუნქციის დაკავშირება მეთოდურად წინააღმდეგობრივია. 4) თუ მედიაოქტივის პარადიგმაში ქცევის ი-პრეფიქსით სრული ასპექტის მნიშვნელობა გამოიხატება, მაშინ აორისტიისა და მყოფადის ჯგუფის სრული ასპექტის მედიაოქტიური ფორმები ი-პრეფიქსთან ერთად აღარ უნდა ირთავდნენ ზმნისწინს – ასევე სრული ასპექტის გამომხატველს ახალ ქართულში: ი-ლხენს – მო-ი-ლხენს – მო-ი-ლხინა; ი-ცინის – გა-ი-ცინებს – გა-ი-ცინა; ი-ცდის – და-ი-ცდის – და-ი-ცადა; ხარობს – გა-ი-ხარებს – გა-ი-ხარა, წკრიალებს – გა-ი-წკრიალებს – გა-ი-წკრიალა; ხმაურობს – გა-ი-ხმაურებს – გა-ი-ხმაურა და ა.შ. მედიაოქტივების პარადიგმის მყოფად-აორისტის ჯგუფის ფორმებში ი-პრეფიქსთან ერთად ზმნისწინის გამოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ მედიაოქტივების ი-პრეფიქსს ასპექტის სემანტიკის გამონატვის ფუნქცია არ აქვს თანამედროვე ქართულში.

ყველა ეს წინააღმდეგობა მარტივად მოიხსნება, თუკი მედიაოქტიური პარადიგმის ი-პრეფიქსიანი ფორმებს ამ პარადიგმის ორგანულ, საკუთარ ფორმებად განვიხილავთ და ი-პრეფიქსის ფუნქციას ქცევის ან ასპექტის გრამტიკული კატეგორიის ფუნქციასთან დაკავშირებულად არ წარმოვიდგინოთ. მედიაოქტიური ზმნა გამონატვას ატელიკურ პროცესს (მელიქიშვილი, 2002, 123). ეს პროცესი მიმდინარეობს სუბიექტში, სუბიექტი ამ პროცესის სარეალიზაციო ადგილია.

ე. ბენვენისტის თვალსაზრისით, ინდოევროპული მედიალური ზმნები, რომელთა შორის იგულისხმებიან ქართული მედიალური სემანტიკური ეკვივალენტები, აღნიშნავენ პროცესს, "который развивается в субъекте; субъект является внутренним по отношению к процессу, ... субъект является одновременно и центром и производителем процесса; он совершает нечто, что совершается в нем самом" (ხრაკოვსკი, 1981, 128-189).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ატელიკურ გარდაუვალ ზმნათა ორი ტიპოლოგიური მახასიათებელი: 1) ენებში, რომლებშიც ზედსართავი სახელები არ ქმნიან დამოუკიდებელ ლექსიკურ კლასს, ატრიბუტული სემანტიკა გამოიხატება ატელიკური პროცესების აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნებით (გრინბერგი, 1970, 146-147). ამ ენებში (აქტიური წყობის ენები, ვიეტნამური) ერთსა და იმავე კონსტრუქციას ხან ატრიბუტული, ხან კი პრე-დიკატული სემანტიკა აქვს და მხოლოდ ფართო კონტექსტით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა (ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981, 104; კლიმოვი, 1977, 105). ატრიბუტული სემანტიკის გარდაუვალი პრედიკატული კონსტრუქციით გამოხატვის ფაქტს სვანურშიც აფიქსირებს გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი, 2002, 134). ატელიკური პროცესების აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნების ეს ტიპოლოგიური მახასიათებელი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: თუ ენა უშვებს ატრიბუტული სემანტიკისა და ატელიკური პროცესის ერთი და იმავე გარდაუვალი ზმნით გამოხატვის შესაძლებლობას, მაშინ ამ ზმნით დასახელებული ატელიკური პროცესი ისეთივე კუთვნილებით მიმართებაშია ზმნის სუბიექტთან, როგორშიც თვისება თავის პოსესორთან; როგორც პოსესორია თვისების სარეალიზაციო სფერო, ისე სუბიექტია ის არე, რომელშიც მიმდინარეობს ატელიკური პროცესი. 2) აქტიური წყობის ენებში ატელიკური პროცესების გამომხატველ ზმნებში სუბიექტი აღინიშნება ინაქტიური პირის ნიშნებით, რომლებიც ემთხვევიან ორგანული კუთვნილების გამომხატველ სახელურ აფიქსებს (კლიმოვი, 1977, 150), რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ატელიკური გარდაუვალი ზმნით დასახელებული პროცესი სუბიექტის „ორგანული კუთვნილებაა“, რომ ეს პროცესი თავისით მიმდინარეობს არც ერთ ეტაპზე არ სცილდება სუბიექტის სფეროს.

ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნებთან ქართული მედიალური სემანტიკისა და გარდამავალი უკუქცევითების არაერთგვაროვანი მიმართებებისა და ატელიკური გარდაუვალი ზმნების ტიპოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით ვასკვნით: გარდამავალი უკუქცევითები, კერძოდ, სათავისოები მედიალური სემანტიკისაგან განსხვავებული ენობრივი ერთეულებია თანამედროვე ქართულში; მედიალური სემანტიკის ატელიკური (უმიზნო) პროცესების აღმნიშვნელი ზმნებია, რომლებიც გულისხმობენ დასახელებულ პროცესში სუბიექტის ყოფნას და ამ პროცესს წარმოგვიდგენენ სუბიექტის „ორგანულ კუთვნილებად“; მედიალური სემანტიკის ატელიკური სემანტიკისა და მათი ი-პრეფიქსიანი ფორმები მედიალური სემანტიკის ორგანული ფორმებია; მედიალური სემანტიკის ი-პრეფიქსის განხილვა ქცევითი ან ასპექტური სემანტიკის გამომხატველ პრეფიქსად წინააღმდეგობრივია; ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის ი-პრეფიქსით მედიალური სემანტიკის სემანტიკისათვის ატელიკური პროცესის მიკუთვნების მარკირება; ეს პრეფიქსი პოსესიურობის პრედიკატულ მიმართებას ამყარებს სუბიექტსა და ატელიკურ პროცესს შორის და მიკუთვნების სემანტიკის მქონე პრედიკატულ ერთეულად წარმოგვიდგება ახალი ქართული ენის მედიალური სემანტიკის ზმნებში.

ლიტერატურა

- აპრესიანი 1974* – Ю. Д. Апресян, Лексическая семантика. Синонимические средств аязыка, М.1974.
- ბენვენისტი 1974* – Э. Бенвенист, Общая лингвистика, М., "Прогресс", 1974.
- ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981* – И. С. Быстров, Н.В.Станкевич, Залоговые конструкции во вьетнамском языке. "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л. 1981.
- გამყრელიძე 1979* – თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული, შიძღვნილი გივი მაჭავარიანის ხსოვნისადმი დაბადების 50 წლისთავზე, თბ. 1979.
- გამყრელიძე და სხვ. 2003* – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ. 2003.
- გრინბერგი 1970* – Дж. Гринберг, Некоторые грамматические универсалии, преимущественно касающиеся порядка значимых элементов, "Новое в лингвистике", вып. V, М. 1970.
- გენიუშენე 1981* – Э. Ш. Генюшене, К теории описания рефлексивных глаголов, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л.1981.
- ვასტინი 1981* – Н. Б. Вахтин, Рефлексив в эскимосском языке, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.
- იანკო-ტრინიცაია 1962* – Н. А. Янко-Триницкая, Возвратные глаголы в современном русском языке, М. 1962.
- ივანიშვილი, სოსელია 2002* – მ. ივანიშვილი, ე. სოსელია, ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფო-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურება, ენათმეცნიერების საკითხები №4 (16), თბ. 2002.
- კლიმოვი 1977* – Г. А. Климов, Типология Языков активного строя, "Наука", М. 1977.
- კორდი 1981* – Е. Е. Корди, Деривационная, семантическая и синтаксическая классификация местоименных глаголов французского языка, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л. 1981.
- მარი 1925* – Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л. 1925.
- მაჭავარიანი 2002* – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ლექციების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2002.
- მელიქიშვილი 1991* – И. Меликишвили, Перфект в картвельском и индоевропейском, "Историческая лингвистика и типология", М. 1991.
- მელიქიშვილი 2002* – ი. მელიქიშვილი, ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები №4, თბ. 2002.
- მელიქიშვილი 2001* – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001.
- ნებიერიძე 1976* – გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია №4, თბ. 1976.
- ნოზაძე 1974* – ლ. ნოზაძე, მედიაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ. 1974.
- ნოზაძე 2005* - ლ. ნოზაძე, ისევ მედიაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, იკე, XXXV, თბ. 2005.
- პერელმუტერი 1978* – И. А. Перельмутер, Общеиндоевропейский и греческий глагол, "Наука", Л. 1978.
- უსპენსკი 1977* – В. А. Успенский, К понятию диатезы, "Проблемы лингвистичес-

кой типологии и структуры языка", Л. 1977.

ქარქაშაძე 2005 – М. Д. Каркашадзе, Дискурсивные функции категории посессивности и картвельский статический глагол, Тезисы докладов IV международной типологической школы по лингвистической типологии и антропологии, М. 2005.

ქარქაშაძე 2005 – მ. ქარქაშაძე, ი- პრეფიქსის ფუნქცია ქართულ მედიოაქტიურ ზმნებში (ტიპოლოგიური ანალიზი), ტიპოლოგიური ძიებანი №5, თბ. 2005.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III ტ, თბ. 1980.

ჩეიფი 1975 – У. А. Чейф, Значение и структура языка, М. 1975.

ხოლოდოვიჩი 1970 – А. А. Холодович, Категория залога, Л. 1970.

ხრაკოვსკი 1981 – В. С. Храковский, Диатеза и референтность, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л. 1981.

ჯორბენაძე 1975 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ. 1975.

ჯორბენაძე 1983 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ. 1983.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მორალური ელემენტების ლექსიკონი, თბ. 1988.

Manana Karkashadze

Correlation of Medioactive and Transitive Reflexive Verbs in Modern Georgian

Summary

Georgian medioactives are intransitive, atelic, initial verbs, expressing a process or action, which has no perspective except the monotonous progression.

In the specialist literature the paradigm forms of Georgian medioactives are regarded as forms of transitive reflexive verbs, whereas possessive prefix *i-*, found in the morphological structure of medioactive and transitive reflexive, is equally regarded as a reflexive prefix.

In the present article structural-semantic features of Georgian medioactives and transitive reflexives are defined by the criteria of Diatesis Theory and is shown that medioactives and transitive reflexives are functionally different linguistic unites, therefore it is contradictive to regard Georgian medioactive as a reflexive verb and prefix *i-* of medioactive – as a reflexive prefix.

Prefix *i-* in Georgian medioactive verb represents the atelic process as the "organic" possession of the subject.

**პრეფიქსიანი მნიშვნელობის II კავშირებითი ფორმატა
წარმოების საკითხები საშუალო ქართულში**

ძველ ქართულში პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში სუბიექტის მრავლობითობა II სერიის მწკრივებში სისტემატურად -ენ ფორმატით გამოიხატება, რომელიც ხმოვნის შემცველი ბოლოსართის გავლენით რედუცირდება (ენ→ნ). ეს უკანასკნელი ან მესამე სუბიექტური პირის გამომხატველი სუფიქსია, ანდაც რომელიმე მწკრივის ნიშანი:

და-ვ-ი-მალ-ენ-ით	შე-ვ-ე-ბრალ-ენ-ით
და-ი-მალ-ენ-ით	შე-ე-ბრალ-ენ-ით
და-ი-მალ-ნ-ეს	შე-ე-ბრალ-ნ-ეს
და-ვ-ი-მალ-ნ-ეთ	შე-ვ-ე-ბრალ-ნ-ეთ
და-ი-მალ-ნ-ეთ	შე-ე-ბრალ-ნ-ეთ
და-ი-მალ-ნ-ენ	შე-ე-ბრალ-ნ-ენ

ენ→ნ ფორმანტი წარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშანია, რომელიც ზმნას მოქმედებითიდან კონვერსიის შედეგად გადმოჰყვას, „რადგანაც პასივი მრავლობითში ფუძედ აქტივის ინფიქსიან ფორმას იყენებდა“ (შანიძე, 1980, 446):

და-მ-მალ-ენ შენ ჩუენ – და-ვ-ი-მალ-ენ-ით ჩუენ
და-მ-მალ-ნ-ე შენ ჩუენ – და-ვ-ი-მალ-ნ-ეთ ჩუენ

ძველი ქართული სათავის ეს განუხრელი ნორმაა, რომელიც პრეფიქსიან ვნებითებს სხვა სახის ვნებითებისაგან გამოარჩევს.

პასიურ ზმნათა ამ თავისებურებას არ იზიარებს მხოლოდ ორი ზმნა. ესენია **მოიქცეს** და **დაირღუეს** „ყველა შესაძლო ზმნისწინითა და ვნებითის (ი, ე) ნიშნით“ (იმნაიშვილი, 1996, 302).

ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში დაიწყო გათანაბრების პროცესი: გამონაკლისმა ზმნებმა საერთო წესისამებრ **ენ→ნ** ფორმანტი მიიღეს. ამავე პერიოდისათვის სათანადო ვნებითთა გავლენით არაიშვიათად აღნიშნული ფორმანტი საშუალო გვარის ზმნებსაც დაერთვის (იმნაიშვილი, 1996, 303).

ახალ ქართულში აღნიშნული წარმოება პოეზიის ენას შემორჩა. მას აქ დიალექტური ხასიათი აქვს. „თუმცა ეხლაც ძალაშია აღმოსავლურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულში. მართალია, ეს ძალა ძალზე შესუსტებულია და უინფიქსო წარმოება თანდათან უფრო მეტ გასაქანს პოულობს, მაგრამ ინფიქსიანსაც რამდენადმე თავისი ადგილი დღესაც შერჩენილი აქვს“ (შანიძე, 1980, 447).

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ძველ სალიტერატურო ენაში II კავშირებითს ახასიათებდა და რომელიც **ენ→ნ** ფორმანტის გამოყენებას უკავშირდება.

„ნ ინფიქსის ხმარება მრავლობითში ერთ ცვლილებას იწვევს, რომელიც ახასიათებდა ძველ ქართულს და ახასიათებს ახალ ქართულსაც, რამდენადაც ძველი წარმოება დღესაც ხმარებაშია: როგორც უნდა იყოს მწკრივის ნიშანი მხოლობითში (ა, თუ ო), სულ ერთია, მრავლობითში, **ნ** ინფიქსის ხმარების შემთხვევაში, ეს ნიშანი ე-დ შეიცვლება; მაგალითები:

მხ. 1.3. გავეკრა	წავეკილო
2.3. გაეკრა	წაეკილო
3.3. გაეკრას	წაეკილოს
მრ. 1.3 გავეკრნეთ, გავეკრათ	წავეკიდნეთ, წავეკილოთ
გაეკრნეთ, გაეკრათ	წაეკიდნეთ, წაეკილოთ
გაეკრნენ	წაეკიდნენ

თქმულის თანახმად, „ვესწრები“ ზმნა (დავესწარ, შევესწარ) ამ მწკრივში ა-ს მოგვცემს მხოლობითში: შევესწრა (ნეტაი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა, ჭავ., 368, 30), მრავლობითში კი ეს ა იმ შემთხვევაში დარჩება (ისიც 1-ლსა და მე-2 პირში), თუ წარმოება ახალია (შევესწრათ, შეესწრათ), მაგრამ ძველი წარმოების თანახმად ე-დ გადაკეთდება: შევესწრნეთ, შეესწრნეთ, შეესწრნენ“ (შანიძე, 1980, 449).

თანამედროვე სალიტერატურო ენაში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი ახალმა წარმოებამ. მხოლობითი რიცხვის კვალობაზე არამარტო პირველი და მეორე პირის ფორმები, მხოლობითში გამოვლენილი მწკრივის ნიშანი გვხვდება მე-3 სუბიექტურ პირში. „თანამედროვე სალიტ. ქართულში კავშირებითი მეორის საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. დავიძალთ, დავიძალთ, დავიძალონ... დავეწიოთ, დავეწიოთ, დავეწიონ – გაბატონებული ფორმებია (დავიძალნეთ, დავიძალნეთ, დავიძალნენ... დავეწივნეთ, დავეწივნეთ, დავეწივნენ – კავშირებით მეორეში იშვიათად თუ შეგვხვდება (თან. ქართ. სალიტ. ენ. ნორმ., I კრ., 1986, 186).

საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში ძირითადად ძველი სალიტერატურო ნორმა მოქმედებს. აღნიშნული ნორმა გატარებულია ყველა ძეგლში, ყველა ჟანრისა თუ თემატიკის თხზულებაში როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ნაწარმოებში:

მით შევეწივნეთ ტარიელს ტურფადცა უნდა ხსენება (ვეფხ., :5, 3).
უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი (ვეფხ., :1027,1).

აწ შევიყარნეთ და წინა მივეგებნეთ (ამირ., 130:4).
არა, ძმაო, ოდეს კაცნი ორნი ერთვან შეიყარნენ, ვინ ჩუენნი მოყუარენია, მე მაჯობინებენ (ამირ., 460:11).
მე შორით მჭურტლით, რომელ არ დამეახლნენ, თუ არა დაიწუებით (ვისრ., 202: 21).

თუ ჩემოდენნი ჭირნი მთასა დაემართნენ, წყლისა ნაცულად მასცა სისხლი გამოეცემის (ვისრ., 283: 26).

მოვიჭირვოთ, აღარ ვიყვნეთ ჭირსა ჭირზე დასართავად (თეიმ. I, 31: 51, 4).

საწოლს გარს შემოეხვივნენ, თვალთა არ მისცენ რულები (თეიმ. II, 66: 528, 2).

ლაზარესა დათა
ვესტუმრნეთ ცრემლ-ზღვათა (ბეს., 41: 15, 2).
შემომყარენ მიწა ყორები

არ დამეხვივნენ ყორან-ბორები (ბეს., 53: 46,6).
განისწავლენით, ჯამბაზებრ წარეთ,
რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვნეთ მწარეთ! (დავითიანი, 275: 33,4).

მათ ქმნეს პირობა, ვთხოლოთ ღმერთსა,
თუ დაიზარდნენ, ვრთოთ ერთმანერთსა (დავითიანი, 190: 71,2).

ვისცა ეწვივნეთ, მასცა თქვენთვის ასრე ათქმევინოს-მეთქი (საბა, ს. ს., მოგზ., 147).

ი-ე მარიამობისთვის წმიდა პაპს ებძანა ჩემი წირვა მოისმინონო და ჩემგან **ეზიარნენო** (საბა, ს.ს., მოგზ., 200).

სიხარულითა უოხჭნოდითა დამთვრალი **მიეწივნეთ** სამყოფსა მას ანგელოზთასა (საბა., სწავლ., 190: 589).

აწ უკვე ჰვონებთა, ძმანო, მკვდარნი ესე, რომელნი ქრისტეს მიერ **მიიცვალნენ**, არღარა აღდგენა? (საბა., სწავლ., 73).

და უკეთუ აწ ძლეულნი უკუნიქცევით, სადღა **მივილტვნეთ** სირცხვილეულნი? (ი. ბატონიშ., II, 128).

მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულით უნდა წარწყმდეს და ხორციით თავის მშობლის მამულითგან **დაიკარგნენ** (ი. ბატონიშ., I., 12).

ერთმანეთს მსწრაფლად **მივეშველნეთ** და ყოვლისფრით, რაც კი შეიძლებოდეს, **გავისარჯნეთ** (ქსმ., II, 434).

თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ და სხუად შუა გაიყონ (ქსმ., I, 469).

არამედ **იყვნენ** კელნი თქუენნი ვითარცა კელნი ჩემნი, რათა არა **ვიძლივნეთ** სრულიად (ქ.ც., I, 173, 15).

და მოდი **შევიფიცნეთ**, მივიდეთ და ამოვსწვიტოთ ყიზილბაშნი (ქ.ც., II., 406,21).

და ამისთვის კლახაკნი ლამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა **შეებთხწნენ** მეფესა (ქ.ც., II, 271,1).

იკსენით დაწუნებულნი, უსაჯუთ სამართალი მართალი, რაითა მართალთა თანა **დაეწესნენ** (ქისკ., I, 170,38).

საშუალი ქართულის ენობრივ მასალაში მოვიძიეთ რამდენიმე ათეული ფაქტი იმისა, როცა ძველ სამწერლობო ენაში მოქმედი ნორმა დარღვეულია: სუბიექტის მრავლობითობისას პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითში ზმნაში აღარ არის **ნ** ფორმანტი, მწკრივის ნიშნად კი მოსალოდნელი -ე ბოლოსართის მაგიერ -ა ან -ო სუფიქსი გვხვდება. ამგვარი წარმოება ახალი ქართულისათვის თუ ჩვეულებრივია, საშუალი ქართულისათვის სიახლეს წარმოადგენს.

ახალი წარმოება საშუალი ქართულის სამწერლობო ძეგლთა უმრავლესობაში დადასტურდა. ასეთი ფორმა პირველად „ამირანდარეჯანიანში“ შეგვხვდა:

ხვალე ცისკრისა ჟამსა კამს, რომე ზედან დავესხათო (ამირ., 152:6).

თუმცა აქვე ამავე ზმნის -ე სუფიქსიანი ფორმაც ვნახეთ:

დავესხნეთ ლამით, და რა ღმერთმან გამოგუიროჩიოს, იგი იქმნასო (ამირ., 177:3).

ამის შემდეგ მხატვრულ ტექსტთაგან მსგავსი წარმოება XVII საუკუნის პოეტთან, თეიმურაზ I-თან, დავადასტურეთ. სახელდობრ, პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ -ო სუფიქსიანი ზმნა მოვიძიეთ:

თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ ღამემოწამენითა (თეიმ. I., 132: 52,3).

XVII საუკუნიდან მოყოლებული II კავშირებითის ხსენებული ფორმები, თუმცა იშვიათად, მაგრამ უკვე თითქმის ყველა ძეგლში შეგვხვდა.

თეიმურაზ II-სთან ასეთი ფორმები ვნახეთ როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ტექსტში. „თიმსარიანშიც“ და პოემაშიც „სარკე თქმულთა“ თითო-თითო -ა ბოლოსართიანი ზმნა აღმოჩნდა:

რომ ასეთსა შეჭირვებასა და შიშსა დავესხნათო (თეიმ. II, 167., 17).

გარს **შემოერთყან** საწოლსა, მოეცვასთ მისი არე-და (თეიმ. II, 69: 555, 2)

პოეტურ ნაწარმოებთაგან ახალი ქართულისებრი ფორმები შეგვხვდა ბესიკთან, დავით გურამიშვილთან და არჩილთან:

ქმარს უთხრა: „ადრე ვისწრაფოთ, სახლს **ვეპატრონოთ** ჩქარაო“ (ბეს., 61: 99,2).

სჯობს, რომ ჩვენ ერთნი **შევიქნათ**, ავებ გვეღირსოს ძილები (დავითიანი, გვ. 60: 240,4).

არჩილის თხზულებებში ახალი წარმოების ათამდე ზმნა მოვითვალეთ: სხვას ამბავსა **ჩამოვეხსნათ**, გავათაოთ მოდი ჯერ ეს (არჩ., II, : 264,4).

სხვანიც **გაიჭრან** მსმენელნი, მოშორდენ მათ საყოფელსა (არჩ., I, 162: 69, 4).

ან თუ სტუმარი გეწვიოსთ, ძილისგან უფრო **ეჩვენოთ**. თქვენი არ გქონდეს, სხვისი რამ ინათხოვროთ და უჩვენოთ (არჩ., I, 44: 212, 2-3).

ამ უკანსკნელ შემთხვევაზე შეიძლება ვიფიქროთ, პოეტი ახალი ენისათვის ნიშანდობლივ ფორმას სარიტმო ერთეულად იყენებს. ანალოგიური ვითარებაა შემდეგ მაგალითშიც:

რაზომნიცა დღენი გვესხნეს, საწუთროსა ხელი ვყაროთ მოყვრულად და საყვარელად ერთმანერთსა **შევეყაროთ** (არჩ., I, 172: 298, 1-2).

თუმცა იმავე ზმნის ი- პრეფიქსიანი ფორმა არც სარიტმო ერთეულია და არც სალექსო საზომის სხვა შემთხვევად განიხილება:

დილას შევსხდეთ სამინდლოროთ და მიზეზით ნადირობის, ისრე ცხენზე **შევიყაროთ**, ჯარი შესხდეს ერთ-პირობის (არჩ., II, :521, 1)

აქვეა ამ ზმნის მესამე სუბიექტური პირის ფორმები ძველი წარმოებით:

საჩოქეთ რა **შეიყარნენ**, უწინ მან წაიწიოსო (არჩ., I, 8: 44,3).
შემოიყარნენ დარბაზსა, დღე წართონ სმა და ძღერითა (არჩ., I, 39: 163,1).

პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითში პარალელური წარმოების ფაქტები არჩილთან იშვიათად დასტურდება ერთსა და იმავე თხზულებაში. საინტერესოა, რომ არჩილი ახლებურ წარმოებას III სუბიექტურ პირთან იშვიათად მიმართავს. მაგალითად, პოემაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ III სუბიექტურ პირთან თუ ძველ წარმოებას იყენებს ავტორი, I პირში ახალი, -ო სუფიქსიანი ფორმა გვხვდება:

ამ ერთით **გამოიზარდნენ** ღარიბნი, ყველას აყონო (არჩ., I, 41: 184,3).

მაშ რით დავრჩეთ, ისიც ბძანეთ და ან რით **გამოვიზარდოთ?** შენ ამბობ და **დაგემოწმით**, ჩვენცა სიღყვა სიღყვას დავრთოთ (არჩ., I, 47. 235,1-2).

„გამოვიზარდოთ“ ფორმა შეიძლება ჩაითვალოს მომდევნო ტაეპის „დავრთოთ“ ზმნის მოსაზღვრე რითმად.

ამავე პოემაში კიდევ არის პარალელური ფორმაწარმოების მაგალითი:

თქვენც **დამემოწმნეთ** ყოველნი, მოგკონდესთ, თითზე იკბინოთ (არჩ., I, 50: 257, 4).

პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ პარალელიზმის სხვა მაგალითია:

თუ ვინმე დაგხედეს, რას ჰქვიან, შეებათ მოსვლად ჩვენამდინ? (არჩ., II, :939, 3).

ქარვი თურმე არ ვნდომია, მაშ შევებნეთ ერთმანერთსა (არჩ., II, :479, 2).

დილას შევებნეთ სივრილით, ამას სხვა რჩევა არ უნდა (არჩ., II, :628, 4).

მხატვრულ ნაწარმოებთაგან ახალი წარმოება, პოეტურის გარდა, არაპოეტურ ტექსტშიც გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ახალი წარმოება იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება. თხზულებებში „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ მხოლოდ ერთ-ორ მაგალითს თუ ვხვდებით, „სწავლანში“ კი თხუთმეტამდე ასეთ ზმნა ვნახეთ:

მე და შენ ღმერთს შესაყრელად ვუნდოლით და აწ გულის ნებას ვეწიოთ-მეთქი (საბა, ს. ს., მოგზ., 103).

ღლეს ერთსა ვახსნა და ვასცა განბი ურიცხვი ვლახაკთა ზედა, რათა ევეღრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის (საბა, ს. ს., მოგზ., 7).

მის მსვავსად, თვით ის იყო და აწ პატრონის ჩემის შვილი წავიგვრია და ვითლა ვეუბნათო? (საბა, ს. ს., მოგზ., 55).

ესე არს ზიარება, რათა თანა ზიარ ქრისტესა ვიქმნათო (საბა, ს. ს., მოგზ., 281: 138).

საინტერესოა, რომ საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილული ძეგლებიდან ყველაზე მეტი ახალი ფორმა „სწავლანში“ ვნახეთ:

შვილთა და შვილისშვილთად მათისა თესლისათვის ვამზადებთ სამარხთა აკლამათა და დიდებულთა მონასტერთა, რათა ივინი დაეფლან (საბა, სწავლ., 79).

არიან ომთა შინა და კაცთაგან, არიან წყალთა და თოვლთა მიერ და მხეცთაგანაც მოიკლან უცბად (საბა, სწავლ., 323: 226).

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ამგვარ ფორმათა უმრავლესობა იმ ეპიზოდებშია, სადაც ავტორი რელიგიურ პრობლემებზე მსჯელობს:

ჩვენცა მივისწრაფოთ სულიერისა მკურნალისა, რათა აღიხოცნეს ცოდვანი ჩვენნი სინანულისა და აღსარებისა მიერ (საბა, სწავლ., 40).

რათა მას თანა დაემკვიდროთ უკუნისამდე (საბა, სწავლ., 78).

ლოცვისა დასრულებამდე მწუხარ და სულთქმით მკენესარე ერვენოთ ქრისტესა, – რად არა იღწვიოთ? (საბა, სწავლ., 135: 405).

აუბნებენ ენათა ზაკვით, რეცა ერვენონ მოწყალედ (საბა, სწავლ., 91).

არიან წყრომითა და ომთა შინა მოკვდენ, ანუ წყალთა, თოვლთა შინა მოითოშონ (საბა, სწავლ., 323: 207).

„სწავლანში“ ფორმობრივი პარალელიზმის შემთხვევებიც მოვიპოვეთ:

ხოლო თქვენ მიირბინეთ მღდელომოდვართა თანა, რათა განეშოროთ ცოდვასა და აღსარებასა და სინანული ზელთა შინა მისცეთ (საბა, სწავლ., 135: 405).

განეკრძალენით, რათა არა შეხვიდეთ ჯოჯხეთსა და არა განეშორნეთ დიდებასა ღმრთისასა (საბა, სწავლ., 29).

თანა-გვაც, რათა არა დავითროთ, ვინაითგან ესრეთ არს სიმთვრელე (საბა, სწავლ., 216: 672).

განვძღვით საჭმლითა წმიდითა ამით და დავითვრნეთ სულიერითა საღმრთოთადათა ამის სასმელითა (საბა, სწავლ., 105, 299).

და ივინი სახმრად იყოს თქვენდა და თქვენ არა მსახურ მათდა და **მივევოთ** გონებასა (საბა, სწავლ., 194, 601).

მოვევინოთ თავთა ჩვენთა და დავადგარეთ ნებასა მეუფისასა (საბა, სწავლ., 190, 587).

ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლებიდან იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ ყველაზე მოგვიანო პერიოდის ნაწარმოებია. თუმცა პრეფიქსიან ვნებითა ჩვენთვის საინტერესო ფორმები აქ ისეთივე იშვიათობაა, როგორც სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუეში“:

მაშა, ბერები ზომ არა ვართ, რომ მეფის სიტყვით და ანუ სხვა ჩვენის უფროსის სიტყვით **დავეჭვინოთ** ვისმე (ი. ბატონიშ., II, 139).

ჩემს მოწაფეებს ამ მიზეზით გავამხელ, რომ ეგების თვისი ცოდვა მოიშალონ და **შეირცხვინონ** ხალხისგან (ი. ბატონიშ., II, 233).

გამოარჩიეს, თუ ვითარ სახითა **შეებან** მტერსა (ი. ბატონიშ., II, 92).

და იზრახდა, ნუთუ **მოიკლან** ესენი ხელთაგან მტერთასა (ი. ბატონიშ., II, 120).

„კალმასობაში“ ფორმობრივ პარალელიზმსაც ვხვდებით:

ვინდა **შეემცნათ** ამა მუძიათა ხასიათთა და თქვენს ლექსიკონში განმარტება ამათი დაწეროთ (ი. ბატონიშ., II, 243).

გარნა ესე შეიძლება, რომელ იქონიოთ ფილოსოფიური და მათემატიკური წიგნები და გულისხმობით იკითხოთ, მაშინ იქნება მცირედ **შეემცნეთ** (ი. ბატონიშ., II, 236).

პრეფიქსიანი ვნებითის ჩვენთვის საინტერესო ფორმები ისტორიულსა და სამართლებრივ ძეგლებშიც დადასტურდა. მნიშვნელოვანია, რომ აქ სწორედ მესამე სუბიექტური პირის ფორმებთან გამოვლინდა ახლებური წარმოება.

1722 წლის „ღმრთაების გუჯარში“ კვითხულობთ:

ვითარმედ **ვემსვავსოთ** მაღალსა მას (ქსძ., II, 377).

XVII საუკუნის ერთ-ერთ საერო-საკანონმდებლო ძეგლშიც არის ასეთი ფორმა:

და ვინცა ვინ ამის მამულში იდგეს, **გამოეცალონ** (ქსძ., II, 233).

XVIII საუკუნეში ერეკლე II-ის მიერ განწესებულ ძეგლებშიც დადასტურდა ახალი ფორმები:

თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს **დაესხან** (ქსძ., II, 426).

როგორც დაჩემებული არის და განწესებული, ისე უნდა შევიდნენ და **დაიხიზნონ** (ქსძ., II, 512).

ანალოგიური წარმოების ფორმაა XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საერო-საკანონმდებლო ძეგლშიც:

ნებადართულ მექმნას გავავრძო დასჯა მებრ უწინარესისა, რათა **აღვირ-სხმულ იქნან** ბოროტმოქმედებანი (ქსძ., II, 562).

ჩვენთვის საინტერესო ზმნები მოვიძიეთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი:

და ყუელანი შეიქმნენ მოცლით და დავროვდნენ მონასტერსა და საყდარსა ქრისტესასა, და **ვევდრონ** უფალსა გულის წმინდითა (ქსძ., I, 239).

თუ ხელმწიფეს უკან შეილებიც მალ **მიიცვალონ** და შეილიშვილი დარჩეს, მას უნდა მისცენ ხელმწიფობა (ქსძ., I, 270).

თუ **წაიკიდნონ** კაცნი ორნი, ერთი წვერიანი და ერთი უწვერული (ქსძ., I, 290).

საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელში ძველი წარმოების კვალი შემორჩენილი, ზმნაში შემონახულია **ნ** ფორმანტი, მაგრამ -უ სუფიქსის ნაცვლად უკვე -ო ბოლოსართი მიერთვის ზმნურ ფორმას. ეს მაგალითი ძველისა და ახლის სიმბიოზის საინტერესო შემთხვევაა.

ვახტანგ VI-ის კრებულში, სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის ერთ-ერთ თავში, გვერდი-გვერდ გვხვდება ძველი და ახალი ფორმები, თუმცა -ო ბოლოსართიან ზმნაში ისევ შემორჩენილია **ნ** ფორმანტი. ეს შემთხვევაც შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტული მდივან-მწიგნობარის ცდად ძველი სალიტერატურო ნორმის კვალის წაშლელად მიმართოს ახალ წარმოებას:

თუ ვინც ძმანი გაიყარნენ და გაიყონ მამული და საქონელი, და კაცთა წინა გაიყარნონ და არ დასწერონ გასამყრელს წიგნი მართალი, უწიგნოთ გაყოფა რისაც და გაყრა არ არის ჭეშმარიტი (ქსძ., I, 257).

პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითს ახალი ფორმები კიდევ უფრო დიდი იშვიათობაა „ქართლის ცხოვრებაში“. ახალი ქართულისებრი წარმოება ვნახეთ II ტომში, სახელდობრ, „ახალი ქართლის ცხოვრების“ III ტექსტში: *მამინ მიუძცნო შაჰ-თამაზ შამხალსა, რომელსა ეწოდა ჩერქეზ, და სულთანსა შაქისასა და ყარაბაღელთა, და გარემოთა ყოველთა ყიზილბაშთა, რათა შექმნეყონ დაუთხანსა* (ქ.ც., II, 513: 30).

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები სუბიექტის მრავლობითობისას II კავშირებითს ძველ ქართულში მოქმედი წესისამებრ იწარმოებენ. ამავე პერიოდისათვის უკვე ძველის წიაღში ახალი ფორმებიც იკიდებენ ფეხს. ახალ წარმოებას უკვე XII საუკუნიდან გვხვდებით „ამირანდარეჯანიანი“¹, XVII საუკუნიდან მოყოლებული კი თითქმის ყველა ძეგლში გამოვლინდება ასეთი ფორმები. პოეტურსა და არაპოეტურ ნაწარმოებებში, მხატვრულ ტექსტებსა თუ ისტორიულსა და საკანონმდებლო ძეგლებში თანაბარი სიხშირით მათი გამოჩენა თითქოს შლის საზღვარს სამწერლობო ენის საშუალსა და ახალ პერიოდებს შორის. პოეზიის ენაში ახალი ფორმების არსებობას ვერც მხოლოდ ლექსის საჭიროებით ავხსნით, რადგან იშვიათ შემთხვევაში ასეთ ფორმებს თუ ლექსთწყობის რომელიმე ინსტრუმენტად მივიჩნევთ, უმეტესწილად ისინი სრულიად დამოუკიდებლად ჩნდებიან. „სამართლის ძეგლებსა“² და „ქართლის ცხოვრებაში“³ ჩვენ მიერ დამოწმებული მესამე სუბიექტური პირის ფორმები ცხადყოფენ, რომ „გავეკრათ, გაეკრათ, გაეკრან“, „წავეკიდეთ, წაეკიდეთ, წაეკიდონ“ პარადიგმებს არსებობის უფლება აქვს არა მხოლოდ ახალ სალიტერატურო ენაში, მათი არსებობა ფაქტია თვით საშუალო ქართულის დონეზეც.

ლიტერატურა

- თან. ქართ. სალიტ. ენ. ნორმ., I კრ., 1986** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი 1986.
- იმნაიშვილი, 1996** – ივ.იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, მაინის ფრანკფურტი 1996.
- შანიძე, 1980** – აკ.შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ. 1980.
- შემოკლებათა განმარტებანი**
- ამირ.** – „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბ. 1967.
- არჩ. I** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფ. 1936.

- არჩ. II** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, ტფ. 1937.
- იბატონიშ.** – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1936, ტ. II, თბ. 1948.
- ბეს.** – ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. ბარამიძემ და ვ. თოფურიაძემ, ტფ. 1932.
- დავითიანი** – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ი. აბაშიძის, აღ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით, თბ. 1966.
- ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბაშიძის, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, აკ. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით, თბ. 1966.
- ვისრ.** – ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. გვახარიაძემ და მ. თოდუამ, თბ. 1962.
- თეიმ. I** – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. ბარამიძემ და გ. ჯაკობიამ, ტფ. 1934.
- საბა, ს. ს., ძოგ ზ.,** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ. 1959.
- საბა, სწავლ.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, სწავლანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ. 1963.
- ქისკ. I** – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII ს.ს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984.
- ქსდ. I** – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1963.
- ქსდ. II** – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX ს.ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1965.
- ქც. I** – ქართლის ცხოვრება, შედგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955.
- ქც. II** – ქართლის ცხოვრება, შედგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959.

Nino Tsikhishvili

The Problems of Derivation of the II Conjunctive Screeve of Prefixal Passive in Middle Georgian

Summary

In the old Georgian language verbs of the prefixal passive voice express the plural number of the subject in II conjunctive form by the suffix –n. The deviation from the norms is observable in the middle Georgian language. In monuments of the 11th-12th centuries mainly old forms occur. Since the 17th century, almost in every monument a new form is found, but there are plenty of old forms as well. They appear with the same frequency either in poetic or non-poetic works, in fiction or historical and legislative texts. This distribution draws the line of demarcation between the middle and the new periods of the written language.

ისტორია სინქრონის მხარდასაჭმრად
(II ნაწილი)

2. სქესი და ბრუნების კლასი

მიუხედავად იმისა, რომ სქესი და ბრუნების კლასი გრამატიკებში ხშირად ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიებად განიხილება, არონოვი (Aronoff, 1994) აცხადებს, რომ ისინი განსხვავებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კატეგორიებია. ეს ერთგვარად გვაგარაულებინებს, რომ აღნიშნული კატეგორიები ისტორიული თვალსაზრისით თავისუფალია, ანუ ისინი შეიძლება განვითარდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. თუ ეს დასკვნა სწორია, უნდა არსებობდეს ენა, რომელშიც ჩამოყალიბებულია სქესის კატეგორია ბრუნების კლასების გარეშე და პირიქით, – იმგვარი ენა, რომელშიც გამოიყოფა ბრუნების კლასები სქესის კატეგორიის არარსებობის პირობებში. ანალოგიურად, უნდა მოიპოვებოდეს ენა, რომელშიც დაკარგულია სქესის კატეგორია, თუმცა შენარჩუნებულია ბრუნების კლასები და პირიქით, – ენა, რომელშიც დაკარგულია ბრუნების კლასები, თუმცა შენარჩუნებულია სქესის კატეგორია. ჩვენთვის ცნობილი ინდოევროპული ენების მიხედვით, ამგვარი რამ შეუძლებელი ჩანს. ინგლისურის მსგავს ენებში, რომლებშიც დაკარგულია სქესის კატეგორია, აღარც ბრუნების კლასები გამოიყოფა; ლათინურში, ესპანურში, გერმანულში, რუსულსა და სხვა მსგავს ენებში კი შენარჩუნებულია როგორც სქესი, ასევე ბრუნების კლასები. ამ ნაწილში წარმოვადგენ აღწერას ენისა, კერძოდ – სვანურისა, რომელშიც ჩამოყალიბდა ბრუნების კლასები სქესის კატეგორიის ჩამოყალიბების გარეშე და, აგრეთვე, განვიხილავ მერე ენას – უდიურს, რომელშიც სქესის კატეგორია მოიშალა, თუმცა ბრუნების კლასები შენარჩუნებულია.

2.1. რა არის სქესი და ბრუნების კლასები?

როგორც არონოვი აღნიშნავს (Aronoff, 1994), ენაში გრამატიკული სქესის არსებობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ იმ ელემენტების მიხედვით, რომლებიც არსებით სახელთან ერთად გვხვდება, ასეთია, მაგალითად, ზედსართავები, დეტერმინანტივები და ზმნები. „ენას სქესის კატეგორია ექნება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ამ ენაში (1) არსებით სახელებთან დავადასტურებთ შეთანხმების ისეთ ფორმას, რომელიც (2) გულისხმობს განსხვავებას არსებით სახელთა კლასებს შორის...“ (Aronoff, 1994, 66).

ამის საპირისპიროდ, ენაში ბრუნების კლასების არსებობა, შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა არსებითი სახელის ბრუნების გადამოწმებით. „ფლექსიური კლასი არის სიმრავლე ლექსემებისა, რომლებსაც ერთიანი პარადიგმა აქვთ და რომელთა ფორმებიც მსგავსია მორფოსინტაქსური თვისებების რეალიზაციის თვალსაზრისით ყოველ უჯრედში“ (Carstairs-McCarthy, 1998).¹ ენაში, რომელშიც ბრუნების კლასები გამოიყოფა, ზოგი-

¹ ანალოგიურია არონოვის განსაზღვრებაც: „ფლექსიური კლასი არის ლექსემების სიმრავლე, რომლის წევრთაგან თითოეული ირჩევს ფლექსიურ რეალიზაციას ერთსა და იმავე ერთობლიობას“ (Aronoff, 1994, 64).

ერთი არსებითი სახელის ბრუნება განსხვავდება რომელიმე სხვა არსებითი სახელის ბრუნებისაგან იმგვარად, რომ იგი წინასწარ ვერ განისაზღვრება ფონოლოგიიდან ამოსვლით.

საკითხი, რომელსაც აქ განვიხილავთ, წამოიჭრა იმის გამო, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთ ენაში, მაგალითად, ესპანურსა და ლათინურში, ბრუნების კლასები სქესის შესაბამისად განისაზღვრება. თუ ბრუნების კლასები და სქესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცვლადებია, როგორც ამას არონოვი მიიჩნევს, მაშინ ეს ორი კატეგორია თავისუფლად უნდა იცვლებოდეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

2.2 უდიური: სქესის დაკარგვა ბრუნების კლასების დაკარგვის გარეშე

უდიური ჩრდილოაღმოსავლურ კავკასიურ ენათა ოჯახის წევრია; ლეზგიური ქვეჯგუფის ენათაგან იგი ყველაზე განსხვავებულია. პროტო-ლეზგიურში ოთხი სქესი გამოიყოფა (Алексеев, 1985) და იგივე ივარაუდება პროტო-ჩრდილოაღმოსავლურ-კავკასიურისთვისაც (პროტო-ჩრდ.აღმ.-კავკ.), თუმცა სქესის განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა აქ ზუსტად გარკვეული არაა. პროტო-ლეზგიურში **I სქესი** აერთიანებს უმეტესად მამრობითი სქესის ადამიანთა აღმნიშვნელ არსებით სახელებს, **II სქესი** – უმეტესად მდედრობითი სქესის ადამიანთა აღმნიშვნელ არსებით სახელებს, ხოლო **III სქესი** და **IV სქესი** – არაადამიანთა აღმნიშვნელ არსებით სახელებს; სქესის ამ ბოლო ორ ფორმას შორის სხვაობა შეიძლება დახასიათდეს როგორც *ცხოველი vs. არაცხოველი*.

ალექსეევის მიერ (Алексеев, 1985, 89-95) რეკონსტრუირებული სიმ-რავლე სქესის მარკერებისა პროტო-ლეზგიურში მოიცავს როგორც სუსტ, ისე ძლიერ ნიშნებს; ამ სისტემის სახეცვლილი ვარიანტი წარმოდგენილია (23)-ში.

(23)	ძლიერი	სუსტი
I	*r	*w
II	*r	*r
III	*b	*v
IV	*d ²	*w

ალექსეევის აზრით, სუსტი ნიშნები პროტო-ლეზგიურის ინოვაციაა, თუმცა სხვა ენათმეცნიერები არ ცნობენ განსხვავებას ძლიერ და სუსტ ნიშნებს შორის. უულცე აღადგენს (იბეჭდება) მხოლოდითი რიცხვისათვის ნიშანთა ერთ სიმრავლეს, ხოლო მეორე სიმრავლეს – მრავლობითი რიცხვისათვის.

(24)	მხოლოდითი	მრავლობითი
I	*w	*b
II	*r/y	*b

¹ ალექსეევის *p: მე შევცვალე *b-თი და *t: – *d-თი, რამდენადაც ყველა იმ ენაში, რომელშიც ეს კატეგორია დღესაც რელევანტურია, გვაქვს b და d, მაგრამ III სქესში არსად არა გვაქვს p:, p ან p'; ასევე, არც IV სქესის ფორმებში დასტურდება t, t: ან t'. ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებშიც, რომლებიც ლეზგიურ ჯგუფს არ განეკუთვნება, სქესის ნიშნებია b და d, და არა – p და t.

III *ხ *d
 IV *d *d (Schulze, 1992)

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ პროტო-ლეზგ.-ში, რომლისგანაც უდიური განვითარდა, არსებობდა სქესის კატეგორია. მთელ რიგ უდიურ ზმნებში შემორჩენილია აგრეთვე განსაკუთრებული გაქვავებული ნიშნები III სქესისა (ჯეირანიშვილი, 1956). საზოგადოდ, პროტო-ლეზგ.-სა და პროტო-ჩრდ.აღმ.-კავკ.-ში სქესის ნიშნები არ გვხვდება სახელებთან, თუმცა გაქვავებული ნიშანი სქესისა შემორჩენილია ზოგიერთ არსებით სახელში; მათ შორისაა უდიური *vič'i* „ძმა“, რომელშიც შემორჩენილია I სქესის ნიშანი *w/v (შდრ. *xun-č'i* „და“).

(25)-ში ნაჩვენებია შეთანხმება სქესში არჩიულში, სადაც 'II' აღნიშნავს II სქესს მხოლოდობითში, ხოლო 'rd' არის რიცხვის დაბოლოება.¹ (26)-ში ნაჩვენებია სქესში შეთანხმება რუთულურში.²

(25) *ya-r zon L'annu-r d-is q'°le-r-u dol:zu-rdošdur*
 ეს-H მე. აბს. მოყვარულ-II II-ჩემი ორი-II-რდ. უფროსი-II დები(II)
 „ჩემი მოყვარული ჩემი ორი უფროსი და“ (Kibrik, 1994:342).

(26) *ha riš hixdi r-iʒi* (Alekseev, 1994)
 ეს გოგონა(II) კარგი II-არის
 „ეს გოგონა კარგია“.

უდიურში დაიკარგა შეთანხმება სქესის მიხედვით ზმნაში, ასევე დაიკარგა შეთანხმება სქესის მიხედვით ზედსართავ სახელში, რის გამოც საერთოდ დაიკარგა სქესის გრამატიკული კატეგორია (ჯეირანიშვილი, 1971; ფანჩიძე, 1974; Schulze, 1982; Harris, 2002).

რომ მიუბრუნდეთ ბრუნების კლასებს, ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში დღეს ბრუნების შემდეგი ძირითადი კლასები გამოიყოფა:

ცხრილი 1. ჩრდ.აღმ.-კავკ. სქემებში დადასტურებული პარადიგმული სტრუქტურები

	სქემა A	სქემა B	სქემა C	სქემა D	სქემა E	სქემა F
აბსოლ.	ფუძე	ფუძე	ფუძე	ფუძე	ფუძე	ფუძე
მოთხ.	ფუძე-X	ფუძე-W-X	ფუძე-W	ფუძე-W-X	ფუძე	ფუძე-X
ნათ.	ფუძე-Y	ფუძე-W-Y	ფუძე-W-Y	ფუძე-W	ფუძე-Y	ფუძე-X
მიც.	ფუძე-Z	ფუძე-W-Z	ფუძე-W-Z	ფუძე-W-Z	ფუძე-Z	ფუძე-Z

აღნიშნულ ექვს სქემას შორის სქემები B, C და D არის მაგალითები ე.წ. „ორმაგი“ ბრუნებისა, რამდენადაც ერთი ფუძე გამოიყენება აბსოლუტივისათვის და განსხვავებული ფუძე – ყველა დანარჩენი ბრუნვისათვის. ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში ძალიან დიდი მრავალფეროვნებაა ლოკატიური ბრუნვის ფორმებისა (არაა წარმოდგენილი ცხრილ 1-ში) და ეს ფორმებიც განსხვავებულ „ირიბ“ ფუძეს ემყარება. ჩრდ.აღმ.-კავკ. ენათა

¹[L] აქ აღნიშნავს არაგლოტალიზებულ ლატერალურ აფრიკატს (Kibrik 1994:300-1).

² [x] აქ აღნიშნავს ყრუ დორსო-უვეულარულ (არამომრგვალებულ) სპირანტს (ფრიკატივს).

ოჯახის ნებისმიერი წევრისთვის ორმაგი ბრუნების ერთი სქემა მაინც იქნება დამახასიათებელი (Harris, 2003). სქემა C-ში მოთხრობითი ბრუნვის ფორმა არის ფუძე ყველა დანარჩენი ბრუნვისათვის, მაშინ როცა D-ში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ასრულებს ამ როლს. სქემა B-ში ყველა ირიბ ბრუნვაში (ე.ი. ყველა ბრუნვაში გარდა აბსოლუტივისა) გვაქვს ირიბი ბრუნვის ფუძის მაწარმოებელ ფორმანტზე დართული დამატებითი სუფიქსი. A, E და F სქემებისათვის არაა დამახასიათებელი ირიბი ფუძე. ყოველ ჩრდ.აღმ.-კავკ. ენაში დასტურდება სულ ცოტა ორი ამ სქემათაგან, თუმცა გამონაკლისია ლეზგიურ ენათა ოჯახიდან სამი წევრი. ამ სამ ენაშიც კი ბრუნების კლასები განსხვავებულია¹.

(27)-ში მოცემულია სახელთა ბრუნების სხვადასხვა ტიპები თაბასარანულში (დიუბეკური დიალექტი, მაგომეტოვის მონაცემების მიხედვით (იხ. Магомедов, 1965, 97-98, 104, 112-113).

(27)	„ლურსმანი“	„მიწა“	„ფაშატი“	„სახე“	„გროვა“
აბსოლ.	წ:aw	rug	xvar	maš	tepe
მოთხ.	წ:aw-di	rug-zi	xvar-u	maš-nu	tepe-j
ნათ.	წ:aw-di-n	rug-zi-n	xvar-a-n	maš-na-n	tepe-n
მიც.	წ:aw-di-s	rug-zi-z	xvar-a-z	maš-na-z	tepe-s

ინდოევროპულ ენებში განსხვავება ბრუნების კლასებს შორის ეფუძნება განსხვავებას რიცხვისა და ბრუნვის სუფიქსებში. ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში ეს ნაკლებად წარმოადგენს ბრუნებაში განსხვავების საფუძველს; ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში ბრუნების ერთი კლასი მეორისაგან მცირედ განსხვავდება ბრუნვის სუფიქსებით და ზოგჯერ – რიცხვის სუფიქსებითაც. პარადიგმულ სტრუქტურებსა თუ სქემებში განსხვავება, რომელიც მოცემულია ცხრილ 1-ში, ბრუნების კლასებს შორის განსხვავების განმსაზღვრელი ერთ-ერთი, ასევე, შეიძლება, ძირითადი მახასიათებელი იყოს ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებისათვის. ბრუნების კლასებს შორის განსხვავება ზოგჯერ ეფუძნება განსხვავებას ირიბი ფუძის ფორმანტებს შორის. მაგომეტოვი აღნიშნავს, რომ თაბასარანულში დასტურდება ირიბი ფუძის მაწარმოებელი შემდეგი ფორმანტები: *-i, -di, -ri, -li, -ni, -u, -ru, -nu, -ji* (Магомедов, 1965, 99). ამგვარად, ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში ბრუნების კლასები შეიძლება

¹ ლეზგიურში ბრუნების კლასებს შორის სხვაობა ძირითადად უკავშირდება განსხვავებას ირიბი ფუძის მაწარმოებელ ფორმანტებში და, ასევე, მრავლობითი რიცხვის ნიშნებში (Haspelmath, 1993, 71-80). ალულურში ბრუნების განსხვავებულ კლასებში წარმოდგენილია ირიბი ფუძის მაწარმოებელი სხვადასხვა ფორმანტი, რომელთა შორისაა *-di, -ji (-j), -ni, -na, -la, -ra, -i, -u* და *-a* (Магомедов, 1970, 72). ხინალულურში მხოლოდით რიცხვში ბრუნების კლასები არ გამოიყოფა; მრავლობითი რიცხვის ნიშანი დამოკიდებულია ფუძის სემანტიკასა და ფონოლოგიურ სტრუქტურაზე, მაგრამ არა იმგვარად, რომ მისი ზუსტი განსაზღვრა მოხერხდეს ჩვეულებრივი ფონოლოგიური ოპერაციების მეშვეობით (Kibrik, 1994, 374-375; იხ. აგრეთვე Кибрик и др. 1972, 50). ამდენად, ხინალულურში, მრავლობითი რიცხვის ფორმათა მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ჯერ კიდევ არსებობს ბრუნების კლასები.

განსხვავდებოდნენ: (i) პარადიგმული სტრუქტურის მიხედვით, როგორც ცხრილ 1-შია, (ii) ირიბი ფუძის ფორმანტის მიხედვით, (iii) რიცხვის ფორმანტის ან (iv) ბრუნვის ფორმანტის მიხედვით.

ზოგიერთ ლეზგიურ ენაში არსებობს გარკვეული კორელაცია ბრუნების კლასებსა და სქესს შორის. მაგალითად, წახურულში I და II სქესის არსებით სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებაა *-e*, მაშინ როცა III და IV სქესის არსებით სახელებთან მოთხრობითი *-n* ან *-Vn* დაბოლოებით ხასიათდება (Schulze, 1977, 30). არჩიულში სხვადასხვა სქესს ირიბი ფუძის მაწარმოებელი ნიშნები განსხვავებული აქვს (Микаилов, 1967: 44-47). ზოგიერთ ჩრდ.აღმ.-კავკ. ენაში სქესის ნიშანი ნაწილობრივ ბრუნების კუთვნილება ხდება. მაგალითად, განვიხილოთ არსებითი სახელი 'ძალი' კრიწულში:

(28)	აბსოლ.	<i>xwar</i>	„ძალი“
	მოთხ.	<i>xwar-ə-r</i>	
	ნათ.	<i>xwar-ə-j</i>	
	მიც.	<i>xwar-ə-s</i>	(თოფურია 1960, 442)

<j> აქ შეესაბამება მჟღერ ალვეოპალატალურ აფრიკატს.) მაშინ როცა *xwar-ə-j* არის ნათესაობითის ფორმა ('ძალის'), სხვა არსებით სახელთან, რომლის კუთვნილება გამოიხატება, გვექნება *xwar-ə-d*, სადაც *-j* და *-d* სქესის ნიშნებია (თოფურია, 1960, 442). ამგვარად, შესაძლებელია დავუშვათ არსებობა გარკვეული კორელაციისა სქესსა და ბრუნებას შორის პროტო-ლეზგ.-ში, თუმცა აბსოლუტური განსხვავებულობა მონათესავე ენებში უფრო ამგვარი კორელაციების არარსებობაზე მიუთითებს.

შესაბამის ლიტერატურაში მოცემული აღწერების მიხედვით, ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში დასტურდება ორი თუ სამი სქემა ცხრილი 1-დან, თუმცა უდიურში ცხრილი 2-ის ხუთივე სქემა რეალიზებულია. აქ ირიბი ფუძის საწარმოებლად გამოიყენება ოთხი ფორმანტი: *-en* (რედუცირებული ვარიანტი *-n*), *-in*, *-e* და *-j*, რომელთაგან ბოლო სამი შეზღუდული დისტრიბუციით ხასიათდება. წარმოდგენილ მონაცემებში არ აისახა განსხვავება რიცხვის მარკერებში; მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად არსებით სახელებში შეიძლება გამოყენებული იქნას *-ux* (*-uŬ*), როცა რომელიმე სხვა სუფიქსი მოსდევს), *-ruX* (*-ruŬ*), *-rxox* (*-rx*), ან *-mux* (*-muŬ*). მცირე ვარიაციული სხვაობაა ნათესაობითისა და მიცემითის ნიშნებში. ნათესაობითის საწარმოებლად გამოიყენება *-i*, *-j*, *-aj*, *-ej*, *-in*, *-un*. მიცემითში შეიძლება გვექონდეს *-ax*, *-ex*, *-ix*, *-ux*. (ეს ნიშნები შეიძლება გვექონდეს *x*-ის გარეშეც და ეს არ უკავშირდება განსხვავებას ბრუნებაში.) ამგვარად, ბრუნების კლასები უდიურში გვიჩვენებენ განსხვავებას ყველა იმ ოთხი პარამეტრის მიხედვით, რომლებიც განაპირობებენ სხვადასხვაობას ბრუნებაში ჩრდ.აღმ.-კავკ. ენებში. დამატებითი ვარიანტები წარმოდგენილია A დანართში.

მაშინ როცა პროტო-ლეზგიურში არის როგორც სქესის კატეგორია, ისე ბრუნების კლასები, უდიურში ამათგან პირველი დაკარგულია, ხოლო მეორე – შენარჩუნებული. აღნიშნული ფაქტი დიაქრონიული დადასტურებაა

იმისა, რომ ენაში სქესის კატეგორია და ბრუნების კლასები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იცვლება.

ცხრილი 2. საზოგადო არსებითი სახელის ბრუნება (მხოლოდითი რიცხვი) უდიურში (ჯეირანიშვილისა და სიხარულიძის მონაცემების მიხედვით – ჯეირანიშვილი, 1971, 53-62; სიხარულიძე, 1987).

	ბრუნება A	ბრუნება B	ბრუნება C	ბრუნება D	ბრუნება E
სახ. (აბსოლ.)	„ქთამი“ šumak'	„დანა“ me	„ენა“ nuz	„ფეტვი“ t'ajna	„ამბავი“ pul
მოთხ. ნათ.	šumak'-en	me-n-en	nuz-en	t'ajn-in-en	p-in
მიც. მიმართ.	šumak'-un	me-n-aj	nuz-n-aj	t'ajn-in	p-in
ზედ.	šumak'-ax	me-n-ax	nuz-n-ux	t'ajn-in-ax	p-ex
	šumak'-ač'	me-n- ač'	nuz-n-uč'	t'ajn-in- ač'	p-eč'
	šumak'-al	me-n-al	nuz-n-al	t'ajn-in-al	p-el

2.3. სვანური: ბრუნების კლასების გაჩენა სქესის კატეგორიის გარეშე

საერთო-ქართველურში არ განიხილა არც ბრუნების კლასები (Mač'avariani, 1970; 1985; Schmidt, 1976; Harris, 1985, 65-92) და არც სქესი. სქესის კატეგორია არა გვაქვს არც ერთ ქართველურ ენაში და არ არსებობს რაიმე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს კატეგორია ოდესმე არსებობდა ქართველურ ენებში. არც ერთ თანამედროვე ქართველურ ენაში არ გამოიყოფა ბრუნების კლასები, გარდა სვანურისა, რომლისთვისაც აღნიშნული ფაქტი მეორეული უნდა იყოს (შარაძენიძე, 1955; მაჭავარიანი, 1960; ქალღანი, 1974; Harris, 1985, 69-72, 78-79). ქვემოთ, მომდევნო ორ პარაგრაფში, ნაჩვენებია, რომ ქართველურში არ არსებობს არც სქესის კატეგორია (§2.3.1) და არც ბრუნების კლასები (§2.3.2), ხოლო §2.3.3-ში აღწერილია ბრუნების ჩამოყალიბების გზა სვანურში.

2.3.1. შეთანხმება საერთო-ქართველურში

რამდენადაც სქესის კატეგორია შეიძლება ამოვიცნოთ მხოლოდ იმის მიხედვით, შეითანხმებს თუ არა არსებითი სახელი გარკვეულ ელემენტებს, საჭიროა გადავხედოთ შეთანხმებას ქართველურ ენებში; (29)-ში მოცემულია შეთანხმების მაგალითი ძველი ქართულიდან და დანარჩენ ქართველურ ენებშიც შეთანხმების დაახლოებით ამგვარი ან ოდნავ შესუსტებული სახესხვაობა დასტურდება.

(29)და მოვიდ-ეს მონა-ნი იგი მამასახლის-ისა-ნი (მათე 13:27)
 -3მრ -მრ.სახ. სახ.მხ. -ნა() -მრ.სახ

აქ ზმნა უთანხმდება პირსა და რიცხვში ქვემდებარეს; იგი, რომელიც არტიკლის ფუნქციას ასრულებს, ამ მაგალითში შეთანხმებულია ბრუნვაში, მაგრამ არა რიცხვში, მეთაურ სიტყვასთან *მონანი*; ხოლო სახელი მისი, ვისი კუთვნილებაც გამოიხატება, *მამასახლისისანი*, უთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში (-ნი 'მრ.სახ') თავის მეთაურ სიტყვას, *მონანი*. საზოგადოდ, მსაზღვრელები შეთანხმებულია მეთაურ სიტყვასთან ბრუნვასა და რიცხვში,

ხოლო ზმნა უთანხმდება ქვემდებარეს, პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტსაც პირის, რიცხვისა და გრამატიკული როლის მიხედვით, როგორც ეს ნაჩვენებია იყო §1-ში. ქართულში, ისევე როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში, არ არსებობს სქესის გრამატიკული კატეგორია.

2.3.2. ბრუნება საერთო-ქართველურში

ძველ ქართულში არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში იბრუნებოდა (30)-ში მოცემული ნიმუშის მიხედვით (ყველა მაგალითი არის ივ. იმნაიშვილის შრომიდან – იმნაიშვილი, 1957, 27, 42, 86, 87, 116, 117).

(30) წრფ.	ბეველი ქართული	ქმარ	ძმა	ბე	წყარო	რუ
სახ.	ბუღ-ი	ქმარ-ი	ძმა-ი	ბე-ი (ძმ)	წყარო-ი	რუ-ი
მოთხ.	ბუღ-მან	ქმარ-მან	ძმა-მან	ბე-მან	წყარო-მან	რუ-მან
მიც.	ბუღ-სა	ქმარ-სა	ძმა-სა	ბე-სა	წყარო-სა	რუ-სა
ნათ.	ბუღ-ისა	ქმარ-ისა	ძმ-ისა	ბ-ისა	წყარო-ისა	რუ-ისა
მოქმ.	ბუღ-ითა	ქმარ-ითა	ძმ-ითა	ბ-ითა	წყარო-ითა	რუ-ითა
ვით.	ბუღ-ად	ქმარ-ად	ძმ-ად	ბე-დ	წყარო-დ	რუ-დ

(30)-ის მაგალითებში ზუსტადაა ასახული საზოგადო სახელთა ბრუნებაში არსებული განსხვავებანი ძველ ქართულში; სხვაობა მცირეა. მეორე სახელი, *ქმარ*, იკუმშება (*ქმარ/ქმრ* მონაცვლეობა) და ამგვარ არსებით სახელებთან ლექსიკონში მითითებული უნდა იყოს, რომ ის კუმშვადია. ყველა დანარჩენი განსხვავება მთლიანად ფონოლოგიურად შეპირობებულია: სახე-ლობით ბრუნვაში -ი არამარცვლოვანი ხდება ხმოვნის შემდეგ; ნათესაობი-თისა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებში წარმოდგენილი ი არამარცვლოვანი ხდება უკანა რიგის მორგავალბული ხმოვნების მომდევნოდ და ა.შ. მრავლობით რიცხვში ბრუნება და კრებითი სახელების ბრუნება, რომელთა ნიმუშები აქ არა გვაქვს მოცემული, ფორმის თვალსაზრისით იდენტურია. აღნიშნული სხვაობანი, რომლებიც გარკვეულწილად შეპირობებულია, არ ქმნის განსხვავებულ ბრუნებას და, ამდენად, ძველ ქართულში ბრუნების კლასები არ გამოიყოფა.

ლაზური ბრუნების ნიმუში მოცემულია (31)-ში (მონობილია ჩიქობავას მაგალითები – ჩიქობავა, 1936, 44-48; იხ. აგრეთვე Kutscher et al. 1995). (31)-ის პარადიგმებში გამოტოვებულია ორი ახალი ბრუნვა, რაც ჩვენს მსჯელობას, ვფიქრობთ, არაფერს შემატებდა. ვარიანტული სახესხვაობანი ლაზურ ბრუნებაში არა გვაქვს, არ იცვლება არც ფუძე და არც აფიქსი. ანალოგიური ვითარებაა მის ახლო მონათესავე მეგრულშიც.

(31) ლაზური	„კაცი“	„ფრჩხილი“	„ფეხი“	„სკამი“	„კატა“
სახ.	კოჩი	ბუცხა	კუჩხე	ორძო	კატუ
მოთხ.	კოჩი-ქ	ბუცხა-ქ	კუჩხე-ქ	ორძო-ქ	კატუ-ქ
მიც.	კოჩი-ს	ბუცხა-ს	კუჩხე-ს	ორძო-ს	კატუ-ს
ნათ.	კოჩი-ში	ბუცხა-ში	კუჩხე-ში	ორძო-ში	კატუ-ში
მოქმ.	კოჩი-თე	ბუცხა-თე	კუჩხე-თე	ორძო-თე	კატუ-თე

ბრუნება საერთო-ქართველურში უნდა ყოფილიყო ძველი ქართული ბრუნების მსგავსი და მასში არ გამოიყოფოდა ბრუნების კლასები (Harris 1991: 23-28). (32)-ში მოცემულია საზოგადო სახელთა ბრუნების რეკონსტრუქციის სამი ვარიანტი და არც ერთი მათგანი არ შეიცავს ბრუნების კლასებს.

(32) სახელის ბრუნება საერთო-ქართველურში¹

სახ.	*∅	*-ი	*-ი/-ი, ∅
მოთხ.	*-დ/*-ნ	*-ად, *-დ, *-ნ	*-ად/-დ, *-ნ(ა)
მიც.	*-ს	*-ს	*-ს
ნათ.	*-ის ₁	*-ეს ₁ , *-ის ₁ (*ს ₁)	*-ეს ₁ /-ის ₁
მოქმ.	*-(ი)ს ₁ თ		
ვით.	*-ლ		

(Harris, 1985, 90) (Mac'avariani, 1970) (მაჭავარიანი, 1985)

მაჭავარიანის არგუმენტების საფუძველზე, დარწმუნებული ვარ, რომ საერთო-ქართველურს მხოლოდ ოთხი ბრუნვა ჰქონდა.

2.3.3. სვანური ინოვაციები

შარაძენიძე (შარაძენიძე, 1955) გამოყოფს ბრუნების ხუთ ტიპს; მათგან რამდენადმე განსხვავებულია (33)-ში მოცემული მხოლოდითი რიცხვის ფორმები, რომლებიც მაჭავარიანის მონაცემებს ეყრდნობა (მაჭავარიანი 1985).²

	I ბრუნება	II ბრუნება	III ბრუნება	IV ბრუნება	V ბრუნება
	„თავი“	„ცხენი“	„ეს“	„კაცი“	„რვა“
სახ.	თხ ^ჲ იმ	ჩაჟ	ალა	მარე	არა
მოთხ.	თხ ^ჲ იმ-დ	ჩაჟ-ჲ-ემ	ამნემ	მარად/მარემ	არემ/არამდ/ არამნემ
მიც.	თხ ^ჲ იმ-ს	ჩაჟ-ჲ	ამის/ამას/ალას	მარა	არამ
ნათ.	თხ ^ჲ იმ-იშ	ჩაჟ-ჲ-(ე)მ-იშ	ამიშ/ამშა	მარემ-იშ	არემიშ
მოქმ.	თხ ^ჲ იმ-შჲ	ჩაჟ-ჲ-შ	ამნოშ	მაროშ	არამშჲ
ვით.	თხ ^ჲ იმ-დ	ჩაჟ-ჲ-დ	ამნარ(დ)	მარად	არამდ

I ბრუნება მომდინარეობს უშუალოდ საერთო-ქართველურის არსებითი სახელის ბრუნებიდან, ხოლო III ბრუნება – საერთო-ქართველურის

¹ ბგერა [*ს₁] გამყრელიძისა და მაჭავარიანის მიერ არის რეკონსტრუირებული (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965); ამ ბგერის რეფლექსებია [ს] ქართულში, ხოლო დანარჩენ ენებში – [შ].

² შარაძენიძე (შარაძენიძე, 1955) გამოყოფს ქვეტიპებსაც; ბრუნების ტიპებს აგრეთვე განავრცობენ გუჯეჯიანი და პალმაიტისი (Gudjedjani, Palmaitis 1985), თუმცა ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია შარაძენიძის მიერ გამოყოფილი ძირითადი ტიპები.

ნაცვალსახელის ბრუნებიდან. სვანურის III ბრუნებას ენათესავება ნაცვალსახელის ბრუნება, რომლის ნიმუშები წარმოდგენილია (34)-ში.

(34)	ძველი ქართული		ლაზური
	ახლოს	შორს	ახლოს
სახ.	ესე	იგი	ადა
მოთხ.	ამან	მან	ამუქ
მიც.	ამას	მას	ამუს
ნათ.	ამის	მისა	ამუში

რადგანაც შარაძენიძის მიერ გამოყოფილი III ბრუნება შემოიფარგლება მხოლოდ ნაცვალსახელებით, ზოგიერთი მკვლევარი მას არ განიხილავს ბრუნების კლასად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ არის არსებითი სახელის ბრუნების კლასი და, ამგვარად, სვანურში გვრჩება ბრუნების ოთხი კლასი, რომელთაგან მხოლოდ ერთი მომდინარეობს უშუალოდ საერთო-ქართველური ბრუნებიდან.

ბრუნების ტიპი, რომელიც ყველაზე უკეთ II ბრუნებაში ჩანს (მაგრამ დამახასიათებელია IV და V ბრუნებისთვისაც) არის ე.წ. „ორფუძიანი“ ტიპი და იგი ასევე ახასიათებს ჩრდილოკავკასიურ ენებს. ისტორიული თვალსაზრისით, დასტურდება გარკვეული კონტაქტები სვანურსა და ენათა აღნიშნული ოჯახის სხვადსხვა წარმომადგენელს შორის.

მაჭავარიანი (მაჭავარიანი, 1960) იყო პირველი, ვინც განსაზღვრა სვანური ორფუძიანი ბრუნების გენეზისი. მიუხედავად იმისა, რომ სვანურში შეინიშნება ზეგავლენა კონტაქტისა ჩრდილოაღმოსავლურ კავკასიურ ენებთან, რომელთათვის დამახასიათებელია ბრუნების ეს უჩვეულო ტიპი (იგი ასევე გვხვდება ბევრ ურალურ ენაში), სვანურმა ბრუნების ტიპები განივითარა საკუთარი შინაგანი დიაქრონიული პროცესების შედეგად. პრე-სვანურში, ალბათ ისევე, როგორც საერთო-ქართველურში, განსაზღვრული არტიკლი მოსდევდა არსებით სახელს. აღნიშნული რიგი დასტურდება ძველ ქართულში, სადაც განსაზღვრული არტიკლი საკმაოდ ხშირია. სვანურში განსაზღვრული არტიკლი მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან „ეს“, იხ. III ბრუნება (33)-ში. ბევრი არამონათესავე ენის მონაცემების მიხედვით ცნობილია, რომ უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრული არტიკლი სწორედ ამგვარი წარმოშობისაა, რაც დეტალურად აქვს აღწერილი გრინბერგს (Greenberg, 1978, აგრეთვე – სხვაგანაც); იგივე მონაცემები ადასტურებენ, რომ არტიკლი, თავის მხრივ, ხშირად ახლიდან მოიაზრება როგორც ბრუნვის ან სქესის (არსებით სახელთა კლასის) ნიშანი. აღნიშნულის საფუძველზე ივარაუდება ბრუნვის ფორმათა გენეზისი, რომელიც მოცემულია (35)-ში (შდრ. (33) ზემოთ).

(35)	„კაცი (განსაზ.)“			
სახ.	მარე	< *მარე	< *მარა ი...	< *მარა ი...
მოთხ.	მარემ	< *მარამან	< *მარა ამან	< *მარა-ნ ამან
მიც.	მარამ	< *მარამას	< *მარა ამას	< *მარა-ს ამას
ნათ.	მარემ-იშ	< *მარამიშ	< *მარა ამიშ	< *მარა-იშ ამიშ

(35)-ში მოხმობილი ფორმები ძირითადად ბალსზემოურ დიალექტს ეკუთვნის, მხოლოდ მიცემითის ფორმაა ლენტეხური დიალექტის კუთვნილება (შდრ. ბალსზემოური მარა). მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმაში გვექონოდა -ი, თუმცა აღნიშნულ ფორმას დაბეჯითებით ვერ აღვადგენთ. სახელობითსა და ნათესაობითში ო-მ განაპირობა უმლაუტი, რის შედეგადაც მივიღეთ ა, რომლისგანაც შემდგომში ჩამოყალიბდა ე. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ პარადიგმის გასწორებამ გამოიწვია ე (ე) მოთხრობითში. მაჭავარიანი (მაჭავარიანი, 1960, 1985) აღნიშნავს, რომ ამას ფორმა უნდა წარმოადგენდეს ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის საერთო-ქართველური ფორმის უშუალო რეფლექსს, ხოლო ალას (იხ. (33)-ში) ფორმის საფუძველს წარმოადგენს სახელობითი, ალა. მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები შედარებით ახალი ჩამოყალიბებული ჩანს, მოთხრობითის შემდეგ (მაჭავარიანი, 1985). „ეს“ ჩვენებითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმათაგან ყველაზე მეტად ალბათ ამრშ უნდა ასახავდეს უშუალოდ საერთო-ქართველურ ფორმას (შდრ. ნათესაობითი ძველ ქართულში (30)-ში). ამგვარად, მაჭავარიანმა გვიჩვენა (მაჭავარიანი, 1960), თუ როგორ ჩამოყალიბდა სვანურში IV ბრუნება, ხოლო ჰარისმა (Harris, 1985, 69-79) ეს პროცესი ცნობილ უნივერსალიებს დაუკავშირა. როგორც ჩანს, ანალოგიურად წარმოიშვა II და V ბრუნება [განსახვავებული თვალსაზრისებისათვის იხ. (პალმაიტი, 1979) და (შარაძენიძე, 1983)].

2.3.4. დასკვნა

ამგვარად, სვანურისათვის ინოვაციას წარმოადგენს ბრუნების კლასების გამოყენება. ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოვლენა განვითარდა სქესისაგან სრულიად დამოუკიდებლად, განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ სქესი და ბრუნების კლასები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მანასიათებლებია.

დამატება: ბრუნების უმთავრესი ქვეტიპები უდიურში (საზოგადო არსებითი სახელი, მხოლოდობითი) (ჯეირანაშვილი, 1971, 53-62, სისარულიძე, 1987)

ცხრილი 3. A ბრუნების ქვეტიპები, მხოლოდობითი

	A1	A2	A3	A4	A5	A6	A7	A8
	„დეალი“	„სოფელი“	„მინდორი“	„ბიჭი“	„ძროხა“	„დედა“	„ძმა“	„ძალი“
სახ.	šumak'	äyz	k'avān	Ūar	čur	nana	viči	xā
მთ.	šumak'-en	äyz-en	k'avān-en	Ūar-n	čur-en	nana-n	viče-	xē-j-n
ნათ.	šumak'-un	äyz-un	k'avān-un	Ūar-i	čur-ej	nana-j)	viče-j	xē-j
მიც.	šumak'-ax	äyz-ix	k'avān-ex	Ūar-x	čur-ax	nana-x)	viče-x	xā
მიძ.	šumak'-č'	äyz-ič'	k'avān-eč'	Ūar-č'	čur-ač'	nana-č'	viče-č'	xā-č'
ზელ.	šumak'-al	äyz-il	k'avān-el	Ūar-al	čur-al	nana-l	viče-l	xā-l

ცხრილი 4. B ბრუნების ქვეტიპები, მხოლოდითი

	ბრუნება B1	ბრუნება B2	ბრუნება B3	ბრუნება B4	ბრუნება B5
სახ. (აბს.)	„ღანა“ me	„ღრუბელი“ haso	„ადგილი“ ga	„სახე“ č:ɔ	„სახელი“ ç'i
მოთ. ნათ.	me-n-en	haso-n-en	ga-n-en ³	č:ɔ-e-n	ç'i-j-en
მიც.	me-n-ej	haso-n-un	ga-n-ej	č:ɔ-e-j	ç'i-j-ej
მიმ.	me-n-ax	haso-n-ax	ga-n-ux	č:ɔ-e-x	ç'i-j-ex
ზედ.	me-n-ač'	haso-n-ač'	ga-n-uč'	č:ɔ-e-č'	ç'i-j-eč'
	me-n-al	haso-n-al	ga-n-ul	č:ɔ-e-l	ç'i-j-al

C ბრუნების ბევრი ფონოლოგიური ვარიანტი არსებობს იმის გამო, რომ ირიბი ფუძის მაწარმოებელი *-l-* ასიმილაციას განიცდის წინამავალ ალვეოლარებთან (r, l, d, t', t ბგერებთან).

სტატიის ორივე ნაწილი (I ნაწილი იხ. „ენათმეცნიერების საკითხები“ 2006, 1-2, გვ. 81-88) თარგმნა ეთერ სოსელიამ.

ლიტერატურა

- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი.
- თოფურია 1960** – გ. თოფურია, ზოგიერთი წინასწარი ცნობა კრიწული ენის მორფოლოგიიდან. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება 12: 437-442.
- იმნაიშვილი 1957** – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი.
- მაჭავარიანი 1960** – გ. მაჭავარიანი, ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 93: 93-104.
- მაჭავარიანი 1985** – გ. მაჭავარიანი, ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება 23: 231-241.
- პალმაიტი 1979** – ლ. პალმაიტი [Palmitis], შენიშვნები სვანური ბრუნების შესახებ. მაცნე 3: 113-124.
- სიხარულიძე 1987** – ტ. სიხარულიძე, არსებითი სახელის ბრუნება უდიურში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.
- ფანჩვიძე 1974** – ვლ. ფანჩვიძე, უღური ენის გრამატიკული ანალიზი. თბილისი.

³ არსებითი სახელი *ga* 'ადგილი' სხვაგვარადაც იბრუნვის, ირიბი ფუძის მაწარმოებელი *-l-* ფომანტით, ნაცვლად *-n-* მაწარმოებლისა.

- ქალღანი 1974** – მ. ქალღანი, სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები 4:148-164.
- შარაძენიძე 1955** – თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში. იკე 7:125-133.
- შარაძენიძე 1983** – Шарадзенидзе Т., Некоторые основные вопросы склонения сванского языка. წელიწდეული 10: 50-94.
- ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა.
- ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი: აკადემია.
- ჯეირანიშვილი 1956** – ევგ. ჯეირანიშვილი, გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშნები უღურ ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება 8: 341-362.
- Алексеев 1985** – Алексеев М. Е., Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков: Морфология, синтаксис. Москва.
- Кибрик и др. 1972** – Кибрик А. Е., Кодзасов С.Б., Оловянная И.П., Фрагменты грамматики хиналугского языка. Москва.
- Магомедов 1965** – Магомедов А. А., Табасаранский язык. Тбилиси.
- Магомедов 1970** – Магомедов А. А., Агульский язык. Тбилиси.
- Микаилов 1967** – Микаилов К. Ш., Арчинский язык. Махачкала: Институт истории, языка и литературы имени Г. Кадасы.
- Alekseev 1944** – Alekseev M. E., Rutul. In R. Smeets, ed., The Indigenous Languages of the Caucasus, 4: North East Caucasian Languages, Part 2, 213-258. Delmar, NY: Caravan Press.
- Aronoff 1994** – Aronoff Mark, Morphology by Itself: Stems and Inflectional Classes. Cambridge, MA: MIT Press.
- Carstairs-McCarthy 1998** – Carstairs-McCarthy Andrew, Paradigmatic structure: Inflectional paradigms and morphological classes. In A. Spencer and A. M. Zwicky, eds., The Handbook of Morphology, 322-334. Oxford:Blackwell.
- Greenberg 1978** – Greenberg Joseph H., How does a language acquire gender markers? In J.H. Greenberg, C.A. Ferguson, and E.A. Moravcsik, eds., Universals of Human Language, vol 2, 47-82. Stanford: Stanford University Press.
- Gudjedjiani 1985**– Gudjedjiani Chato, Letas Palmaitis, Svan-English Dictionary. Delmar, NY: Caravan Books.
- Harris 1985** – Harris Alice C., Diachronic Syntax: A study in Relational Grammar. Cambridge: Cambridge University Press.
- Harris 1991** – Harris Alice C., Overview on the History of the Kartvelian Languages. In A. C. Harris, ed., The Indeigenous Languages of the Caucasus, 1: The Kartvelian Languages, 7-83. Delmat, NY: Caravan Press.
- Harris 2002** – Harris Alice C., Endoclitics and Origins of Udi Morphosyntax. Oxford: Oxford University Press.

- Harris 2003** – Harris Alice C., Proto-Daghestan declension. Ms., SUNY Brook.
- Haspelmath 1993** – Haspelmath Martin., A Grammar of Lezgian. Berlin: Mouton de Gruyter.
- Kibrik 1994** – Kibrik Aleksandr E., Archi. In R. Smeets, ed., The Indigenous Languages of the Caucasus, vol. 4, the North East Caucasian Languages, Part 2, 297-365. Delmar, NY: Caravan Press.
- Kutcher 1995** – Kutcher Silvia, Johanna Mattissen and Anke Wodarg, Das Muṭafī-lazische (Arbeitspapier Nr. 24, Neue Folge). Köln: Institut für Sprachwissenschaft, Universität zu Köln.
- Mač'avariani 1970** – Mač'avariani Givi, The system of Ancient Kartvelian nominal flection as compared to those of the Mountain Caucasus and Indo-European languages. In L. Deszö and P. Hajdu, eds., Theoretical Problems of Typology and the Northern Eurasian Languages., Amsterdam: B.B. Grüner, 165-169
- Schmidt 1976** – Schmidt Karl Horst, Kasus, Präverb, und Postposition in den Kaukasischen Sprachen. აღმოსავლური ფილოლოგია 4:144-149.
- Schulze 1992** – Schulze Wolfgang, Zur Entwicklungsdynamik morphosyntaktischer Subsysteme. In C. Paris, ed., Caucasologie et mythologie comparée, 335-362.
- Schulze 1997** – Schulze Wolfgang, Tsachur. (Languages of the world/ materials 133). München: Lincom Europa.

Alice C. Harris

History in Support of Synchrony

Summary

In the second part of the article I have shown that in some instances a theoretical claim can be tested diachronically. The claim that gender and declension class are independent of one another (Aronoff 1994) is confirmed by the demonstration that gender but not declension class has been lost historically in Udi, and that declension class but not gender has developed historically in Svan.

ქართული დიალექტოლოგია

ქეთევან მარბიანი-სუბარო

**ზემოსვანურ დიალექტთა კონტაქტების შედეგად წარმოქმნილი
თავისებურებანი ბალსქვემო სვანეთიდან გადასახლებულ
კოლონიათა მიტყველბაში
I-ზმნის უღღღღღ**

ქართულსა და მეგრულ-ჭანურ ენებში წარმოდგენილი შედარებით ერთფეროვანი და მარტივი ვითარების საპირისპიროდ ზმნათა უწყვეტლის (ნამყოუსრულის) წარმოების მხრივ სვანური გამოირჩევა ფორმანტა დიდი მრავალფეროვნებით. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით (შანიძე, 1981; თოფურია, 1967; მაჭავარიანი, 1980; ქალღანი, 1970; ონიანი, 1998; ჭუმბურიძე, 1986, ოსიძე, 1976; ჩანტლაძე, 1998), სვანური ენის ყოველ დიალექტს (ზოგ კილოკავსაც კი!) ერთი შეხედვით თითქოს საკუთარი სისტემა აქვს გამომუშავებული. ენათმეცნიერთა უმრავლესობის თვალსაზრისით, სვანურ ენაში სწორედ უწყვეტლის წარმოების სირთულეა ამოსავალი, ხოლო მორფმათა გამარტივება უნიფიკაციისა თუ ანალოგიის შედეგი ჩანს.

უწყვეტლის, ისევე, როგორც ზოგი სხვა მწკრივის ნიშნებს, თანამედროვე სვანურში სხვადასხვა სახე აქვს ორ შემთხვევაში:

- 1) მხოლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებში;
- 2) მხოლობითი რიცხვის III პირისა და მრავლობითი რიცხვის ოთხსავე ფორმაში (ინკლუზივში, ექსკლუზივში, II და III პირში); პირველ მათგანს აკაკი შანიძემ „ორთა ფორმა“ უწოდა, ხოლო მეორეს – „ხუთთა ფორმა“ (შანიძე 1981, 355).

ქართულსა და ზანურში უწყვეტელს **-დ ან -ოდ** სუფიქსი აწარმოებს. სვანურშიც (ისევე, როგორც ქართულში) იგი აწმყოსაგან იწარმოება.

ბალსქვემოურ დიალექტში **-ე** სუფიქსიანი ზმნები უწყვეტლის ორთა ფორმაში მხოლოდ ფუძით არიან წარმოდგენილი (**აბანდ-ე** „კერავს“: **ხუაბანდ** „კკერავდი“, **ხაბანდ** „კერავდი“; **ამარ-ე** „ამზადებს“: **ხუამარ** „კამზადებდი“, **ხამარ** „კამზადებდი“), ხუთთა ფორმაში კი **-ა** სუფიქსი აქვთ (**აბანდ-ა** „კერავდა“, **ხუაბანდ-ა-დ** „კკერავდით ჩვენ = მე და ის“ Se, **ლაბანდ-ა-დ** „კკერავდით ჩვენ = მე და შენ“ Si, **აბანდ-ა-ხ** „კერავდნენ“). აწმყოს ფუძეში **-ე-ს** მიერ რედუცირებული ან გაუმარცვლოებული ხმოვანი ორთა ფორმაში აღდგება, ხუთთა ფორმაში – არა (**აკრ-ე** „აღებს“: **ხუაკარ** „ვაღებდი“, **ხაკარ** „აღებდი“, **აკრ-ა** „აღებდა“, **ხუაკრ-ა-დ** „ვაღებდით ჩვენ = მე და ის“ Se, **ლაკრ-ა-დ** „ვაღებდით ჩვენ = მე და შენ“ Si, **აკრ-ა-ხ** „აღებდნენ“; **აბურ-ე** „აბნელებს“: **ხუაბურ** „ვაბნელებდი“, **ხაბურ** „აბნელებდი“, **აბურ-ა** „აბნელებდა“, **ხუაბურ-ა-დ** „ვაბნელებდით ჩვენ = მე და ის“ Se, **ლაბურ-ა-დ** „ვაბნელებდით ჩვენ = მე და შენ“ Si, **აბურ-ა-ხ** „აბნელებდნენ“).

აწმყოში **-ი** სუფიქსიანი ზმნები უწყვეტლის ორთა ფორმაში **-ი-ს** იკვეცენ (**აჩრანჷ-ი** „აჩერებს“, **ხუაჩრანჷ** „ვაჩერებდი“, **ხაჩრანჷ** „აჩერებდი“),

ხუთთა ფორმაში კი -ი-საც ინახავენ და თან -ჟ-ს დაირთავენ (აჩრანჟ-ი-ჟ „აჩრებდა“, ხაჩრანჟ-ი-ჟ-ღ „აჩრებდით ჩვენ = მე და ის“ Se, ლაჩრანჟ-ი-ჟ-ღ „აჩრებდით ჩვენ = მე და შენ“ Si, აჩრანჟ-ი-ჟ-ხ „აჩრებდნენ“). თუ ფუძე ერთმარცვლიანია, მაშინ -ი-ს დაკარგვით ნარელექციული ხმოვანი ორთა ფორმაში აღდგება, ოღონდ უძველესად (აბრ-ი „ბარავს“: ხაბარ „გბარავდი“, ხაბარ „ბარავდი“).

აწმყოში ნულსუფიქსიან ზმნათა უმეტესობა უწყვეტლის ფორმას აწმყოსაგან ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით განასხვავებს (იბრალ „ბანაობს“: ხაბრალ „გბანაობდი“, ხიბრალ „ბანაობდი“, იბრალ „ბანაობდა“... ხაბემ „აბამს“: ხაბამ „გბამდი“, ხაბამ „აბამდი“, ხაბამ „აბამდა“...).

ზოგიერთ უსუფიქსო ზმნაში უწყვეტლის ფორმა ფუძისეული ხმოვნის აბლაუტთან ერთად -ჟ სუფიქსითაც არის გართულებული (აღისგ „ღებს“: ხაღასგ-ჟ „ვღებდი“, ხაღასგ-ჟ „ღებდი“, აღასგ-ჟ „ღებდა“...). აუსლაუტში წარმოდგენილი -ჟ მოცემულ შემთხვევაში ვარლამ თოფურიას ნაანალოგიარ ფორმანტად მიიჩნია (თოფურია 1967, 170), ალექსანდრე ონიანის აზრით კი სწორედ -ჟ სუფიქსია უწყვეტლის მორფემის ძირითადი წარმომადგენელი, ხოლო ფუძისეული ხმოვნის აბლაუტი ქვემორფემა (ონიანი 1998, 170).

უწყვეტელი განსხვავებულად იწარმოება ბეროურ კილოკავში; აქ ხუთთა ფორმა ბალსზემოურს ემთხვევა: -ე სუფიქსიანებში უწყვეტლის ნიშანი ხუთთა ფორმაში არის -ა, ყველა დანარჩენ ზმნაში -ღა (აჭმ-ე „თიბავს“: აჭმ-ა „თიბავდა“, ხაჭმ-ა-ღ „ვთიბავდით ჩვენ = მე და ის“ Se, ლაჭმ-ა-ღ „ვთიბავდით ჩვენ = მე და შენ“ Si, აჭმ-ა-ხ „თიბავდნენ“; აჭმ-ი „წვავს“: აჭმ-ი-ღა „წვავდა“, ხაჭმ-ი-ღა-ღ „ვწვავდით ჩვენ = მე და ის“ Se, ლაჭმ-ი-ღა-ღ „ვწვავდით ჩვენ = მე და შენ“ Si, აჭმ-ი-ღა-ხ „წვავდნენ“...). ორთა ფორმაში თავს იჩენს -ასგჟ (-ე სუფიქსიანებში), -ღასგჟ (ყველა დანარჩენ ზმნაში) მორფემები (აჭმ-ე „თიბავს“: ხაჭმ-ა-ღასგჟ ხაჭმ-ა-ღასგჟ „ვთიბავდი“, ხაჭმ-ასგჟ || ხაჭმ-ასგჟ „თიბავდი“; აჭმ-ი „წვავს“: ხაჭმ-ი-ღასგჟ || ხაჭმ-ი-ღასგჟ „ვწვავდი“, ხაჭმ-ი-ღასგჟ || ხაჭმ-ი-ღასგჟ „წვავდი“). აღნიშნული სუფიქსები მხოლოდ ბეროურ კილოკავში გამოვლინდება, ამასთან, შესაძლებელია მათთან -ასჟ, -ღასჟ, ან -ას, -ღას ვარიანტთა თავისუფალი მონაცვლეობა (ონიანი, 1998, 168).

რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებს სვანურში, აქ ზმნათა ერთ ნაწილში უწყვეტლის ნიშანი ყველა ფორმაში არის -გღ სუფიქსი (ხაბ „აბია“: ხაბ-ა-გღ „ვები“, ხაბ-გღ „ები“, ხაბ-გღ „ება“, ხაბ-გღ-ღ „ვებით ჩვენ = მე და ის“ Se, ლაბ-გღ-ღ „ვებით ჩვენ = მე და შენ“ Si, ხაბ-გღ-ღ „ებით“, ხაბ-გღ-ხ „ებენ“), მეორე ნაწილში კი ორთა ფორმაში -ღ, ხუთთა ფორმაში -გღ (სიპ „ბრუნავს“: სუიპ-ღ „ვბრუნავდი“, სიპ-ღ „ბრუნავდი“, სიპ-გღ „ბრუნავდა“, სუიპ-გღ-ღ „ვბრუნავდით ჩვენ = მე და ის“ Se, ლგსპ-გღ-ღ „ვბრუნავდით ჩვენ = მე და შენ“ Si, სიპ-გღ-ხ „ბრუნავდნენ“). ზოგ გარდაუვალ ზმნაში უწყვეტლის ფორმა აწმყოსაგან განსხვავდება -გნ(-ან, -ონ) ელემენტით, აგრეთვე ფუძისეული ხმოვნის რელუცირებულობით (ხალატ „უყვარს“: ხაალატ-გნ „უყვარდი“, ხალატ-გნ „უყვარდი“, ხალატ-გნ „უყვარდა“, ხაალატ-

გნ-დ „უყვარდით ჩვენ = მე და ის“ Oe, ლალტ-გნ-დ „უყვარდით ჩვენ = მე და შენ“ Oi, ხალტ-გნ-დ „უყვარდით“, ხალტ-გნ „უყვარდა“. რადგან -გნ ელემენტი ზოგ სხვა მწკრივშიც დასტურდება, ალექსანდრე ონიანი მას ფუძის ერთ-ერთი ვარიანტის ელემენტად მიიჩნევს და არა უწყვეტლის ნიშნად (ონიანი, 1998, 171).

იგი მაჭავარიანი სვანურში ნამყო უსრულის რამდენიმე ფორმანტს (-დ, -ნ, -ლ, -ჟ, -ა) გამოყოფს. იგი საკითხს -ა სუფიქსის შესახებ, რომელსაც ეკატერინე ოსიძე ნამყო უსრულის -ჟ ფორმანტის წინ -ა-დ ქცეულ აწმყოსეულ -ე-დ მიიჩნევს, ღიად ტოვებს. მისი აზრით, -დ ღღესაც საერთოა სამივე ქართველური ენისათვის, -ნ, -ლ, -ჟ კი ამ ფუნქციით მხოლოდ სვანურში გამოიყენება (მაჭავარიანი, 1980, 215).

უწყვეტლის წარმოების სიტყვულესთან დაკავშირებით სხვა ენათმეცნიერთაგან განსხვავებული აზრი აქვს ეკატერინე ოსიძეს, რომელიც თვლის, რომ „სვანურში დადასტურებული სიმრავლე ნამყო უსრულის აფიქსებისა არ არის პირველადი; ეს სიტყვულე ისტორიულად აწმყოს ფუძეს ახასიათებს, ხოლო ნამყო უსრული, ასახავდა რა ამ სიტყვულეს (რადგან აწმყოს ფუძეს იყენებდა ამოსავლად), თავად მარტივი, სტანდარტული წარმოებისა იყო ისევე, როგორც ქართულსა და ზანურში“ (ოსიძე, 1976, 176).

როგორია უწყვეტლის წარმოების სურათი კოდორელ სვანთა ღღემდე თითქმის შეუსწავლელ მეტყველებაში?

ირაკვევა, რომ იმ სოფლებში, სადაც ერთდროულად ცხოვრობენ ბალს-ზემო და ბალსქემო სვანეთიდან საუკუნე-ნახევრის წინ გადასახლებულნი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები.

უწყვეტლის მაწარმოებლად ბალსქემოური წარმოშობის კოდორელთა მეტყველებაში გამოვლინდა ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა აფიქსი:

1. -ნს, -ა (ორთა და ხუთთა ფორმაში) -ე სუფიქსიანებში:

ხუიშყდუნ-ნს – „ვიხსენებდი“

ღანსომ ხუიშყდუნანს – „ვერაგვის ვიხსენებდი“.

ხუიღუნ-ნს – „ვიფიცავდი“

ეჯაძრე თხუიმს მი ხუიღუნანს ი მიშგუ თხუიმს ეჯაძარ იღუნახ – „მათ თავს მე ვიფიცავდი და ჩემს თავს ისინი იფიცავდნენ“.

იზგ-ა-ხ – „ცხოვრობდნენ“

ალ სოფელისგა მიშგუ გუწარიშარ იზგახ – „ამ სოფელში ჩემი გვარისანი ცხოვრობდნენ“.

ხუწპირ-ნს – „ვაპირებდი“

ალის ერ ხუწპირანს, ეჯი ღანს ხოხალდა – „ამას რომ ვაპირებდი, ის არავინ იცოდა“.

2. -ღანს, -ღა -ი სუფიქსიანებში:

რუაგდი-ღანს – „ვლაპარაკობდი“

ერქა მომღ რუაგდიღანს ი ათხე ჰანღუ მომღ – „მამინ სხვანაირად ვლაპარაკობდი და ახლა სულ სხვანაირად“.

- ხუარ-ღანს** – „ვიყავი, ვიმყოფებოდი“; **ნად-და** „გვქონდა“
- მან ერჩუ ხუარღანს, ხონა ურთიერთობა ნადდა** – „რაც იქ ვიყავი, კარგი ურთიერთობა გვქონდა“.
- ხუითორ-და-დ** – „ვსწავლობდით“
- გენწი კლასს ხუითორდად** – „გენწივის სკოლაში ვსწავლობდით“.
- ტული-ღანს** – „ვამბობდი“
- ჩილად როქ ტულიღანს, ერე მიშეუ როქ თელღრადაქ ლანსუოლ ალი** – „ყოველთვის ვამბობდი, ჩემი სარძლო იყოსო ნეტავ ეს“.
- 0** სუფიქსიანებში:
- ხეიდ-და** – „ეკიდა (ალი, ცეცხლი)“
- ლეტურეს ევგურ ხეიდდა, ერე ერეჟი ხულუანდ ჰელ, ე...**
- „სანთელს ისე (იმისთანა) ეკიდა, რომ ალი იქ {მი}ქქონდა!..“
- სგაშედ-და-ხ** – „ჩაცვივდნენ“
- სგაშედლან ალან მანგ მანქანათე** – „ჩაცვივდნენ ესენი ყველა მანქანაში“.
- იშიალ-და** – „ომობდა“
- ნოდარ იშიალდა სოხუმს** – „ნოდარი ომობდა სოხუმში“.
- იკად-და-ხ** – „იღებდნენ“
- დემეგ იკადლან, თეუ ქაჩად** – „არსად იღებდნენ, თვე გავიდა“.
3. **-გნ:**
- ხაკვ-გნ** – „მიანდა მიზანშეწონილად, სურდა“.
- მიშეუ ჭანს ქალიყულე ხაკვენ** – „ჩემს ქმარს მოცილება (მუცლის მოშლა) ერჩია“.
- ხამარჯუ-გნ (<ხამარჯუ-გნ)** – „ემარჯვებოდა“
- ამკალიბან დემეგ ხამარჯუ-გნ** – „ამისთანები არ ემარჯვებოდა“.
- ხალტ-გნ** – „უყვარდა“
- შუქრი მაშენე ხალტგნ** – „შუქრი ყველაზე მეტად უყვარდა“.
- ხეშ-გნ** – „ერქვა“
- მიშეუ ბიძის ეუგენ ხეშგნ** – „ჩემს მამამთილს ევგენი ერქვა“.
4. **-ჟ:**
- მიმარჯუ-ჟი-ჟი** – „მეხმარებოდა“
- მიშეუ დი მანარდს მიმარჯუ-ჟი-ჟი** – „დედაჩემი ძალიან მეხმარებოდა“.
- ხუეჟელ-ი-ჟი-დ** – „ვწვდებოდი“
- ჩიგუაშ დეშ ხუეჟელიჟი-დ** – „ყველაფერს ვერ ვწვდებოდი“.
- ხოსყ-ი-ჟი-ხ** – „ეწყობდნენ“
- ხეხუ ი გეზლირ ხოლამდ ხოსყიჟხ უშხუარ** – „ცოლი და შვილები ცუდად ეწყობდნენ ერთმანეთს“.
- ხაჟიდ-ი-ჟი-ხ** – „აძლევდნენ“
- მარანდს დემ ხაჟიდიჟხ** – „იარაღს არ აძლევდნენ“.
- ხატულ-ი-ჟი-ხ** – „ემანდნენ“

ზუიადისტს ხატულიუხ მიშგუ ჭაშს – „ზუიადისტს ეძახდნენ ჩემს ქმარს“.

ბეროურ კილოკავში I და II პირში დამახასიათებელ **-ასგუ, -დასგუ** ფორმანტების შესახებ ვარლამ თოფურია აღნიშნავდა, რომ მათ ნაცვლად ახალი თაობა **-ასუ, -დასუ** ბოლოსართებს აბატონებს (თოფურია, 1967, 94). შევნიშნავთ, რომ წარმოშობით ბეროელ კოდორელთა მეტყველებაში **-ასგუ, -დასგუ** აუსლაუტიანი ფორმები არც ერთხელ არ დადასტურებულა, თუმცა მთელი მასალა ჯერ არ გვაქვს შესწავლილი.

მართალია, ბალსქვემოური კილოსთვის დამახასიათებელი ყველა მაწარმოებელი უწყვეტლისა (**-ასგუ, -დასგუ** ფორმანტების გამოკლებით) ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში დადასტურდა როგორც მოქმედი, მაგრამ ერთგვარად შესამჩნევია განსხვავება მათ განაწილებაში. კერძოდ, ის ფორმები, რომლებიც ბალსქვემოურის უწყვეტელში ან უნიშნოა, ან **-უ** სუფიქსით იწარმოება, კოდორულში (ბალსქვემოელ მემკვიდრეთა მეტყველებაში) **-დას, -და** სუფიქსს იყენებენ. უწყვეტლის ორმოცდაათობმეტ ფორმაში **-უ** სუფიქსი მხოლოდ ჩვიდმეტჯერ დადასტურდა, აქედან ცხრაჯერ 73 წლის ქალბატონის, თამარ გერლიანის – მეტყველებაში, დანარჩენ შემთხვევებში რესპონდენტებმა **-დას, -და** სუფიქსიანი ფორმები არჩიეს. შეიმჩნევა ორივე აფიქსის პარალელური გამოყენებაც; მაგალითად, თამარ გერლიანმა ერთ წინადადებაში ორჯერ თქვა ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა ფორმით:

მიშგუა დი მიმარჯუიდა, მასარდ მიმარჯუიუ – „დედაჩემი მეხმარებოდა, ძალიან მეხმარებოდა“.

თუმცა მისთვისაც უფრო ბუნებრივი **-დას, -და** სუფიქსიანი ფორმები ჩანდა.

კოდორელთა მეტყველებაში **-დას, -და** სუფიქსი დაერთვის:

ა) დიდ ნაწილს იმ ზმნებისას, რომლებიც ბალსქვემოურ დიალექტში უწყვეტელს ოდენ ფუძისეული ზმონის აბლაუტით ან აბლაუტთან ერთად **-უ**-თი აწარმოებენ (ამ ზმნებში **-უ** ბალსქვემოურშიც ანალოგიის შედეგია და არის პარალელურ ფორმებშია):

იკედ „ილებს“ : **იკად-და** „ილებდა“ (შდრ. ბქ. **იკად || იკადუ**).

ითელაღ „ურთიერთობს“ (**ხათილ** „ეკარება, კარობს“) : **ითელაღ-და** „ურთიერთობდა“ (შდრ. ბქ. **ითელაღ**).

იშიაღ „ომობს“ : **იშიაღ-და** „ომობდა“ (შდრ. ბქ. **იშიაღ**).

ბ) დეფექტურ ზმნებს:

მაკუ || მაკურ „მინდა“ : **მეკუაღ-და** „მინდოდა“ (შდრ. ბქ. **მეკუაღ || მეკუაღ**).

მარ „მაქვს“ : **მად-და** „მქონდა“ (შდრ. ბქ. **მად**).

გ) **-უნ** სუფიქსიანი ზმნებს:

ხუაღაღ „ვეყვარვარ“ : **ხუაღაღ-უნ-დას** „ვეყვარდი“ (შდრ. ბქ. **ხუაღაღ-უნ**).

ხამბაჟ „უკვირს“ : **ხამბაჟ-უნ-და** „უკვირდა“ (შდრ. ბქ. **ხამბაჟ-უნ**).

უწყვეტლის ფორმათა უნიფიკაციის ტენდენცია ბალსქვემოურის (ბეროურისაც) გაბატონების გზით, ალბათ, ინტერფერენციულ მოვლენად

უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა კოდორის ხეობის იმ სოფლებს (გვანდრა, აჯარა, ტიში) განეკუთვნება, სადაც ერთდროულად ცხოვრობენ ბალსჭემოელი და ბალსჭემოელი სვანები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბალსჭემოელ სვანთა შთამომავალ კოდორელთა მეტყველებაში უხვადაა უწყვეტლის ორმაგი წარმოების მაგალითები (რაც ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა ბეჩოური კილოკავისთვის): **იღრალ-და-ხ** „მღეროდნენ“, **ნად-და** „გვქონდა“, **ნეყა-ღ-და** „გვყავდა“, **ხოთორნ-ღანს** „მიცნობდა, გიცნობდა“ და სხვა, სადაც ბალსჭემოური დიალექტისთვის დამახასიათებელი უწყვეტლის ფორმები (ფუძეში **აბლაუტნი** თუ **-ნ, -ენ, -ონ** სუფიქსიანები) **-ღანს, -და** სუფიქსითაც არის გაფორმებული, რასაც ენათმეცნიერთა უმრავლესობა მეორეულ მოვლენად მიიჩნევს.

ვარლამ თოფურას დაფიქსირებული აქვს **ზი** „ძევს“ ზმნის ნამყოფს ურულის შემდეგი ფორმები: **ზეს-ღან-ღ-ღა** „იღვა“, **ზან-ღან-ღ** „ედვა, ეცვა“, **მას-ღან-ღ** „მედვა, მეცვა“, **ჯას-ღან-ღ** „გედვა, გეცვა“, მაგრამ აუსლაუტში წარმოდგენილი **-ნ-ს** შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. ყველა ეს ფორმა ხალხური პოეზიიდანაა, ამიტომაც, სავარაუდოა, არქაული იყოს (თოფურია, 1967, 245).

აღმოჩნდა, რომ კოდორელთა მეტყველებაში მსგავსი ფორმები საკმაოდ და არა მხოლოდ ერთ დეფექტურ ზმნასთან:

ხად-ღან-ღ – „ჰქონდა“

მაშენე სანმანს ხადღან ეჯის – „ყველაზე მეტს ის ხმაურობდა (ხმაური ჰქონდა)“.

ხორ-ღან-ღ – „ჰყავდა“

ერქას სემი ლგეთუ ბეფუ ხორღან – „მაშინ სამი თვის ბავშვი ჰყავდა“.

ხულუა-ღან-ღან – „ჰქონდა“

კომბინანტს ხულუანღან საერთო საცხოურებელ – „კომბინატს ჰქონდა საერთო საცხოვრებელი“.

არ-ღან-ღ – „იყო, იმყოფებოდა“

მიშგუ ჭანუ ეჯ პერიოდუი დემეგ არღან ქორს – „ჩემი ქმარი იმ პერიოდში არ იმყოფებოდა სახლში“

ნისგურ-ღან-ღ – „გვეჯდა, გვესხდა“

მანქანოშ ოსღურდად, ბოფშარ ნისგურღან – „მანქანით მივდიოდით, ბავშვები გვესხდნენ“.

მეყა-ღ-ღან-ღ – „მყავდა“

ქუინიმგენე მეყადღან – „საქონელი (სულდგმული) მყავდა“.

დლიურდ ოხუშდ-უსგუ’აშირ მარე ნეყადღან – „დლიურად ხუთასი-ექვსასი კაცი გვყავდა“.

ბოფშარი ერერუ მეყადღან – „ბავშვებიც იქ მყავდა“.

ხას-ღან-ღ – „ელო“

მუსი მეგჭად ხასღან – „თოვლიც ბლომად (მაგრად) ილო (ელო)“.

მიპრი-ღან-ღ – „მთხოულობდა“

[მიშგუ ჭაშ] სამ ზაუ მიჰრიდან – „[ჩემი ქმარი] სამ წელს მთხოვლობდა“.

ზოგ-და-ნ-ხ – „ედგათ“

მიშგუ ლამთილს აორსართულიან ქორ ზოგდანხ – „ჩემს ქმრისიანებს ორსართულიანი სახლი ედგათ“.

ნიხალ-და-ნ – „ვიცილით“

ერქად ჩუნიხალდან, ერე მანქანოშ ხელიუხ – „მანამდე ვიცილით, რომ მანქანით გამოუვლიდნენ“.

ხეყულენ-ი-და-ნ – „სცილდებოდა“

ფუირს ხეყულენიდან ი ნინ ხაქუე – „ძროხას მუცელი ეშლებოდა (სცილდებოდა) და შეულოცა (ენა უთხრა)“.

ხოწუა-ნ-და-ნ – „უჩანდა“

ლუნს ჭგშნარ ქახოწუანდან – „ხოს ფეხები უჩანდა“.

აქ საქმე ხომ არ გვაქვს **ხოგანდა, ხალტენდა, ხოთონდა**,... („ედგა“, „უყვარდა“, „იცნობდა“,...) ტიპის წარმოების ინვერსიულ ვარიანტთან, ანუ **-ნ (-გნ, -ონ,)+-და-ს** საპირისპიროდ **-და+-ნ?**

თუ აღნიშნულ **-ნ-ს** უწყვეტლის ფორმანტად ჩავთვლით, მაშინ ზოგიერთ ზმნაში მწკრივის სამმაგ წარმოებასთან გვექნება საქმე: **მეყა-ღ-ღა-ნ** „მეყავა“, **ხულუა-ნ-და-ნ** „ჰქონდა“, **ზეს-ღა-ნ-ღა** „იღო“, რაც თავისთავად უცნაური მოვლენაა, თითქოს უწყვეტელი თავიდან იწყებს საკუთარი თავის რეპროდუქციას!

ვარლამ თოფურიას აზრით, **ხალტენ'ღა** „უყვარდა“, **ხებუან'ღა** „მიაჩნდა, ეგონა“, **ხეჭკერგნდა** „აფიქრებდა“ ფორმებში **-ღა, -გნ** (ან ერთად: **-გნ-ღა**) ფორმანტების გამოყენება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ნამყოუსრულის ფორმებს აწმყოს მნიშვნელობა მიეცა, ნამყო წინარე წარსულისას კი – ნამყოუსრულისა და უკანასკნელი მნიშვნელობა სათანადო ფორმანტით იქნა გამოხატული (**ხეჟნ-გნ** – „ერქვა“), თუმცა ეს მოსაზრება ჩვენ მიერ დადასტურებულ ფორმებს, ალბათ, ვერ ხსნის, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, აქ ზოგჯერ უწყვეტლის სამმაგი წარმოება შეინიშნება (**ნეყა-ღ-ღა-ნ** „გვეყავა ჩვენ = მე და მას“ **Ое, ხულუა-ნ-და-ნ** „ჰქონდა“), რისი საფუძველიც, შესაძლოა, წინა მორფემათა ფუნქციის დაჩრდილვა იყოს.

როცა ბალსზემოურის გავლენაზე ვმსჯელობთ, ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოაღნიშნული ინტერფერენცია წმინდა გრამატიკულ ხასიათს ატარებს: ბალსქვემოელ წინაპართა შთამომავალ კოდორელთა მეტყველებაში I და II პირში **არღა** („იყო“) ზმნის **-აწ** სუფიქსიანი ფორმები კი გაბატონდნენ, მაგრამ ისინი ბალსქვემოური დიალექტის კვალობაზე კვლავ მხოლოდ სულიერის მიმართ გამოიყენება (ბალსზემოურში **პრი** – „არის“, **არ-ღა** – „იყო“, „იმყოფებოდა“ გულისხმობს როგორც სულიერ, ისე უსულო საგანს).

ერთი ტიშელი მთქმელის – ჟანა ცალანის მეტყველებაში დადასტურდა უწყვეტლის მწკრივის ერთობ უჩვეულო ფორმა **ანღრიულა** – „მოდიოდა“:

ობაშენარ მიშგუ ჭაშ ამთეჟი მეჟირ ანღრიულა ჭალაქა ქანაზუ ი ქანატენუ – „ხანდახან ჩემი ქმარი აქამდე (წელამდე) სველი მოდიოდა მდინარეზე გასული და გამონაბრუნები“.

კონტექსტიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ **-ჟი**-იან უწყვეტელზე დართული იყოს კინობითობის სუფიქსი (რესპონდენტი ალერსიანად საუბრობს აფხაზეთის ომში დაღუპულ მეუღლეზე): **ანღრიულა < ანღრ-ი-ჟი-ილ-ა?**

ვარლამ თოფურია ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებში წარმოდგენილი ერთი ტიპის ზმნათა განხილვის დროს აღნიშნავს: ლექსებში საშუალ-ვნებით ფორმებს დართული აქვს **-ი?ლა** მარცვალი:

მაგა ისგა ქეხენილა, ქამავ მამა ტეხენილა – „ყველა შედის, გარეთ არ ბრუნდება“ (თოფურია, 1967, 181).

მკვლევარი ამ მარცვალს კინობითის ნაწილად თვლის, რასაც საეჭვოდ მიიჩნევს იზა ჩანტლაძე; „თუ ლექსებში გამოვლენილი **-ილა** დაბოლოებიანი ფორმები (**პერენილა** „რა“ფრინდება“, **მყედენილა** „ვარდება“, **სედენილა** „რჩება“, **სგუეჯენილა** „ბრძანდება“,...) გამოიყენება აწმყოსეული მნიშვნელობის გადმოსაცემად, მაშინ დაბოლოების **ი** ხმოვანი უსათუოდ გრძელი უნდა იყოს, რაც ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში არც ერთ შემთხვევაში არ არის დადასტურებული. მიუხედავად თანამედროვე სვანურში კინობითობის აღმნიშვნელი სუფიქსების ძალზე გავრცელებულობისა, ხალხურ პოეზიაში მხოლოდ ერთხელ (სოფელ ლატალში) შეგვხვდა ზმნა ისეთი ფორმით, რომელიც თითქოს ჰგავს კინობითის წარმოებას: **ამბაჟუ აჯჯანდილ** (< **ა-ჯ-ი-ჯანდილ?**) „ამბავი მოვივიდა“ (ჩანტლაძე, 1998, 193). იგი განსახილველ ზმნებს უკავშირებს არქაიზაციით გამორჩეულ ქართული მთის დიალექტთა **-ნილ-ა** (<***ნილ-ა**) დაბოლოებიან თურმეობითებს:

ხევა. **გ-ვ-ან-ილ-ა** || **გ-ვ-ან-ებ-ულ-ა** „ჰგვანებია“, ფშ. **ქვ-ივ-ნილ-ა** – „პრქმეგია“, **ძახ-ნილ-ან** – „ეძახდნენ თურმე“, ასევე ძვ. ქართულის ფორმებს: **სმენილა, თარგმნილა, ჯდომილხარ...** მკვლევრის აზრით, მოცემულ ფორმებში „საქმე გვაქვს I თურმეობითთან, რომლის შემადგენლობაში შედის ნამყო დროის **-ილ** სუფიქსიანი მიმღეობა, ამასთან **ტეხ-ენ-ილ-ა, სედ-ენ-ილ-ა** და მისთანა ფორმებში უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამყოს მიმღეობის მაწარმოებელი დაიკარგა (შდრ. ინვილ. **საყიდელ¹ ვარ** „იყიდი“ – ქ. დიალ., 1961, გვ. 622, ლშხ. **შელენი¹ა** – „გამძლარხარ“ – სვ. პოეზ., 1942, 186,4...), რის შემდეგაც მისი ფუნქცია შეითავსა წინამდებარე ხმოვანმა (ჩვეულებრივ, **ე-მ**), რომელიც წარმოშობით ზმნასა და მასდარში დადასტურებული თემატური სუფიქსი უნდა იყოს (***ტეხ-ენ-ე-ილ-ი > ტეხენელი > ტეხნელი > ტეხნელ > ტეხნე > ტეხნი**)... მიმღეობის **-ილ** სუფიქსიანი წარმოება საერთოდ გაქრა სვანურში, რადგანაც იგი მატერიალურად დაემთხვა ფუძედრეკად გარდაუვალ ზმნათა აწმყოს წარმოებას“ (ჩანტლაძე 1998, 194-197).

იზა ჩანტლაძე იზიარებს სხვა ენათმეცნიერთა (ვარლამ თოფურია, ალექსანდრე ონიანი) აზრს **-ილ** სუფიქსის მომდევნო **-ა** ხმოვნის ფუნქციის შესახებ: „სვანურის მონაცემთა გათვალისწინებით, **-ა** შეიძლება იყოს ნამყოუსრულის, უფრო კი ნამყოსრულის მაწარმოებელი, რომელსაც

შესაძლოა, გენეტიკურად უკავშირდებოდეს ქართული ენის წარსულდროიან მწკრივებში გამოვლენილი მესამე სუბიექტური პირის -ა ალომორფი (ონიანი 1978, 135).

უწყვეტლის -დანს, -და სუფიქსიანი ფორმები რომ ბატონდება ბალსქვემოელ კოდორელთა მეტყველებაში, თვალნათლივ ჩანს, მაგრამ გვხვდება პირუკუ პროცესიც: **ესღერ-და-ს** ნაცვლად **ესხრ-ი-ჟ** (**ჩი ლეთ ისგლეუტა ესხრიჟ მიშეუ ჭანშ ლასენჯაჟანლითე** – „ყოველდამ შუალამისას მიდიოდა ჩემი ქმარი დასათვალიერებლად (სა-სინჯ-ავ-ად)“, ხოლო **ანღერ-და-ს** ნაცვლად **ანღრ-ი-ჟ** (**გრუზაჟიკშ გუჟეში ანღრიჟხ** – „სატვირთო მანქანით სავსე მოდიოდნენ“). ეს პროცესი ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში შეუმჩნეველია მაქსიმე ქალდანს კოდორელთა მეტყველებაში: „-ი-ჟ მაწარმოებელი აწმყოსეულ -ე სუფიქსიანებთან (**გ-თრ-ი-ჟ** – „სვამდა“, **ყვლ-ი-ჟ** „ამბობდა“, **ხ-ა-მნ-ი-ჟ** „აჭმევდა“) სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ გვხვდება. იგი საკუთრივ კოდორის ხეობის სვანურის შენაძენია ორი დიალექტის – ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის შერევის პროცესში“ (ქალდანი 1970, 88).

ამრიგად, კოდორის (resp. დალის) ხეობაში გადასახლებულ ბალსქვემოელთა შთამომავლების მეტყველებაში უწყვეტლის მწკრივის ფორმათა წარმოებისას ყურადსაღებია:

1. ბალსზემოურ და ბალსქვემოურ სვანურში არსებული სიჭრელე უწყვეტლის წარმოებისა კოდორელთა მეტყველებაშიც დასტურდება; ამ მწკრივისთვის გამოყენებული ყველა ფორმანტი (**-ა**, **-და**, **-ჟ**, **-ენ**) ხეობის მკვიდრთა ენაშიც ცოცხალია და მოქმედი.

2. ერთმანეთისგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. პირველი მათგანი ძირითადად იცავს ხაიმ-ეცერის ტერიტორიაზე დღეს გაბატონებულ უწყვეტლის წარმოებათა ტიპებს, ხოლო ბალსქვემო სვანეთიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლებულთა მემკვიდრე ახალგაზრდობა მიმართავს ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ **-დანს**, **-და** მორფემიან მონაცემებს (**ი-ღრ-ალ-და**, ძვ. ქ. „ი“-მღერ-და“, **იზელ-ალ-და** „დადიოდა“, **ან-ცხრ-ი-და** „იგებდა“) და თანდათან აბატონებს მათ, რაც ინტერფერენციულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მამასადაძე, კოდორშიც გრძელდება იგივე პროცესი, რაც ამ თვალსაზრისით, თავის დროზე, ბეროურ კილოკავში შენიშნეს აკაკი შანიძემ და ვარლამ თოფურიამ, ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ ინტერფერენცია უფრო ძლიერია კოდორელთა მეტყველებაში, რადგანაც ბალსზემო და ბალსქვემო სოფლებიდან გადასახლებულთა შთამომავლები ერთ სოფელში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ (და არა ერთმანეთის მოსაზღვრე სოფლებში – შდრ. ლატალი და ბენო).

3. კოდორელთა მეტყველებაში დადასტურდა თანამედროვე ბალსზემოური თუ ბალსქვემოური დიალექტებისათვის უჩვეულო უწყვეტლის ფორმა, როგორცაა: **ხად-დან** „ჰქონდა“, **მიჰრ-ი-დან** „მთხოულობდა“, **მეყა-დ-დან** „მყავდა“, **ნიხალ-დან** „ვიცოდით“, რომლებიც, შესაძლოა,

ზალტ-გნ-და „უყვარდა“ და მისთანათა ფორმების შექცეულ პროცესს წარმოაჩენენ.

4. თუ ამგვარ მონაცემებში **-ნ-ს** უწყვეტლის ფორმანტად მივიჩნევთ, მაშინ ზოგიერთ ზმნაში ამ მწკრივის სამმაგ გამოხატვასთან გვექნება საქმე (**მ-ე-ყ-ა-ღ-ღ-ა-ნ** „მყავდა“, **ხ-უ-ღ-ღ-ა-ნ-ღ-ა-ნ** „ჰქონდა“).

ლიტერატურა

ქ. დიალ. 1961 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, I, ზმნა, თბ.

მაჭავარიანი 1980 – გ. მაჭავარიანი, ნამყოფსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში, იკე, XXII, თბ.

ონიანი 1978 – ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

ოსიძე 1976 – ე. ოსიძე, ნამყოფსრულის წარმოების ისტორიისთვის სვანურში, თსუ შრომები, 174, თბილისი.

სვ. პოეზ., 1942 – სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

ქალდანი 1970 – მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVII, თბილისი.

ჩანტლაძე 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჭუმბურიძე 1986 – ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

Ketevan Margiani-Subari

The Peculiarities Resulting from the Contacts of Upper Svan Dialects in the Speech of the Kodorians Migrated from Lower Bal Svaneti

Summary

The article deals with the peculiarities of the formation of Imperfect screeve in the speech of the Svan migrated from Lower Bal Svaneti. These peculiarities are regarded to be the result of the interferential processes under way in the Kodori valley.

შუშანა შუტაბრაძე

**ზმნის პირისა და რიცხვის გამონათვის საშუალებანი
ამიერტაოს ქობაგის ხევის ქართულში**

ქობაგის ხევი ამიერტაოს მაღალ მთიანეთში მდებარეობს, მასისის მთის (დღევანდელი „ალთიპარმალი“-„ექსთითა“ მთაგრეხილი) ძირას. „მასისი“ უძველესი გეოგრაფიული სახელია. „ქართლის ცხოვრებაში“ კითხულობთ: „...წამოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვიდრა ორთა მათ მთათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა“ (ქართლის ცხოვრება, 1995, 3). ამ მართლაც „კაცშეუვალი“-უკაცრიელი მთის, მასისის, კალთებიდან ჩამომავალი დედეები, ნაკადულები ქმნიან მოზრდილ მდინარეს, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში დინების შედეგად წარმოუქმნია ქობაგის (ქობაის) ხევი. ამ ხევის კალთებზე შეფენილ ფერდობებზე გაშენებულია სამი სოფელი- ქობაგი (ქობაი), ბალხი და ჰევა. მათ შორის მოზრდილია „ქობაგი“, რომლის სახელი ხალხურ მეტყველებაში სამგვარი სახით გვხვდება-ქუაბაგი, ქობაგი, ქობაი. მოცემული ხევიცა და ხევში ჩამავალი მდინარეც ამ სოფლის სახელს ატარებს. მდინარე ქობაგი გზად უერთდება პარხლის წყალს. ამიერტაოს რაიონულ ცენტრთან, იუსუფელთან, კი პარხლის წყალი ბაიბურთ-ისპირის მთებიდან მომდინარე ჭოროხს შეერთვის.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ქობაგის ხევის სოფლები შედის იუსუფელის რაიონში („იუსუფელი“ ახალი სახელია, ძველად ერქვა „გეჟანხევი“), ართვინის გუბერნიაში, თურქეთის რესპუბლიკაში.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს ტაოს: „და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოველთა მარცვალთა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, დელოვან-წრამოვანი, ღრატიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჯევეთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე... იუსუფე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა“ (ვახუშტი, 1973, 584-586). მართლაც, ქობაგის ჯევი „დელოვან-წრამოვანი, ღრატიანი, წყლიანი და იწროა“, თვალშეუდგამი მთებითა და გორებით შემოზღუდული.

ტაოს ქართულის კილო უჩვეულოა. მკვლევართაგან პირველად ეს შენიშნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მწერალმა, ისტორიკოსმა – გიორგი ყაზბეგმა. იგი ტაოს 1874 წლის ზაფხულში ესტუმრა; ლაზეთიდან პონტოს ქედის გადავლით ჩავიდა ქობაგისა და პარხლის ხევეებში. აქაური სამი

სოფლის, ქობაგის (კობაკის – გ. ყაზბეგი), არმენხევისა და პარხლის, ქართულის მოსმენის შემდეგ, გ. ყაზბეგმა თავის მოგზაურობის დღიურში ასე ჩაწერა: „არმენხევისა და კობაკის მცხოვრებნი მეტყველებენ ძალიან დამახინჯებული ქართულით... სოფელ პარხალში ქართული ყველამ არ იცის. განსაკუთრებული კილოთი და ჩქარი მეტყველებით აქაურ მცხოვრებთა ენა თავისებურია. იგი რუსეთის საქართველოს არც ერთი კუთხის მეტყველებას არ ჰგავს. ხალხი პირველყოფილი პერიოდის თვისებებს ატარებს. მკაცრმა ბუნებამ და სრულმა კარჩაკეტილობამ განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მოახდინა კობაკის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებზე... კობაკის ხეობის სიგრძე 20 ვერსს არ აღემატება, ცხოვრობს 200 კომლი, რომლის დიდი ნაწილი ცალკე ჯგუფებადაა განლაგებული. საცხოვრებელი სახლები, ციკლოპების მსგავსად, მთლიანი ქვებით უცემენთოდაა აგებული და კლდე-ქარაფებზე არწივის ბუდესავითაა მიკრული” (ყაზბეგი 1995, 42).

ჩვენი სახელოვანი წინაპრის შენიშვნის პირველ ნაწილს, ცხადია, ვერ გავიზიარებთ. ამ სოფლების მეტყველება არაა „დამახინჯებული ქართული“. პირიქით, თავისი მრავალფეროვანი ენობრივი ფორმებით მიმანიშნებელია ჩვენი დედაენის სიმდიდრეზე, მის გამძლეობასა, მრავალფეროვნებასა და უკვდავებაზე. ამიერთაოს ქართულში თავისებურებით, მართლაც, გამოირჩევა ქობაგის ხევის მეტყველება. ამას აქაურებიც კარგად ამჩნევენ. აქაური ტაოელებისაგან ხშირად გავიგონებთ ხოლმე: „*ქუბაგის ლელის გურჯიჯა ადრია (განსხვავებულია)... ჩუენა თამარ დოლოფლის გურჯიჯა მატქან... ჩუენი ძუელები დამ დამრჩალი რაც არი, ის არი, არ შემიცლიან გურჯიჯა ჩუენა*“ („გურჯიჯა“-ქართული).

საუკუნეთა მანძილზე, უცხო ენობრივ გარემოში არსებობის მიუხედავად, ქართული ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შესაბამისად, იცვლებოდა ქობაგის ხევის ტაოელთა ქართული. ამიტომ ქობაგელთა მეტყველებაში ბევრია ქართული ენის დიალექტების მსგავსი მოვლენები, მაგრამ ჭარბად გვხვდება უჩვეულო ნეოლოგიზმებიც, თურქიზმებიცა და ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმებიც. ამასთანავე, ისტორიულ ლაზეთთან ტერიტორიული სიახლოვის გამო (მასისის მთის, პონტოს მთიანეთის, ჩრდილო კალთებიდან იწყება ლაზეთი), შეინიშნება ქართულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი მოვლენები.

საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის ზმნურ ფუძეთა წარმოება, კერძოდ, ზმნის პირისა და რიცხვის გამონათვის საშუალებანი. საანალიზო მასალად გამოყენებულია „ჩვენებურების ქართულში“ (იხ. შ. ფუტყარაძე, ტ. I, 1993 წ., ბათუმი) მოთავსებული სოფელ ქობაგში ჩაწერილი ტექსტები და 2001-2006 წლებში საველე ექსპედიციების დროს მოპოვებული დიალექტური ჩანაწერები.

სუბიექტის პირველი პირის ფორმებში ხშირად დაცულია ორი სხვადასხვა პირის ნიშანი. როგორც ცნობილია, სხვადასხვა პირის ნიშნის შენახვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სუბიექტად პირველი პირია და ობიექტად - მესამე (შანიძე, 1973, 186). სალიტერატურო ქართულში ასეთ შემთხვევებში ხშირად იკარგება ობიექტის ნიშანი. საანალიზო მასალაში უმთავრესად შენარჩუნებულია ორივე ნიშანი. ცხადია, ეს ხდება თანხმონით დაწყებული ზმნების წინ: *ჩუენ დავჰსცინილით იმათა; თამარ დოლოფალს ვჰჯობივართო, უთქმიან ქალებსა; ლაჩაქი მოვჰპარევით უჩუმაღაი (ჩუმაღ); მივჰგვარევით საქონელი მემთევრსა; თავებს ვსჭრილით დეებსა; მალევე დავსჭირლით საქმეში იმათა...*

სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა უმეტესწილად დაცულია. ამასთანავე, ძირითადად წარმოდგენილია „პ“ პრეფიქსით., მისი მონაცვლე პრეფიქსი „ს“ შედარებით იშვიათად იხმის. ასეთი ვითარება ერთგვარად ძველი ქართულის იერს ჰმატებს აქაურთა მეტყველებას: *ჰყვირი, მარა არ ესძიან; მაწონსა ცხელსა ჰკვეთავ და წყალად გომოდის; ტყვილაჲ ჰპარავ, შვიტყოფს; დილდილაჲ ჰჭამდით ხომ?... საგულისხმოა ისიც, რომ ეს ნიშანი გვხვდება წართქმითი ბრძანებითის ფორმებთანაც: ნიჩაბი აჰწიეთ, რუენალი გათხარევით!; კიდვენ ღაჰწერე, ძეაც გეტყვი კიდვენ; კარქა გაჰკითხე მაგათა!... მე-2 პირის „წართქმით ბრძანებითს სუბიექტური ნიშანი არ უნდა, როგორც ეს წესად იყო და წესად არის ეხლაც ზოგიერთ დღევანდელ კილოში“ (შანიძე, 1973, 176), – აღნიშნავდა აკადემიკოსი ა.შანიძე. როგორც ჩანს, ქობაგის ქართულში ეს წესი არ მოქმედებს – აქ დღესაც გამოიყენება ეს ნიშანი წართქმით ბრძანებითშიც.*

„აქვს“ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმებში, ნიგალის ხეობის ქართულის მსგავსად, მოსალოდნელ „ს“ პრეფიქსს ენაცვლება „ა“, რომელიც უნდა მომდინარეობდეს „ან“ თემატური ნიშნისაგან – ან→ა (შანიძე, 1973, 416, 524): *ერთ კაცსა აქაც აქა ექსი თითი; კამპურიც აღარ გაქა; ძეაც მაქა გული...*

„აქვს“ ზმნის აწმყოს მწკრივის მრავლობითი რიცხვის ფორმებში თავს იჩენს ორი „ან“ სუფიქსი, სადაც ერთი არის თემატური ნიშანი, ხოლო მეორე პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი „ან“ ბოლოსართია, რომელიც ცვლის სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ „თ“ ბოლოსართს: *ბორჩხას მიდიან, საქმე აქანან; ეს საჭბელი თქვენაც ხომ გაქანან?; ბოსტანი, ყანა-ჭალა მეზრეშიც მაქანან ჩუენა...* ასეთ შემთხვევებში მეორე „ან“ სუფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტის მრავლობითობას, რომელიც სალიტერატურო ქართულში აღინიშნება „თ“ ბოლოსართით.

მეორე „ან“ (ან-ან) სუფიქსი თანამედროვე ქართულშიც დაცურდება რამდენიმე ზმნაში, როგორიცაა: *ჰყვანან, ჰკვანან, ჩანან, ღვანან, წვანან*. ძველ ქართულში გვქონდა *ჰ-ქუ-ან-ან*, რომელმაც მოგვცა *ჰ-ქონ-ან (უა→ო)*. „ჰქონან“ ძველი ქართულის კუთვნილებაა, *ჰყვანან* და *ჰკვანან* ეხლაც გვხვდება, თუმცა იშვიათად“ (შანიძე, 1973, 16). არნ. ჩიქობავა, ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ „მრავლობითის აღნიშვნა ქართველურ ენათა ზმნის უღვლილებაში სუფიქსაციის პრინციპს იძლევა ისევე, როგორც პირის აღნიშვნა პრეფიქსაციასზე დამყარებული“ (ჩიქობავა, 1946, 94).

აქაურთა მეტყველებაში მრავლობითობის აღმნიშვნელ „თ“ ბოლოსართს „ან“ და „ეს“ ბოლოსართები ენაცვლება სხვა ზმნებშიც, აგრეთვე, „აქვს“ ზმნის მესამე სერიის ფორმებშიც: ჩემი თავი მოსულესა *ეამნეს* (ეამათ); ოქრო *ქონებიან* მიწაში ჩაფლელი; *დაგვიწყებთან* თქვენა თამარ დოღოფლის ქართული; აღარ *გიყვარან* ჩუენი თავი?

ქობაგის ხევის მეტყველებას ძველი ქართულის იერს უნარჩუნებს გარდაუვალ ზმნებში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის გამოსახატავად არქაული „ეს“ ბოლოსართის გამოყენება დღეს გაბატონებული „ნინ“ -ის მაგივრად. თუ იმერხეულსა და ნიგალურში ამ მოვლენის ნაშთებია საძებარი, ამიერტაოს მეტყველებაში, კერძოდ, ქობაგის ქართულში, „ეს“ ბოლოსართი საკმაოდ მკვიდრადაა დაცული. მაგალითები ტექსტიდან: *ალმანიადამ მოიდეს აქა გურჯები; ერმენები აქედამ წევდეს; ქალებიც იყვნეს ჩუენსა და კაცებიც იყვნეს; ბალ მოკრეფდეს, გაქმებოდა სიცხეში; ისენი ისხდეს ჯევენგში, მარა წევდეს ბევრი; ქალები ზომოთკე*

მოდიოდეს; ბევრ რამეს მეტყოდეს ჩუენა ჩუენი დიდვანები; ამხანავები მყვანდეს ბათომში; ჩუენ ნაცნობებში არ იცოდეს (იცოდნენ); წყალსა გადაავლებდეს კაცები ლელეში; ისე იტყოდეს დიდვანები; გელეიტანდეს კოროთ მარილსა; იქ შემეყარნეს ვზამი; კაცები იყვნეს ბევრი...

„ეს“ სუფიქსი ძველ ქართულში ფართოდ იყო გამოყენებული. იგი თანაბრად იხმარებოდა წყვეტილშიცა და უწყვეტელშიც, როგორც გარდამავალს ისე გარდაუვალ ზმნებში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში კი „ეს“ დაბოლოება გარდამავალ ზმნებს შერჩათ (ან კიდევ გარდამავალთაგან გამოსულ ზმნებს...) და ისიც მარტოდენ წყვეტილში, ხოლო მისი ადგილი „ნენ“ დაბოლოებამ დაიჭირა წყვეტილში გარდაუვალ ზმნებში (საშუალოსა და ვნებითში), უწყვეტელში კი, საზოგადოდ, ყოველგვარ ზმნაში (შანიძე, 1973, 187).

„ენ“ „ნენ“ დაბოლოებიანი ფორმები მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეთა ძეგლებში თანდათანობით ბატონდება. „ეს“ და „ნენ“ სუფიქსების ჭიდილი არსებითად მთავრდება მეთვრამეტე საუკუნეში „ნენ“-ის საბოლოო გამარჯვებით. მართალია, „ეს“ სუფიქსიანი ფორმები გარდაუვალ ზმნებთან აქა-იქ შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის თხზულებებშიც შეგვხვდეს, მაგრამ მხოლოდ, როგორც ძველი სალიტერატურო ნორმის ანარეკლი ან სტილიზაციის საშუალება. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ასეთი ფორმების არსებობა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს უკვე აღარ არის სავარაუდო (ნიკოლაიშვილი, 1978, 107). ამიერტაოს ქობაგის ხევის ქართული კი, როგორც ჩანს, ჩვენი ენის განვითარების ადრინდელ საფეხურზე მიგვანიშნებს, ძირითადად მე-15 საუკუნემდე ვითარებას წარმოადგენს.

კლარჯული კილოების (ნიგალურისა და იმერხეულის) მსგავსად, ქობაგის ხევის ქართულში თავისებურება შეინიშნება ზმნებში პირდაპირი ობიექტის მესამე პირის გამოხატვასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ახალ ქართულში პირდაპირი ობიექტის მესამე პირი ზმნაში თავის ნიშანს ვერ აჩენს, ძველ ქართულში კი ზმნაში პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშნით გამოხატვის წესი სხვაგვარი იყო. ა.შანიძის აზრით, სახელობითში დასმულ პირდაპირ ობიექტს ძველ ქართულში ნიშანი არ ჰქონდა. მიცემით ბრუნვაში მდგარი პირდაპირი ობიექტის მესამე პირი ნიშნით „აისახებოდა ზმნისწინიან ფორმებში თითქმის ყველგან, უზმნისწინობაში კი – არა, ზოგიერთი გამოხატვის გარდა“ (შანიძე, 1976, 91). მეცნიერმა ზმნები ორ ჯგუფად დაყო – „ჰყოფს“ და „ქადაგებს“ ტიპისა. პირველი რიგის ზმნებში პირის ნიშანი წარმოდგენილია, მეორეში კი არა. ძველ ქართულში არსებული ფორმათა ასეთი მრავალფეროვნება, ა.შანიძის აზრით, იყო სხვადასხვა დიალექტური წრის მოქმედების შედეგი.

ეს ძველქართული მოვლენა დღესაც ცოცხალია ქობაგის ხეველთა მეტყველებაში. პირდაპირი ობიექტის მესამე პირი ზმნისწინიან ფორმებში თითქმის ყველგან გამოხატულია „ჰ“ და „ს“ თავსართებით იმის შესაბამისად, თუ რომელი თანხმონით იწყება ზმნის ფუძე. საერთოდ კი ჭარბობს „ჰ“ თავსართიანი ზმნები: **დაჰთესვენ ცერცვი, დიკა, ჭვაავი; ძველი ვერ შესჭამს იმასა; ზამთარში მოჰკვლენ ნადირსა; დიკას დაჰფუტავენ სხვილათ; სიცხე შესწუავს ხორბალსა; ხილამ გამოჰთლიან ღარებსა...**

ნიგალის ქართულის მსგავსად, ამიერტაოს ქობაგის ხევის მეტყველებაშიც დასტურდება ე.წ. „მაქუს ჩუენ“ ტიპის (არნ. ჩიქობავა) ზმნები. ე.ი. ისეთი ზმნები, რომლებშიც ობიექტის პირველი პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში – თავსართი „გვ“ – შეცვლილია თავსართით „მ“-ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, ობიექტის პირველი პირი მხოლოდობითშიცა და მრავლობითშიც გამოხატულია ერთი და იმავე „მ“ თავსართით (პირს ორივე

რიცხვში თავსართი გამოხატავს, სუბიექტის პირველი პირის მსგავსად). ეს ენობრივი მოვლენა დადასტურებულია ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებშიც. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში ამ კატეგორიის მხოლოდ გადმონაშთები გვაქვს. ა. შანიძის აზრით, ეს ვითარება ქართულის განვითარების ადრეულ საფეხურზე არსებული კატეგორიის – ინკლუზივ-ექსკლუზივის – გადმონაშთია (შანიძე, 1923-24, 372-374; შანიძე, 1976, 65; შანიძე, 1973, 169, 183). ეს კატეგორია ახასიათებს ზემოსვანურს (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებს). იგი დამახასიათებელი იყო საერთო-ქართველური ფუძე-ენის მორფოლოგიური სისტემისათვის (შანიძე, 1923-24, 372-374). ეს მოსაზრება გაიზიარეს ცნობილმა ენათმეცნიერებმა – ვ. თოფურამ, თ. გამ-ყრელიძემ, ალ. ონიანმა, კ. დონდუამ, გ. კლიძემა, გ. დეეტერსმა. აღნიშნულია ისიც, რომ „მ“ და „გუ“ პრეფიქსები ძველი ქართულის დონეზე ინკლუზივ-ექსკლუზივის აღარ აღნიშნავს (შანიძე, 1923-24, 373-374; ჩიქობავა, 1946, 94-95; სარჯველაძე, 1984, 407-408).

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული არნ. ჩიქობავას, რომლის თანახმადაც: „გუ“ პრეფიქსი ძველ ქართულში არ გამოხატავს მრავლობითობას და ფუნქციურად „მ“ პრეფიქსის ბადალია. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართველურისათვის არ იყო დამახასიათებელი და სვანურში იგი მეორეულია. ძველი ვითარებაა დაცული ქვემოსვანურში, რომელმაც ობიექტურ უღვლილებაში ექსკლუზივ-ინკლუზივის გარჩევა არ იცის. დიდი ენათმეცნიერი, არნ. ჩიქობავა, სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა სალიტერატურო სკოლიდან გამოსული წერილობითი ძეგლების ენის შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ „გუ“ და „მ“ პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრის მიერაა შემოტანილი ძველ სალიტერატურო ქართულში. „გუ“ პრეფიქსი უძველესია, „მ“ პრეფიქსის მოხშობა X-XI საუკუნეებზე მოდის. XII საუკუნის საერო ლიტერატურის ენაში „მ“ პრეფიქსი (მაქუს ჩუენ ტიპი) ქრება (ჩიქობავა, 1946, 114).

არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსნის“ ენაში არ იცის „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება... მეორეულად სალიტერატურო ქართული წყვეტს კავშირს იმ დიალექტურ სამყაროსთან, რომელსაც შემოჰქონდა „მაქუს ჩუენ“ ვარიანტი... თბილისიდან არაბები განდევნილი არიან (1122 წ.), თბილისში გადმონაცვლა კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა და უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან აღმოსავლეთ საქართველოს ცოცხალი დიალექტური მეტყველება საორიენტაციო... „მაქუს ჩუენ“ ტიპი აღიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის სინამდვილიდან მას შემდეგ, რაც გაწყდა კავშირი სამხრულ და დასავლურ ქართულ კილოებთან... „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება ამ კილოებიდან (ე.ი. სამხრულ-დასავლური დიალექტებიდან) უნდა შესულიყო ძველ სალიტერატურო ქართულში. ამჟამად იგი დაუცავს ზანურს: ჭანურსა და მეგრულში ახლაც მრავლობითის პირველ პირში „მ“ პრეფიქსი გვაქვს ობიექტის აღსანიშნავად. ოლონდ, ახალი ქართულის მსგავსად, მრავლობითობა სუფიქსით აღინიშნება: ჭან. მა მ-ილუნ-ჩქუნ მი-ილუნ-ან“ (ჩიქობავა, 1946, 105).

1946 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში დიდმა ენათმეცნიერმა, ჭემმარიტი მკვლევრისთვის დამახასიათებელი წინასწარი თვალთახედვით, სწორად ახსნა ძველ ქართულ ენაში „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოების გაჩენის მიზეზები. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა არავითარი ცნობა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ცოცხალ ხალხურ

მეტყველებაში ამ მოვლენის არსებობის შესახებ. არნ. ჩიქობავამ იმთავითვე წინასწარმეტყველურად დაასკვნა: „მაქუს ჩუენ“ ზანური ნორმაა, ზუსტად რომ ვთქვათ, ის ნორმაა, რომელიც ზანურმა შემოგვინახა, მაგრამ ზანურთან ახლოს მდგომი ქართული კილოებისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო“ (ჩიქობავა, 1946, 106). მართლაც, ეს კილოები გახლავთ ისტორიული ტაო-კლარჯეთის დიალექტები, კერძოდ, ნიგალური (ნიგალის ხევის კილო) და ტაოს ქართული.

ამ კილოების ცოცხალი ხალხური მეტყველების ნიმუშები პირველად გამოქვეყნდა 1993 წელს „ჩვენებურების ქართულის“ პირველ ტომში (ფუტკარაძე, 1993, 162-370).

ისტორიული ნიგალის (ლივანის) რამდენიმე სოფელი (კირნათი, ქვედა მარადიდი, მირვეთი) დღეს მოქცეულია საქართველოს ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონში; ნიგალის დანარჩენი (99%) ნაწილი კი შედის თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის გუბერნიაში. ნიგალის სამი სოფლის – კირნათის, ქვედა მარადიდის, მირვეთის – მეტყველებაზე დაკვირვებისას მკვლევარმა ნ. სურმაჯამ ყურადღება გაამახვილა აქაურთა მეტყველებაში გამოვლენილ „მაქუს ჩუენ“ ტიპის ზმნების მიმართ. იგი ასე შენიშნავს: „ისმის კითხვა, კირნათ-მარადიდის მეტყველების ვითარება ხომ არ წარმოადგენს არნ. ჩიქობავას ვარაუდის ფაქტობრივ დადასტურებას“ (8,79). კირნათ-მარადიდის მეტყველებაში დადასტურებულ აღნიშნულ მოვლენას ჯერ კიდევ ადრე შეეხო ენათმეცნიერი მ. ცინცაძე (ცინცაძე, 3-19).

ნიგალისა (ლივანის) და ტაოს ქართული კილოების შესწავლისას ჩვენ სპეციალურად შევჩერდით ამ საკითხზე. საფუძვლიანად დავაკვირდით მთქმელთა მეტყველებას და გავიზიარეთ დიდი მეცნიერის, არნ. ჩიქობავას, თვალსაზრისი (ფუტკარაძე, 1993(12), 247-251; ფუტკარაძე, 1995, 20,30; ფუტკარაძე, 1993(14), 26-27).

ქობავის ხევის ქართულიც მდიდარია „მაქუს ჩუენ“ ტიპის ზმნური ფორმებით. ეს კი ერთხელ კიდევ ამტკიცებს არნ. ჩიქობავას დებულებას, რომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება უნდა შესულიყო სამხრულ-დასავლური დიალექტებიდან, იმ კილოებიდან, რომლებიც ემეზობლებიან ზანურ ენობრივ სამყაროს, კერძოდ, ლაზურს (ჭანურს). ეს დიალექტები კი არის ნიგალური და ტაოური ქართული.

ამიერტაოს ქობავის ხევის სოფლების მცხოვრებნი მთელ ზაფხულს ლაზებთან ერთად ატარებენ პონტოს ქედის სამხრეთ ფერდობზე გაშლილ იალაღებზე ერთმანეთის მეზობლად მდებარე იაილებში (საზაფხულო დასახლებებში). ისინი ჭირსა და ლხინს ერთად იზიარებენ. ცხადია, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთმეზობლობა, ლაზურ-ქართული ენობრივი კონტაქტები, ბუნებრივადაა შესისხლხორცეული ქობაველთა ქართულში. სწორედ ამიტომაა გაჩენილი „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება აქაურთა ქართულში, ე.ი. „ზანური ნორმა“ (არნ. ჩიქობავა) ტაოს ქართულში.

მაგალითები ტექსტიდან: *იმათი ხვარათი (ლაპარაკი) არ მეამებთან ჩუენა (გვეამება); რა უნდა მეთქეს ჩუენა (გვეთქვა); ჩუენ მეახლეს აბლი (ცოტა) ხალხი (გვეახლა); ბევრი დიკის დათესვა მეზარებთან ჩუენა (გვეზარება); ჩუენ რა მითხრეს, იცი? (გვითხრეს); ჩუენა თამარ ღოდლოფლის გურჯიჯა მიყვარან (გვიყვარს); ჩუენა ზალუან (ძალიან) შამაყვარეს გურჯისტანი (შეგვაყვარეს), ისენი ჩუენა ბევრ რამესა მეტყვიან (გვეტყვიან); ზმები (ძმები) მყავან ჩემზე პაბინა (გვყავს); დელაც გურჯი მყავდენ და მამაც (გვეყავდა); მახსოვან ზოვი ლექსები (გვახსოვს); ჩუენა არ მომწონან ტყუილი (მოგვწონს)...*

ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დღემდე ცოცხალ ქართულში დადასტურებული „მაქუს ჩუენ“ ტიპის ზმნური ფორმები ცხადყოფს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისის ჭეშმარიტებას. ასეთი წარმოება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა შესულიყო ისტორიული ნიგალისა და ტაოს მიდამოებში არსებულ სალიტერატურო კერებში – ხახულის, ოშკის, იშხნის, პარხლის, ოთხთა ეკლესიის, კორიდეთის, პეტრულის, ტანზოთის, ანჩის, არტანუჯის, ბერთის, დოლისყანის, ოპიზის, შატბერდის, ხანძთის, წყაროსთავის სამონასტრო სკოლებში – შექმნილი წერილობითი ძეგლების მეშვეობით.

ტაოს ქართულის საფუძვლიანი შესწავლა კიდევ ბევრ საინტერესო მოვლენას წარმოაჩენს ჩვენი შშობლიური ენის ისტორიიდან.

ლიტერატურა

ვახუშტი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი 1973.

გამყრელიძე 1959 – თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი 1959.

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა: შრომები, ტ. I, თბილისი 1967.

ნიკოლაიშვილი 1978 – ე. ნიკოლაიშვილი, მესამე სუბიექტური პირის „ეს“ სუფიქსის „ნენ“-ით შეცვლის ისტორიისათვის, „მაცნე“, №3, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი 1978.

ონიანი 1965 – ალ. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში: „მაცნე“, №1, თბილისი 1965.

ონიანი 1978 – ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი 1978.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი 1984.

სურმავა 1990 – ნ. სურმავა, კირნათ-მარადიდის მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ, იკე, ტ. 29, თბილისი 1990.

ფუტკარაძე 2005 – ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, თბილისი 2005.

ფუტკარაძე 2006 – ტ. ფუტკარაძე, ქართველთა სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების მიმართების საკითხი. თანამედროვე ქართველური დიალექტები. იხ. წიგნში „ქართული ენის ისტორია“, ქუთაისი 2006;

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი 1993;

ფუტკარაძე 1993(12) – შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, თბილისი 1993 (სადოქტორო დისერტაცია).

ფუტკარაძე 1995 – შ. ფუტკარაძე, სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 1995.

ფუტკარაძე 1993(14) – შ. ფუტკარაძე, ობიექტის პირველი პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებათა შესახებ ლივანური მეტყველების მიხედვით: XIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თეზისები, თბილისი 1993.

„ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი 1955.

ყაზბეგი 1995 – გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი 1995.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი 1973.

შანიძე 1923-24 – ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წელიწდეული, თბილისი 1923-1924

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი 1976.

ჩიქობავა 1946 – არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, I, თბილისი 1946.

ცინცაძე 1954 – მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი 1954.

Shushana Putkaradze

The Peculiarities of Verb forms (Person and Number) in the Spoken Language of Kobagi Khevi

Summary

Kobagi Khevi is located in historical Tao, at present within the Republic of Turkey, the region of Iusupeli, Artvin. The Georgian people have resided on this territory since ancient times and have preserved the Georgian language to the present day.

The Georgian language that is spoken in the above-mentioned territory is rich in ancient word forms of the pure Georgian language. The people of Kobagi Khevi speak the language of the period of Queen Tamar (12th-13th centuries) and are proud of this. The usage of the verb forms (person and number) in their spoken language is also very old. It also shows the influence of the neighbouring Laz speech.

ობა ჩანტლაძე

**ინტერფერენციული მოვლენები კოდორის (resp. ღაღის) ხეობის
მოსახლეობის მიტოვებაში**

კოდორის ხეობის მოსახლეობის სვანური მეტყველება, სამწუხაროდ, დღემდე თითქმის შეუსწავლელია არათუ ინტერდისციპლინარული, არამედ საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისითაც. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ის გვინტერესებს შემოსვანურ დიალექტთა ინტერფერენციის მხრივ, რაზედაც თავის დროზე მიუთითა პროფ. მაქსიმე ქალდანმა (1970, 82-90).

1840 წელს, როცა წებელდის თემი და დალის ხეობა აჯანყდა მძიმე რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ, სვანები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ აფხაზეთში. ისინი თურქეთში იძულებით გადასახლებული დამარცხებული, მაგრამ დაუმორჩილებელი 5000-მდე მუჰაჯირი აფხაზის ნაცვლად ჩასახლდნენ ხეობაში 1867 წლის შემდგომ პერიოდში. საგულისხმოა, რომ ტოპონიმი **დალი** (სვანთა წარმოთქმით **ღაღ**) აფხაზეთში უხვო ქვეყანაშიც გაიყოფს (ხორავა, 2004).

დიდი გულისტკივილით წერდა პეტრე ჭარაია 1897 წელს: „ძველათ იქაურ მცხოვრებთა ვაჟკაცობით განთქმული ქვეყანა დღეს გავერანებულია ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს“ (ჭარაია, 1897, 268). ნიკო მარის თვალსაზრისით, „**Абхазия была обездолена в своей даже центральной этнографической части... остались одни одичалые дворы с фруктовыми деревьями, ни души абхазской, ни звуки абхазского**“ (მარი, 1938, 177).

რუსეთის მეფის მოადგილის თანაშემწის ვატაცისთვის 1910 წლის 12 აგვისტოს წარდგენილი თხოვნის მიხედვით, ეცერისა და ცხუმარის გლენკაცობა მზად იყო, ზემო სვანეთიდან აფხაზეთში, სახელდობრ დალში, დასახლებულიყო, თუ თავადებისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების ნებას არ მისცემდნენ (გაბლიანი, 1925, 72).

სვანების კოდორის ხეობაში დასახლება არსებითად დასრულდა XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. რალა თქმა უნდა, ისინი არ არიან მემკვიდრეები ამ ტერიტორიაზე ოდესღაც მობინადრე მისიმიანებისა, რომლებიც, ზოგი მეცნიერის (ყაუხჩიშვილი, 1936, 280; ინგოროყვა, 1954, 144-145; მელიქიშვილი, 1959, 65, 92, 100, 384; ქალდანი, 1999¹, 50-57; მიბჩუანი, 1989, 128-143) აზრით, სვანური წარმომავლობისანები იყვნენ. ზოგისთვის კი — აფხაზი ხალხის წებელდა-დალის ეთნიკური ჯგუფის უმუალო წინაპრები (ანჩაბაძე, 1964, 1976; ინალიფა, 1976, 227-234), თუმცა საყურადღებო ფაქტია, რომ კოდორის ხეობაში ჩასახლების დროს სვანთა გარკვეული ნაწილი ცდილობდა დაჰპატრონებოდა იმ საცხოვრებელ ადგილებს, სადაც, გადმოცემის მიხედვით, მათი შორეული წინაპარი ან მოგვარე ესახლა (ქალდანი, 1999, 58).

კოდორის ხეობაში სვანების უკანასკნელ ჩასახლებამდე (XIX ს.) დალის თავადები იყვნენ გააფხაზეთული **მარშან** იეზები. სპეციალური ლიტერატურის (გასვიანი, 1990, 210) მიხედვით, ისინი სვანეთის ერისთავების ფარჯანიან-ვარდანისძეების შთამომავლების — **მარუშიანთა** მემკვიდრეები არიან. დღემდე

¹ სტატია დაიწერა 1960 წელს.

შემორჩენილია მათი სასახლის ნანგრევები დალის ხეობის სოფელ ლათაში, მდინარე არგუნთან ახლოს, **ლა-თ-ა** კი სვანურია და ქართულად „გა¹საყოფს, „გა¹სანაწილებელს, „გა¹საყარს, საზღვარს, მიჯნას“ აღნიშნავს.

ივარაუდება, რომ აფხაზი არგუნები წარმოშობით წებელდიდან არიან (პახომოვი, 1953, 153-258). 1949 წელს სოფელ ცხუმარში (სვიფში) ჩაწერილი გადმოცემის (**იმჟი ჯღზიგანს შუანარ აფხზეთ** „როგორ დასახლდნენ სვანები აფხაზეთს“) მიხედვით ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ბაღს ქვემოთ მცხოვრები **მურღვლიანთა** გვარის სამი ერთმანეთის მოყვარული ძმა გაიყარა, უფროსი ადგილზევე დარჩა, შუათანა ქვემო სვანეთში წავიდა, ხოლო უმცროსი — აფხაზეთში. უკანასკნელებმა გვარიც შეიცვალეს — ონიანად და არგუნად დაეწერნენ:

აფხზეთთე ლახ მურღულანი ქადრინე, მასარდ იხიანდის ი ხეჭუდალს შუანაშუ ლახუბაშუ გუეშს ი იმბუალს მინე ხოშოლუ ნამბუალს, იმჟი აჩადნ ი ჯღზიგანს მინ ეჩეჩუ (სვან. პროზ. ტ., 1957, 82) — „აფხაზეთში მურღვლიანი² რომ გადავა, მეტისმეტად უხარიათ და ეკითხებიან სვანეთის ძმების ამბავს („საქმეს“) და ჰყვებიან თავიანთი წინაპრების („უფროსების <ხ-უ-ც -ეს-ებ-ის“) ნამბობს, როგორ წავიდნენ და დასახლდნენ ისინი იქ“.

ტოპონიმი **დალ-ი** და აფხაზური გვარი **ა-სვან-უა'ც** (შდრ. **ა-შვან-უა** „სვანეთი“) ხომ სვანეთთან მიმართებითაა შექმნილი! და საერთოდ, ცნობილია, რომ „დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა განსახლებას წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობის არსებობა სვანებისა და მეგრულ-ჭანების სახით“ (ჯანაშია, 1959, 15).

XIX საუკუნის დასაწყისში დალის თემში, რომელიც წებელდის ოლქში შედიოდა, შემდეგი ტოპონიმებია დადასტურებული: საკუთრივ **დალი**, **აჟარა**, **ჟამგარა**, **ზიმა**, **შვაქე**, **ვარდა**, **თაფშ-იფა-იჭაბლა**, **ამჭარა**, **ლათა**, **გენწვიში** (ხორავა, 2004, 105), ახლა კი ზემო აფხაზეთი (კოდორის, resp. დალის ხეობა) მოიცავს 16 სოფელს: **ნაჭარვი**, **ლათა**, **ტიში**, **აჟარა**, **ხუტია**, **გენწვიში**, **ოძარიშალი**, **ქვაფჩარა**, **ზუმა**, **ჩხალთა**, **ბუჩუკური**, **ბუძუგური**, **აძგარა**, **გვანდრა**, **ბარუმბა**, **საკენი**.

საერთაშორისო პროექტი **ECLinG**, რომლის განხორციელებაში მონაწილეობს სამი ქვეყანა (ჰოლანდია, გერმანია, საქართველო), დაფინანსებულია ჰოლანდიაში, ვიდეო-აუდიო აპარატურა შეძენილია და საგანგებო კომპიუტერული პროგრამები შედგენილია გერმანელ ეთნოლინგვისტთა მიერ, ხოლო ადგილზე პრაქტიკულ სამუშაოებსა და ენათა თუ დიალექტთა მორფონოლოგიურ ანალიზს ახორციელებენ როგორც ქართველი, ისე გერმანელი სპეციალისტები. სვანურისთვის უკვე არსებობს მონაცემთა ბაზა, რომელიც სხვადასხვა სახის 2000-მდე გვერდის მოცულობის ტექსტებს შეიცავს, გადაღებულს 37 ფირფიტაზე. ჩაწერა ხორციელდებოდა უახლესი მეთოდებითა და ულტრათანამედროვე ტექნიკური აპარატურით — კადრები და მთქმელ-ჩამწერთა დიალოგები კინოფილმისთვის დამახასიათებელი სინქრონიულობითაა წარმოდგენილი კომპიუტერში, ასე რომ, საქმე

² ეს გვარი **მირგვლიანი** (XI-XIII ს.) და **მურგველიანი** (XIV) ფორმებით დადასტურებულია სვანეთის ნაკაწრ წარწერებში — გრაფიტებში, სვანურ ისტორიულ საბუთებსა (სილოგავა, 1986, 179; 1988, 274) და სვანეთის საისტორიო ძეგლებში (ინგოროყვა, 1941, 116).

გვაქვს ე. წ. მეტყველ ტექსტებთან. ადრეც ვიწერდით უმწერლობო ენათა და დიალექტთა ტექსტებს მაგნიტოფირებზე, მაგრამ მაშინ შეცდომის დაშვების მეტი ალბათობა იყო – ტექსტის ქალაღზე გადმომწერის სმენით შესაძლებლობებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, ახლა კი კომპიუტერულ ეკრანზე მთქმელის ბაგეთა თვალნათლივი მოძრაობით არაერთხელ შეიძლება შემოწმდეს ესა თუ ის საეჭვო ფორმა. საბოლოოდ მიღწეული იქნება უნიკალური შედეგი – ყველა ქართველოლოგს (ჩვენში თუ უცხოეთში) შესაძლებლობა მიეცემა სინქრონიზებული ვიდეო-აუდიო აპარატებით დაფიქსირებული უმწერლობო ენის ტექსტებისა და მათი მორფოლოგიური ანალიზის ხილვისა ელექტრონულ ვერსიაში.

მიუხედავად უძძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სიტუაციისა, დიქტოფონით ჩაიწერა და ვიდეოფირფიტებზე დაფიქსირდა გარკვეული ტექსტები (რიტუალები, სათავადასავლო ამბები, სამეურნეო საქმიანობის აღმნიშვნელი მასალები, ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული მოვლენები, ძველი და თანამედროვე ყოფის ამსახველი მონაცემები...), უძველესი ხალხური სიმღერები, ანდაზა-გამოცანები, რომელთა ლინგვისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, ყურადღება მიგვექცია ძალზე საინტერესო ფაქტებისათვის. ოთხი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით დაკვირვებებს ენგურის, ცხენისწყლისა და, ნაწილობრივ, კოდორის ხეობებში მცხოვრებთა მეტყველებაზე, მაგრამ უკანასკნელ გეოგრაფიულ არეალში გამოვლენილი ინტერფერენციული პროცესების შესწავლა ბოლომდე ვერ მოხერხდა. ამჟამად საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით მხოლოდ ზემო აფხაზეთის 16 სოფელში.³

კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში დადასტურდა ორგვარი ინტერფერენცია: ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა; ბ) სვანური ენის ბალს-ზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა.

ინტერფერენცია შეინიშნება ლექსიკაში, მორფოლოგიაში, ფონეტიკა-ფონოლოგიაში, შედარებით იშვიათად – სინტაქსში.

მიუხედავად იმისა, რომ აქაური მოსახლეობა საუკუნუნახევრის განმავლობაში მოქცეულია აფხაზური და რუსული ენების მატარებელი ხალხების მეზობლობაში, პირველ შემთხვევაში ამგვარ გავლენაზე მსჯელობა თითქმის გამორიცხებულია, ხოლო, მეორე მხრივ, ძალზე იშვიათ ლექსიკურ ნასესხობებთან გვაქვს საქმე – გრამატიკა ფაქტობრივად განზე რჩება:

აჲ, აშთეღსგა ლი მარუხ, გაჭიმულ ლი... მგდე... პერეჟალია
გადასასულელი ყარაჩაიში – „აი, აქამდე არის მარუხი, გაჭიმულია... ისა... უღელტეხილია გადასასვლელი ყარაჩაიში“ (მთქმელი ბაჭი გურჩიანი);

ჩუ მამ ხეგნოლ ეჯ'ენ უერტალიოტ – „არ ჯდება (< „ე-ღგ-მ-ებ-ა“) ის, ე, ვერტმფრენი“.

იმდენად ძლიერია ქართული ენის გავლენა, რომ მთქმელებისათვის საკმაოდ ხშირად გვჭირდებოდა ერთი სიტყვის შესენება: ესაა **ლუმნულ** („სვანურად“!), თუმცა სხვა შემთხვევაში არასდროს ჩავრეულვართ მათი

³ სიტყვა რამდენადმე გაგვიგრძელდა, რადგანაც ზოგიერთ ჩვენს კოლეგას ეს ორი პროექტი რატომღაც ერთი და იგივე ჰგონია (იხ. ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, თბილისი, 2006, გვ.60).

მეტყველების პროცესში, მითუმეტეს არაფერი გაგვისწორებია, თუნდაც მცდარად წარმოეთქვათ ესა თუ ის ლექსემა. როცა ბალსქვემოელ წინაპართა შთამომავალი ბავჩი გურჩიანი ცდილობდა, ელაპარაკა ე. წ. „სუფთა“ სვანურად (რაც წარმოუდგენელია ნებისმიერი ენის მიმართ) და წამოსცდებოდა **მიჩაშთან** („თავისთან“) ფორმა, მაშინვე ახსენდებოდა, რომ **მიჩაცახან** სჯობს და თავადვე ასწორებდა ქართულ **-თან** თანდებულის მონაცემს.

ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მეტად გამოირჩევა თავისი არქაულობით. გაირკვა, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში ისეთი არქაიზმებიც გვხვდება, რომლებიც აღარ იხმარება არც ენგურისა და არც ცხენისწყლის ხეობათა სვანურში (აღბათ იმის გამო, რომ საუკუნუნახევრის მანძილზე ამ მოსახლეობას შორის მჭიდრო კონტაქტები არ იყო. იგივე ვითარება გრძელდება დღესაც ქვემო სვანეთთან მიმართებით). ასე მაგალითად:

-ა ხმოვანზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები თანამედროვე ზემოსვანურ დიალექტზე მოლაპარაკე უმცროსი და საშუალო თაობის მეტყველებაში თითქმის აღარც მიჰყვება ორფუძიანი ბრუნების სისტემას.

კოდორის ხეობის ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც **ომარიშალი** („ომარისანები“) ეწოდება და რომელშიც, ორიოდე გამონაკლისის გარდა, სულ ბალსზემო სვანეთიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ, 30 წლის მარკა მარგიანისაგან ჩავიწერეთ ასეთი ფრაზა: **ჩხარემიშ** (<**ჩხარა-ემიშ**) **ხენგსა ლი** – „ცხრის ნახევარია“ (ნაცვლად **ჩხარაწ<ჩხარაწ<ჩხარა-იშ ხენგსა ლი**სა). აქ, რალა თქმა უნდა, ისეთ არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც თანამედროვე სვანური ენის არც ერთ დიალექტზე მოლაპარაკე საშუალო და უფროსი თაობის მეტყველებაში, ჩვეულებრივ, არ დასტურდება.

სპეციალური ლიტერატურის (ვარლამ თოფურია, თინათინ შარაძენიძე, მაქსიმე ქალდანი, ზურაბ ჭუმბურიძე, იზა ჩანტლაძე) მიხედვით, ორფუძიანი ბრუნების სისტემის მოშლას თანამედროვე სვანურში განსაზღვრავს ქართულ ენასთან კონტაქტების განსაკუთრებული გაძლიერება XX საუკუნიდან (სკოლა, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რადიო, ფოსტა, ტელევიზია,⁴...). ეს შეეხება არა მხოლოდ ცალკეულ მორფემებს, არამედ თავად საბრუნებელ ფუძეებსაც: ბალსზემოელ წინაპართა კოდორელი შთამომავალი როინ ჯაჭვლიანი ხმარობს ფორმას **ალგნქა< *ა-ლ-ა-გნ-ქა** („ამას გარდა“), რაც სრულიად შეუძლებელია თვით ერთი (სახელობითის) ფუძის მიხედვით პარადიგმატული სისტემის გასწორების შემთხვევაშიც კი (სვანურ ენაში თანდებულები სახელს არ მართავენ სახელობით ბრუნვაში!), მაგრამ იმდენად ძლიერია დასავლური ქართულის (შდრ. აჭარული **იგ-ზე, აგ-ზე**...) გავლენა, რომ მთქმელმა ეს ვარიანტი თავადვე შექმნა, თუმცა იმავე ფრაზაში გაასწორა ბუნებრივი (**ამგნქა**) ფორმით.

⁴ შემთხვევითი არაა, რომ ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავზე მუშაობისას თინათინ შარაძენიძემ ოთხი თაობა (მოხუცები, შუახნისანი, სკოლადამთავრებულნი, ბავშვები) შენიშნა (შარაძენიძე, 1958, გვ. 228).

ბალსზემოელ წინაპართა კოდორელი შთამომავალი უჩუგუმ ჯაჭვლიანი იყენებს თანხმოდანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმებულ უაღრესად არქაულ ფორმას **უ-ცად-ინ-დ ლუ-ფხ-ილ-დ** („უცვლელად მსაჯულად<შეფიცულად“), რაც დღეს სვანურში აღარც ერთ დიალექტში აღარ იხმარება. 1963 წელს შესრულებულ ნაშრომში „ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში“ გვიო მატყვარიათი წერდა: „**ისგვან'ი' დიდაბინ** სრული შეთანხმებაა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, რაც სვანურისათვის მეტად იშვიათი მოვლენაა“ (მაჭავარიანი, 1985, 235).

უძველეს სვანურ სიმღერათა ტექსტებში მეშველი ზმნის მყოფადის ფორმები გვხვდება აწმყოსეული სემანტიკით:

მი ხტიროლე ტოტა ჭახან – „მე ვარ (<„ვიქნები“) ტოტა ჭახანი“ (სვ. პოეზ., 1939, 54, 56).

დღეს ამგვარ რამეს სვანური ენის არცერთ დიალექტში არა აქვს ადგილი, კოდორის ხეობაში კი ბალსზემოელ წინაპართა შთამომავლების მეტყველებაში ეს მოვლენა შენარჩუნებულია (**ეჯა მან ირი?** -- „ის რაა <იქნება“?).

მიუხედავად არქაიზმების დაცვისა, პარალელურად მიმდინარეობს ინტერფერენციის პროცესიც. **ჩხარემიშ** სხვა მხრივაც იქცევის ყურადღებას! – პრეპოზიციურ მსაზღვრელთან, როგორც წესი, იკარგვის ნათესაობითი ბრუნვის მორფემის თანხმოდანითი ელემენტი **-შ**, აქ კი ის შენარჩუნებულია. შდრ. ეცერელი ნინა გუჯევიანის მიერ ერთსა და იმავე ტექსტში ორჯერ გამოყენებული ერთი და იმავე ტოპონიმის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: **გუნდრანშ** და **გუნდრან** (<„გუნდრან-რა-იშ“) **ლახუა** – „გვანდრის მთები“, სადაც, ვფიქრობთ მისთვის ბუნებრივია მხოლოდ პირველი მათგანი, რადგანაც ბალსქვემოურში ნათესაობითის შინის პოზიცია უფრო მყარია, ვიდრე სვანური ენის დანარჩენ დიალექტებში და ის არც პრეპოზიციულ მსაზღვრელში იკარგვის. მაშასადამე, აქ არქაიზაციასთან, ანუ ძველ მოვლენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პირიქით – ინტერფერენციასთან, ანუ სრულიად ახალ მოვლენასთან. ამგვარ ფორმალურად მსგავს შემთხვევებსა და მოსახლეობის მეტყველებაში მიმდინარე პროცესებს შორის აუცილებლად უნდა გაივლოს სადემარკაციო ზღვარი და ახალ ლინგვისტურ მოვლენას უსათუოდ უნდა მოეძებნოს ექსტრალინგვისტური საფუძველი – ამ შემთხვევაში ზემო სვანეთიდან ადრე გადასახლებულ ბალსზემოელ და ბალსქვემოელთა შთამომავლების ერთ სოფელში თანაცხოვრებას.

კოდორის ხეობის მთქმელთა უფროს თაობას ურჩევნია საერთოქართველური ფუძეებიდან მომდინარე სიტყვები იხმაროს, ვიდრე რომელიმე უცხო ენიდან ნასესხები. იმის ნაცვლად, რომ ბალსზემოელ გულიყო ქალდანს ეთქვა – **ათხე ბებია ხტი ი ეშდეშხუ გეზლანშგეზალ მირი** („ახლა ბებია ვარ და თერთმეტი შვილიშვილი მყავს“)-ო, თქვა: **ათხე ბებია ხტი ი ეშდეშხუ გეზლი ... ნიბანშინ მირი (ნიბანშინ** დღესაცაა შემორჩენილი სხვა ქართველურ ენებსა თუ ქართულის დასავლურ დიალექტებში „ბადიში“-ს ფორმითა და იმავე მნიშვნელობით).

მაშასადამე, გარკვეული ლინგვისტური მოვლენების ახსნისას უნდა გავითვალისწინოთ ექსტრალინგვისტური ასპექტებიც: ენათა და დიალექტთა ურთიერთკონტაქტები, ინდივიდთა მეტყველების ასაკობრივი თავისებურებანი,

სოციალური ვითარება (ერთ ოჯახში ერთი და იმავე ენისა ან დიალექტის მატარებელი ადამიანები ცხოვრობენ, თუ — არა), გენდერული პრობლემები, მეტყველების ტემპი და ა. შ.

სპეციალური ლიტერატურიდან დიდი ხანია ცნობილია, რომ ქალები უფრო იცავენ არქაულ ლინგვისტურ მოვლენებს, მათი (მამაკაცებთან შედარებით) ოჯახში კარჩაკეტილობის გამო; აქედან გამომდინარე, ზოგადად, ინტერფერენციის მოვლენები უფრო ხშირად ჩანს მამაკაცთა მეტყველებაში (**საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს**).

კოდორის ხეობაში გადასახლებული, ბალსქვემოელ წინაპართა შთამომავალს პაშა პაკელიანს ბალსზემოელთა „ნაგრამი“ — ქეთევან მარგიანი შეეკითხა: ბალსქვემოელი ხარ თუ ბალსზემოელიო, მისგან კი შემდეგი პასუხი მიიღო: **დექრდა მისა** („ორივე ვიცი“). პირველი ლექსემა, როგორც ჩანს, თავისი ბალსზემოელი მეუღლის მეტყველების გავლენის შედეგია; გაცეხულმა ბალსზემოელმა იკითხა: **ლექდა იმუი ხი** („ორივე როგორ ხარ“)? და ახლა უკვე თავად მოექცა ბალსქვემოელი მოსახურის გავლენის ქვეშ, სხვა შემთხვევაში მას ნაცვალსახელის **დექრდა** ან **დექრდა** ფორმა უნდა გამოეყენებინა. იგივე სიტუაციაა ბალსქვემოელურ **ჰეცერ-ხენ** ტოპონიმთან დაკავშირებითაც. მოულოდნელია მისი გამოყენება ქეთევან მარგიანის მიერ, რადგან ანლაუტის ფშვინვიერი შემართვა და თანდებულის ამგვარი სახე (შდრ. ბზ. -ხან) ბალსზემოური დიალექტისათვის, ჩვეულებრივ, არაა დამახასიათებელი, მოსალოდნელი იყო **ეცერ-ხან**. კოდორის ხეობის მოსახლეობა თავადვე სწორად აღიქვამს ინტერფერენციის მოვლენებს. როცა პაშა პაკელიანი ამბობს: **ბოფშარ რუსეთს იზგეხ** („ბავშვები რუსეთში სახლობენ“)-ო, მაშინ ის მხოლოდ ბალსქვემოურად (ე.ი. თავის და არა მეუღლის დიალექტზე) ლაპარაკობს — აქ მისი ყველა შვილი კი არ იგულისხმება, არამედ — მხოლოდ ვაჟები, რადგანაც პრაენიდან მომდინარე **ბეფშე** ლექსემას ბალსქვემოურ კილოში თავის ზოგად მნიშვნელობასთან („ბავშვი“) ერთად კონკრეტული შინაარსიც („ბიჭი“) აქვს, შდრ. აღმოსავლური ენებიდან სვანურში ნასესხები **გეზალ**, რომელსაც ყველა დიალექტში ანალოგიური — ზოგადი („შვილი“) და კონკრეტული („ბიჭი“) — დატვირთვა აქვს. თანდებულისანი ფორმების ფუძედ გამოყენება და მისი ხელახლა ბრუნება (ვთქვათ: **ამუიშ <*ა-მა-ჟი-ფშ<*ა-მა-ჟი-იშ** „ასეთის<*,ა-მა-ს¹-ზე-ის“), ძირითადად, ბალსქვემოური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, კოდორის ხეობის ბალსზემოურად მეტყველი მოსახლეობის ენაში კი ამგვარი რამ უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ენგურის ხეობაში ესეც ინტერფერენციის შედეგი ჩანს. ინტერფერენციის დროს ერთი ქართული კომპოზიტი მთლიანად უცვლელია, მას სვანური მხოლოდ უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე ან ბილაბიალური **ჟ** სონორი ექნება, თუმცა ზოგჯერ ნათესაობითის ფორმით წარმოდგენილ ქართულ კომპონენტში ბრუნვის მორფემა შესაძლოა გაუჩინარდეს კიდევ და ერთცნებიანმა კომპოზიტმა („შრ-ომ-ის მო-ყვარ-ე“) კოდორის ხეობელთა ბალსქვემოურ მეტყველებაში მიიღოს **შრ-ომ-ა-მო-ყუარ-ე-ს** სახე, რომელიც, ალბათ, მომდინარეობს ფორმებიდან ***შრ-ომ-ა-იშ-მო-ყუარ-ე <*შრ-ომ-ა-ის-მო-ყუარ-ე**, ე.ი. უმლაუტი მომხდარა ნათესაობითის მორფემის ხმოვნითი ელემენტის რედუქციამდე. მაშასადამე ეს კომპოზიტი საკმაოდ ადრე შესულა კოდორის ხეობაში, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ბრუნვის მორფემის **-ი** ხმოვნითი ელემენტი ფონეტიკურ გავლენას მოახდენდა მასდარისეულ **-ა** მაწარმოებელზე. თუ ეს ასე არაა, მაშინ მთქმელმა ნაზია გერლიანმა მოცემული ქართული ლექსემა სწორად არ იცის. კოდორის ხეობაში ზოგჯერ

ინტერფერენციის ისეთი სახეც გვხვდება, როდესაც წინადადებაში გამოიყენება სხვათა სიტყვის ქართული -ო ნაწილაკი სვანურში ძალზე გავრცელებულ შესაბამის **როქჷ, ლოქჷ, ესერ, -უ/-ჷ** ნაწილაკთა ნაცვლად, ანუ ფორმაც და ფრაზაც სვანურ-ქართულია: **მამ ხეშხანდა ალასო?** — „რა ერქვა ამასო?“ ჩვეულებრივად, როგორც კოდორის, ისე ენგურის ხეობაში, იტყვიან ასე: **მამ როქჷ ხეშხანდა (ხეშხანდა) ალას ან: მამ ესერ ხეშხანდა ალას?** — „რაო ერქვა ამასო?“

სხვათა სიტყვის გადმოცემა ქართულსა და სვანურში ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან (ამის შესახებ იხ. ვარლამ თოფურია, თინათინ შარაძენიძე, მაქსიმე ქალდანი, ვინფრიდ ბოედერი, იზა ჩანტლაძე, ლელა სამუშია), მაგრამ იმდენად ძლიერია ინტერფერენციის პროცესი, რომ მან ფრაზის აგების სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციებშიც კი შეაღწია და „კლასიკური“ სვანურისთვის დამახასიათებელი მესამე პირისეული ფორმების ნაცვლად წარმოგვიდგინა ქართულისებური I-II-III პირის მონაცემები (შესაბამისად ნათქვამისა): **ბზ: ალ' ესერ გჷამიდ ხოჩა ლი, ამჷუმ ხან ესერ მამ მულჷ, ერე ალ ესერ იმნემდ ლანჷყედნე ჯი?** — „ესო ძალიან კარგია, ამდენი ასაკიო („ხანო“) არ გაქვს („მაქვს“) და („რომ“) ესო რამ გაგახსენა შენ („თვითონ“)“? სვანურისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციით ალბათ ასე უნდა ყოფილიყო: **ალ' ესერ გჷამიდ ხოჩა ლი, ამჷუმ ხან ესერ მამ ხულჷ, ერე ალ ესერ იმნემდ ლანჷყედნე მიჩ?**

აწცერთი (ვიდეოფირფიტა 22, „სამკურნალო წყლები“) ე. ი. ანლაუ-ტის ა-ხმოვანი უმლაუტს განიცდის თუმცა ამ ფონეტიკური პროცესის გამოწვევი მიზეზის, -ე ხმოვნის მათხმლაუტებელი ძალა გაზრდილია ისევე, როგორც ლენტეხურ დიალექტსა და ლახამულურ კილოკავში, განსხვავებით ენგურის ხეობის ბალსზემოური დიალექტისაგან, სადაც -ე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იწვევს უმლაუტს, თუ თავად არ გაუჩინარდა. კოდორელი მთქმელი ბალსქვემოურად ლაპარაკობს; წარმოშობით იქნებ იგი ლახამულელიცაა! მაშასადამე, ინტერფერენციულმა მოვლენებმა შესაძლოა გაგვირკვიოს პიროვნების სადაურობა, თუ საჭირო იქნება.

ფრანკფურტის მედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად შევადგინეთ „სვანური პროზაული ტექსტების“ 1 ტომისა და „სვანური ენის ქრესტომათიის“ ბალსზემოურ ნაწილში წარმოდგენილ **ლექსემათა ყველა გრამატიკული ფორმის** (გარდამავალი კილოკავების მონაცემთა გამოკლებით) **კომპიუტერული ინდექსი**, რომელიც შევუდარეთ კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში გამოყენებულ თავისებურ ზმნებს. მაგალითად:

ა) **ლ-სსჷ-დ-ა-ხ** („იყვნენ“) მეშველი ზმნის ძალზე იშვიათი ფორმაა აორისტში, რომელიც გართულებულია უწყვეტლის სავრცობითა და ნამყო დროის -ა მორფემით (ალბათ!). ამგვარი მონაცემი არც ერთ ზემოხსენებულ ბალსზემოურ პუბლიკაციაში არ გვხვდება (მდრ. 82-ჯერ დადასტურებული **ლ-სსჷ-ხ** „იყვნენ“), თუმცა თანამედროვე ენგურის ხეობის ცოცხალ მეტყველებაში შესაძლოა დადასტურდეს (ეს ფორმა არც ვარლამ თოფურიას „სვანურ ზმნაშია“ გაანალიზებულთ). იგივე შეიძლება გვეთქვა **ლ-სსჷ-დ-ა** („იყო“)ს შესახებაც, რომელიც არც ერთხელ არ გამოიყენება ბალსზემოურ პუბლიკაციებში (მდრ. 393-ჯერ ფიქსირებული **ლ-სსჷ** „იყო“).

ყურადღება მიიქცია ამავე ზმნის 1 თურმეობითის ფორმაც **ლგ-მან-რ-ნ-ე-ლ-ი-ხ** („ყოფილან“), რომელსაც ენგურის ხეობის ბალსზემოურ დიალექტში შესაბამემა ხან რთული (**ლგ-მან-რ-დ-ე-ლ-ი-ხ**|| **ლგ-მან-რ-ე-ლ-ი-ხ**|| **ლგ-მგ-რ-დ-ე-**

ლ-ი-ხ), ხანაც — მარტივი (**ლგ-მწ-რდ-ხ**|| **ლგ-მწ-რ-ხ**) სახეობა. ზოგჯერ ორივე ვარიანტიც კი შეიძლება შეგვხვდეს არა მხოლოდ ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში, არამედ ერთსა და იმავე ფრაზაში (**ეჭა მწნკუთი ამსჷნლდ ლგმწრ ი ძღღ ლგმწშ ი ლამარგ ამსჷნლდ ლგმწრნელი** — „ის პირველად აღამიანი ყოფილა და ძალიან ღონიერი და სავარგისი აღამიანი ყოფილა“ (სვ. ქრესტ., 90,42). СМОМПК-ის XVIII ტომში (1894 წ.) ამავე ფუნქციით გვხვდება აგრეთვე **ლგ-მწ-რ-ე-ხ** (გვ. 97). მაგრამ ის ვერც ერთი ხეობის სვანურში ვერ დავადასტურეთ I თურმეობითში (როგორც ჩანს, არქაული საფეხურია: ***ლგ-მწ-რ-ე-ნ>ლგ-მწ-რ-ხ**).

ჩვენ მიერ შენიშნულ მონაცემებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ წარსული დროის აღმნიშვნელ პარადიგმატულ ერთეულებში **-ნ-/-ღ-** თანხმოვანთა მონაცვლეობის თვალსაზრისით. პირველი მათგანი (ე. ი. **წ**-იანი ვარიანტი) არც ერთხელ არ გვხვდება „სვანური პროზაული ტექსტების“ I ტომში, ხოლო „სვანური ენის ქრესტომათის“ ბალსზემოურ ნაწილში **ლგ-მწ-რ-ნ-ე-ღ-ი** („ყოფილან“) მხოლოდ სამჯერ (89,6; 90,42; 93,9) შევნიშნეთ. თუ ერთადერთხელ დადასტურებული **ლგმანელი** (8,7), რომელიც აშკარად კორექტურული შეცდომაა, მომდინარეობს **ლგმწრნელი** საგან (სრულიად დასაშვებია **ლგმწრნელი**ც!), მაშინ ისიც უნდა გავითვალისწინოთ **-წ**-ს შემცველ თურმეობითში. დღემდე არსებულ ბალსზემოურ პუბლიკაციათა მიხედვით, იგივე მონაცემი, ოღონდ I პირის ფორმაში (**ლგმწრნლხუთი** — „ყოფილვარ“ (სვ. ქრესტ., 147,7), გვხვდება 120 წლის მესტიელი მარინო ფალიანის ნაამბობში, რომელიც 1939 წელსაა ჩაწერილი. რაც შეეხება **ლგმწრნელი**-ს, ოთხსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნახევარი საუკუნის წინათ ფიქსირებულ 95 და 100 წლის ლენჯერელ მთქმელთა (ჰყინტულდ გულედანი, გუჩა ფილფანი) მეტყველებასთან, აგრეთვე სები გულედანის მიერ ჩაწერილ ტექსტებთან, კოდორის ხეობაში კი **წ**-იან ვარიანტს დღესაც იყენებენ საშუალო თაობის წარმომადგენლები, რომლებიც, ძირითადად, მულახურ კილოკავზე მეტყველებენ. ბ) კოდორის ხეობის ბალსზემოურ მეტყველებაში დადასტურდა სტატიკური ზმნის **მ-ე-ყ-ა** („მყავს“) ვარიანტიც, რომელიც ძალზე იშვიათად გამოიყენება (1939 წლის პუბლიკაციაში, სადაც თითქმის საუკუნის წინანდელი ზემოსვანურია წარმოდგენილი, ის მხოლოდ ხუთჯერ შეგვხვდა). ამის შესახებ არაფერია ნათქვამი „სვანურ ზმნაში“; სადაც საგანგებოდაა განხილული **მ-ა-ყ-ა** („მყავს“) ზმნა. **ლი-ყ-ენ-ე** („ყოლა“) მიუთითებს იმაზე, რომ პირიანი ფორმის აუსლაუტის **-ა** (რომელიც ჩვენ სტატიკურობის მორფემა გვგონია), აქ არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (***ლი-ყ-ე-გნ-ე**), **-ენ** სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძე მარტივად (კომბინატორულად) შეიძლება აიხსნას (**-ენ- \leftarrow ე+ გნ**). რაც შეეხება **მ-ე-ყ-ა** ფორმის თავკიდურ ხმოვანს, ის ჩვეულებრივია მყოფადსა (**მ-ე-ყ-ენ-ი** „მეყოლება“) და პირობითში (**მ-ე-ყ-წნ-ოლ** „მეყოლებოდა“).

ჯერ კიდევ 1970 წელს მაქსიმე ქალდანი აღნიშნავდა: „სვანური ენის ორი დიალექტის — ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის — შერევის შედეგად მიღებული თავისებურებანი, რომელთაც კოდორის ხეობის სვანურში ვხვდებით, განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ თაობის მეტყველებისათვის, რომელიც დაბადებული და აღზრდილია აქ, კოდორის ხეობაში. მაგ., ჩხალთასა და აჯარაში მცხოვრები ბალსზემოური წარმოშობის ახალგაზრდობა თითქმის ისე მეტყველებს, როგორც ბალსქვემოური წარმოშობის აქაურივე მცხოვრებლები. უფროსი თაობის მეტყველებაში ასეთი მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა. ამ თა-

ობას ბალსწემოური ჯერხობით რიგიანად შემოუნახავს ამ სოფლებშიც, თუმცა აქაური მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბალსქვემოური წარმომავლობისაა“.

ცნობილია, რომ სვანური ენის დიალექტთა სადემარკაციო საფუძველია სამი ფონეტიკური მოვლენა: ხმოვანთა სიგრძე, უმოლაუტი, რედუქცია. სიგრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირება შეინიშნება მხოლოდ ორ დიალექტში (ბალსწემოურსა და ლაშხურში), რაც შეეხება გარდამავალ ჩოლოურულ კილოკავს, გრძელი ხმოვნები ლაშხური დიალექტის მეზობელი ზემოჩოლოურული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი (შანიძე, 1925; თოფურია, 1965). დაახლოებით იგივე ვითარება უნდა იყოს კოდორის ხეობის იმ სოფლების (მაგ. ტიშის) მეტყველებაშიც, სადაც ბალსწემოური და ბალსქვემოური წარმომავლობის მოსახლეობა ერთად ცხოვრობს, თანაც ისე, რომ პირველი სჭარბობენ უკანასკნელებს. ისტორიულად ეცერის, ჩუბენევისა და ფარის მცხოვრებთა შთამომავალი კოდორელი ახალგაზრდობა უკვე გრძელ ხმოვნებს წარმოთქვამს (ლოლმაქ „ცხვარი“, მალ „მელა“ ყარ „ყავარი“, დან „დევი“, ქანად „გავიდა“, ათანან „გაუდგენ“, სგანად „შემოვიდა“, ...), თანაც მეტწილად მორფემათა ზღვარზე ან ერთი მორფემის ფარგლებშიც, ოღონდ დაკარგული თანხმონის საკომპენსაციოდ ან კომბინატორულად (ორი ხმოვნის შეერთების შედეგად). ამ მხრივ ყურადსაღებია სოფელ გვანდრიდან აჯარაში გათხოვილი თამარ გერლიანისა და სოფელ აჯარიდან ომარიშალიში გათხოვილი აფხაზი მედეა არჯანიას სვანური მეტყველება. მათი მეუღლეები ბალსწემოელთა მემკვიდრეები არიან, მაგრამ იმის გამო, რომ პირველი მათგანი იმ სოფლიდანაა, სადაც უმრავლესობა ბალსქვემოელთა შთამომავალია, ხოლო მედეა არჯანია გაზრდილია ბალსქვემოელი ბებისა და დედის მიერ, ბუნებრივია, რომ ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ კოდორულ მეტყველებასთან, რომლის წინაპარია სვანური ენის ბალსწემოური დიალექტი. მიუხედავად ამისა, ორივე მთქმელის მეტყველებაში მაინც შეიმჩნევა გრძელი ხმოვნები (თუმცა, რასაკვირველია, არა ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში), რადგანაც მათ ქმარ-შვილი ბალსწემოელთა მემკვიდრეები ჰყავთ:

მიი (მოსალოდნელი იყო **მიი**) **ამყალინდა** (<ამყალინდა ი) **ქ'ონგერინ** (მოსალოდნელი იყო **ქ'ონგერინ** < **ქ'ანგერინ** < **ქა-ა-ხუ-გერ-ინ** < **ქა-ათ-ხუ-გერ-ინ** < **ქა-ად-ხუ-გერ-ინ**) **ბოფშარ** — „მეც შემეშინდა და მეც გამოვიყვანე ბავშვები“.

განსახილველი ფონოლოგიური მოვლენა აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი ექსპერიმენტული ფონეტიკის აპარატურის მოხმობით (მხოლოდ ვიდეო-აუდიო აპარატურა საქმარისი არ არის!)

ვფიქრობთ, როცა მთლიანად შევისწავლით კოდორის (**resp.**დალის) ხეობის სოფლებს ინტერფერენციული თვალსაზრისით, სურათი უფრო ნათელი იქნება და, ამასთანავე, ჩოლოურული მეტყველების მსგავსი. გარდა ამისა, რაკი ჩვენ თვალწინ, ძირითადად, კოდორელი ბალსწემოური წარმომავლობის ახალგაზრდობა სწორედ კომპენსატორულსა და კომბინატორულ სიგრძეს მიმართავს, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, ალბათ, რომ სვანურ ენაში ხმოვანთა სიგრძე ისტორიულადაც გარკვეული პოზიციით იყო შეპირობებული თითქმის ყოველთვის, ოღონდ დიაქრონიული ვითარება დღეს ჩვენთვის ყველა შემთხვევაში ნათელი არ არის. არის თუ არა კოდორის ხეობის მოსახლეობის ინტერფერენციურებული მეტყველება სვანური ენის ცალკე დიალექტი, ეს ისევე, როგორც ჩოლოურულის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხოლოდ დეტალური და გამოწვლილვითი შესწავლის საფუძველზე არა მარტო ფონეტიკა-ფონოლოგიის, არამედ გრამატიკისა და ლექსიკის თვალსაზრისით.

ამრიგად, კოდორის ხეობის თქვესმეტი სოფლიდან ინტერფერენციული მოვლენები ახასიათებს მხოლოდ ხუთი სოფლის (**ომარიშალი, გენწვიში, აჯარა,**

ხუტია, ტიში) მოსახლეობის მეტყველებას, რადგანაც აქ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებზე მოლაპარაკე ხალხი ერთად ცხოვრობს.

სხვადასხვა დიალექტთა ინტერფერენციები შენიშნულია სვანური ენის გარდამავალ კილოკავებში (უშგულური, ლატალური, ბეჩოური, ლახამულური, ჩოლურული), ხოლო, რაც შეეხება **ქართულ-სვანურ ინტერფერენციებს**, ის მეტნაკლებად მთელ სვანურშია გავრცელებული, განსაკუთრებით კი ქართული ენის საკომუნიკაციო ფუნქციონირების მეზობელ ტერიტორიებში (ლენტეხი, ლაშხეთი). „მთქმელები კომუნიკაციის პროცესში გაუცნობიერებლად ანიჭებენ უპირატესობას არა მშობლიურ, არამე დომინანტურ ენას, რაც მათი ენის ჩანაცვლებას იწვევს დომინანტური ენის სასარგებლოდ“ (Gippert, 2006, 95)⁵.

ორივე სახის ინტერფერენცია, ძირითადად, დამახასიათებელია კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში მცხოვრები ახაგაზრდობისა და საშუალო თაობისათვის, უფროსები კი მეტნაკლებად იცავენ არქაულ ლექსიკასა თუ გრამატიკულ ფორმებს.

მაშასადამე, სვანურის მონაცემები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმას, რომ ენაში ერთმანეთის გვერდით შეიძლება თანაარსებობდნენ არქაული და ინოვაციური მოვლენები, რომლებიც ეყრდნობიან ექსტრალინგვისტურ საფუძვლებს.

ლიტერატურა

გასვიანი 1990 — გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბილისი 1990.

გაბლიანი 1925 — ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი 1925.

დავითიანი 1973 — ალ. დავითიანი, სვანური ანდაზები, თბილისი 1973.

თოფურია 1965 — ვ. თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით, თსუ შრომები, 114, თბილისი 1965.

ინგოროყვა 1941 — პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ. 1941.

მაჭავარიანი 1985 — გ. მაჭავარიანი, ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში, იკე, XXII, თბილისი 1985.

სვ. ქრესტ., — სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი 1978.

სვან. პროზ. ტ., 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბილისი 1939.

სვან. პროზ. ტ., 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი 1957.

სვ. პოეზ., 1939 — სვანური პოეზია, I, თბილისი 1939.

სილოგავა 1986 — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 1986, II, თბილისი 1988.

სილოგავა 1988 — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბილისი 1988.

ქალდანი 1970 — მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVII, თბილისი 1970.

ქალდანი 1999 — მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის, „აფხაზეთის მოამბე“, №2, თბილისი 1999.

შანიძე 1925 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, ტფილისი 1925.

⁵ ტერმინი „მშობლიური“ აქ ე. წ. „აკვნის ენას“ (ა. შანიძე), ოჯახში სახმარ ენას გულისხმობს (დავითიანი, 1973, 3), ხოლო „დომინანტური“ — სახელმწიფო ენას.

შარაძენიძე 1978 — თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX–X, თბილისი 1978.

ჭარაია 1897 — პ. ჭარაია, მიწათმფლობელობა აფხაზეთში, „კვალი“, №13, 1897.

ხორავა 2004 — ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, თბილისი 2004.

ჯანაშია 1959 — ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი 1959.

Анчабадзе 1976 — Анчабадзе З. Б., Очерки этнической истории абхазского народа, Сухуми 1976.

Анчабадзе 1964 — Анчабадзе З. Б., История и культура древней абхазии, Москва 1964.

Инал-ипа 1976 — Инал-ипа Ш. Д., Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми 1976.

Меликишвили 1959 — Меликишвили Г.А., К истории Древней Грузии, Тбилиси 1959.

Пахомов 1953 — Пахомов А., Записка об именах князя Георгия Шервашидзе, „საისტორიო მოამბე“, №7, თბილისი 1953.

СПОМК 1894 — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XVIII, Тифлис 1894.

Boeder 2002 — W. Boeder, Speech and thought Representation in the Kartvelian Languages, Typological Studies in Language, 52, Amsterdam/ Philadelphia 2002.

Gippert 2006 — J. Gippert, Language Endangerment in the Caucasus A case Stung from Georgia, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, I, ბათუმი 2006-2007.

Iza Chantladze

Interferential Phenomena in Svan of the Kodori (resp.Dali) Valley

Summary

The work presented in the article is carried out in the frame of international project ECLinG. Interferential phenomena are observed in vocabulary, morphology, phonetics and phonology. They are stated in 5 villages of Kodori (Omarishali, Genc'visi, Azhara, Khutia, Tishi), where the representatives of the Upper Bal and Lower Bal dialects are living side by side. The problem whether the speech of the inhabitants of the Kodori valley is to be regarded as a separate dialect must be settled on the basis of detailed study, which is intended to be carried out in next years.

ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიჟებების ლინგვისტური და კულტურული თავისებურებების შესახებ

ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიჟებები მთლიანი საქორწილო რიტუალის განუყოფელი ნაწილია. მათი როლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი შეიცავენ ინფორმაციას საქორწილო პროცედურების ფორმისა და მსვლელობის შესახებ. მოცემულ სტატიაში განვიხილავთ თანამედროვე ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიჟებების ლინგვისტურ და კულტურულ თავისებურებებს და იმ როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ სტუმარსა და მასპინძელს შორის ურთიერთობებში.

ქორწილი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის სოციალური მოვლენა, ეტიკეტის ნორმების დაცვით არის ორგანიზებული და ეს პროცესი იწყება საქორწილო მიპატიჟებით, რაც მომავალი ღონისძიების პირველი მაჩვენებელია. ეტიკეტის მიხედვით, ინგლისური საქორწილო მიპატიჟებები, როგორც წესი, ქორწილამდე რვა კვირით ადრე უნდა გაეგზავნოს ადრესატს და არავითარ შემთხვევაში ექვს კვირაზე ნაკლებ დარჩენილ დროში. დროის ეს პერიოდი აძლევს სტუმრებს შესაძლებლობას, დაგეგმონ თავიანთი დრო და მოგზაურობა. უფრო მეტიც, საქორწილო მიპატიჟება ინგლისში ფოსტით უნდა იქნეს გაგზავნილი და არა პირადად მიწოდებული ან ტელეფონით შეტყობინებული. ტრადიციულად, ინგლისში ქორწილს პატარძლის მშობლები იხდიან, მიპატიჟებებს პატარძლის დედა აგზავნის. ამჟამად კი ახალდაქორწინებული წყვილები ხშირად საკუთარი დაფინანსებით აწყობენ ქორწილს და ეს ფაქტი ნათლად არის აღბეჭდილი გაგზავნილ საქორწილო მიპატიჟებაში. ქართული მიპატიჟებების შემთხვევაში, მათი ფორმა უმეტესად ზეპირ ხასიათს ატარებს ისევე, როგორც დეტალები ქორწილის შესახებ, რომლებსაც სტუმრებს პირადად ან ტელეფონით ატყობინებენ.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი მიპატიჟება განუყრელად დაკავშირებულია „სახის“ (face) ცნებასთან. თავაზიანობის თეორიაში „სახე“ განიხილება როგორც თითოეული ინდივიდის პატივისცემის გრძობა საკუთარი თავისა და იმიჯისადმი; ეს იმიჯი შეიძლება შეილახოს, შენარჩუნდეს ან გაძლიერდეს სხვა ადამიანებთან კონტაქტის დროს (ბრაუნი, ლევენსონი 1987, 61).

სახეს ორი ასპექტი აქვს: „დადებითი“ და „უარყოფითი“. დადებითი სახე გამოხატავს ინდივიდის სურვილს იყოს მოწონებული და დაფასებული სხვა ადამიანების მიერ. უარყოფითი სახე გამოიხატება ინდივიდის სურვილში არ განიცდიდეს სხვების ზეგავლენას, შენარჩუნდეს გარკვეული დისტანცია მასსა და სხვა ადამიანებს შორის და ჰქონდეს არჩევანისა და თავისუფალი მოქმედების უფლება. ამავე დროს, ბირთვი იმისა, რასაც ბრაუნი და ლევენსონი „თავაზიანობას“ უწოდებენ არის დადებითი (positive) და უარყოფითი (negative) თავაზიანობა. დადებითი თავაზიანობა მიმართულია ადამიანის პოზიტიური სახისადმი, ხოლო უარყოფითი თავაზიანობა – უარყოფითი სახისადმი. ამრიგად, ოფიციალურ საქორწილო მიპატიჟებებში გამოყენებულია უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგია, რომელიც მიუთითებს სტუმარსა და მასპინძელს შორის არსებულ დისტანციაზე, მაშინ

როდესაც არაოფიციალური მიპატიჟებები გამოხატავენ მეგობრულ დამოკიდებულებას ადამიანებს შორის და დადებითი თავაზიანობის მაგალითებს წარმოადგენს.

ინგლისური საქორწილო მიპატიჟებები შეიძლება ოფიციალური და არაოფიციალური ხასიათის იყოს. თითოეული მათგანი ამცნობს სტუმარს ქორწილის თარიღს, დღესა და ადგილს. რაც უფრო ოფიციალურია ქორწილი, მით უფრო მკაცრად არის ეტიკეტის წესები დაცული მიპატიჟებაში. ზოგადად, თითოეული საქორწილო მიწვევა გამოხატავს მომავალი ქორწილის სტილსა და ფორმას, მაგალითად, ხელნაწერი მიპატიჟებები პატარა ქორწილისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ, თუ დიდი ღონისძიება იგეგმება და მიპატიჟებები ხელნაწერია, ეს მეტყველებს მასპინძელსა და მოწვეულ ადამიანს შორის არაოფიციალურ ურთიერთობაზე. ოფიციალური ინგლისური მიწვევა შეიცავს დაბეჭდილ ინფორმაციას მოვლენის შესახებ, მაგრამ სტუმრების სახელები აუცილებლად ხელით იქნება ჩაწერილი, რათა თითოეული მიპატიჟების მიმართ პირადი შეხების შთაბეჭდილება შეიქმნას. ინგლისური საქორწილო მიწვევის ტრადიციული ფორმა შემდეგ სახეს ატარებს:

*Mr and Mrs J Alters
request the pleasure
of your company at the marriage
of their daughter
Karyn
to
Mr Brian Johnson
at St Peters's Church
Shaldon
on Saturday 16 September 2006
at 1 pm
and afterwards at
the Grand hotel
Teignmouth*

*RSVP
5 The Parade
Exmouth
EX1 1RS*

მოცემული საქორწილო მიპატიჟების პირველი სტრიქონი მიუთითებს იმაზე, რომ მასპინძლები "Mr and Mrs Alters"-ები არიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მიპატიჟებაში ერთი მეუღლის (ქმრის) სრული სახელი გამოიყენება, მაგ., "Mr and Mrs John Clement Baker". "Mr" და "Mrs" წოდება აცნობენ ადრესატს იმის შესახებ, რომ მიპატიჟება ოფიციალური ხასიათისაა ისევე, როგორც ნეფისადმი მიმართვის ფორმა "Mr Brian Johnson", რომელიც პატივისცემის გამომხატველია. ინგლისური საქორწილო მიპატიჟებები, ქართულისაგან განსხვავებით, ყოველთვის გამოხატავენ სტუმრებისა და მასპინძლების სოციალურ სტატუსს მიმართვისა და პატივისცემის

გამომხატველი ისეთი ფორმების მეშვეობით, როგორცაა Mr., Mrs., Doctor, Professor, Commander, Sir, Lady და სხვა, მაგ.,

"Commander and Mrs. Tim Honnor request the pleasure of...".

თუ პატარძლის მშობლები განქორწინებულები არიან და ერთად მასპინძლობენ ქორწილს, ეს ნათლად აისახება მიპატიჟების პირველ ნაწილში, რადგან მშობლების გვარები ცალ-ცალკე არის ნახსენები, მაგ.,

"Mr John Green and Mrs Sybil Green request the pleasure of...".

იმ შემთხვევაში, თუ განქორწინებული ან დაქვრივებული მშობელი მარტო მასპინძლობს შვილის ქორწილს, მიპატიჟების საწყისი ფორმა მაგალითად, ასეთია:

"Mrs Jason Foster requests the pleasure of..." და, რასაკვირველია, ასეთი სახის საქორწილო მიპატიჟებაში *"their daughter"* შეიცვლება *"her daughter"* ფორმით. განსხვავება განქორწინებულ და დაქვრივებულ მასპინძელს შორის ნათლად მჟღავნდება იმით, თუ რომელი საკუთარი სახელია გამოყენებული მიპატიჟებაში (Mrs Sybil Green და Mrs Jason Foster). მიპატიჟება დაქვრივებული მშობლისაგან შეიძლება ასეთიც იყოს, მაგ.:

(Name of the invitee)

*The pleasure of your company
is requested at the marriage of
Ann
daughter of Colonel Leslie R White and
the late Mrs Joan White...*

თუ პატარძლის მშობლები განქორწინებულები არიან, მაგრამ დედა არ დაქორწინდა ხელახლა, შემდეგი სახის მიპატიჟება შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგ.:

"Colonel Leslie R White and Joan White request the pleasure...".

იმ შემთხვევაში, თუ ქორწილს პატარძლის ხელახლა დაქორწინებული დედა და მამინაცვალი მასპინძლობენ, მიპატიჟება ასე ჟღერს:

*Mr and Mrs Stephen Howard
request the pleasure of your company
at the marriage of her daughter
Jane
to
Mr David Brown...*

აქ ძირითადი დატვირთვა მოდის ნაცვალსახელზე "her", რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ პატარძალი მხოლოდ ქალბატონი სტივენ ჰოვარდის შვილია.

თუ ქორწილს ნეფე-დედოფლის ორივე მშობელი მასპინძლობს, ოფიციალური მიპატიუება ასეთი სახის არის: *"Mr and Mrs John Green and Mr and Mrs Nicholas Brown request the pleasure..."* ან ის შეიძლება შემდეგი ტიპის იყოს:

*The Reedill and Baron families
request the pleasure of your company...*

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მიპატიუებები დაწერილია მრ. რიცხვის მე-3 პირში, მაგ., *"Mr and Mrs Green request..."*. უფრო მეტიც, დღევანდელ დღეს მიწვევაში უპირატესად გამოიყენება სიტყვა "pleasure" და არა "honour", როგორც მაგ.:

*Mr and Mrs Paul James Spencer
request the honour of your presence
at the marriage of their daughter
Julia Louise
to
Mr James Anthony Taylor
Saturday, the twenty-eighth of July
two thousand and one
at two o'clock
St Mary's Church
Lime Walk
Cublington, Warwickshire
and afterwards at
The Welcombe Hotel,
Stratford upon Avon*

*RSVP
The Lodge, Pine Hill
Wootton on the Worrel,
Cambs CB2 3XE*

განსხვავებული ტიპის ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში, რომელსაც „ღია ოფიციალურ მიპატიუებას“ უწოდებენ ("Open Invite Formal")¹, სტუმრების სახელს ხელით წერენ ნაცვალსახელის "your" ნაცვალად, მაგ.:

¹ <http://www.find-me-a-gift.co.uk/wedding/wedding-invitation-templates.asp> .

*Mr and Mrs John Burke
request the pleasure of the company of
.....
at the marriage of their daughter
Charlotte
to
Mr Andrew Notcutt
at St George's, Hanover Square
on Saturday 16th August 2003
at 3 o'clock
and afterwards at
The Lansdown Club, Mayfair*

*RSVP
Erskine House
Spaniards Road
Hampstead
London NW3 7JJ*

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ მიპატიჟებებს, რომლებიც შეიცავენ "the pleasure of the company of Mr and Mrs Green", „პერსონალიზირებულ ოფიციალურ მიპატიჟებებს“ ("Personalized Invite Formal")² უწოდებენ, მაშინ როდესაც მიპატიჟებები 'the pleasure of your company' ფორმით „გულთბილი ოფიციალური მიპატიჟებებია“ ("Cordial Invite Formal")³.

როგორც ვხედავთ ისეთი მიპატიჟება, როგორცაა, მაგ., "Mr and Mrs Green request the pleasure of the company of ..." (მაგ., Mr John Davies), "Mr" და "Mrs" მიმართვის ფორმებს შეიცავს. ამავე დროს, გარკვეული პროფესიის ადამიანების (მაგ., ექიმების, მოსამართლეების, ოფიცრების და ა.შ.) მიწვევისას, "Mr" და "Mrs" ნაცვლად მათი პროფესიური წოდებები გამოიყენება. ამ შემთხვევაში აბრევიატურები მიუღებელია და უნდა დაიწეროს სრული სიტყვა, როგორცაა, მაგ., Doctor და Colonel.

ტრადიციული "request the pleasure" ან "request the honour" ფრაზების გარდა, ინგლისური მიპატიჟებების ისეთი ფორმებიც შემხვდა, როგორცაა, მაგ.:

*Sir Mervyn & Lady Dunnington-Jefferson
and
Mr and Mrs Charles Polito
invite you to Buffet Lunch
to celebrate the marriage of...*

ან

² <http://www.find-me-a-gift.co.uk/wedding/wedding-invitation-templates.asp> .

³ იქვე.

*Dr & Mrs Simon Ramsbotham
have pleasure in inviting
.....
to the marriage of their daughter
Elizabeth Sarah
to
Simon William Ormsby Coningsby
at All Saints Church
Kings Heath, Birmingham
on Saturday 22nd February 2003
at 12.30
and afterwards at
The Birmingham Botanical Gardens*

*RSVP
36 Bensham Lane
Crydon
Surrey
CR0 2RQ*

თუ ქორწილს არა მშობელი, არამედ სხვა ნათესავი მასპინძლობს, მოცემული ფაქტი ნათლად იქნება ასახული მოწვევაში, მაგ.:

*Mr & Mrs Edward Wilson
request the pleasure of the
company of
.....
at the marriage of their niece
Jane
to
Mr David Brown...*

საერთოდ, თუ პატარძლის მშობლები ქორწილს მასპინძლობენ და მათი სახელები უკვე ნახსენებია მოსაწვევი ბარათის პირველ სტრიქონში, მაშინ არ არის აუცილებელი დედოფლის გვარის დართვა, რადგან მხოლოდ სახელი საკმარისია, მაგ., Elizabeth Sarah. თუ დედოფლის გვარი არ არის იგივე, რაც მისი მშობლების, ან მისი მშობლების ნაცვლად სხვა ადამიანებია ნახსენები მოსაწვევში, მაშინ პატარძლის გვარიც უნდა იყოს მითითებული სახელთან ერთად, მაგ., Mary Jane Walker.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ტრადიციულად ინგლისში ქორწილს პატარძლის მშობლები აწყობენ და, ამ შემთხვევაში, სიძის სახელი, მისი წოდების (ტიტულის) ჩათვლით, როგორც წესი, მოცემულია მიპატიუებაში, როგორც მაგ., Mr William Steven Smith.

რადგან დღევანდელ დღეს ხშირად თავად წყვილები მასპინძლობენ ქორწილს, მათ ოფიციალურ მიწვევას შესაძლოა ასეთი სახე ჰქონდეს:

*Jane Green and David Brown
request the pleasure of the company of
.....
at their marriage*

აქ ნათლად ჩანს, რომ ნეფე-დედოფლის სახელებს არ ახლავს მათი
წოდებები, რასაც ეტიკეტი ითხოვს, როგორც მაგალითად ამ მიპატიუებაში:

*Miss Karyn Alters and
Mr Brian Johnson
request the pleasure of your company
at their marriage
at the Cathedral Church of St. Peter's
Exeter
on Saturday 16th September 2006
at 12 noon
and afterwards at
The Clarence Hotel
Exeter*

*RSVP 20 June
5 The Parade
Exmouth
EX8 1RS*

თუ წყვილი თვითონ მასპინძლობს ქორწილს, მაგრამ მათ აგრეთვე
სურთ პატივისცემა გამოხატონ მშობლების მიმართ, მათი მოწვევა ასეთია:

*Elizabeth Mary Evans
Daughter of Mr and Mrs Robert Evans
and
Mr William Earl Walker
Son of Mr and Mrs Kent Walker
request the honour of your
presence
at their marriage
on Sunday, the fifth of June
two thousand and five
at one o'clock
Trinity Church
14 Baker Street London*

„საქორწილო მიპატიჟებების სხვადასხვა სახეობის“ (Various Lines of Wedding Invitations) მიხედვით,⁴ თუ საქორწილო ცერემონია არ იმართება ეკლესიაში, მაშინ ფრაზა "honour of your presence" უნდა შეიცვალოს "pleasure of your company", მაგ.:

*Mr and Mrs J Alters
request the pleasure of
your company at the marriage of their daughter
Karyn
to
Mr Brian Johnson
at
Exmouth Town Hall
on Saturday 16th September 2006
at 1.30 pm
and afterwards at the Royal Beacon Hotel*

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ წესს მკაცრად იცავენ ინგლისურ მიპატიჟებებში, რადგან "pleasure of your company" და არა "honour of your presence" ხშირად გამოიყენება ისეთ მიწვევაშიც, სადაც მოცემულია ინფორმაცია საქორწილო ცერემონიის შესახებ.

ჩვეულებისამებრ საქორწილო მიპატიჟებაში შერწყმულია ინფორმაცია საქორწილო ცერემონიისა და შემდგომში გამართული მიღების შესახებ, მაგრამ შესაძლებელია ასეთი ერთი მოწვევის ნაცვლად ორი დაიწეროს, სადაც ერთი ცერემონიაზე ეპატიჟება სტუმარს, ხოლო მეორე მიღებაზე, მაგ.:

*Mr and Mrs J S White
request the pleasure of the company of
.....
at an evening reception
at the Royal Hotel, The Mall
Anytown
at 7 pm
to celebrate the marriage of their daughter
Susan
with
Mr George Black
on 30th April 2005*

*12 Fir Tree Lane
Anytown
01888 888888*

RSVP

არსებობს სხვადასხვა მიზეზი იმისა, თუ რატომ იგზავნება ზოგიერთი საქორწილო მიპატიჟება ცალ-ცალკე. შესაძლებელია, წყვილს ურჩევნია

⁴ <http://www.hitched.co.uk/stationery.article6.asp> .

მოკრძალებული ქორწილის გადახდა, მხოლოდ ოჯახის წევრებისა და ახლობლების წრეში, ან ეკლესიაში, სადაც ადგილის სიმცირის გამო, ცერემონიას შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ადამიანი ესწრებოდეს. მაგრამ ისიც შეიძლება იყოს, რომ მასპინძლებს სურთ უფრო მეტი სტუმარი საღამოს მიღებაზე დაპატიჟონ, ვიდრე საქორწილო საუზმეზე, რაც, ასევე, ქართული ქორწილისაგან განსხვავებით, სავსებით მისაღებია ინგლისში. ნებისმიერ შემთხვევაში, მიპატიჟებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული სად, როდის და რომელ საათზეა დაპატიჟებული სტუმარი. იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი სტუმარს კონკრეტულ საქორწილო ღონისძიებაზე (საქორწილო ცერემონიაზე, საუზმეზე ან საღამოს მიღებაზე) პატიჟებს, ის ხშირად მიმართავს ახსნა-განმარტებებს მიწვევაშივე და ცდილობს დამაჯერებელი მიზეზები მოიყვანოს იმისა, თუ რატომ ვერ შეძლებს სტუმარი მთლიან მოვლენაზე დასწრებას, მაგ.:

*Mr John Green and Mrs Sybil Green
request the pleasure of the company of
.....
at the reception to celebrate the marriage
of their daughter
Jane
to
Mr David Brown
to be held at
The Beacon Hotel, Sidley Street, Gloucester*

*Owing to the small size of the Church only immediate family
can be invited to the ceremony. We hope you will understand.*

*RSVP
By 30 May 1999
23 Willow Road
Gloucester
Tel: Tel: 01452 123111*

როგორც ვხედავთ, ინგლისური საქორწილო მიპატიჟებების უმეტესობა შეიცავს ზმნა "request" (Mr. and Mrs. J S White *request the pleasure...*) და ნაკლებად ხშირად ზმნა "invite"-ს (Mr. and Mrs. J S White *invite you...*). მოცემული საქორწილო მიპატიჟებები განვიხილვე სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. სერლი (სერლი, 1979) ზმნა 'invite'-ს განსაზღვრავს როგორც დირექტივების კლასის ერთ-ერთ მაგალითს, რომლის ილოკუციური დანიშნულებაა, შეასრულებინოს მსმენელს გარკვეული მოქმედება. ამავე დროს, ოფიციალური მიპატიჟებები ხშირად სწორედ თხოვნის (requesting) ფორმითაა გამოხატული, მაგ., "Mr and Mrs Smith *request the pleasure of your company...*". ბრაუნი და ლევისონი განიხილავენ რექვესტივებს, როგორც მსმენელის სახის შელახვის აქტებს და ამას შემდეგი ახსნა აქვს: რექვესტივები (ისევე, როგორც დირექტივები) ვარაუდობენ ან:

ა. აღრესატის მომავალ ქმედებას, რითაც განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენენ მასზე გარკვეული ქმედების შესასრულებლად ან ამ მოქმედებისაგან

თავის შესაკავებლად და ამით ამ ადრესატის ქმედების თავისუფლებას ზღუდავენ.

ბ. მოლაპარაკის მომავალ ქმედებას და ამით გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადრესატზე, რათა მან მიიღოს ან უარყოს ის, რაც იწვევს პასუხისმგებლობას შესრულებული ქმედების მიმართ (თსუი, 1994, 103).

მ. გაისი (გაისი 1995, 103-104) განიხილავს მიპატიჟებებს როგორც პატივისცემის გამოხატვის საშუალებებს რესპონდენტების პოზიტიური სახისადმი. ჩემი აზრით, მიპატიჟება მიზნად ისახავს ადრესატსა და ადრესანტს შორის უფრო ახლო და თბილი ურთიერთობების დამყარებას და მიწვეულ ადამიანთან ურთიერთობის დაფასებას და მისი გაღრმავების სურვილს, რაც მათი პოზიტიური სახისადმი არის მიმართული.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება ოფიციალურ ინგლისურ მიპატიჟებებში, არის ბავშვების საკითხი. როგორც ცნობილია, მიწვევის სწორი ფორმა და შინაარსი ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს გაუგებრობა და უსიამოვნო სიტუაცია მასპინძელსა და სტუმარს შორის. ინგლისში, თუ ბავშვებს იწვევენ ქორწილში, მათი სახელები აუცილებლად იქნება ჩამოთვლილი მიწვევაში ასაკის მიხედვით – უფროსიდან უმცროსამდე, მათ კი, ვინც 18 წლის ან მეტის არის, ან ცალკე მოსაწვევს უგზავნიან (მაშინაც კი, თუ ისინი ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობენ), ან ცალკე ახსენებენ მშობლების მიპატიჟებაში, მაგ.:

"Mr and Mrs John Smith

Ms. Melissa Smith"

თუ მოწვეულებს 18 წელი არ შესრულებიათ, მათი სახელები მოცემულია მათი მშობლების სახელების შემდეგ მოსაწვევის შიდა კონვერტში, მაგ.:

"Mr and Mrs Smith

Sue, Bret and Mike"

იმ შემთხვევაში, თუ მარტოხელა ადამიანია დაპატიჟებული მას ზოგჯერ სთხოვენ სტუმართან ერთად მობრძანდეს წვეულებაზე და ეს აგრეთვე მოსაწვევის შიდა კონვერტშია ჩაწერილი, მაგ.:

"Mr Jurgen and Guest"

ყველა ინგლისური ოფიციალური მოწვევა შეიცავს RSVP (répondez s'il vous plaît) აბრევიატურას, რომელიც ითხოვს პასუხს სტუმრისაგან როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. ეტიკეტის წესების თანახმად, სტუმარმა მიწვევაზე პასუხი მაქსიმალურად სწრაფად უნდა შეატყობინოს მასპინძელს, სასურველია მიპატიჟების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში. RSVP აბრევიატურა აუცილებელია, რათა მასპინძელმა იცოდეს წინასწარ, თუ რამდენ სტუმარს უნდა ელოდოს განსაკუთრებით წვეულებაზე. დღევანდელ დღეს ზოგი მიპატიჟება შეიცავს ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს, ღონისძიების ადგილის მისამართის ქვეშ, რაც ემსახურება მოწვევაზე პასუხის მიღების დაჩქარებას.

გარდა ამისა, RSVP აბრევიატურის შემდგომ არის მოცემული თარიღი, რომლისთვისაც სტუმარმა უნდა მიაწოდოს თავისი პასუხი მასპინძელს. თუმცა, ინგლისში ეს აბრევიატურა ყოველთვის არ არის გამოსადეგი მასპინძლისათვის. ჩ. მოსლის თანახმად (მოსლი, 1994, 85), „სამწუხაროდ, მასზე იშვიათად პასუხობენ, უმეტესად იმის გამო, რომ ის იმდენად ხშირად არის დართული, რომ ბევრმა უსაქმურმა მიმღებმა ჩათვალა, რომ ის ისეთივე

უაზროა, როგორც წყლის წვეთი საწერ ქაღალდზე (უფრო მეტიც, ძველი ხუმრობის მიხედვით ის განიხილება როგორც "Remember Send Vedding Presents" („არ დაგავიწყდეს საქორწილო საჩუქრების გამოგზავნა“). მოსლი ამტკიცებს, რომ ზოგი მასპინძელი მხოლოდ იმ პასუხებითაც კმაყოფილება, რომლებიც წვეულებაზე დასწრების შეუძლებლობაზე ატყობინებენ და მიპატიჟებას დაურთავენ "regrets only" (მხოლოდ უარყოფითი პასუხის დროს), რაც სტუმრისაგან პასუხის გაგზავნას ითხოვს მხოლოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ავტორი ურჩევს მასპინძლებს დაურთონ მიწვევას წინასწარ გადახდილი და მათი მისამართით აღჭურვილი კონვერტი სპეციალური ბარათით, სადაც შემდეგი სიტყვები იქნება დაბეჭდილი: "I can/cannot attend your dinner party on the...at...o'clock". ინგლისურისაგან განსხვავებით, ქართული საქორწილო მიპატიჟებები არ შეიცავენ RSVP მსგავს აბრევიატურას. ბევრი ქართული ოფიციალური მიპატიჟება პირადად ან ტელეფონით ითქმის, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, ზოგიერთ შემთხვევაში, ზეპირ მიპატიჟებას ქორწილში წერილობითი მიწვევაც მოსდევს. ქართული ოფიციალური ზეპირი მიწვევა, მაგალითად, ასეთია:

„ბატონო გიორგი, გეპატიჟებით თქვენ და ქალბატონ თამარს ჩვენი მარიამის ქორწილში, 16 ივნისს 4 საათზე, რესტორან „ბერიკონში“. ძალიან გავვიხარებ, თუ მობრძანდებით“.

ოფიციალური წერილობითი მიპატიჟება კი შემდეგის სახისაა:

ბატონ ირაკლი თავართქილაძეს

გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენი შვილების
ნათიასა და ზურაბის ქორწილში,
რომელიც შედგება ა/წ 14 სექტემბერს, 16 საათზე
რესტორან „თეთრ“ სახლში“.

პატივისცემით,
ნუნუ და ჯემალ ხუნწარიები

სავულისხმოა, რომ, თუ მიპატიჟების ადრესატს აკადემიური თანამდებობა აქვს, ეს ფაქტი არ არის აღნიშნული ქართულ საქორწილო მიწვევაში, რადგან არა მხოლოდ მიპატიჟებებში, არამედ ზოგადად ოფიციალური მიმართვისასაც თანამედროვე ქართულში ძირითადად გამოიყენება მხოლოდ „ბატონო“-ს და „ქალბატონო“-ს მიმართვის ფორმები და არა ამ ადამიანის პროფესიული წოდებები, რაც ძალიან განსხვავდება ინგლისური მიპატიჟებების ფორმებისაგან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისური მიმართვის ფორმებისაგან განსხვავებით (მაგ., Mr. Jones, Mrs. Thomas), ქართული ფორმები იყენებენ ან სტუმრის სახელს (მაგ., ბატონო გიორგი, ქალბატონო ლალი) ან სახელსა და გვარს (მაგ., დავით კობახიძე, ანა კუბლაშვილი). ქართული საქორწილო მიპატიჟებები აგრეთვე არ განსხვავდება მასპინძლების ოჯახური სტატუსის მიხედვით. ინგლისურ საქორწილო მიპატიჟებებში კი, პირიქით, ის ისეთი ლინგვისტური საშუალებით არის გამოხატული, როგორცაა მაგ., მიმართვის ფორმები და საკუთარი სახელები.

აღსანიშნავია, რომ ჩემ მიერ განხილული ქართული მიპატიუებების უმეტესობაში ნეფე-პატარძალი მასპინძლების მიერ „შვილებად“ მოიხსენიებიან, რაც დადებითი თავაზიანობის აშკარა მაგალითია. უნდა ითქვას, რომ ჩემი ინგლისელი ინფორმანტებისათვის ასეთი სახის მიმართვა ნეფე-დელოფლისადმი უცნაური და გაუგებარი იყო ისევე, როგორც ქართველი ინფორმანტებისთვის ინგლისური მიწვევა, რომელიც მრ. რიცხვის მესამე პირში არის დაწერილი და დისტანციის და დიდი ოფიციალურობის შეგრძნებას ტოვებს. აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისურ მიწვევაში ბევრი საშუალება არსებობს იმისა, რათა ადამიანებს შორის ახლო ურთერთობები მკაფიოდ წარმოჩნდეს, მაგრამ ეს არაოფიციალურ საქორწილო მიწვევებს ეხება, სადაც არ გამოიყენება მასპინძლის, სიძის და სტუმრის ტიტული; ოფიციალური ქორწილის დროს კი ყველა წესი და, რასაკვირველია, მიპატიუების ფორმა მკაცრად დაცულია. მიუხედავად ამისა, ის დისტანცია, რომელიც ვლინდება ინგლისურ მოწვევაში მაინც რჩება, რადგან მიპატიუების სტილი, ანუ მრ. რიცხვის მე-3 პირი გამოიყენება როგორც ოფიციალურ ისე არაოფიციალურ მიპატიუებაში. ქართული საქორწილო მიპატიუებები, ინგლისურისაგან განსხვავებით, იწერება მრავლობითი რიცხვის I პირში ((ჩვენ) გიწვევთ ჩვენი შვილების ქორწილში), რაც ამცირებს სოციალურ დისტანციას სტუმარსა და მასპინძელს შორის, მაგრამ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ასეთი სახის მიპატიუებაც შემხვედრია:

ბატონ თემურს და ქალბატონ ეთერს
7 მაისს 5 საათზე
ანა და ვახო
გეპატიუებათ საქორწილო დღესასწაულზე.

გთხოვთ გვეწვიოთ
რესტორან „ნაძებში“.

როგორც ვხედავთ, მოცემული მოსაწვევი საინტერესოა იმით, რომ მასში შერწყმულია, როგორც მრავლობითი რიცხვის მე-3 პირი (ანა და ვახო გეპატიუებათ საქორწილო დღესასწაულზე), ასევე, მრ. რიცხვის I პირი (გთხოვთ გვეწვიოთ რესტორან „ნაძებში“), რის შედეგადაც ეს მოწვევა განსხვავდება იმ მიწვევებისაგან, რომლებიც მე უმეტესად შემხვედრია. არის ქართული მიპატიუების ისეთი ფორმაც, სადაც სახელების გარდა სტუმრების გვარებიც არის მოცემული, მაგ.:

ბატონ/ქალბატონ კობა ბერიკაშვილსა
და ნანა მაისურაძეს

გთხოვთ მობრძანდეთ
ლიკასა და გიორგის ქორწილში,
2005 წლის 18 იანვარს 16.00 საათზე
რესტორან „იმერეთში“.
მაგიდა № 7

როგორც მოცემული მოწვევიდან ჩანს, ნეფე-პატარძალი არ არის ნახსენები, როგორც „ჩვენი შვილები“, არამედ აღნიშნულია მხოლოდ მათი სახელები, რაც ქართული მიპატიჟების მეორე, თუმცა ნაკლებად გავრცელებულ, წერილობით ვარიანტს წარმოადგენს.

საქართველოში ცოლ-ქმრის დაპატიჟების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა კი ასეთია: „ბატონ დავით კეკელიძეს (მეუღლითურთ)“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისში შეუძლებელია ქორწილში მხოლოდ ერთი მეუღლის დაპატიჟება, მაშინ როდესაც ეს დასაშვებია საქართველოში, მაგ.:

ქალბატონ მაია გიგინეიშვილს,
გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენს ქორწილში,
რომელიც გაიმართება 2002 წლის 28 აპრილს 16 საათზე
რესტორან „იმერეთში“.
პატივისცემით, დათო და სოფიკო

როგორც მოცემული მიპატიჟებიდან ჩანს, მასპინძლები მხოლოდ ერთ ადამიანს იწვევენ ქორწილში, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი დაქორწინებულია და საქმე გვაქვს მხოლოდ ერთი მეუღლის მიწვევასთან, დგინდება მხოლოდ ჩემი ნაცნობობით ამ ადამიანთან. ამგვარად, ინგლისურ ოფიციალურ მიპატიჟებებში, ქართული მიპატიჟებებისაგან განსხვავებით, ქალბატონების საოჯახო სტატუსი ნათლად არის ასახული მათ ტიტულებსა და საკუთარ სახელებში (Mrs Tim Honnor, Mrs Sybil Green, Ms. Melissa Smith). ზემოთ მოყვანილ მიპატიჟებაში ისიც ჩანს, რომ ქორწილს თვით სიძე-პატარძალი მასპინძლობს.

თუ წვეულებაზე მთელი ოჯახია დაპატიჟებული, ეს ფაქტი სიტყვა „ოჯახით“ იქნება ნაჩვენები, მაგ.:

პატივცემულ ვანო დგებუაძეს,
გთხოვთ მობრძანდეთ ოჯახით
გვანცა და ლადოს ქორწილში,
რომელიც შედგება რესტორან „არაგვში“
17 ნოემბერს 17 საათზე
თქვენი მაგიდის № 2
პატივისცემით,
ირინა დეკანოსიძე და ემზარ ჩიქობავა

თუ ქორწილში სტუმარს არც წყვილი და არც მათი მშობლები არ ეპატივებიან, ეს ფაქტი გარკვევით მოცემულია მიწვევაში, მაგ.:

ბატონო ოთარ,
გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილიშვილების
ქეთევანისა და ალექსანდრეს
ქორწილში
ა.წ. 23 ივნისს 17 სთ-ზე
რესტორან „თეთრ სახლში“
პატივისცემით,
ინგა და თამაზ მიქელაძეები

არაოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატივებების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ისინი განსხვავდებიან ოფიციალური მოწვევებისაგან იმით, რომ მათში არ გამოიყენება ტიტულები (წოდებები):

*Rupert and Mary Wilkinson
invite you to the marriage of their daughter
Camilla
to
Richard Walters
at Southwark Cathedral, London JE1
on Saturday 2nd August 2003
and afterwards at Chelsea Physic Garden, London JW3*

*RSVP
44 Guldford Road
London LW8 2BU*

მოცემული მიპატივება არის „გულთბილი არაოფიციალური მიწვევის“ ("Cordial Invite Informal")⁵ მაგალითი, რადგან ის შეიცავს "invite you" და არა "invite John and Mary". ისევე, როგორც „ღია ოფიციალური მიპატივება“, არსებობს „ღია არაოფიციალური მიპატივება“. არაოფიციალურ საქორწილო მიპატივებებში შესაძლებელია ასევე არ იყოს მოცემული RSVP აბრევიატურა. ქართული არაოფიციალური მიპატივებები ზეპირ ხასიათს ატარებს და ასეთი სახის შეიძლება იყოს: „ნინო, გელოდები ჩემს ქორწილში 22 სექტემბერს 5 საათზე რესტორან „აჭარაში“. აუცილებლად მოდი“.

⁵ <http://www.find-me-a-gift.co.uk/wedding/wedding-invitation-templates.asp> .

ზოგჯერ ინგლისელი ნეფე-დედოფალი თავის მომავალ სტუმრებს "Save the Date" („დაიბევეთ ჩვენთვის თარიღი“) ბარათს უგზავნიან, მაგ.:

*Please reserve the date of
6th May 2006
for our wedding.*

*Invitations and details will follow.
Sally and Nigel*

ასეთი ბარათი ეხმარება მასპინძლებს სტუმრებისაგან ღონისძიების დასწრების წინასწარი თანხმობის მიღებაში, რადგან თარიღი ღილი ხნით ადრე არის ცნობილი.

ოფიციალური და არაოფიციალური მიპატივებების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოფიციალურ მიპატივებებს ბევრად უფრო მკაცრი წერილობითი წესები აქვთ არაოფიციალურთან შედარებით. ისინი ხაზს უსვამენ სოციალურ დისტანციას. აგრეთვე იყენებენ მიმართვის და პატივისცემის გამომხატველ ფორმებს. ოფიციალური მიპატივებისაგან განსხვავებით, არაოფიციალური მიწვევა მიუთითებს ადამიანებს შორის არსებულ მეგობრულ და თბილ ურთიერთობაზე და მიმართულია სტუმრისა და მასპინძლის პოზიტიური სახისადმი. უნდა ითქვას, რომ ინგლისური საქორწილო მიპატივება ყოველთვის წერილობითია, მაშინ როდესაც ქართული საქორწილო მიპატივება უმეტესად ზეპირი სახისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისურ მიპატივებაში (განსაკუთრებით ოფიციალურში) ყოველთვის ხაზგასმულია ადრესატისა და ადრესანტის სოციალური (დოქტორი, პროფესორი) და ოჯახური მდგომარეობა, რითაც ის განსხვავდება ქართული საქორწილო მიპატივებისაგან. ყოველივე ზემოხსენებულის შედეგად, ნათელი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა იცოდეს მიწვევის სწორი ფორმების გამოყენება სხვადასხვა კულტურულ გარემოში, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სახის შელახვის აქტები და შენარჩუნდეს მასპინძლისა და სტუმრის პოზიტიური სახე, რაც თავის მხრივ სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნების საწინდარია.

ლიტერატურა

ბლეიქმორი, 1992 - Blakemore, D., Understanding Utterances, Oxford: Blackwell.

ფოქსი, 2005 - Fox, K., Watching the English. Hodder.

გაისი, 1995 - Geis, M.L., Speech Acts and Conversational Interaction. Cambridge University Press.

პიტონი, სტრეჩი 2004 - Heaton, V & Stretch, G., The Complete Wedding Book, Clarion.

მოსლი, 1994 - Mosley, C., Debrett's Guide To Entertaining, The Complete Book Of Modern Entertaining, Headline.

როჯერი, ბული, 1989 - Roger, D & Bull, P., Conversation. Multilingual Matters LTD, Clevedon, Philadelphia.

სერლი, 1979 - Searle, J., Expression and Meaning: Studies in the Theory of Speech Acts, Cambridge University Press.

სიფიანუ, 1992 - Sifianou, M., Politeness Phenomena in England and Greece: A Cross-Cultural Perspective. Clarendon Press, Oxford.

სტენსტრომი, 1994 - Stenström, A., An Introduction to Spoken Interaction, Longman, London and New York.

ტალბოტი, კამერონი, 1987 - Talbot J. T. & Cameron, D., Analysing Conversation: Rules and Units in the Structure of Talk, Oxford, Pergamon.

ტომასი, 1995 - Thomas, J., Meaning in Interaction: An Introduction to Pragmatics, London, Longman.

თსუი, 1994 - Tsui, A., English Conversation, Cambridge University Press.

ინტერნეტ-წყაროები

1. <http://www.weddings.co.uk/info/invitat.html>
2. <http://www.hitchet.co.uk/stationery/examplewording.asp>
3. http://www.our-wedding-plans.co.uk/wedding_invitations.html
4. <http://www.weddingdetails.com/planning/invitations.cfm>
5. <http://www.weddingstationeryetc.co.uk/wedding13.html>

Inola Apakidze

On Linguistic and Cultural Peculiarities of English and Georgian Wedding Invitations

Summary

English and Georgian wedding invitations represent an inseparable part of the whole wedding ritual. The aim of this paper is to consider linguistic and cultural peculiarities of English and Georgian wedding invitations. Attention is drawn to politeness, both positive and negative as well as to *face* (positive and negative face, face-threatening acts) and address forms used in English and Georgian wedding invitations.

გიორგი ახვლედიანი – 120

თამაზ გამყრელიძე

გიორგი ახვლედიანი – ახალი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსი 5

მზეძალა შანიძე

მოგონება 8

თეიმურაზ გვანცელაძე

აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი და აფხაზური ენა 10

Teimuraz Gvantseladze

Academician Giorgi Akhvlediani and Abkhazian Language 12

ჯემშიდ გიუნაშვილი

რა იცის ირანის საზოგადოებრიობამ გიორგი ახვლედიანის შესახებ 13

Jemshid Giunashvili

What the Public of Iran Knows about Giorgi Akhvlediani 15

თეო ჩხეიძე

გიორგი ახვლედიანი – ირანიისტი 16

Theo Chkheidze

Giorgi Akhvlediani – Iranist 24

ტიპოლოგია

რუსუდან ასათიანი

<კი/არა> სისტემების სემანტიკა და ტიპოლოგია 25

Rusudan Asatiani

Typology and Semantics of <Yes/No> Systems 37

ირინე მელიქიშვილი

ენათა ფონოლოგიური სისტემების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის ინტროვერტიული და ექსტროვერტიული ტიპის ენებად 38

Irine Melikishvili

About the Introvert/Extrovert (Decessive/Akcessive) Types of Phonotactic Rules and Phonemic Systems 53

ფონეტიკა/ფონოლოგია/მორფოლოგია

ციური ახვლედიანი

ფონემათა ჯგუფების ესთეტიკური ფუნქცია 54

Tsiuri Akhvlediani

The Aesthetic Function of Phonemic Groups 56

იზაბელა თევდორაძე

ხშვისა და განხშვის საკითხი აქცესიურ და დეცესიურ თანხმოვანთა კომპლექსებში 57

Isabela Tevdoradze

The Case of Occlusion and Explosion in the Groups of Introvert and Extrovert Consonants 60

<i>ივანე ლეჟავა</i>	
დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში	61
<i>Ivane Lezhava</i>	
Incontiguous Dissimilative Voicing in Svan Language	64
<i>ნათელა ჯვანია</i>	
სშულ ფონემათა დისტრიბუცია და მათი სიხშირული ურთიერთმიმართება ეთიოპიის სემიტურ ენათა ძირეულ მორფემებში	65
<i>Natela Zhvania</i>	
The Distribution of Stops and their Frequency Correlation in Ethio-Semitic Root Morphemes	70
<i>მურმან სუხიშვილი</i>	
ფშვინვიერ სშულთა რეგრესულ-დისტანციური დისიმილაციური გამჟღერებისათვის სვანურში	71
<i>Murman Sukhishvili</i>	
On Regressive-Dissimilative Voicing of Aspirate Occlusives in Svan	78
<i>Натела Кутелиа</i>	
Ареальные контакты и вопросы диахронической трансформации вокальной системы в колхском(мегрельско-лазском) языке	79
მორფოლოგია/სინტაქსი	
<i>ზურაბ ბარათაშვილი</i>	83
ასპექტი და ზმნის ფლექსიური კატეგორიები თანამედროვე ქართულში	
<i>Zurab Baratashvili</i>	
Aspect and Inflectional Categories of the Verb in Modern Georgian	91
<i>ნანა ბერიძე</i>	
არსებითი სახელის ობლიგატორული და ფაკულტატური ვალენტობა	92
<i>Nana Beridze</i>	
Obligatory and Facultative Valency of the Nouns	95
<i>ვახტანგ იმნაიშვილი</i>	
სამპირიანი გარდაუვალი ზმნები	96
<i>Vakhtang Imnaishvili</i>	
Intransitive Verbs with Valency of 3	108
<i>ალექსანდრე პოტხიშვილი</i>	
ძირითადი (დასახელების, სახელობითი) ბრუნვის გაფორმების საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში	109
<i>Alexandre Potskhishvili</i>	
Question of the Marker of the Basic (nominative) Case in the Modern Georgian Language	114

<i>მანანა ქარქაშაძე</i> მედიაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ურთიერთმიმართება თანამედროვე ქართულში <i>Manana Karkashadze</i> Correlation of Medioactive and Transitive Reflexive Verbs in Modern Georgian	115 136
<i>ნინო ციხიშვილი</i> პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითის ფორმათა წარმოების საკითხები საშუალო ქართულში <i>Nino Tsikhishvili</i> The Problems of Derivation of the II Conjunctive Screve of Prefixal Passive in Middle Georgian	137 144
<i>ალისა ჰარისი</i> ისტორია სინქრონიის მხარდასაჭერად (II ნაწილი) <i>Alice C. Harris</i> History in Support of Synchrony	145 157
ქართველური დიალექტოლოგია <i>ქეთევან მარბიანი-სუბარი</i> ზემოსვანურ დიალექტთა კონტაქტების შედეგად წარმოქმნილი თავისებურებანი ბალსქვემო სვანეთიდან გადასახლებულ კოდორელთა მეტყველებაში <i>Ketevan Margiani-Subari</i> The Peculiarities Resulting from the Contacts of Upper Svan Dialects in the Speech of the Kodorians Migrated from Lower Bal Svaneti	158 167
<i>შუშანა შუტკარაძე</i> ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის საშუალებანი ამიერტაოს ქობაგის ხევის ქართულში <i>Shushana Putkaradze</i> The Peculiarities of Verb forms (person and number) in the Spoken Language of Kobagi Khevi	168 175
<i>იზა ჩანტლაძე</i> ინტერფერენციული მოვლენები კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში <i>Iza Chantladze</i> Interferential Phenomena in Svan of the Kodori (resp.Dali) Valley	176 186
ლინგვოკრაბვატიკა <i>ინოლა ავაქიძე</i> ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიჟებების ლინგვისტური და კულტურული თავისებურებების შესახებ <i>Inola Apakidze</i> On Linguistic and Cultural Peculiarities of English and Georgian Wedding Invitations	187 202

გამომცემლობის რედაქტორები ცირა ჯიშკარიანი
მარინე გიორგობიანი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, I. Chavchavadze Av.

www.press.tsu.ge (25-14-32)